აბელ კიკვიძე

გაზეთი „კვალი“

1893—1904 წწ.

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1969

002 (ᲪᲐ 41)
07 [გაზ. „კვალი“] „1893—1904“+301 (47.922) (09)
Კ 498

გაზეთმა „კვალმა“ დიდი როლი შეასრულა XIX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში. შესრულდა 75 წელი ამ გაზეთის დაარსებიდან. „კვალის“ როლსა და დანიშნულებაზე მოგვითხრობს ა. კიკვიძის ეს წიგნი. სახელდობრ, აქ ვრცლად არის მიმოხილული, თუ როგორ დაიცვა გაზეთმა კლასთა ბრძოლის თეორია, უჩვენა ქართველ საზოგადოებას, რომ საჭირო იყო მუშათა კლასის დარაზმვა ერთობლივი ბრძოლისათვის.

შესავალი

75 წელი შესრულდა გაზეთ „კვალის“ გამოცემიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით მით უფრო საჭიროა გვქონდეს სახელოვანი პერიოდული გამოცემის ისტორია, რომ გავეცნოთ გაზეთის პროგრამას, მთელ მის პროსპექტს, სახელდობრ, რა ამოქმედებდა, რისთვის იბრძოდა და რა გააკეთა ამ მებრძოლმა ბეჭდვითმა ორგანომ თერთმეტი წლის მანძილზე (1893—1904).

„კვალი“ თავისი ფორმატით ჟურნალი იყო, მაგრამ რადგან ის გაზეთად იწოდებოდა, ჩვენც ამ სახელით წარმოვადგენთ. „კვალს“ წილად ხვდა ყოფილიყო გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ღრმა ცვლილებების გამომხატველი, ახალი საზოგადოებრივი ძალების მესიტყვე. ამ მხრივ მან ისტორიული როლი შეასრულა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში დასრულდა თერგდალეულთა და მათი დიდი პერიოდული გამოცემის „ივერიის“ მოწინავეობა ქართველი ხალხის იდეოლოგიურ ცხოვრებაში.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან თერგდალეულების მეთაურობით იშლებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშის ქვეშ, ახლა დაუპირისპირდა პროლეტარული მოძრაობა და მისი იდეოლოგია მარქსიზმი. „კვალი“ გახდა მუშათა მოძრაობის ნიადაგზე წარმოქმნილი მარქსიზმის იდეების პროპაგანდისტი საქართველოში.

სულ სხვა საკითხია, რამდენად თანამიმდევრულად იცავდა

მარქსიზმის მოძღვრებას გაზეთი „კვალი“. მაგრამ ფაქტია, რომ მარქსიზმის იდეები პირველად „კვალმა“ იქადაგა მის მიერ მესამე დასელებად მონათლულ ახალგაზრდა პუბლიცისტების სტატიებში. მესამე დასელები იყვნენ სოციალ-დემოკრატები და „კვალსაც“ ჰქონდა პრეტენზია ყოფილიყო სოციალ-დემოკრატიული ორგანო, თუმცა ლეგალურ გაზეთს არ შეეძლო დაეცვა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნები.

„კვალის“ მთავარი დამსახურება მაინც დიდია იმ მხრივ, რომ უკვე დროგადასული კონცეფციების წინააღმდეგ საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების საკითხებზე მან დაიცვა კლასთა ბრძოლის თეორია, უჩვენა ქართველ საზოგადოებას, რომ 90-იანი წლების საქართველოში საზოგადოებრივი მოძრაობის მთელ შინაარსს გამოხატავდა ბრძოლა მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის და რომ საჭირო იყო საქართველოს მუშათა კლასის დაცვა და მისი წინამძღვრობა სოციალიზმის დროშით.

„კვალის“ საზოგადოებრივ-ეკონომიური პოზიციები გამართლებული იყო ქვეყნის ეკონომიური განვითარების ობიექტური კანონზომიერებით.

გაზეთი „კვალი“ 1893 წელს

„სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს“. ასე იუწყებოდა „კვალი“ თავის დაბადების დღეს — 1893 წლის 3 იანვარს. მისი გამომცემელი და რედაქტორი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა (გიორგი წერეთლის მეუღლე), ხოლო ფაქტიური ხელმძღვანელი — გიორგი წერეთელი. „კვალს“ ბოლომდე — 1904 წლის თებერვლამდე, ხელს აწერდა „რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლისა“. გაზეთი გამოცემას იწყებს ჟურნალ „ჯეჯილის“ სურათებიან დამატებად, რათა იგი ცენზურას ნაკლებად შეემჩნია.

გაზეთს არ ჰქონდა რაიმე განსხვავებული პროგრამა მისი წინამორბედი პერიოდული გამოცემებისაგან. თავის საპროგრამო წერილში — „ჩვენი გულის პასუხი“ — „კვალი“ იუწყებოდა, რომ იგი შეეცდებოდა „ყოველსავე მოვლენაზე უტყუარი და საფუძვლიანი სიტყვა“ წარმოეთქვა. ამ მოვლენებად „კვალს“ მიაჩნდა მისი თანამედროვე „გამრავალფერებული ცხოვრების კითხვები“: თავადაზნაურობის ზრუნვა სწავლა-განათლებაზე, კახეთის რკინიგზის გაყვანის საქმე, ვაზის წამლობა, ხოლერასთან ბრძოლა და სხვ.

ამრიგად, გაზეთი მიზნად ისახავს ემსახუროს სახალხო ინტერესებს, და არა აქვს პრეტენზია, რომ მისი სიტყვა ყოველთვის სწორი და მისაღები იქნება:

„შეუმცდარი არავინ არის, — წერს „კვალი“, — ჩვენც შეიძლება ბევრში შევცდეთ, მაგრამ როდესაც კი ჩვენს შეცდ-

დომას დაგვიმტკიცებენ... ამ შეცდომებს გულწრფელად ვაღიარებთ, მაგრამ ნურც ჩვენი მკითხველები დაივიწყებენ, რომ... აზრთა შეუცილებლად, შეუკამათებლად ჭეშმარიტება არ გამორკვეულა“ („კვალი“ № 1, გვ. 3).

XIX საუკუნის 90-იან წლებში, როცა „კვალი“ იწყებს გამოსვლას, საქართველო დიდ ეკონომიურ და სოციალურ ძვრებს განიცდის. სამრეწველო აღმავლობამ კიდევ უფრო დაუპირისპირა ერთმანეთს მქონებელი და უქონელი კლასები. „კვალი“ ამას ვერ ამჩნევს.

ის ეხმაურება. უკეთ რომ ვთქვათ, ისეთ საკითხებს აყენებს. რაც კახეთის თავადაზნაურობის საზრუნავს შეადგენს, მაგალითად, კახეთის რკინიგზა და სხვ. კიდევ მეტი — „კვალს“ წარმოდგენილი აქვს, რომ სწავლა-განათლებისათვის, ე. ი. მეცნიერებისა და კულტურისათვის უნდა იზრუნოს თავადაზნაურობამ, თითქოს ეს ხალხს არ ეხება, თითქოს მართლა შეეძლო უკვე დაცემულ ქართველ თავადაზნაურობას რაიმე ღონისძიება გაეტარებინა საერთოდ კულტურის დარგში. ამ მხრივ „კვალი“ უეჭველად ჩამორჩება ისეთ გაზეთებს, როგორიც იყო „დროება“ და „ივერია“.

„კვალმა“ დიდი ადგილი მისცა კლერიკალიზმს და იწყო წერა წმინდანებზე, დიდ სურათებსაც ათავსებდა ისეთ ლეგენდებზე, როგორიცაა „ლაზარეს აღდგენა“ და იესო ნაზარეველის სხვა სასწაულმოქმედებანი.

„კვალი“ ათავსებდა მიმომხილველ წერილებს, თუ როგორ უნდა იწერებოდეს და ისწავლებოდეს საღვთო წერილი.

ქრისტიანობის გავრცელების შესახებ „კვალი“ ავითარებდა იმ ზღაპრულ გადმონაცემს, თითქოს შეუძლებელი იქნებოდა ქრისტეს მოძღვრების გავრცელება, რომ არ მომხდარიყო სასწაულმოქმედება და ქრისტეს მოწაფეებს არ ეწყოთ სხვადასხვა ენაზე საუბარი. „კვალს“ სჯერა, რომ ხალხთა კეთილდღეობისა და მათი უკეთესი ცხოვრების საწყისი არის რაციონალურად მოწყობილი რელიგიური დაწესებულებები, ქრისტიანული აღზრდა. 1895 წლის „კვალის“ მე-18 ნომრის მოწინავე ეძღვნება სულიწმინდის მოფენას და მის მნიშვნელობას. „ჩვენი სულიერი მამების საყურადღებოდ“ — ასეთია მოწინავის სათაური. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რა მნიშვნე-

ლობა აქვს ეროვნულ ენაზე სარწმუნოების ქადაგებას და ეროვნულ ეკლესიას.

ჯერ კიდევ 1893 წელს, თავისი გამოსვლის პირველ წელს, „კვალი“ შეეხო ქართულად წირვა-ლოცვის მნიშვნელობას (იხ. „კვალი“ 1893 წ., № 26). შემდეგ იგი უფრო ენერგიულად ავითარებს კლერიკალიზმს. 1894 წლის „კვალის“ პირველი ნომრის მეთაური იწოდება — „შესვლა იესო ქრისტესი იერუსალიმად“. მე-15 ნომერში მოთავსებულია დიდი სურათი, რომელიც მიძღვნილია იერუსალიმში ქრისტეს შესვლისადმი, მომდევნო მე-16 ნომერში სურათი — „ლოცვა იესო ქრისტესი გეთსამენიაში“, იქვე — „ჯვარცმა იესო ქრისტესი“, მე-17 ნომერში მოწინავეა — „სააღდგომო“. გასაგებია, თუ როგორ ჭარბად გამოიყურება გაზეთში კლერიკალიზმი.

ამავე დროს „კვალი“ წერილებს უძღვნის დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, კოლუმბს და ათავსებს დიდ სურათს, სადაც იტალიელი კლერიკალები და კათოლიკური ეკლესიის ცენტრის წარმომადგენლები საჯაროდ შეურაცხყოფენ ამერიკის აღმომჩენს. „კვალი“ ამათრახებს კათოლიკურ ეკლესიას. რომის პაპს, რომლებიც მეცნიერების წინააღმდეგ ილაშქრებენ. იგი წერილების მთელ სერიას უძღვნის კოლუმბის სამეცნიერო ექსპედიციას და ამერიკის აღმოჩენას, რომელიც მაშინ იყო მეცნიერების ბრწყინვალე გამარჯვება რელიგიაზე. დამახასიათებელია, რომ ქრისტეს ცხოვრების მოთხრობის გვერდით „კვალი“ დიდ ადგილს უთმობს კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ მეცნიერების ბრძოლას, პროტესტს უცხადებს ქრისტეს დროშით მებრძოლ კლერიკალებს, რომლებიც ლაშქრობდნენ ამერიკის აღმომჩენ კოლუმბის წინააღმდეგ. მაშასადამე, „კვალი“ კლერიკალობის მიმდევარი როდია. ის, როგორც სამეცნიერო ორგანო, მეცნიერების ინტერესებს იცავს. ხოლო ქრისტეს ცხოვრების მოთხრობა და სურათები ამ ცხოვრებიდან შესაძლებელია მივაწეროთ გაზეთის ტაქტიკურ ნაბიჯს, რომ ამით ცენზურას გამკლავებოდა. მაგრამ წინააღმდეგობანი ახლადფეხადგმულ გაზეთს დრომდე მაინც დასჩემდა.

შეიძლება ისიც შემთხვევითად ჩაითვალოს „კვალისათვის“. რომ იგი აქებს და დითირამბებს უძღვნის „მამულიშვილს“

გენერალ მუხრან-ბატონს, იმის გამო, რომ ამ მემამულეს ფული უსესხებია ჭიათურის შავი ქვის არენდატორისათვის.

სახალხო საქმე და ეროვნული ინტერესები რომ შორს იყო ივანე მუხრან-ბატონისაგან, ეს ცნობილია. ერთხელ მასთან მისულან ქართული თეატრის მოღვაწენი, რათა მიეღოთ დახმარება თეატრისათვის და თურმე ვასო აბაშიძე საათობით ატრიალა თავის წინ, შეასრულებინა სხვადასხვა სცენა, იმისათვის, რომ სამასი მანეთი გადაეცა ქართული თეატრის სასარგებლოდ.

მაგრამ „კვალისათვის" უცხო როდია თავადაზნაურულ წრეებზე ლაპარაკი. აკი ის ისეთ დიდ და პირველხარისხოვან საქმეს, როგორიც სწავლა-განათლებაა, თავადაზნაურობას ანდობს და მისგან მოელის მალამოს ხალხისათვის.

მაშასადამე, როგორც უკვე დავრწმუნდით, „კვალს" თავიდან არ ჰქონია გარკვეული სოციალური პროგრამა, „კვალი" დიდ მიდრეკილებას იჩენდა საქართველოს მეცნიერული ისტორიისადმი და თავის ფურცლებზე ათავსებდა წერილებს საქართველოს წარსული ისტორიის საკითხებზე. ეს წერილები ყველა გიორგი წერეთლის კალამს ეკუთვნის. საბოლოოდ, ჩვენს საისტორიო მეცნიერებას დღემდე არ შეუფასებია ამ წერილების ავკარგიანობა.

„კვალში" აქტიურად თანამშრომლობდა აკაკი წერეთელი. აქ გამოქვეყნდა მისი შესანიშნავი წერილები, მემუარები და ისტორიული მოთხრობები. იმ დროის აქტუალურ საკითხებზე აკაკი ათავსებდა მიმომხილველ წერილებს — „ცხელ-ცხელი ამბები". მას „კვალში" დაბეჭდილი აქვს მოგონება ივანე კერესელიძეზე, რომელიც ძვირფასი წყაროა მე-19 საუკუნის შუა წლების ქართული კულტურული ვითარების გასაცნობად.

უნიკალური ნაწარმოებები — „ჩემი თავგადასავალი"[1] და დიდი ისტორიული წერილი როსტომ ერისთავის შესახებ[2] — „მეფე სოლომონ იმერეთისა დიდ სოლომონად წოდებული", — აკაკიმ პირველად „კვალში" დაბეჭდა. „კვალში" დაიბეჭდა აგრეთვე ბაში-აჩუკი[3].

---

[1] „კვალი", 1894, №№ 10, 11, 15, 16, 18, 21, 22, 26, 35, 39, 41, 43.

[2] „კვალი", 1895, №№ 23, 24, 25, 26, 27, 28.

[3] „კვალი", 1895, №№ 38, 40, 41, 45, 47, 48, 50; 1896, №№ 15, 16, 18, 19, 20, 22.

მაინც ლიტერატურისა, და საერთოდ, კულტურის საკითხებზე „კვალი“ ძველი ტრადიციების დამცველად გამოდის. თითქოს მიჩქმალული იყო ის ღრმა კვალი, რომელიც ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას მე-19 საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეებმა დააჩნიეს.

თავის ერთ-ერთ წერილში — „საოჯახო წიგნთსაცავი“ (1893 წ. № 5) „კვალი“ მიუთითებს სახარების აუცილებლობაზე ყოველი განათლებული ქართველისათვის:

„ქართული სახარების ენა, რომელიც მთელ საქართველოს ფილოსოფოსების მიერ შემუშავებულია... თუ არ იცის განათლებულმა ქართველმა, მისი დედმამაა დამნაშავე და იმ სურვილის ყელის გამომჭრელი, რომელსაც განათლებული ქართველი აცხადებს ფარისევლური წუწუნით“.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში საყოველთაოდ აღიარებული იყო ილიასა და აკაკის სალიტერატურო ენა, რომლითაც მათ იქადაგეს მაღალი ჰუმანიზმი, ადამიანის ზნეობისა და ჭკუა-გონების ბრწყინვალება. ასე, რომ „საოჯახო წიგნთსაცავში“ სახარების ადგილი უნდა დაეჭირა ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“, „კაკო ყაჩაღს“ და აკაკის „გამზრდელს“. ეს უნდა ყოფილიყო პირველი საფეხური განათლებისა ქართველობაში, და ეს განათლება უნდა შევსებულიყო სხვა შედევრებით, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონით“ და „შვლის ნუკრის ნაამბობით“.

„კვალის“ გულისყური სოფლისაკენ არის მიქცეული და ამით სურს აჩვენოს, რომ ის თავს დასტრიალებს თანადროულ აქტუალურ საზოგადოებრივ საკითხებს.

„კვალის“ №№ 6, 8, 10-ში დაბეჭდილია სტატია „რა ეჭირვება სოფელსა“. გლეხობის გაჭირვების, სოფლის ჩამორჩენილობის მიზეზი, გაზეთის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მიწები, მამულები გაუმიჯნავია, „გაუმიჯნაობა და გაუყოფლობა მამულისა ბადებს მრავალგვარ უსიამოვნებას: ჩხუბი, მტრობა, ერთმანეთის დაჭრა, ხანდახან სიკვდილიც, არის შედეგი ამ სენისა“ (№ 8).

ვინ ჩხუბობს, ვინ დავობს? ეს არის მემამულე თავადაზნაურობა, რომლის „გარდა გლეხკაცობაც ამ მამულების გაუმიჯნაობის გამო დიდ წვალებაშია“ (იქვე). ხშირად ხდება, რომ

ერთი მემამულე მისცემს გლეხს იჯარით მიწას და ფულს გამოართმევს. წამოუვლის მეორე მემამულე, ისიც ახდევინებს გლეხს ფულს ხელმეორედ. „ამასობაში გლეხკაცს რამდენჯერმე ტყავი სძვრება“ (იქვე).

„კვალი“ მოითხოვს, რომ მალე გაიმიჯნოს მამულები. თავადაზნაურობის კრებებზე თუმცა ისმოდა საკითხი მამულების გამიჯვნის თაობაზე, მაგრამ გაზეთის აზრით, ეს სრულებით საკმარისი არ არის, უმაღლეს მთავრობას უნდა მიმართონ მამულის მეპატრონეებმა.

ახლანდელი წესი მამულების გამიჯვნისა ისეთია, რომ „ჰბადებს მონაწილეთა შორის აუარებელ დავებს, რომელიც ჩვენ თავადაზნაურობას ძირს უთხრის“ (იქვე).

ამრიგად, „კვალი“ სოფლის ცხოვრების მთავარ სიძნელეს იმაში ხედავს. რომ თავადაზნაურობას ეკონომიურად ძირი ეთხრება. მაშასადამე, საჭიროა სათანადო ღონისძიების გატარება. „ერთი ღონისძიება, რომელიც თუ სრულებით არა, მომეტებულს ნაწილს ჩვენს მემამულეებისას გამოიყვანს ამ გაჭირვებიდან, — ეს არის მშვიდობიანი, მედიატორეების შემწეობით მამულების დაყოფა და გათავება საქმისა იმ გვარებს შორის, სადაც ჯერ კიდევ გაუმიჯნავი და საერთო მამულებია“.

„თავადაზნაურობის წინამძღოლებმა, — განაგრძობს „კვალი“, — უნდა ჩააგონონ „ჩვენს მებატონეებს“ — რა გაჭირვება და უბედურება მოელით თუ ფხიზლად და გონიერად არ მოეკიდენ საქმეს“ (იქვე).

ამრიგად, „კვალი“ მებატონე-მემამულეებს ესარჩლება და მათი ჭრილობის მალამოს ეძებს. 90-იან წლებში უკვე ოცდაათი წლის ისტორიას ითვლის ჩვენში ბატონყმობის გადავარდნა. „კვალს“ ვერ გაუგია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები და წინანდებურად მემამულეს მებატონედ აცხადებს.

დამახასიათებელია. რომ მემამულეების გაჭირვება „კვალს“ სოფლის გაჭირვებად მიაჩნია. ამ შემთხვევაში ის გონებადახშულობას იჩენს.

თუმცა „კვალი“ თავიდან სწავლა-განათლების საქმეს თავადაზნაურობის საზრუნავად აცხადებს, მაგრამ შემდეგ იგი

შეუდგა საფუძვლიან მსჯელობას განათლებისა და საერთოდ სკოლების შესახებ. 1893 წლის ნომრებში „კვალმა“ მოათავსა წერილების სერია — „სწავლის საქმე ჩვენში“ („კვალი“, №№ 8, 9, 10, 11).

გაზეთი ეკამათება „ივერიის“ თანამშრომელს, რომელიც ამტკიცებდა, რომ გიმნაზიების შენახვა ძვირი ჯდება და ასეთ სასწავლებლებზე გაწეული ხარჯები ფუჭია. საჭიროა სამეურნეო და ტექნიკური სკოლების გახსნა. „კვალი“ მიუთითებს, რომ გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები შეგირდებს ამზადებენ უმაღლესი სასწავლებლებისათვის და ნუთუ უმაღლესი განათლება ჩვენთვის საჭირო არ არის?

ქართველების წილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ძალზე მცირეა და, გაზეთის აზრით, მთელი ღონისძიება მიმართული უნდა იქნეს იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტი ქართველი იყოს ჩაბმული საშუალო სკოლის ქსელში.

„ტფილისის გუბერნიაში ირიცხება სულ 405 ათასი ქართველი, სომეხთა რიცხვი ერთიორად ნაკლებია (190 ათასი), და რუსები დაახლოებით რომ ვიანგარიშოთ, ერთიოთხად ცოტანი არიან ქართველებზე (55 000). სწავლის სურვილი დიდია ქართველთა შორის და რაოდენობის მიხედვით, რომ გარემოება ხელს უწყობდეს მათ, თავის სამშობლოში თავის დედაქალაქში პირველი ადგილი უნდა ეჭიროთ სასწავლებლებში, მაგრამ როგორც ხედავთ, იმათი რიცხვი შედარებით სხვებთან ძლიერ მცირეა“.

იქნებ ისა თქვან, რომ ქართველები სამაგიეროდ სასოფლო-სამეურნეო სკოლებსა და ტექნიკურ სასწავლებლებს ეტანებიან? — სვამს კითხვას „კვალი“. მაგრამ გაზეთის ცნობით, აქაც მეტად მცირეა ქართველთა რიცხვი. ერთი სიტყვით, „კვალს“ უნდა დაამტკიცოს, რომ სასწავლებლების რიცხვი ჩვენში მცირე როდია. მაგრამ ქართველი მოსახლეობა სასწავლებლებით ყველაზე ნაკლებად სარგებლობს.

ისე, როგორც „ივერიას“ და „დროებას“, „კვალსაც“ ერის ცხოვრების ბურჯად განათლება მიაჩნია და ეს იდეა, ~~შეიძლება ითქვას, რომ~~ „კვალმა“ მის წინამორბედ დასახელებულ გაზეთებიდან ისესხა, მაგრამ „კვალი“ მათზე უფრო რეალისტი აღმოჩნდა ამ შემთხვევაში. ეს უკანასკნელი ეროვნულ თვალსაზრისს ავითარებს სწავლა-განათლების საკითხში.

„კვალი“ დიდ ყურადღებას აქცევს გამოჩენილ პოლიტიკოსთა, მეცნიერთა და მოგზაურთა ცხოვრების გაცნობას. იგი ერთნაირი ინტერესით წერს ლუი პასტერზე (№ 10), ეულერზე (№ 12) და კოლუმბზე (№ 31).

გაზეთის ხელმძღვანელი, მისი ფაქტიური რედაქტორი გ. წერეთელი განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის წერილებს, რომლებიც იმდროის კვალობაზე პოპულარულ-მეცნიერულ შრომებს წარმოადგენს. უკვე „კვალის“ პირველ ნომერში მას დაუბეჭდავს წერილი ბაგრატ მეხუთეზე. შემდეგ: „საჩხერის ციხე“ (№ 3), „ყვარყვარე მეორე ათაბაგი“ (№ 6), „ვარძია“ (№ 8), „გიორგი VIII“ (№ 11), „დრანდის ტაძარი“ (№ 13), „მოქვის ტაძარი“ (№ 16), „მეფე გიორგი ლაშა“ (№ 27), „მეფე ერეკლე“ (№№ 28, 29, 30) და სხვა.

„კვალის“ მე-16 ნომერში პირველად გვხვდება წერილი ლიტერატურის საკითხებზე სათაურით — „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა“. ეს წერილი, რომელიც გრძელდება შემდეგ მე-17, 20, 21-ე ნომრებში, შეეხება ქართული ლიტერატურის განვითარების დონეს. წერილი ეკუთვნის ცნობილ კრიტიკოს რომანოზ ხ ო მ ლ ე ლ ს (ფანცხავა).

ავტორი ეხება ორმოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურას და ამ პერიოდს ქართულ მწერლობაში მწვავე კრიზისად აცხადებს. ქართულ ლიტერატურას მე-19 საუკუნეში, ავტორის დასაბუთებით, სათანადო ადგილი ეჭირა, ის პასუხობდა საზოგადოებრივი ცხოვრების რიგ საკითხებს, მაგრამ მას „არ ჰქონია არც საზოგადო, არც პოლიტიკური მნიშვნელობა“ („კვალი“ № 17).

თერგდალეულებს ხომლელი უწოდებს ლიბერალებს და თვით ლიბერალობა უაღრესად პროგრესულ მოვლენად მიაჩნია, მაგრამ თერგდალეულები არ ჰგავდნენ „დასავლეთის დიდად განათლებულ და დაბრძენებულ ლიბერალებს“ (იქვე).

ქართველი ლიბერალები თურმე ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ რუს ლიბერალებს და რუსულ ლიტერატურას, რომელიც ყირიმის ომმა გამოაფხიზლა. მან დაანახვა რუსეთს კაპიტალიზმის აუცილებლობა, ხოლო „კაპიტალისტურ მრეწველობას... არ შეუძლია არსებობა უპროლეტარიატოდ და პროლეტარია-

ტის აუცილებელ საჭიროებამ ცხოვრებაში გამოიწვია ყმების განთავისუფლების საქმეც“ („კვალი“ № 17).

ამრიგად. ავტორის აზრით, საგლეხო რეფორმით დადგა რა ახალი ხანა ცხოვრებისა, „ახალმა ცხოვრებამ მოითხოვა ლიტერატურის ახალი წარმომადგენლები, რომელნიც ქადაგებდნენ კაცობრიულს, ჰუმანურ აზრებს“ (იქვე).

ქართველმა ლიბერალებმა ძველი მწერლობის წარმომადგენლების („მამების“) წინააღმდეგ ბრძოლაში თუმცა გაიმარჯვეს, მაგრამ რა გამოვიდა? „ჩვენებურ ლიბერალთა პროგრამა, — წერს ხომლელი, — მარტივი იყო. ისინი ერიდებოდნენ. უარსა ჰყოფდნენ მრეწველობის განვითარებას ჩვენში, დასცინოდნენ და უგულოდ ეპყრობოდნენ ახალ წარმოებასა და მოქალაქეთა წარმატებას“ („კვალი“, 1893 წ. № 17).

გასაგებია, რომ ხომლელის ეს კონცეფცია სიყალბეზეა აგებული და მას არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. თერგდალეულები, პირიქით, მრეწველობის განვითარებაში ხედავდნენ ეკონომიური წარმატებისა და ეროვნული აღორძინების პირობას.

საერთოდ ამ გრძელ-გრძელ წერილებში რ. ხომლელს თერგდალეულების შესახებ სწორი აზრი თითქმის არსად არა აქვს გამოთქმული, და გაკვირვებას იწვევს, თუ რატომ ანიშებდა განსვენებული სიმონ ხ უ ნ დ ა ძ ე ხომლელის კრიტიკულ წერილებს ესოდენ დიდ მნიშვნელობას ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის.

ხომლელი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ეგრეთწოდებულ „ტეტიათა მოტრფიალეების“ გამოჩენას ოთხმოციან წლებში. მათი გამოსვლები ავტორს ეროვნულ უბედურებად მიაჩნია.

„ტეტიების მოტრფიალეთა“ პროგრამა იმდენად მარტივი და ღარიბი იყო, რამდენადაც მარტივია და ღარიბი თვით ბედისაგან დაჩაგრულ გლეხთა მოთხოვნილებაც. ჩვენებური ტეტიების მოტრფიალენი უარყოფდნენ ქართულ ლიტერატურას, ყბადაღებით და ლანძღვით იხსენიებდნენ ქართველ მოღვაწეთა ჭკუის ნაშრომს... ისინი დასცინოდნენ ჩვენს სასიქადულო პოეტთა და ლიბერალებს, რომლებიც წარმატებულ ერთა პოლიტიკურ ცხოვრებას თვალს ადევნებდნენ“ („კვალი“ № 20, გვ. 5).

უნდა ითქვას, ხომლელის კრიტიკა აქ სამართლიანია და კიდევ უფრო სამართლიანია მისი შეხედულება იმ მხრივ, რომ „ტეტიათა მოტრფიალენი“ თავიანთი ბრძოლის მიზნად ისახავდნენ გლეხკაცობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო სინამდვილეში სოფლის ბურჟუაზიისა და წვრილი ვაჭრების ინტერესებს ემსახურებოდნენ.

ტეტიათა მოტრფიალეობა, იგივე ნაროდნიკობა ხომლელს მიაჩნია რუსული ნაროდნიკული მოძრაობის ბრმა მიმბაძველობად. ავტორის სიტყვით მათ არ ჰქონდათ რაიმე სახელმძღვანელო აზრი და არაფერი კვალი დაუტოვებიათ ქართულ ლიტერატურაში.

ხომლელი, რა თქმა უნდა, ცდება, როცა ქართველ ნაროდნიკობას, ნაროდნიკულ მოძრაობას საქართველოში მხოლოდ რუსულ ნაროდნიკულ მიმბაძველობად აცხადებს.

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ნაროდნიკული მოძრაობა რუსეთში იყო სათავე ნაროდნიკული მოძრაობისა საქართველოშიც. მაგრამ 80-იანი წლების ნაროდნიკები არ შეიძლებოდა რუსი რევოლუციონერი ნაროდნიკების მიმბაძველები ყოფილიყვნენ, იმის გამო, რომ სწორედ ეს ქართველი ნაროდნიკები წარმოადგენდნენ ლიბერალ ნაროდნიკებს, რაც რუსეთში უფრო მოგვიანო მოვლენაა. რუსეთში ლიბერალი ნაროდნიკები 90-იან წლებში ჩნდებიან.

ხ ო მ ლ ე ლ მ ა არ იცის, რომ ლიბერალურ ნაროდნიკულ მოძრაობას ჩვენში წინ უძღვის რევოლუციური ნაროდნიკული მოძრაობა. ნაროდნიკული ორგანიზაციის განადგურების შემდეგ (1876 წ.) ერთი უფრო მნიშვნელოვანი წრე ქართველი ნაროდნიკებისა ლეგალურ მუშაობაზე გადადის. ნაროდნიკებმა 1881 წელს გამოსცეს ჟურნალი „იმედი“. სწორედ ეს ჟურნალი თავს უყრის იმ ნაროდნიკ მწერლებს, რომელთაც ხ ო მ ლ ე ლ ი „ტეტიობის მოტრფიალეთ“ უწოდებს.

„იმედმა“ დიდი პათოსით შეუტია „ივერიის“ გარშემო შემოკრებილ ქართველ მწერალთა ჯგუფს, ე. ი. თერგდალეულებს, რომელთაც ხომლელი შეცდომით ლიბერალებს უწოდებს. იმედელებმა „დროება“-„ივერიის“ პუბლიცისტებს თავადაზნაურული მწერლები უწოდეს, რომლებიც, მოკამათე-

თა სიტყვით, მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე წერდნენ და ხალხს კი პირველდაწყებითი განათლების მიღება უჭირდა.

მაგრამ ხალხის საიმედოდ გამოსული ჟურნალი თავადაზნაურობის შეთანხმებულ მუშაობაში ეძებს საწინდარს ხ ა ლ ხ ი ს ს ა ნ უ გ ე შ ე ბ ლ ა დ. ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის არჩევნებთან დაკავშირებით „იმედი“ (№ 6, 1881) წერდა: „ვუსურვოთ ჩვენ თავადაზნაურობას შეთანხმებული მუშაობა, იქნებ ამის შემდეგ მზე ამოგვიციდეს საიმედანღამე“.

ალექსანდრე II-ის მოკვლის გამო, „იმედმა“ თავის ფურცლებზე მოათავსა რევოლუციური ბრძოლის გამკიცხველი წერილი და საქვეყნოდ განაცხადა, რომ რევოლუციონერები საქმეს ურევენ, თორემ აქამდე ქვეყანა დაწყნარდებოდაო. სცნორა ქვეყანა დაობლებულად იმპერატორის მოკვლის გამო, თვალცრემლიანმა „იმედმა“ თქვა: „ახალი იმპერატორი ალექსანდრე III მოსწმენდს ერს ტანჯვის ცრემლსო“. ამაზე მეტად შეუძლებელი იყო თვით მეფის ოფიციოზს გამოეხატა თავისი უქვეშევრდომილესი გრძნობანი, მაგრამ ეს მხოლოდ „იმედის“ უილაჯობას და მის იდეურ გზააბნეულობას ამტკიცებს.

ხომლელი აკრიტიკებს „ტეტიების მოტრფიალეთ“ და ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რას წერდნენ ლიბერალი ნაროდნიკები. საერთოდ ხომლელის წერილების მთელ სერიას ზეპირი და დაუსაბუთებელი ნიშანი აზის.

ხომლელის წერილებიდან თავისი სიმძაფრით გამოირჩევა მეოთხე წერილი, რომელშიც ავტორი ეკამათება ივერიელს წერილის — „მოვალეობა ჩვენი თავადაზნაურობისა“ („ივერია“, 1893 წ. № 23) — გამო. ივერიელი ამტკიცებდა, რომ საქართველოს ცხოვრებაში დადგა ახალი ხანა, როცა მრეწველობის განვითარება ძირიანად სცვლის ქვეყნის ეკონომიკას. თუ თავადაზნაურობას სურს არ ჩამორჩეს მოთხოვნილებას და კვლავ პირველობა შეინარჩუნოს ერის ცხოვრებაში, იგი სათავეში უნდა მოექცეს მრეწველობას. ამის მაგალითს ივერიელი ხედავს ინგლისის ცხოვრებაში, სადაც მიწათმფლობელი არისტოკრატია გადაიქცა მრეწველ საზოგადოებად „ძით, რომ მან თავისი მამული გასცა იჯარით ფერმერებზე და თვითონაც უშუალოდ ჩაება მრეწველობაში.

ხომლელი მკაცრად აკრიტიკებს ივერიელის ამ კონცეფციას და ამბობს: „ინგლისის არისტოკრატიასა და ლორდებზე უთითებს დღევანდელ ქართველობას, ნივთიერად წელში გაწყვეტილსა და მასთან უბედიღბლო ერს! რა მოსატანია, რა ჭკუის მასწავლებელია აქ ამ შემთხვევაში ინგლისის არისტოკრატია?“ შემდეგ ხომლელი ამხელს ივერიელის მცდარ შეხედულებას თავადაზნაურობის შესახებ. რომელიც „უფლებითა და უპირატესობით მოსილი“ ყოფილა. რომელ უფლებაზეა აქ საუბარი? იმას ხომ არ გულისხმობს ივერიელი, რომ ეს თავადაზნაურობა ყმებს ფლობდა და მაშასადამე ხომ არ უნდა მას დააბრუნოს ბატონყმობა?

მაგრამ ეს შეუსაბამობა იქნებოდა, რადგან ივერიელმაც კი იცის რომ ბატონყმობა ამ დროისათვის დიდი ხნის გადავარდნილია. მაშ რა შუაშია აქ ქართველი თავადაზნაურობის უფლებამოსილება და უპირატესობა?

ეს, ხომლელის აზრით, არის სრული ულოგიკობა ივერიელისა, რომელსაც. როგორც „გაბედულ პუბლიცისტს“ მოეთხოვება აშკარად თქვას ის, რაც უნდა ეთქვა („კვალი“, 1893 წ. № 21, გვ. 3).

ხომლელი სწორად განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც ბატონყმობა გადავარდა და მშრომელმა ხალხმა მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა, თავადაზნაურობის უფლებამოსილებაზე ლაპარაკი გაუგებრობას წარმოადგენს. თუმცა ხომლელი მშრომელ ხალხზე გაბედულად ვერაფერს ამბობს, მაგრამ მას სწამს, რომ ზრუნვა ამ ხალხზე უფრო გამართლებულია ისტორიულად და შენატრის იმ დროს, როცა მშრომელ ხალხს დაუდგება ნამდვილი სამოქალაქო ცხოვრების ხანა (იქვე, გვ. 5).

როგორც აღვნიშნეთ, „კვალის“ პუბლიცისტს ხომლელს არ აქვს სწორი წარმოდგენა თერგდალეულთა მსოფლმხედველობაზე და მათ მოღვაწეობაზე, ქართველ ნაროდნიკებზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხომლელის წერილები მნიშვნელობას არ იყო მოკლებული და დასანანია, რომ ყველაფერმა ამან მაშინ უკვალოდ ჩაიარა და გამოხმაურება არ ჰპოვა.

„კვალი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კრიტიკულ წერილებს. 21-ე ნომერში (1893 წ.) დაბეჭდილია ჭია-

თურის ბიბლიოთეკის გამგის თედორე კიკვაძის წერილი — „ორგვარი აზრი აკაკის ლექსებზე“. ამ წერილის გამო რედაქცია აკეთებს ასეთ შენიშვნას: „თ. აკაკი წერეთლის ოცდაათი წლის მოღვაწეობა შეიცავს თვით საქართველოს ერის გონებრივი წარმატების ნაყოფს. მაშასადამე, შეუძლებელია ჩვენს ლიტერატურაში მწერალი ისე შეეხოს ჩვენი ცხოვრების ვითარებას, რომ ასე იქნება თუ ისე, იგი გარეული არ იყოს ამ ცხოვრებაში. ამისათვის ვერც ერთი ჩვენი ჟურნალი და გაზეთი გვერდს ვერ აუქცევს თვით მის ნაღვაწს და რომ კიდეც განზრახ არ მოიხსენოს იგი, მწერლის დანაშაულად უნდა ჩაითვალოს და მის კალმის ნაწარმოებს მოაკლდება ფერი და მნიშვნელობა. ამისათვის თავისუფლად უნდა ვბეჭდოთ ჩვენი წარჩინებულის პოეტების შესახებ წერილები, მიუხედავად იმისა, მათს ჟურნალ-გაზეთებში იქნება დაბეჭდილი თუ გარეშე სალიტერატურო ორგანოში“ („კვალი“, № 21, გვ. 4).

ეგრეთწოდებული კრიტიკოსი თ. კიკვაძე სრულიად უსაფუძვლოდ წერდა: „ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ზუნსა სდებს, არარად თვლის აკაკის ლექსებს“. ეს უხამსი ბრალდება კი არ გაარჩია „კვალის“ რედაქციამ, რომ ასეთი რამ არ გაეშვა თავის ფურცლებზე, არამედ მოუწონა კიკვაძეს წერილი, დაბეჭდა იგი და თანაც ასეთი უილაჯო დასკვნა გააკეთა:

„თავისუფლად უნდა ვბეჭდოთ ჩვენის წარჩინებულის პოეტების შესახებ წერილები“, მაშასადამე, ისეთი უხამსი წერილიც, როგორიც თ. კიკვაძის წერილი იყო. აღარას ვიტყვით რედაქციის „ქართულზე“, როგორი დაბოლოებაც მან მისცა თავის შენიშვნას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის განჯიდან თბილისში გადმოსვენებას „კვალმა“ მიუძღვნა წერილი „ამბავი ბარათაშვილის ნეშტის გადმოტანისა განჯიდან“ („კვალი“, 1893 წ. № 18) და მანვე მოათავსა ყველა სიტყვა, რომლებიც თბილისში ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისა და დაკრძალვის დღეს წარმოითქვა („კვალი“, № 18,19). „კვალში“ დაიბეჭდა ილიასა და აკაკის სიტყვები, რომლებიც მათ ნ. ბარათაშვილის ნეშტის დაკრძალვის დღეს წარმოთქვეს. „კვალმა“ პირველად გამოაქვეყნა ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები ზაქარია ორბე-

ლიანისადმი და მიხეილ თუმანიშვილისადმი („კვალი“, 1893 წ., №№ 7, 10, 11). თუმცა გაზეთმა ამით დიდი საქმე გააკეთა, მაგრამ „კვალი“ როგორც პოლიტიკურ-ლიტერატურული ორგანო მეტად ხალვათი გამოდგა და თავის ფურცლებზე ადგილი მისცა ისეთ ლიტერატურულ-კრიტიკულ გამოსვლებს, რომლებსაც არევ-დარევის მეტი არაფერი შეუტანია ლიტერატურულ კრიტიკაში. ამ მხრივ ხომლელის წერილის დასახელებაც კმარა, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ უპასუხისმგებლობას იჩენდა „კვალის“ რედაქცია. 1893 წლის „კვალის“ 23-ე ნომერში დაბეჭდილია რ. ხომლელის კრიტიკული წერილი „ლექსები სილოვანისა“. კრიტიკოსის სიტყვით, სილოვან ხუნდაძის, როგორც პოეტის, „საგანი ალმაფრენისა და გრძნობათა აფეთქებისა ოჯახია, შვილები და განსაკუთრებით ქალია და სამშობლო“. ასეთი უბადრუკი კვალიფიკაცია რომელიმე პოეტის შემოქმედებისა არ ახსოვს ქართული კრიტიკის ისტორიას. განა საკუთარ ოჯახზე და მის წევრებზე წერა საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოიპოვებს?

ცნობილი პედაგოგი სილოვან ხუნდაძე, მართალია, ლექსებსაც წერდა, მაგრამ ხომლელის მეტს არავის დაუნახავს საჭიროდ მისი ლექსების გარჩევა. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა გააშარჟეს სილოვან ხუნდაძე როგორც პოეტი და დაუფარავად უთხრეს მკითხველს მისი უნიჭობის შესახებ. ხომლელი კი ნიჭიერ პოეტად ცნობს ს. ხუნდაძეს, რომელიც თურმე ბოლო წლებში ვერ იჩენდა სასურველ წარმატებას და, ასე გასინჯეთ, ვაჟა-ფშაველას საქმე დამართნია მას. „პოეტს (ე. ი. სილოვანს, ა. კ.) არ ეტყობა წარმატება და ზრდა ნიჭისა და ეს გარემოებაც ყურადღების ღირსია ყოველთვის მწერლის ნიჭის ღირსების დაფასების დროს. სამწუხაროდ წარმატება არ ეტყობა არც ცახელს, არც ვაჟა-ფშაველას, არც ბაჩანას და სხვ.“ („კვალი“, 1893 წ., № 23). მართლაც რომ გასაოცარია, ცახელთან ვაჟას მოხსენიება და მათი შემოქმედების გაერთგვარება. ოთხმოცდაათიან წლებში ვაჟა-ფშაველა თავისი შემოქმედების ზენიტს აღწევს, და თუ რამდენად უსაფუძვლო იყო კრიტიკოს ხომლელის შეხედულება ვაჟაზე, რომელსაც ის სილოვან ხუნდაძის გვერდით აყენებს, კარგად შეგვიძლია დავინახოთ შემდეგი გარემოებიდან: 1895

წელს, რაფიელ ერისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ნადიმზე, ილია ჭავჭავაძეს აკაკისა და თვით იუბილარის გასაგონად უთქვამს ვაჟა-ფშაველაზე — ეს ისეთი დევი შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში, რომ ჯერ არს, რათა ჩვენ კალამი დავდოთო.

ამრიგად, ქართული პოეზიისა და საერთოდ ლიტერატურის პატრიარქი ილია ჭავჭავაძე ქედს იხრიდა ვაჟა-ფშაველას წინაშე. ამ დროს ხომლელი გამომდგარა და „კვალში“ ჩხავის: ვაჟას არ ეტყობა წარმატება და სილოვან ხუნდაძის გვერდით აყენებს მას. რა საბუთით? სილოვანიც, ხომლელის სიტყვით, თავის ნიჭს თურმე ვერ იყენებდა. გასაგებია, თუ რაოდენ უპასუხისმგებლობას იჩენდა „კვალის“ რედაქცია, პირადად გიორგი წერეთელი ამგვარი წერილების გამოქვეყნებით. მაგრამ „კვალი“ ხომ გულუხვი მასპინძელია, ის გაზეთ „ივერიასავით“ არ ასწონ-დასწონიდა დასაბეჭდ მასალას. 1893 წლის „კვალის“ 33—34 ნომრებში დაბეჭდილია ვაჟა-ფშაველას შესანიშნავი პოემა — „ქებათა-ქება“, რომელიც სრულიად ამსხვრევს კრიტიკოს ხომლელის კონცეფციას ქართულ ლიტერატურაზე და კერძოდ ვაჟა-ფშაველაზე.

„კვალი“ ბეჭდავდა სხვადასხვა მოთხრობებს. 1893 წლის „კვალში“ (№№ 43, 44) დაბეჭდილია ეგნატე ნინოშვილის „განკარგულება“ და ვასილ ბარნოვის „მსხვერპლი“.

1893 წელს გაზეთში ჭარბობს ზოგადსამეცნიერო. ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის ლიტერატურა, ლიტერატურულ კრიტიკასთან და მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად.

„კვალი“ თავიდანვე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართული თეატრისადმი, ეხმაურებოდა ყოველ ახალ მოვლენას თეატრის ცხოვრებაში. 1893 წელს „კვალის“ მეორე ნომერში გიორგი წერეთელმა დაბეჭდა წერილი სათაურით „ორმოცდასამი წელი ქართული თეატრისა“. იგი წერს, რომ 1850 წელს, 2 იანვარს, ქართულ სცენაზე საქვეყნოდ გამოჩნდა ქართველი თავადაზნაურობის „უსაქმურობა, მათი ამაოება ქორ-მეძებრების დევნაში, ძველი თავადიშვილების დავალიანება უზომო ხარჯვის გამო, განათლებული მებატონის ფუქსავატობა, ჩვენებური ვაჭრების გაიძვერობა და იმათ ხელში გადასვლა ქართველების ადგილმამულებისა... თ. გიორგი ერის-

თავი მით უფრო ძვირფასი მოსაგონებელია ჩვენთვის... რომ იმ დროს ხედავდა ჩვენის საზოგადოების სამწუხარო... მდგომარეობას და თავისი დრამატიული თხზულებებით სდევნიდა იმ დროის ცუდ მიმართულებას“.

გ. წერეთელს „კვალში“ წამოეშველა აკაკი წერეთელი. მან გაზეთის მესამე ნომერში დაბეჭდა საყურადღებო წერილი — „თეატრის გამო“. ეს წერილი შეადგენს „კვალის“ მეთაურს. „პიესების მწერალი ბევრია, — ამბობდა აკაკი, — მაგრამ დამწერიც და ნაწერიც ღმერთმა შეინახოს. — აიღებენ რამდენსამე თხზულებას უცხო ენაზე დაწერილს, მომქმედ პირებს სახელებს გამოუცვლიან: სუსანინს დავით აღმაშენებელს დაარქმევენ, აკულინას — თამარ დედოფალს. გადმოთარგმნიან ბაზრული ენით, შიგადაშიგ ჩაურთავენ „გაუმარჯოს საქართველოს“ და ისტორიულ დრამას არქმევენ. არც ისტორიაა, არც ხასიათი და არც რაიმე ნიშანწყალი ქართულის!.. მოდი და გულგრილად დაუგდე ყური...“ („კვალი“, 1893 წ. № 3).

ვინ ყავდა მხედველობაში აკაკის, ასე სასტიკად რომ ამათრახებდა, — ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში აკაკის სტილისათვის ასეთი სისასტიკე დამახასიათებელია. შეიძლება სადმე პროვინციაში ნახა ავტორმა ისეთი რამ, რომ საბუთი ჰქონოდა ასეთი განაჩენისა, მაგრამ ვლ. მესხიშვილის, ვასო აბაშიძის, მაკო საფაროვა-აბაშიძის, ნატო გაბუნიასა და ვალერიან გუნიას თეატრზე და მის რეპერტუარზე არ შეიძლებოდა თქმულიყო ის, რაც აკაკიმ თქვა. „კვალმა“ კიდევ ერთი ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილი გამოაქვეყნა („კვალი“, 1893 წ. № 44)[1], რომელიც პირდაპირ თეატრს კი არ ეხება, არამედ „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილს („თეატრის მატიანე“, „ივერია, 1894 წ. № 44) და გათავდა. „კვალის“ ყურადღება თეატრისადმი მინელდა.

---

1 წერილს ხელს აწერს მაზაკვალი. ეს იგივე გიორგი წერეთელია. „კვალის“ მასალების შესწავლამ და ხანგრძლივმა დაკვირვებამ ჩვენ ამაში ბეჯითად დაგვარწმუნა. გ. წერეთელი ამ ფსევდონიმს იყენებდა ტაქტიკური მოსაზრებით. გაზეთის ერთი და იგივე ნომერში სხვადასხვა საკითხებზე დაბეჭდილი ორი წერილიდან ხელს აწერს ერთს გ. წერეთელი, მეორეს — მაზაკვალი. გ. წერეთელი წერილებს ბეჭდავდა აგრეთვე „გორისელის“ ფსევდონიმით.

გაზეთის პუბლიცისტური წერილებიდან უპირველესად აღსანიშნავია ეგნატე ნინოშვილის წერილი „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“ (1893 წ. №№ 39—40). ავტორი ეკამათება „ივერიის“ პუბლიცისტებს — მაჩხანელს, იაკობ გოგებაშვილს, Plebs-ს (ნიკო ხიზანიშვილს) და მეველეს (დათა მიქელაძეს). ეგ. ნინოშვილი საფუძვლიანად უარყოფს მაჩხანელის კონცეფციას იმის შესახებ, თითქოს დეპო-კასებს შეძლებოდა საქართველოს მოსახლეობის გამდიდრება და, მაშასადამე, მატერიალური ბაზის შექმნა წარმატებული ცხოვრებისათვის. იგი არ ეთანხმება და მძაფრად აკრიტიკებს იაკობ გოგებაშვილსაც, რომელიც ქართველობას გიმნაზიების რეალური სასწავლებლებით შეცვლას ურჩევს. გაზეთ „ივერიაში“ ი. გოგებაშვილი წერდა: „ისინი (აწ დაარსებულ რეალურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი) უხვ დოვლათს დაატრიალებენ ჩვენს ქვეყანაში. დიდი მამულის პატრონები ამ განვითარებულ ზედამხედველებში ჰპოებენ მოურავებს, რომელნიც ერთი სამად და ოთხად აქცევენ წლიურ შემოსავალს.

მაშასადამე, ჩვენ უნდა დავაარსოთ სწორედ ისეთი სასწავლებლები, როგორიც არის კრასნოუფიმსკში“ („ივერია“, 1893 წ. № 178).

ეგ. ნინოშვილი სასტიკ ბრძოლას უცხადებს გოგებაშვილის შეხედულებას, მემამულეების სიმდიდრის ქვეყნისა და მისი მოსახლეობის სიმდიდრედ გამოცხადების შესახებ. „კვალის“ ეს პუბლიცისტი წერს: „ახლა იფიქრეთ, მარტო ეს რად ღირს ქვეყნისათვის, რომ მდიდარ მებატონეებს მოურავები ეყოლებათ... არ გიხარიათ ტვირთმძიმენო და მაშვრალნო?“ („კვალი“, 1893 წ. № 39).

ეგ. ნინოშვილის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ მას გამორკვეული აქვს თუ რამდენად გაღატაკებულია თვით პერმის გუბერნია, სადაც კრასნოუფიმსკის რეალური სასწავლებელი მოქმედებს (იქვე). მაგრამ არსებობს თურმე კიდევ უფრო კარგი საშუალება ქვეყნის გამდიდრებისათვის, როგორც ამას Plebs-ი მიუთითებს. ესაა „ორი ათასი კარგი ტეხნოლოგი და

ამდენივე აგრონომი“, სულ ოთხი ათასი სპეციალისტი, რომლებიც შექმნიან პირობებს აღორძინებისა და გამდიდრებისათვის. Plebs-ის ეს აზრი, ეგ. ნინოშვილის სიტყვით, მაღლა დგას დიდებული პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის აზრზე. „როცა Plebs-ის გამოგონილ საშუალებას მიმართავენ, — წერს პუბლიცისტი, — აბა მაშინ აღორძინდება ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი მეურნეობა და შექმნიან სიმდიდრეს“. მაშინ დაიბრუნებს უეჭველად, ჩვენი ერი „მოსვენებულს, მაძღარს, უპრეტენზიო ქართულ ოჯახს, რომლის გადაშენებას ასე გულდაწყვეტილი დასტირის ბ. მეველე“ („ივერია“ № 144).

ეგ. ნინოშვილი დ. მიქელაძის მიერ აღიარებულ „უპრეტენზიო, მოსვენებულ, მაძღარ ოჯახად“ ილ. ჭავჭავაძის მიერ დახატულ ლუარსაბ თათქარიძის ოჯახს სცნობს. „ადვილად მიხვდებით, — წერს ის, — რომ ეს ოჯახი იგივე ლუარსაბ თათქარიძის ოჯახია“ („კვალი“, 1893 წ. № 39, გვ. 5).

Plebs-სა და მეველეს ძალიან ემწარათ ეგ. ნინოშვილის პირველი წერილი და დაიწყეს თავის გამართლება, რამაც გამოიწვია ნინოშვილის კიდევ უფრო დასაბუთებული გამოსვლა, სადაც საბოლოოდ არის გამოაშკარავებული „ივერიის“ პუბლიცისტების ბურჟუაზიული კონცეფცია.

„მეცა და მეველემაც კარგად ვიცით, რომ ქვეყნის ბურჯს, მარტო სპეციალისტები კი არ შეადგენენ, არამედ ყოველი განათლებული პირი“ — წერდა Plebs-ი. ეგ. ნინოშვილმა ამის პასუხად მათ თავისივე წერილებზე მიუთითა, სადაც ისინი წერდნენ, რომ „ყველა განათლებული პირი კი არ არის საჭირო, არამედ ისეთნი, რომელთაც შეუძლიათ შემატონ ქვეყანას სიმდიდრე“.

ეგნატე ნინოშვილი იჩენს მარქსიზმის საფუძვლიან ცოდნას და სხვაგვარად უდგება ქვეყნის სიმდიდრე-სიღარიბის საკითხს, ვიდრე „ივერიის“ პუბლიცისტები. ნინოშვილი ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობის წარმოსადგენად მიუთითებს მარქსს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა, აღნიშნავს პუბლიცისტი, ხალხი იქ ყველაზე მეტად გაღატაკებულია, რაც იმით აიხსნება, რომ ეს სიმდიდრე კაპიტალისტების ხელშია, ხოლო „კაპიტალისტურ წყობილებას,— წერს ნინოშვილი, — არც ჩვენი ნებართვა ეჭირვება და არც

ჩვენი ქება-დიდება. მოდის ჩვენთან დაუკითხავად. ინტელიგენციისა და მწერლობის მოვალეობა ამ შემთხვევაში ის არის, ისე მოუმზადოს ნიადაგი სიმდიდრეს, რომ მუშას თავისი ნაშრომი ჩაბარდეს, ქუჩაში ადამიანი შიმშილით არ მოკვდეს" („კვალი", 1893 წ. № 40, გვ. 7).

ეგ. ნინოშვილი მიუთითებს ევროპის მაგალითზე და აცხადებს, რომ აუცილებლად სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებებია საჭირო ხალხის გამდიდრებისა და წარმატებული ცხოვრებისათვის და არა „მემამულეთა მცოდნე მოურავები" თუ ტექნოლოგი-აგრონომები.

„ივერიის" პუბლიცისტების ბურჟუაზიულ შეხედულებათა კრიტიკით. რაც ასე ნათლად გამოსჭვივის ეგ. ნინოშვილის წერილებში, „კვალმა" პირველად წამოაყენა მარქსიზმის მოძღვრების იდეა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ობიექტური კანონზომიერების შესახებ.

ამრიგად, „ივერიასთან" კამათში „კვალმა" პირველად ეგ. ნინოშვილის წერილებით გამოიჩინა თავი. მის ფურცლებზე პირველად 1893 წლის სექტემბერში იელვა მარქსიზმის მოძღვრების იდეებმა. ამ წერილებს მოჰყვა „კრიტიკული შენიშვნები ბ. მეველეს მოწინავე წერილზე", რომელიც დაბეჭდილი იყო „ივერიაში" (№№ 215, 217).

მეორე წელს, 5 მაისს, ეგნატე ნინოშვილი გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის დღე — 1894 წლის 8 მაისი, როგორც ცნობილია, იქცა ქართველ მარქსისტთა საპროგრამო გამოსვლის დღედ. „კვალი" მიესალმა ამ დღეს და უწოდა მას ისტორიული ხანის დასაწყისი საქართველოს საზოგადოებრივ მოძრაობაში, გაზეთმა ვრცელი ანგარიში მოათავსა თავის ფურცლებზე ეგ. ნინოშვილის დაკრძალვის შესახებ.

„ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლავებაზე, — წერდა გიორგი წერეთელი „კვალში" 15 მაისს, 1894 წელს, — მის კუბოს გარს შემოკრბენ, ასე ვთქვათ, მ ე ს ა მ ე დ ა ს ი ახალგაზრდობისა (ხაზი ჩვენია, ა. კ.), ესე იგი სულ უკანასკნელი წლების თაობა — ისინი, რომელნიც გამოსულან ასპარეზზე მეოთხმოცდაათე წლებიდან. ნამდვილი ამათი მოთავე, ამათი სახელი და იმედი ყოფილა ნინოშვილი, რომლის ნაწერებშიც ბრწყინავს ამ მესამე დასის

ახალგაზრდობის სულის მისწრაფება და მათი მოქმედების პროგრამა მომავალში"[1].

გ. წერეთელმა მესამე დასი უწოდა ახალგაზრდობის იმ ჯგუფს, რომელმაც ეგნატეს სიცოცხლეში, ჯერ კიდევ 1892 წელს სოციალ-დემოკრატიად გამოაცხადა თავი. რა თქმა უნდა, სახელწოდება მესამე დასი გულისხმობდა პირველ და მეორე დასსაც. პირველ დასად გ. წერეთელს მიაჩნდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის" ჯგუფი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ხოლო მეორე დასად გაზეთ „დროების" ჯგუფი თვით გ. წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით.

როგორი იყო მესამე დასელთა შეხედულება ცხოვრებაზე და პროგრამა მათი მოქმედებისა? ამის პასუხად გ. წერეთელს მიაჩნია სილბისტრო ჯიბლაძის სიტყვა, წარმოთქმული ნინოშვილის დაკრძალვის დღეს. გ. წერეთლის ეს დაკვირვება საკვლევით დაადასტურა საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიამ ჩვენში.

ნინოშვილის მეგობარი სილბისტრო ჯიბლაძე, რომლის ხელში დალია სული ახალგაზრდა ნიჭიერმა ბელეტრისტ-პუბლიცისტმა, ამბობდა: „აწინდელი ცხოვრების ახალმა მიმდინარეობამ უკვე ამოსილა, გაასწორა ყოფილი ჯურღმული — უფსკრული ორივე წოდებათა შორის, შერეკა ორივე ერთ ბანაკში, აუგო წესი ძველ ბატონყმობას და მის ნაცვლად ამოაცურა ახალი, დროთა ვითარების მიხედვით არანაკლები სამარცხვინო და სათაკილო. ჩვენი ახალი ბატონი ის ნივთიერებაა, რომელსაც ფულს ეძახიან. ამ ახალი კერპის გახურებულ თითებზე იხრაკება შეუბრალებლად ურიცხვი მსხვერპლი, მის წინაშე იდრეკენ მუხლს ძველი ყმაცა და ბატონიც, მის უდაურ უფლებაში გადადის ყოველგვარი შრომის იარაღი და აქედან ყველა შრომის წარმომადგენელნი, მის ყურმოჭრილ მონად ხდება თვით მეცნიერებაც კი".

სილბისტრო ჯიბლაძის სიტყვით, ამ ახალმა ბატონყმობამ, ანუ კაპიტალიზმმა უკვე კარგა ხანია დაამთავრა ზრდა „მოწინავე ერთა შორის, სადაც საშინელი ბრძოლა გამოიწვია. ჩვენში კი, თუმცა ის ახლად დაბადებულია, ბავშვია, მაგრამ

[1] წერილს ხელს აწერს „დამსწრე".

ეს ბავშვი საუცხოო თვისებისაა, შესანიშნავი სისწრაფით იცის ზრდა. ამნაირად ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალს ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი; მეორე მხრივ მუქთა ხორა ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი — დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფიერებისა... ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის, ერთი მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ჟამთა-ვითარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღწვიან და უნდა იღწვოდნენ კიდევაც საუკეთესო წარმომადგენელნი ახალ თაობისა. ამ ახალ კვალზე დადგომა ეტყობა ჩვენ ახალ „კვალსაც“. — ეს ჭეშმარიტება შეიგნო და მისკენ ჰქონდა მიმართული თავისი ქნარი ჩვენს შესანიშნავი ნიჭის მქონე ეგნატე ინგოროყვასაც“ („კვალი, 1894 წ., № 22).

სილ. ჯიბლაძის ამ სიტყვას „კვალმა“ უწოდა „მესამე დასის პროგრამა“. მართლაც, ამ სიტყვაში მოცემულია ახალი თვალსაზრისი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და მის მიმდინარეობაზე. სილ. ჯიბლაძის სიტყვაში მითითებულია, რომ საქართველო უკვე კაპიტალისტური განვითარების გზაზეა შემდგარი, რომ კაპიტალიზმი ყოფს ერს მქონებელ და უქონელ კლასებად, რომელთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებს. ეს ბრძოლა უნდა დამთავრდეს იმით, რომ წარმოიშვას ახალი საზოგადოება, სადაც ადგილი არ ექნება ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას და სადაც იბატონებს შრომის თავისუფლება. ამ ახალი საზოგადოების, ანუ სოციალისტური საზოგადოების შრომის გასაადვილებლად, ჯიბლაძის სიტყვით, უნდა იღვწოდნენ საუკეთესო წარმომადგენელნი ახალი თაობისა. სილ. ჯიბლაძეს აქ მხედველობაში ჰყავს სოციალ-დემოკრატია, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლას.

მაგრამ მარტო გ. წერეთლისაგან გამორჩეულ სილ. ჯიბლაძეს როდი უთქვამს ახალი სიტყვა. ე. ნინოშვილის საფლავზე გამოვიდნენ სხვა ორატორებიც და მათ შორის ლადო დარჩიაშვილი, რომელმაც მარქსის მოძღვრების მიხედვით გააშუქა 90-იანი წლების საზოგადოებრივი მოძრაობა საქართ-

ველოში. დარჩიაშვილის საფუძვლიან გამოსვლას აღიარებს თვით „კვალის“ ფაქტიური რედაქტორი გ. წერეთელი, რომელმაც „დამსწრეს“ ხელმოწერით „კვალში“ მოათავსა ნინოშვილის დაკრძალვის შესახებ მიმოხილვა და შიგ თავისი სიტყვა ჩაურთო, ისე რომ „დამსწრე“ ამ სიტყვას უწოდებს ყველაზე საყურადღებო გამოსვლას, ხოლო „დამსწრემ“ იგივე გ. წერეთელმა ლ. დარჩიაშვილის სიტყვა არ დაბეჭდა, თუმცა მისი შენიშვნით „სიღნაღელი დარჩიას“ სიტყვა კარგი იყო. საკითხავია, როდის იყო, რომ დარჩიები სიღნაღში მოსახლეობდნენ? მაინც „კვალმა“ დიდი საქმე გააკეთა.

ქართულ მწერლობაში ეს მთელი სიახლე იყო და „კვალსაც“ ამიერიდან მის წინამორბედ გაზეთებისაგან სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი დაეტყო. „კვალის“ ხელმძღვანელმა გ. წერეთელმა ეს ახალი მიმდინარეობა, ანუ მისი სიტყვით, მესამე დასის მოქმედება ასე გაიგო: „ნინოშვილის კუბოზე პირველად წარმოსთქვეს ამათ თავისი პროგრამა მოქმედებისა და თითქოს რაზმად დაეწყვნენ, რომ ხალხში შეეტანონ განათლების შუქი და ზურგი შეაქციონ იმ ინტელიგენციას, რომელიც დღეს თავს იხრჩობს ბანკისა და ქალაქის არჩევნებში“ („კვალი“, 1894 წ., № 21).

გ. წერეთელი აქ უპირისპირებს მესამე დასელებს „დროება“-„ივერიის“ მოღვაწეთა ჯგუფს, რომელთა დასაყრდენი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში იყო ბანკი. როგორც ეს თავის დროზე უკვე მივუთითეთ, ბანკის წმინდა მოგების თითქმის 80% ხმარდებოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, თეატრსა და პრესას. თერგდალეულები, რომლებიც ლეგალურ პრესაში („დროება“, „კრებული“, „ივერია“, „ობზორი“) მოღვაწეობდნენ, ეროვნული წარმატების პირობად ხალხში მეცნიერებისა და განათლების შეტანას აღიარებდნენ. ასეთივე იყო თავიდან „კვალის“ პროგრამა. მაგრამ, როგორც კი გამოჩნდნენ მესამე დასელები, „კვალმა“ და მისმა ხელმძღვანელმა გ. წერეთელმა სხვა ჰანგზე დაიწყეს მღერა.

თუ მესამე დასელები უარყოფდნენ ბანკის გარშემო შემოკრებილი ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელობას, სამაგიეროდ რას მოითხოვდნენ ისინი? ამაზე გ. წერეთელი წერს:

„ამ მესამე დასმა საგნად აირჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელ ხალხში მოჰფინოს წერა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერებისაგან გამორკვეული ნათელი აზრები, მკვირცხლად ადევნოს თვალი მსოფლიო ცხოვრების მიმდინარეობას, და არავითარი შემთხვევა არ გამოეპაროს მსოფლიო ცხოვრების მოძრაობაში იმისთანა, რაც კი სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და წინ წააყენებს მის ბედიღბალს“ („კვალი“, № 21).

გ. წერეთლის მიერ წარმოდგენილ მესამე დასელების პროგრამასა და მის მიერ დაწუნებულ ბანკის გარშემო შემოკრებილ თერგდალეულების პროგრამას შორის სრულიად არ არის განსხვავება.

რა თქმა უნდა, განსხვავება დიდი იყო, მხოლოდ გ. წერეთელს ეს არ შეეძლო დაენახა. ს. ჯიბლაძისა და სხვა ორატორების სიტყვებიდან (ეგ. ნინოშვილის დასაფლავებაზე), მან სხვა ვერაფერი დასკვნა გამოიტანა. მაგრამ უკვე აშკარა იყო, რომ მესამე დასად წოდებული ახალგაზრდა პუბლიცისტების ჯგუფის გამოჩენამ აამოძრავა ძველი დასები, დაიწყო ცხარე პოლემიკა ძველ და ახალ დასებს შორის.

„კვალის“ იმავე ნომერში (№ 21), სადაც გამოქვეყნებულია გ. წერეთლის სტატია მესამე დასელთა სამოქმედო პროგრამის შესახებ, დაიბეჭდა მიხა ცხაკაიას სტატია — „უდროოდ დაკარგული ეგნატე ნინოშვილის (ინგოროყვას) სახელს!“ სტატიას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ნ. ბარათაშვილის სიტყვები:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის სულისკვეთება“.

ხელს აწერს „ამხანაგი“. ეხება რა ეგნატე ნინოშვილის აღზრდის პირობებს, მის უტყუარ ნიჭსა და დამსახურებას საზოგადოების წინაშე, ავტორი მკაცრად ილაშქრებს „ივერიის“ რედაქციის წინააღმდეგ. რომ რედაქცია უხვად სარგებლობდა ნინოშვილის მოთხრობებით, აქვეყნებდა მათ, ხოლო ავტორს ჰონორარს არ უხდიდა: „მთელი შარშანდელი ზამთარი, — წერს ავტორი, — საბრალო ეგნატემ ტფილისში ნოტიო და გაუთბობელ ოთახში გაატარა. მას თან ტანს ემოსა დახეულ-დაკონკილი გახუნებული საზაფხულო პალტო. ჭამა-სმაც ბინის

და ტანსაცმლის შესაფერი ჰქონდა... ამავე დროს იმ რედაქციას მისი წინანდელი ნაწერების ხუთი მოთხრობის ფასი შერჩენილი ჰქონდა. შეუძლებლობით რედაქცია თავს ვერ გაიმართლებს, რადგან 1893 წლის დამწყებს ამ რედაქციის ბელადებმა, რომელთაც თვეში უამისოდაც საკმაო ჯამაგირი (100 მანეთი თვეში) და მეტი ეძლევათ, 2500—3000 მანეთი გაინაწილეს და საბრალო ეგნატეს კი მხოლოდ ერთი მოთხრობის („ქრისტინეს") ფასი — ისიც ხუთ-ხუთი მანეთობით გადაუგდეს" („კვალი", 1894 წ., № 21).

როგორც მ. ცხაკაიას წერილიდან ჩანს, „ივერიის" რედაქცია ე. ნინოშვილს დაჰპირებია ყოველთვიურად გაეგზავნა მისთვის ოცი მანეთი, თუ ის სოფელში წავიდოდა დასასვენებლად. ამის სანაცვლოდ მას რედაქციისათვის დასაბეჭდად უნდა გადაეცა მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი". „ეს გახლდათ აპრილში 1893 წელს... მოდის მაისი, ივნისი, ივლისი და მთელი ზაფხულის თვეები და ერთი გროშიც არ მიუღია ეგნატეს რედაქციისაგან".

დასუსტებული ეგნატე პროვინციიდან სექტემბერში თბილისში ჩამოსულა და „ივერიიდან" უკან წაუღია თავისი მოთხრობა. „ჩვენი ქვეყნის რაინდი" დაიბეჭდა „კვალში", როცა ე. ნინოშვილი სიკვდილს ებრძოდა.

მ. ცხაკაია წერდა, რომ „უდროვოდ დაკარგული მაღალი ნიჭისა და მაღალი ზნეობის ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) მსხვერპლია არამც თუ უკურნებელი სენისა მხოლოდ, არამედ უფრო ჩვენი საზოგადოების ზნეობისა".

ეს უკვე წარმოადგენდა „ივერიელთა" მნიშვნელობის უარყოფას; მათ შორის რომ კლასობრივი უფსკრული იყო, ქვემოთ დავინახავთ. მხოლოდ ახლა საჭიროა იმის განმარტება, ვის უნდა გულისხმობდეს მ. ცხაკაია „ივერიის" რედაქციის ბელადებში, რომელთაც სამი ათასი მანეთი გაინაწილეს, ეგნატე ნინოშვილს კი ჰონორარი არ გადაუხადეს მის მოთხრობებში.

მთელმა ქვეყანამ იცოდა, და მით უმეტეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა მ. ცხაკაიას, რომელიც 1892—1893 წლებში „ივერიის" რედაქციაში მუშაობდა (განყოფილება ებარა),

რომ „ივერიის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე თავის ნაწერებში ჰონორარს არა თუ „ივერიიდან“, საერთოდ არსაიდან არ იღებდა, პირიქით, „ივერიის“ ხარჯებს ხშირად თავის ჯიბიდან ფარავდა. მაშ, როგორ შეეძლო მისთვის გაენაწილებინათ ჰონორარი მ. ცხაკაიას მიერ დასახელებულ გაზეთის ბელადებს.

რა თქმა უნდა, მ. ცხაკაიას ცნობა ილია ჭავჭავაძეს არ ეხება. ეს ბელადები არიან მ. ცხაკაიასათვის კარგად ნაცნობი გრიგოლ ყიფშიძე („ივერიის“ რედაქციის მდივანი), გიორგი ლასხიშვილი (ლალი), ალექსანდრე ნანეიშვილი (ნალი) და იაკობ მანსვეტაშვილი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ გაზეთის გამოცემის ფინანსურ და ტექნიკურ საკითხებს. სწორედ მათ ვერ შეეგუა მ. ცხაკაია და გაზეთი დასტოვა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ძნელი იყო ახალი სამუშაოს შოვნა.

ილ. ჭავჭავაძე, ბანკის საქმით უზომოდ დატვირთული, როგორც ეს მ. ცხაკაიას კარგად მოეხსენებოდა, 90-იან წლებში გაზეთს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა და ჰონორარის საქმეში არ ერეოდა. ეს კარგად ჩანს ლასხიშვილის, ნანეიშვილისა და ბოლოს რედაქციის მდივნის გ. ყიფშიძის მთელი მაშინდელი საქმიანობიდან. ერთ-ერთ წერილში გრ. ყიფშიძისადმი ილ. ჭავჭავაძე წერს: „ბატონო გიგავ, მაჩხანელმა წერილით ფული მთხოვა და ამასთან დამავალა, რომ თქვენ გაუწყოთ პასუხი თხოვნისა. მე სესხად ფულის მიცემა არასგზით არ შემიძლიან და თუ გონორარს ითხოვს, ეგ თქვენ უნდა მოგელაპარაკოთ“[1].

გიგა (გრიგოლ) ყიფშიძისათვის არ იყო გასაგები ეგ. ნინოშვილის სულისკვეთება, მისი გაჭირვება და განცდები, თუმცა გარდაცვალებული ბელეტრისტის დაკრძალვაზე მან თავის ხელით ჩაიტანა გვირგვინი „ივერიისაგან“, ეგნატეს ცალკე გაეგზავნა გვირგვინი ილ. ჭავჭავაძისაგანაც.

მიხა ცხაკაიას სტატიას, რომელიც „ამხანაგის“ ხელმოწერით დაიბეჭდა, მოჰყვა „ივერიის“ რედაქციის მდივნის გრ. ყიფში-

---

[1] ილია ჭავჭავაძე. წერილები, თბილისი, 1919 წ., გვ. 9. (იოსებ ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით).

ძის საპასუხო წერილი, სადაც ავტორი უარყოფდა ცხაკაიას მიერ წამოყენებულ ფაქტებს, სიცრუედ და ცილისწამებად აცხადებდა ყველაფერს, რაც ნათქვამი იყო „ივერიის“ რედაქციისა და ეგ. ნინოშვილის დამოკიდებულებაზე. მ. ცხაკაიამ გრ. ყიფშიძის გამოხმაურების გამო „კვალში“ დაბეჭდა „პასუხი გრ. ყიფშიძეს“. წერილი დაიბეჭდა სამ ნაწილად (იხ. „კვალი“ №№ 24, 26, 28, 1894 წ.).

ეს წერილები მეტად საინტერესოა 90-იან წლებში ქართველი ინტელიგენციის ძველ და ახალ თაობას შორის გაშლილი ბრძოლის თვალსაზრისით. აშკარა იყო, რომ 90-იანი წლების შუახანებიდან „ივერია“ თანდათან უკან მიექანებოდა და მისი ზოგიერთი ხელმძღვანელი მიუტევებელ ბიუროკრატიზმს იჩენდა. საკმარისია მივუთითოთ თუნდაც ერთი ადგილი გრ. ყიფშიძის წერილიდან: „არც არავინ თითქმის (ნინოშვილის გარდა) თხოულობდა მაშინ ჰონორარს, მეტადრე ისინი, ვინც ახლად გამოდიოდნენ სალიტერატურო ასპარეზზე და ჯერ არც თვითონ იცოდნენ რიგიანად, არც სხვამ, ვინმე მათგანი გამოიჩენდა რაიმე ნიჭს თუ არა“.

სწორედ რომ აღმაშფოთებელი უნდა ყოფილიყო გრ. ყიფშიძის ასეთი პასუხი და სავსებით სამართლიანია მ. ცხაკაიას წერილების მკაცრი ტონი. განა გამოსაცდელად იბეჭდებოდა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები? ბოლოს და ბოლოს ნინოშვილმა სულ ოთხი წლის განმავლობაში დაწერა ყველა თავისი მოთხრობა. იქნებ დაავიწყდა „ივერიის“ რედაქციის მდივანს გრ. ყიფშიძეს, რომ ეგნატე ნინოშვილმა სწორედ გამოცდილი კალმით გააკამტვერა „ივერიის“ წერილები საქართველოს სამეურნეო განვითარების შესახებ. დიახ, ნინოშვილმა მზის სინათლეზე გამოიტანა საზოგადოებრივ-ეკონომიურ საკითხებზე დ. მიქელაძის, ნ. ხიზანიშვილის და სხვათა შეხედულებების მთელი უსაფუძვლობა. ამის შესახებ უკვე მივუთითეთ ზემოთ.

„სამწუხარო და გასაკვირიც ესაა ყოველი ადამიანისა, — წერს მ. ცხაკაია, — ადამიანთა კრებისა და მით უფრო რედაქციისა, რომ ნიჭიერი, გულუბრყვილო და ზნეობაამაღლებულ მწერლების ნაწერებით სარგებლობენ, სტკბებიან და გაცნობით კი გაიცნობენ მაშინ, როცა ისინი აუტანელ გაჭირ-

ვებასა და სიღარიბის ქვეშ ან ჭკუით შეშლილი, ან უკურნებელ სენმორეულნი შავ სამარეს ამოეფარებიან და ნაყოფიერ შრომა-მოქმედებას შეწყვეტენ ყველაზედ უფრო მომწიფებულ და სანატრელ დროს“ („კვალი“ № 26, გვ. 13).

მ. ცხაკაიას ასეთ ნიჭიერ და უდროოდ დაღუპულ მწერლებად მხედველობაში ჰყავს ალ. ყაზბეგი და ე. ნინოშვილი. სამივე წერილში მ. ცხაკაია ზედმიწევნით არჩევს გრ. ყიფშიძის საპასუხო წერილის ცალკეულ ადგილებს და ააშკარავებს, რომ „ივერიის“ რედაქციის წევრები საკმაოდ დიდ თანხას ღებულობენ გაზეთის წმინდა შემოსავლიდან, გარდა იმისა, რომ მათ სხვა დაწესებულებებში მაღალი ჯამაგირები აქვთ დანიშნული. ყველა ასეთი ფაქტის მცოდნე მ. ცხაკაია ამაღელვებელი ტონით იწყებს გრ. ყიფშიძისადმი საპასუხო წერილს:

„სიტყვამან შენმან გამხილოს შენ და მოქმედებამან შენმან წაგრწყმიდოს შენო... — ისე ემართება „ივერიის“ რედაქციას თავის საპასუხო წერილში. დასარწმუნებლად ამასში ჯერ გავშინჯავ გულსა და ღვიძლს ამ წერილისას და შემდეგ კიდევ წარმოვთქვამ ჩემ აზრს ჩვენი საზოგადოებისათვის ზნეობისა და პირობების შესახებ, რომლის დამახასიათებელ და გამომთქმელ ორგანოდ „ივერია“, მის ღვიძლ შვილად, ნაყოფად დარჩენილა ცოცხალი გმირი გონება-ზნეობის გათახსირებისა და დაწვრილმანების დროისა — ბ-ნი გრ. ყიფშიძე, ხოლო განწირულ მსხვერპლად — შავ-ბედიანი მწერალი ე. ნინოშვილი, უდროვოდ, ენით გამოუთქმელ და კალმით აუწერელ ტანჯვაწვალებით განშორებული თავისი სატრფიალო ცხოვრების იდეალსა და შრომა-მოქმედებასა!...“

აქ უკვე იგრძნობოდა ორი სოციალური ძალის — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის იდეოლოგიური დაპირისპირება.

ამრიგად, აკაკის გონებამახვილურ წერილებს, მის მოგონებებს, გიორგი წერეთლის ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის ნარკვევებს, ხომლელის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს და საერთო მიმომხილველ სტატიებს კაცობრიობის კულტურისა და მიღწევების შესახებ, „კვალის“ მიერ ქვეყნის სამეურნეო საკითხების „ღეჭვას“ შეეპარა აბალი მიმდინარე-

ობა, რომელმაც ღრმად გაბზარა ბურჟუაზიულ-ეროვნული ფრონტი საზოგადოებრივ მოძრაობაში.

თუმცა „კვალი“ ძველებურად განაგრძობდა „ენციკლოპედისტობას“, მაგრამ 1894 წელს ეს გაზეთი უკვე ის აღარ იყო, რაც 1893 წელს. ადრე „დროება-ივერიის“ ტრადიციების მიმდევარი, ახლა მებრძოლი ორგანო გახდა და დაუპირისპირდა მათ. ამ დროს „კვალში“ „საზღვარგარეთელის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა ნ. ჟორდანიას წერილები — „მოგზაურობა შვეიცარიაში“ („კვალი“, 1894 წ., №№ 8, 10, 14, 15). ამ წერილებს ის ჟენევიდან გზავნიდა. ავტორს უნდოდა ეჩვენებინა თუ რას ნიშნავს კაპიტალისტური ურთიერთობა სოფლად, როგორ ეკონომიურ და სოციალურ ცვლილებებს იწვევს იგი სოფლის ცხოვრებაში. წერილების მიზანია შვეიცარიელის ცხოვრება მაგალითი გახადოს ქართველი მოქალაქისათვის და ეს დაუფარავად გამოსჭვივის წერილების ყველა ნაწილში.

1894 წლიდან გამოსვლას იწყებს ყოველთვიური ჟურნალი „მოამბე“. იგი ახალ ვითარებაში გახდა გაზეთ „დროების“ მემკვიდრე. „მოამბეს“ რედაქტორობდა ა. ჭყონია, ხოლო მისი ფაქტიური ხელმძღვანელი იყო ნ. ნიკოლაძე. ნ. ნიკოლაძის სტატიებმა, „შინაური“ მიმოხილვის“ სახელწოდებით რომ იბეჭდებოდა „მოამბეში“, ჟურნალს საპროგრამო ხაზი დაუსახა. „მოამბე“ წმინდა წყლის ბურჟუაზიული ორგანო გახდა.

„მოამბე“ მოუწოდებდა ქართველობას — რაც შეიძლება მეტად ჩაბმულიყო ის მრეწველობაში და ვაჭრობა-აღებმიცემობაში, რაც შეიძლება ბევრი ფაბრიკა-ქარხანა გახსნილიყო, გაეყვანათ რკინიგზები, ერთი სიტყვით, უნდა გამრავლებულიყო და გაზრდილიყო ქალაქები. ამავე დროს ჟურნალი ქადაგებდა სამეურნეო ცოდნის გავრცელების აუცილებლობას, სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციას, ადგილ-მამულის დამაგრებას ადგილობრივი მკვიდრის ხელში. „მოამბე“ გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ქართველ მემამულეებს მიწაწყალი ხელიდან ეცლებოდა მათი ეკონომიური სიდუხჭირის

გამო. ამრიგად, ის მემამულე თავადაზნაურობას ურჩევდა ერთი მხრივ, ვაჭრობა-აღებმიცემობის და მრეწველობის საქმიელზე გამოსვლას, მეორე მხრივ, სამეურნეო ცოდნის დაუფლებას და ამ გზით მიწის საკუთრების მის ხელში დამაგრებას („მოამბე", 1894 წ., №№ 1, 2).

„მოამბემ" ბრძოლა გამოუცხადა ეგრეთ წოდებულ მოდასეობას, უწოდა დასს პარტია და თქვა:

„ჩვენ მოურიდებლად და პირუთვნელად უნდა განვსაჯოთ ხოლმე ის დასები, ანუ პარტიები, რომლებადაც უკანასკნელ დროს დაიყო ჩვენში საზოგადოება და რომელთა შორის ასეთი ცხარე და სასტიკი ბრძოლა გაიმართა... უეჭველია, ერთი უფრო მართალია, მეორე მტყუანი, მაგრამ ვერც ერთ, ვერც მეორე პარტიაში ჩვენ ვერ ჩავდგებით". იმიტომ, რომ „პარტიის დისციპლინამ ხელი არ შეგვიკრას და პირუთვნელი ნიადაგი არ გამოგვაცალოს იმ დროს, როცა ჩვენ მიუდგომელი სიტყვა უნდა ვთქვათ" („მოამბის პროგრამის გამო", „მოამბე" № 1, 1894 წ.).

„მოამბემ" გამოსვლა იწყო „კვალის" გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ. თუმცა „კვალი" 1893 წელს ყველაზე ნაკლებად ატარებდა დასობრივ თვალსაზრისს და კაცი ვერ იტყოდა, რომ ის ახალი დასის ორგანო ყოფილიყო, მაგრამ „ივერიის" ბანაკის კრიტიკა „კვალში" და განსაკუთრებით ეგ. ნინოშვილის წერილები ნ. ხიზანიშვილის, დათა მიქელაძისა და იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტიკის წინააღმდეგ აშკარად მოწმობდა ახალი თაობის გამოსვლას. რომლის სოციალ-დემოკრატიად გამოცხადება არ შეიძლებოდა საზოგადოებისათვის დაფარული ყოფილიყო.

„მოამბეს" უფრო მეტად აფიქრებს კლასობრივი თვალსაზრისი, რასაც ახალი თაობის წარმომადგენლები იცავდნენ. იგი ვერ ურიგდება ერის კლასობრივად დაყოფის. კლასობრივი ბრძოლის თეორიას.

„კვალმა" „მოამბის" პირველი ორი ნომრის შესახებ დაბეჭდა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული კრიტიკული სტატია. პირველი ეკუთვნის მაზაკვალს (გიორგი წერეთელი გახლავთ), მეორე — პეტრიძეს (ნ. ჟორდანია). შევეხოთ ჯერ პირველს.

კრიტიკოსი აღტაცებით ეგებება „მოამბის" გამოსვლას და

ყველაზე არჩევს მის მხატვრულ ნაწილს, ალბათ იმიტომ, რომ ჟურნალის პირველი ნომერი იხსნება ეგ. ნინოშვილის ეროხროობით. — „მოსე მწერალი" — ყოველგვარი სარედაქციო შესავლისა და ჟურნალის პროგრამული შენიშვნის გარეშე. გ. წერეთელი წერს: „საუკეთესო სამკაული ჟურნალის „მოამბისა" არის „მოსე მწერალი" — ე. ნინოშვილისა, „მწერალ ქალს" — ლექსი აკაკისა და „ღვინის დაყენება" — მეცნიერულ-სამეურნეო წერილი პროფ. პეტრიაშვილისა. „მოსე მწერალი" შესანიშნავი ხელოვნებითი ნაწარმოებია; ცხოვრების სინამდვილე ზედმიწევნით არის შიგ გამოხატული. თვით მოსე მწერალი ახალი ტიპია ჩვენს სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში. სრული რეალური თვისებებით გამოყვანილი" („კვალი". 1894 წ. № 6, გვ. 8).

შემდეგ პუბლიცისტურ ნაწილს აქებს ავტორი. „ჩვენი შინაური ამბები ნ. ნიკოლაძისა ბევრი მხარით არის შესანიშნავი" (იქვე). სტატიის ავტორს შესანიშნავ მოვლენად მიაჩნია ნ. ნიკოლაძის მიერ ქალაქის გასული წლის არჩევნების განხილვა-შეფასება; აღნიშნავს, რომ ნ. ნიკოლაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქალაქის საბჭოს მოქმედებაში, იგი თავისი ბრძოლა კალმით თავზარს სცემს ქალაქის საბჭოს მესვეურებს. ერთი სიტყვით, მაზაკვალს ქალაქის ბურჟუაზიული საბჭოს არჩევნები, ამ საბჭოს მოქმედება 90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ბურჯად მიაჩნია. ნ. ნიკოლაძეს საბჭოს მოქმედებაზე უთქვამს: „საუბედუროდ პროგრამის შედგენა ჩვენთვის უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე დაცვა, დასრულება... ტფილისის საბჭოს ჩვენი ქართველი ხმოსნების დასი იმ შეგირდს ჰგავდა, რომელიც სრულ კაცობას ჩემულობს და ჯერ კიდევ ძლივ აშლილ ულვაშს იგრეხს, ხმას განგებ იბოხებს და უმანკო იარაღს ატრიალებს".

ასეთი გაბედული კრიტიკა ქართველობისა მაშინ, როდესაც გამწვავებული იყო სომეხი და ქართველი ბურჟუაზიის ურთიერთობა თბილისის ქალაქის მეურნეობისა და საზოგადოებრივი მმართველობის საკითხზე, რა თქმა უნდა, ცეცხლზე ნავთს ასხამდა და სწორედ ასედაც გაუგია ეს „კვალის" რედაქციას, რომელმაც საჭიროდ დაინახა სომხების თავკაცების ხასიათსაც შეხებოდა, ერთ ტაფაზე მოექცია ქალაქის საბჭოს

ქართველი და სომეხი ხმოსნები, მოეხდინა, მაშასადამე, ერთ-ვვარი ნეიტრალიზაცია.

თავის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ წერილში მაზაკელი (გ. წერეთელი) ნ. ნიკოლაძის საპასუხოდ წერდა: „სომეხისა და ქართველთა მეთაურ კაცებს დაავიწყდათ ნელ-ნელა ჭაბუკობის აზრები და გახდნენ მონანი ზომაზე გადამეტებულის ცხოვრებისა, შეიქმნენ ოქროს თორას თაყვანისმცემელნი, მამონის მსახურნი.

ამ გარემოებამ ესე იგი საკუთარი სარგებლობის ძიებამ, არამც თუ სომხები და ქართველები, არამედ თვით ძველი და ახალი თაობა ერთსა და იმავე ხალხისა ერთმანეთს გადაამტერა. დღეს ვინც ამის მეთაურებზე ხმას ამოიღებს. ხმის ამომღებს და ნაკლოვანებების მაჩვენებელს მაშინვე მეთაურთა დამქაშები, რომელნიც იმათივე წყალობით ლუკმა-პურს სჭამენ, გამცეობას დასწამებენ" („კვალი", 1894 წ., № 6, გვ. 10). გ. წერეთელმა „კვალის" ფურცლებზე დიდი ბრძოლა ჩაატარა ქართველთა და სომეხთა შორის სოლიდარული განწყობილების შესაქმნელად. ამ ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია და სურვილები ქართველ-სომეხთა სოლიდარობისათვის კარგი იყო, მაგრამ ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარება, ეკონომიური განვითარების გზები გარდაუვალად იწვევდა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის გამწვავებას. რა თქმა უნდა, ეს იყო გაბატონებული კლასების გამწვავებული ურთიერთობა და არა ქართველ-სომეხთა ურთიერთობის გამწვავება. სომეხი ბურჟუაზიის ლტოლვას ქართველი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ თბილისის საქალაქო მეურნეობაში არაფერი ჰქონდა საერთო ხალხთა დამოკიდებულებასთან და ხალხს ამისი არაფერი ესმოდა.

„მოამბეში" დაბეჭდილ ნიკო ნიკოლაძის წერილებს „კვალის" ფურცლებზე გამოეხმაურა პ. პეტრიძე (ნ. ჟორდანია), რომელიც იმ დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა და იქიდან თანამშრომლობდა გაზეთ „კვალში". ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ ისეთი დიდი საქმე, როგორიც იყო თბილისის საბჭოს არჩევნები, ემყარებოდა არა მოქალაქეობის ზნეობრივ საფუძველს, არამედ ანგარიშისა და სარგებლიანობის მიხედ-

ვით ასარჩევ პირთა გავლენას. ვინც მეტი შეძლებული იყო ქალაქის მოსახლეობაში, იმას მეტი გასავალი ჰქონდა საბჭოს არჩევნებში. ამიტომ მოხდა, რომ 1894 წლისათვის თბილისის საბჭოში ერთიანად სომეხი ვაჭრები მოკალათდნენ, მაშინ როდესაც 1893 წელს საბჭოში 20 წევრი ქართველი იყო. ამის გამო ნ. ნიკოლაძე წერდა: „თვითმმართველობის საქმე, ეხლანდელი კანონის ძალით უფრო შემძლე მოქალაქეთ აბარია, მაგრამ ეს უპირატესობა ავალებდა იმათ — მათი საკუთარი ინტერესებისათვის, საქმე ისე წაეყვანათ, მათ საქმეს, მათ მომავალ ინტერესებს მოეგოს და არა წაეგოს". მაგრამ ის, რაც მოხდა, პუბლიცისტის აზრით, მოხდა დაუკვირვებლობის შედეგად. ასე არ იყო მანამდე: „კენჭის ყრის დროს, ამ სამი წლის წინად, როცა ოციოდე ქართველი შევიდა საბჭოში, ერთი უცდომელი პროგრამა დაიდვა საფუძვლად ჩვენი და ჩვენი ამომრჩეველების ერთობის კავშირისა... ამ პროგრამაში პირველი და უმთავრესი ადგილი იმ აზრს ეჭირა, რომ მოვალენი ვიყავით გვეზრუნა ქართველობის კერძო საქმიანობა და სარგებლობისათვის კი არა, ყველა მოქალაქეების უფლებისა და კეთილდღეობისათვის უნდა მოგვეპოვებინა საყოველთაო სიმპატია და დახმარება არა თუ მარტო ქართველობისა, ჩვენი ქალაქის ყველა მცხოვრებლებისა, მათი მოდგმისა და სარწმუნოების განურჩევლად" („შარშანდელი ქალაქის არჩევნები", „მოამბე" 1894 წ. № 1, გვ. 135).

მაგრამ ასეთი პროგრამა არც ქართველებმა და. მით უმეტეს, არც სომხებმა შეიწყნარეს: „ტფილისის სომეხი საზოგადოება, რომ მართლა გაწვრთნილი და გონება-გახსნილი ყოფილიყო, ის უეჭველად მარტო იმ მეთაურებს გაჰყვებოდა, ვინც ამ ჭკვიანურ შორსმჭვრეტელურ პოლიტიკას ურჩევდა" (იქვე, გვ. 132—133). რაკი არჩევნები წმინდა ანგარიშებზეა აგებული და არა ზნეობრივ მოვალეობაზე და ქალაქის თვითმმართველობის არჩევნების ახალი დებულებაც მმართველობაში მხოლოდ მაღალ ბურჟუაზიას უღებს კარს, მაშ რა საფუძველი აქვს ნიკოლაძეს ამტკიცოს სიმრუდე 1893 წლის არჩევნებისა? ასეთ სიბრტყეზე სვამდა კითხვას პეტრიძე (ნ. ჟორდანია) თავის საპოლემიკო წერილში — „მოამბის"

პუბლიცისტიკა“ (№ 1 და 2), რომელიც დაიბეჭდა „კვალში“ (1894 წ. № 17).

„ბ-ნი ნიკოლაძე უსაყვედურებს ოპოზიციის გამშავებელთ: თუმცა ჩვენ თქვენი მტერი ვიყავით, მაგრამ ჩვენც უნდა ამოგერჩიეთ, რადგანაც ჩვენს ამომრჩევლებს ამორჩევის უფლება ჩამოერთვათო. ამით, რასაკვირველია, ბრძოლის ველგვარი წესრიგი ირღვევა და მის ალაგს იჭერს მათხოვრული ხელის გაშვერა. განმიკითხე და შემიწყალეო. ეს იმას ჰგავს, რომ იქ, სადაც მუშა-დემოკრატიას კენჭის უფლება არა აქვს, ბურჟუათათვის რომ მიემართა, ჩვენი კანდიდატები გაათეთრეთო. მაგრამ, როგორც ვიცით, ეს ასე არ ჰხდება. ავსტრიაში შარშან და ბოლგარიაში ამ ორი წლის წინ დაბალმა ხალხმა მანიფესტაციები და არეულობა მოახდინა: ჩვენც მოგვეცით ამომრჩევლების უფლებაო. იმათი მოთავე რომ ბ-ნი ნიკოლაძე ყოფილიყო, ურჩევდა: მაგას თავი დაანებეთ, ჩვენთვის მდიდრებიც კარგად ზრუნავენო. არა, ბ-ნო ნიკოლაძე, პოლიტიკაში ასე არ ჰკეთდება, ეს ხალხის და ინტელიგენციის თვალის ახვევაა, სხვა არაფერი“ („კვალი“ 1894 წ., № 17). ეს „მუშა-დემოკრატია“. რომლითაც ქალაქის თვითმმართველობის 1893 წლის არჩევნებში დამარცხებული კანდიდატები მოუნათლავს „კვალის“ პუბლიცისტს, ნ. ნიკოლაძეს სრულიად არ ჰყოლია მხედველობაში. იგი გამოესარჩლა ქალაქის მკვიდრ შეძლებულ მოქალაქეებს, რომელთაც ისეთი მაღალი ცენზი არ ჰქონდათ, როგორც სომეხ ვაჭრებს. მაშ რა შუაში არიან აქ მუშები. რომლებსაც, პუბლიცისტის აზრით, თითქოს ხელი უნდა გაეწოდებინათ ბურჟუაზიისათვის? რა თქმა უნდა, მუშებს, ანუ მუშა-დემოკრატიას ნ. ნიკოლაძის „მოამბეში“ დაბეჭდილი წერილი არ ეხება და უადგილოა აქ არმომხდარი მანიფესტაცია დავინახოთ. საკითხის ასეთი სისწორით დაყენების შემთხვევაში „კვალის“ პუბლიცისტს შეეძლო ეთქვა: ეს „მუშა-დემოკრატია“, რომლითაც მე, სომეხ დიდვაჭრების გამოკლებით, 90-იანი წლების მთელი თბილისის მოსახლეობა მოვნათლე, ჩემ მიერ შემოტანილი ცნება არ არის. იგი გაზეთ „ივერიიდან“ გადმოვიღეო. სწორედ „ივერიამ“ უწოდა 1893 წლის არჩევნების გამო, 1890 წლის არჩევნებს — დემოკრატიის გამარჯვება.

უფრო სწორია „მოამბის“ მიმართ პეტრიძის კრიტიკა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. რაც შეეხება საზოგადოებრივ-ეკონომიური საკითხების სხვა მხარეს, სახელდობრ, ევეუნის მეურნეობის მწარმოებელთა ადგილსა და მნიშვნელობას ხალხის წინსვლისა და კეთილდღეობისათვის, აქ პუბლიცისტი ამაოდ გმობს „მოამბის“ პოზიციას. „მოამბეს“ ხომ იმაზე მეტი არაფერი უთქვამს, რაც შემდეგ თვით განავითარა პეტრიძემ (ე. ი. ნ. ჟორდანიამ) თავის წერილების სერიაში — „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, რომელიც იმავე „მოამბეში“ (№№ 5 — 6) დაიბეჭდა. ეს არის ეროვნული, ანუ ნაციონალური კაპიტალის საკითხი. „მოამბე“ ურჩევდა ქართველობას ქალაქად დამკვიდრებას და ამასთანავე სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციას, რათა მოსახლეობას გაეძლო დროის მოთხოვნილებისათვის და ამ მოთხოვნილებისდაგვარად დაწინაურებულიყო.

„კვალის“ პუბლიცისტის აზრით, ეს ყველაფერი ფუჭია და არაფერი დასაკვეხნია ქართველს რომ თავის სამშობლოში სწადდეს გაატაროს თავისი სიცოცხლე. რა მოსატანია „სისხლით მორწყული სამშობლო?“. მრავალმა სრულებით დატოვა თავისი ქვეყანა და უცხოეთში გადაიხვეწა. ამერიკა. აფრიკა. ავსტრალია და სხვ. ევროპიელებით დასახლდა“ („მოამბის“ პუბლიცისტიკა“, „კვალი“. № 17).

ამრიგად. 90-იან წლებში ნ. ჟორდანია ამართლებდა უცხოელი კაპიტალისტების და საერთოდ უცხოელების მიერ საქართველოს მიწა-წყლის დაუფლებას. შეიძლებოდა. მისი აზრით. ქართველები. თუკი ისინი ენერგიულად ჩაებმებოდნენ კაპიტალისტურ მეურნეობაში, გადასახლებულიყვნენ სადმე აფრიკაში და ნურას უკაცრავად თუ მათ ადგილს აქ გარედან მოსულნი დაიკავებდნენ. „ცხადია, — ამბობდა ის, — მამაპაპეულ ანდერძს აქ ადგილი არ აქვს“. ე. ი. სამშობლოში დამაგრება მკვიდრისა ცრუპატრიოტიზმია.

სწორედ ასეთი მსჯელობის გამო. გამოცდილი და დიდი მცოდნე პუბლიცისტი ნ. ნიკოლაძე ევროპული სწავლა-განათლების. ანუ მარქსიზმის თუთიყუშებს უწოდებდა კრიტიკოსებს. რომლებიც უწუნებდნენ მას კაპიტალისტურ განვითარებასთან შეფარდებულ სამშობლოს აღორძინების იდეებს.

„კვალის“ კრიტიკა უპასუხოდ არ დატოვა „მოამბემ“. წერილში „სალიტერატურო შენიშვნები“ „მოამბის“ პუბლიცისტი ალ. ნა-ლი (ნანეიშვილი) წერდა: „იმას, რასაც პეტრიძე წერს ამერიკაში ინგლისელების გადასახლების შესახებ. „მოამბის“ რედაქციისათვის არახალია, ძველია... ხოლო იმას კი ვერ ვარჩევთ, რომ ხელისგულისოდენა საქართველომ ამერიკასა, ავსტრალიასა და აფრიკაში გადაისროლოს თავისი მკვიდრნი“ („მოამბე“, 1894 წ. № 5, გვ. 140). ნა-ლი საფუძვლიანად უარყოფს აგრეთვე „კვალის“ კრიტიკას „მოამბის“ მხატვრულ ნაწილზე. თურმე მოსე მწერლის მექრთამეობა სკოლის ბრალი ყოფილა, მაზაკვალის შეხედულებით, ე. ი. სოფლის სკოლაში მიუღია მას ასეთი აღზრდა. ნა-ლი ააშკარავებს მაზაკვალის მსჯელობის სრულ უნიადაგობას და ცხადყოფს თუ რაოდენ უილაჯო იყო „კვალის“ მიერ „მოამბის“ კრიტიკა. „ასე გასინჯვთ, „კვალის“ თანამშრომლები ბბ. წერეთელი, გორისელი, მაზაკვალი, პეტრიძე და სხვანი მეცნიერებიც არიან, კრიტიკოსებიც, ისტორიკოსებიც. ამასთანავე ენოვანნი, პრინციპოსანნი. გონებადამჯდარნი. და სხვები კი უენონი, უაზრონი“... ასე იწყებს თავის კრიტიკულ შენიშვნებს ნა-ლი. რომელმაც მართლაც რომ გამოააშკარავა მის მიერ დასახელებული კრიტიკოს-ისტორიკოსების მსჯელობის უსაფუძვლობა, მაგრამ ერთ რამეში კი შეცდა. მან წარმოიდგინა. რომ გ. წერეთელი. გორისელი, მაზაკვალი სხვადასხვა პირებია. თუ იმას ვერ მიხვდა, რომ მაზაკვალი იგივე გ. წერეთელია. რადგან მას ფიქრადაც არ მოსვლია მაზაკვალისა და წერეთლის სტილი ერთმანეთისათვის შეედარებინა. იმას მაინც უნდა მიხვედრილიყო. რომ გორისელი მოდის სოფ. გორისიდან — გ. წერეთლის სოფლიდან და სხვა ვინ უნდა ყოფილიყო იგი თუ არა გიორგი წერეთელი.

„მოამბე“ ხედავდა. რომ უკვე გაჩნდა ახალი დასი. რომლის წარმომადგენელი თვით ნ. ჟორდანია იყო. ხოლო უკანასკნელი ამას ვერ ხედავდა და „მარქსიზმის პოზიციებიდან ბურჟუაზიული ორგანოს გამჭიქებელი წერდა: „ძნელი მისახვედრია. თუ რომელ დასებზეა აქ ლაპარაკი“ („კვალი“, 1894 წ. № 16). ამას იუწყებოდა „კვალი“ 1394 წ. 10 აპრილს. ერთ თვესაც არ გაევლო, რომ 8 მაისს ნ. ჟორდანიას ამხანა-

გები სასალხოდ გამოვიდნენ და თავიანთი მოქმედების პროგრამა წამოაყენეს. რამოდენიმე დღის შემდეგ კი ეს დასი „კვალში“ მესამე დასად მონათლეს.

ახლა ჩვენ „კვალის“ მიმოხილვას სწორედ ამ მთავარ საკითხთან დაკავშირებით განვაგრძობთ. შევეხებით ახალ დასს „კვალში“ და მისი სახით „კვალის“ ბრძოლას „ივერია“-„მოამბის“ წინააღმდეგ. ყველა, გზადაგზა მითითებული ნიშანი სიახლისა, რაც გაზეთ „კვალს“ დაეტყო, ნათლად მოწმობს, რომ 1894 წლის გაზაფხულიდან გაზეთმა დიდი ცვლილებები, ნამდვილად განახლება განიცადა. ნიჭიერი ბელეტრისტისა და პუბლიცისტის ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებისა და დაკრძალვის დროს მომხდარმა ამბებმა დასდო ზღვარი ძველსა და ახალ „კვალს“ შორის. ნინოშვილის საფლავზე შემოკრბა ქართველი საზოგადოების ახალი დასი — „მესამე დასი“, რომელსაც „კვალის“ ხელმძღვანელმა გიორგი წერეთელმა სოლიდარობა გამოუცხადა, შეიყვანა იგი გაზეთის წამყვან წრეში და ბოლოს „კვალი“ მთლიანად გადასცა მას.

მესამე დასელები იყვნენ სამოღვაწეო ასპარეზზე ახლადგამოსული მარქსისტები, რომლებმაც „კვალს“, სულ ახალი მიმართულება მისცეს.

„კვალის“ სარედაქციო წერილმა ახალი დასის გამოჩენისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, სილ. ჯიბლაძის საპროგრამო სიტყვამ („კვალი“. №№ 21, 22) აამოძრავა ქართველი ინტელიგენცია. გაზეთმა „ივერიამ“ უარყო ახალი დასის არსებობა და „კვალის“ მნიშვნელობაც. „ივერიამ“ თავიდანვე დასცინა „კვალს“. საბუთად ის მოიტანა, რომ, გაზეთი იწოდებოდა „ნახატებიან გაზეთად“, რაც უფრო ბავშვების საქმე იყო, დიახ, ნახატები ბავშვებს გაართობდა. „კვალი“ მართლაც იწოდებოდა ჟურნალ „ჯეჯილის“ სურათებიან დამატებად, მაგრამ ეს გამოწვეული იყო საცენზურო პირობებით. სწორედ ამ პირობების გათვალისწინებით მოინათლა „კვალი“ ჯეჯილის დამატებად, რომ ცენზურისათვის გაზეთში განვითარებული იდეები შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

მაგრამ „ივერიამ“ რაკი ნახა საკბილო, მას ჩააფრინდა. სიბერეში გადასული „ივერია“ „კვალს“ უდღეურობას „უწინასწარმეტყველებდა“. „ახალმა დასმა უარყო ჩვენი ძველები,

მაგრამ სამაგიეროდ რა დაჰბადა? არაფერი და ვერც დაჰბადავს“ („ივერია“, 1894 წ. № 173). „ივერიის“ გალაშქრების პასუხად „კვალში“ დაიბეჭდა ყარიბის (ვ. გელეიშვილის) წერილი — „ივერია“, „მოამბე“, და „მესამე დასი“ („კვალი“, 1894 წ. № 47).

წერილში ის აზრია გატარებული, რომ წოდებრივ განსხვავებას ძალა აღარ აქვს, რომ ახლა ხიდია ჩატეხილი არა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის, არამედ მდიდრებსა და ღარიბებს შორის. „მესამე დასი გასაწყალებულ უმრავლესობას ემხრობა და იმაში ჰპოვებს საქართველოს ბედნიერების ნიშან-წყალს“ (იქვე). წერილში გაკვრით არის მოხსენებული ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებრივ-ეკონომიური პოზიცია.

მესამე დასის გამოსვლის გამო ნ. ნიკოლაძემ ჟურნალ „მოამბეში“ წამოაყენა მოთხოვნა — ქართველ საზოგადოებას მხარი დაეჭირა შუათანა დასისათვის, ანუ ბურჟუაზიისათვის. ნ. ნიკოლაძე იძლეოდა განმარტებას: მართალია, ბურჟუაზია ახლა ევროპაში დაწუნებულია, იქ სოციალისტური იდეები მაგრად იდგამს ფეხს, მაგრამ ჩვენში ასი-ასორმოცდაათი წელია საჭირო იმისათვის, რომ ევროპის დღევანდელ დონეზე ავიდეთ და მას გავუთანასწორდეთო („მოამბე“, 1894 წ. № VIII).

კამათი ივერიელ-მოამბელებსა და მესამე დასელებს შორის უმთავრესად საქართველოში კაპიტალიზმის არსებობის საკითხს შეეხო. „ივერიის“ ერთ-ერთი წამყვანი პუბლიცისტი ლალი (მ. ლასხიშვილი) და უფრო ადრე ნალი (ალ. ნანეიშვილი) ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში კაპიტალიზმი არ არსებობსო. ჟურნალ „მოამბეში“ ნალი წერდა: „განა შესაწყნარებელია, რომ ჩვენში კაპიტალისტური წყობილება არსებობს?... ნუთუ ჩვენში კაპიტალისტური წყობილება არსებობს. როცა ქარხნები და ფაბრიკები არა გვაქვს და არც ერთ წარმოებაში მაშინებს არ ვხმარობთ“ („სალიტერატურო შენიშვნები“, „მოამბე“, 1894 წ. № 10).

პირველად ნალის კონცეფცია გაკვრით ყარიბმა გააკრიტიკა „კვალში“ (1894 წ., № 48). ყარიბი იცავდა სილ. ჯიბლაძის მიერ წამოყენებულ დებულებას საქართველოში კაპიტალიზმის

არსებობის შესახებ. ხოლო ვრცლად ამ საკითხს, ისევე ს. ჯიბლაძე შეეხო. მან „კვალში“ მოათავსა წერილების სერია სათაურით — „კვალი და მესამე დასის მწერლები“ („კვალი“, 1895 წ. №№ 8, 9, 10, 12, 13, 14).

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საკითხებს ვრცლად განიხილავდა ნ. ჟორდანია წერილებში — „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, რომელიც „მოამბემ“ დაბეჭდა (1894 წ. № 5, 6), მაგრამ ვერ გაიგო მისი აზრი. იგივე ჟორდანია წერილებში „მოამბის პუბლიცისტიკა“, რომლებიც პეტრიძის ხელისმოწერით „კვალში“ დაიბეჭდა („კვალი“, 1894 წ., №№ 24, 25, 33, 34, 35), ეკამათება ნალს. ამ წერილებში გაკრიტიკებულია აგრეთვე ნ ნიკოლაძის შეხედულებანი ბანკისა და თავადაზნაურობის საქმიანობის შესახებ. „კვალმა“ თავის ფურცლებზე ადგილი დაუთმო ფხას (იაკობ ფანცხავა) წერილებს — „ფაქტორები ისტორიის პროცესისა“ (№ 49 — 52). ავტორი შეეცადა მოეცა მარქსიზმის თეორიული საფუძვლების კრიტიკა. იგი აკრიტიკებდა ნ. ჟორდანიას წერილებს — „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“.

ამის შემდეგ „ივერიამ“ დაბეჭდა ლალის (ვ. ლასხიშვილის) მოწინავე წერილი — „ჟურნალი „კვალი“ ისევ თავის მიმართულების კვლევაძიებაშია“. ავტორი უჩიოდა „კვალს“, თითქოს მას დადგენილი არ ჰქონდა თავისი პროგრამა. „არ იქნა და ერა, ვერ გამოარკვია „კვალმა“ თავისი მიმართულება. გ. წერეთელი უფრო პოლიტიკურ მხარეს უთმობს ადგილს. ყარიბი და პეტრიძე — ეკონომიური მატერიალიზმის პრინციპებს აძლევენ უპირატესობას, ხოლო ფხა ეკონომიური მატერიალიზმის ცალკერძოობას ებრძვის“ („ივერია“, 1895 წ. № 19).

კამათის მთავარი საგანი ისევ საქართველოში კაპიტალიზმის არსებობის საკითხი იყო. „კაპიტალიზმი, — წერდა ლალი, — ახლა იწყებს ჩვენს ქვეყანაში ფეხის ადგმას“. ლალის ეს წერილი დაიბეჭდა 26 იანვარს, 1895 წელს. ამავე წლის 12 თებერვალს „კვალში“ დაიწყო სილ. ჯიბლაძის წერილების — „კვალი“ და მესამე დასის მწერლები“ — ბეჭდვა. თავის წერილებში („კვალი“, 1895 წ. №№ 8, 9, 10, 12, 13, 14)

სილ. ჯიბლაძე იმ აზრს ავითარებს, რომ უკვე 25 — 30 წელი იყო გასული საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის გაბატონების დროიდან. „კაპიტალიზმის განვითარებას, — წერდა ჯიბლაძე, — აქვს რამოდენიმე მომენტი ანუ ფაზისი. კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელ საფეხურს შეადგენს მსხვილი წარმოება. ამ საფეხურზე ჩვენ შევფორხდით, მაგრამ ფეხი ვერ მოგვიკიდებია“ („კვალი“, 1894 წ. № 14).

სილ. ჯიბლაძემ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ლალის კონცეფცია, დაახასიათა საერთოდ „ივერიისა“ და „მოამბის“ პუბლიცისტიკა და დაამტკიცა, რომ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, რომლის მედროშედ მესამე დასი გამოდიოდა, სათანადო ნიადაგი ჰქონდა საქართველოში.

სილ. ჯიბლაძის წერილებს „ივერიამ“ უპასუხა ვ. წერეთლის წერილით: „არსებობს ჩვენში კლასთა ბრძოლა თუ არა?“ პუბლიცისტი წერდა: „ჩვენი მტრები თუ გნებავთ უცხოელები არიან. ჩვენ ყველა ღარიბი ვართ. აგრეთვე არც სხვადასხვა კლასები არიან ჩვენში“ („ივერია“, 1895 წ. № 73). საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ ვ. წერეთელი აღნიშნავდა: „მართალია. კაპიტალიზმმა უკვე მოჰხვია ჩვენს ხალხს თავისი ძლიერი ხელები. ბევრგვარად შესცვალა ჩვენი ეკონომიური, ზნეობრივი და გონებრივი ვითარება, მაგრამ... თუ ჯერ კიდევ ცოცხალნი ვართ, ეს იმას უნდა მივაწეროთ, რომ ჯერ კიდევ მარჯვედ ჩაგვიკიდნია ხელი ნატურალური მეურნეობისათვის“ (იქვე).

ვ. წერეთლის ამ გამოსვლის გამო ფ. მახარაძე შეეხო აღძრულ საკითხებს და მარქსის მოძღვრების საფუძველზე ს. მაგალითოდ დაასაბუთა საქართველოს კაპიტალისტური განვითარება, ივერიელებისა და მოამბელების მცდარი პოზიციები სოციალურ-ეკონომიურ საკითხებზე („გაკვრით პასუხი“, „კვალი“, 1895 წ., №№ 20. 21. 22. 23).

ამავე დროს ფხას საპასუხოდ „კვალმა“ დაბეჭდა ნ. ყორღანიას წერილები — „კრიტიკის კრიტიკა“ (№№ 19 — 23). მარქსიზმის პოზიციებიდან პუბლიცისტის პასუხს მოჰყვა მოწინააღმდეგის მისამართით ფხას ლანძღვა-გინება. რის გამოც ღხას „კვალის“ კარი გამოუხურეს.

ამის შემდეგ „კვალში“ (№№ 28 — 30. 32. 34. 35) დაი-

პეჭდა ნ. ჟორდანიას წერილები — „მოამბე“, „ივერია“ და „ეროვნება“, რომლითაც არსებითად დასრულდა „კვალსა“ და „ივერია-მოამბეს“ შორის კამათი საზოგადოებრივ-ეკონომიურ საკითხებზე.

XIX საუკუნის 90-იან წლებში „ივერიაში“ ლიბერალმა ნაროდნიკებმა მოიკალათეს. ამას მოწმობს, ლალის, ნა-ლის, ვ. წერეთლისა და სხვათა საპროგრამო წერილები. ილ. ჭავჭავაძე უფრო განზე იდგა და საერთო ხელმძღვანელობას უწევდა გაზეთს და თუ ის ითმენდა ამ ნაროდნიკების აქტივობას, იმდენად, რამდენად მათ მიერ მესამე დასელების წინააღმდეგ გალაშქრება ეთანხმებოდა ილ. ჭავჭავაძის თვალსაზრისს ეროვნულ ძალთა ერთობის შესახებ.

„კვალმა“ დაიცვა რა, ზოგადად მაინც, მარქსისტული თვალსაზრისი საზოგადოებრივ კლასთა ბრძოლის შესახებ. ამით საზოგადოებას უჩვენა ლიბერალი ნაროდნიკების კონცეფციების უსაფუძვლობა. აშკარა იყო, რომ „კვალმა“ დაამარცხა „ივერიისა“ და „მოამბის“ პუბლიცისტები ისტორიული მატერიალიზმის საკითხებზე. თუმცა, როგორც ეს იმთავითვე ცხადი იყო, თვით „კვალის“ პუბლიცისტი მარქსისტები უშვებდნენ შეცდომებს, რაც შემთხვევითი არ ყოფილა.

„კვალის“ ერთ-ერთი მთავარი პუბლიცისტი ნ. ჟორდანია 90-იან წლებში იჩენდა ოპორტუნიზმს და რიგ საკითხზე რევოლუციურ მარქსიზმს ბურჟუაზიული ერის აღორძინებისა და მისი გამძლეობის თეორიებით ცვლიდა.

„კვალის“ დამსახურება მაინც დიდი იყო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ 1894 — 1895 წლებიდან იქ მესამე დასელები — ქართველი მარქსისტები მოღვაწეობდნენ, ხოლო 1898 წლიდან გაზეთი მთლიანად მათ ხელში გადავიდა. ვ. წერეთელს მაინც არ დაუტოვებია თანამშრომლის ადგილი და გაზეთის ერთ-ერთ წამყვან პუბლიცისტად ითვლებოდა. ამ წლის „კვალის“ პირველ ნომერში რედაქცია იძლევა თავისი საპროგრამო მოქმედების ძირითად ხაზს: „მამული, კაპიტალი და შრომა — აი სამი ძირითადი ეკონომიური მოვლენა, რომელიც შეიცავს დამახასიათებელ თვისებას სამი სხვადასხვა ისტორიული დროისას. პირველი წარმოადგენს საძირკველს წარსულისას, მეორე აწმყოსას და

მესამე მომავლისას“ — წერდა „კვალი“ მეთაურ წერილში — „დღევანდელი კითხვები“. ფულადი მეურნეობის გაბატონებამ წამოსწია წინ ორი კლასი — ბურჟუაზია და პროლეტარიატი და უკან მოიტოვა სასიკვდილოდ განწირული თავადაზნაურობა, „აი ეს ორი ახალი კლასია თანამედროვე ცხოვრების მატარებელნი. ესენი, როგორც ახალი პირობების შვილნი, პირდაპირ ებრძვიან ძველ წოდებრივ დამოკიდებულებას“ („კვალი“, 1898 წ. № 1). მაგრამ თვით მათ შორის არის გაჩაღებული ბრძოლა, რომელიც გაზეთის აზრით, არის თავდები ეკონომიური, საზოვადოებრივი და პოლიტიკური განვითარებისა: „მოშალეთ ეს ბრძოლა და მოიშლება ეკონომიური, იურიდიული, ერთი სიტყვით ყოველ მხრივი წარმატება“ (იქვე). „კვალის“ 29-ე ნომრის მოწინავეში — „თფილისი“ — ვკითხულობთ: „ქართველობა თფილისში დღეს მეორეხარისხოვან როლს თამაშობს, ის დაუძლურებულია, როგორც ეკონომიურათ, ისე მოქალაქეობრივათ და ლიტერატურულ-არტისტულათ. ამის ერთად ერთი მიზეზია ჩვენი ქვეყნის და განსაკუთრებით ქართლ-კახეთის უკან ჩამორჩენა. ჩვენი ერის ფეოდალ-პატრიარქალურ მდგომარეობაში ჩაჭერა. მაშასადამე, ამ მიზეზის ძირიანათ ამოგდება, ძველებურ ცხოვრების და მიწათმფლობელობის მოსპობა და ახალი ვითარების შეთვისება არის ერთადერთი საშუალება ქართველების გამძლავრების და თფილისის გაქართველების. ჩვენ ამ გზაზე ვართ და ამ მხრით მივემგზავრებით“ („კვალი“. 1898 წ. № 29).

„კვალის“ თვალსაზრისი გასაგებია. მისი აზრით, ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარება საქართველოს ცხოვრებაში ახალი ხანაა. ყველაფერი, რასაც პროგრესული ელფერი ადევს, ბურჟუაზიული ანუ კაპიტალისტური განვითარების გამოხატულებაა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, როცა კაპიტალიზმი რუსეთში და მის განაპირა ქვეყნებში უკვე შევიდა თავისი განვითარების უკანასკნელ ფაზაში, იმპერიალიზმის ფაზაში, რომელსაც ქართველი ხალხისთანა პატარა ერები იმპერიალისტური ომების სასაკლაოზე გამოყავდა, „კვალი“ ახალ კლასებად ბურჟუაზიას და პროლეტარიატს აცხადებს და მოუწოდებს ქართველობას კაპიტალისტური განვ-

ეროვნებისაკენ. ახლა, როცა სოციალ-დემოკრატია რუსეთშიც და საქართველოშიც ეუფლებოდა მუშათა ბრძოლის ხელმძღვანელობას და ამ ნიადაგზე ხდებოდა სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის შეერთება, „კვალი“ ახალ და უმთავრეს კითხვად ისევ ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის შეერთებულ ბრძოლას აცხადებდა.

ეს იყო აშკარა ოპორტუნიზმი მესამე დასელთა მოღვაწეობაში, რომელიც „კვალის“ ფურცლებზე ვლინდებოდა. განახლებული რედაქცია გაზეთის პირველი ნომრის მოწინავეში საქვეყნოდ აცხადებდა: „კვალი“ არ არის ორგანო ერთი რომელიმე პირის, ან ერთი რომელიმე წრის, ის არის საზოგადო ორგანო, ე. ი. ისეთი, სადაც ყველა საბუთიან შეხედულებას ადგილი ექნება“. ასეთი განცხადება სავსებით შეესაბამებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პოზიციას, რომელსაც „კვალი“ თავიდან იცავდა და რომელიც მესამე დასელებმა 1894 — 1895 წლებში ივერიელებთან და მოამბისტებთან ბრძოლაში თითქოს დაძლიეს, მაგრამ 1898 წლიდან უკვე გარკვეულად დაადგნენ ამ გზას. „კვალმა“ ახლა თავის დროშად ბურჟუაზიული ევროპა გამოაცხადა. საამისოდ მას ადრევე შეუმზადა ნიადაგი ნ. ჟორდანიას წერილებმა, რომლებიც 1893 წლიდან ქვეყნდებოდა „კვალის“ ფურცლებზე.

1898 წლიდან „კვალში“ პატრიშვილის ფსევდონიმით იბეჭდებოდა ფ. გოგიჩაიშვილის წერილები „მგზავრის შენიშვნების“ სახელწოდებით, სადაც აღწერილი იყო გერმანიის, კერძოდ ქ. მიუნხენის ცხოვრება (№№ 3, 4, 5, 22, 23, 24. 25, 26, 28, 36. 38). ამ წერილებში გზადაგზა ჩართულია მარქსენგელსის „კომუნისტური მანიფესტის“ ადგილები. ამრიგად, ავტორი ქართველ მკითხველს საშუალებას აძლევდა გასცნობოდა ამ ღირსშესანიშნავ დოკუმენტს.

ფ. გოგიჩაიშვილს ეკუთვნის აგრეთვე ფრიად შინაარსიანი წერილები — „გერმანიის ამბები“ („კვალი“, 1898 წ., №№ 11, 12. 14. 15, 17, 18).

ავტორის მიზანია მაშინდელ ქართველობაში გასწიოს საქალაქო ცხოვრების პროპაგანდა, დაარწმუნოს მკითხველი თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კაპიტალის-

ტური მეურნეობის წესების შეთვისებას და მაშინდელი ჩამორჩენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ ყაიდაზე გადაყვანას.

„კვალის“ პუბლიცისტიკა

მას შემდეგ, რაც გარკვეული გვაქვს გაზეთ „კვალის“ პროგრამული საფუძვლები და მისი პოზიცია საზოგადოებრივ-ეკონომიურ საკითხებზე, ჩვენ შეგვიძლია შევუდგეთ გაზეთის მთელი პუბლიცისტიკის განხილვას უკვე 1896 წლიდან. ამ წლის გაზეთის პირველ ორ ნომერში მეთაური წერილები ეკუთვნის გ. წერეთელს. პირველი წერილი — „გასული წლის ხაყოფი“ შეეხება წყალდიდობას დასავლეთ საქართველოში და მისგან გამოწვეულ შედეგებს. მეორე წერილში — „ძველი ბატრობა ახალ ქერქში“, მაზაკვალის ხელისმოწერით, „კვალი“ ეკამათება „ივერიას“ სასკოლო საკითხებზე. „ივერია“ იცავდა სამეურნეო სკოლის საჭიროებას და მოითხოვდა სათავადაზნაურო გიმნაზიის სამეურნეო სკოლად გადაკეთებას.

„კვალი“ გამოესარჩლა სათავადაზნაურო სკოლას, არ შეიძლება მან სამეურნეო სკოლას დაუთმოს ადგილი. რაკი ბანკს თავის ხარჯზე უნდა შეენახა სათავადაზნაურო სკოლა, „ივერია“ უმჯობესად თვლიდა ამ სკოლის მაგივრად ბანკს სამეურნეო სკოლა შეენახა, ხოლო სათავადაზნაურო სკოლის ხარჯებს „ივერია“ მოითხოვდა თავადაზნაურობისაგან, რომელსაც უნდა შეექმნა საამისო ფონდი.

რა თქმა უნდა, „ივერიის“ პოზიცია უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო, მაგრამ „კვალმა“ ცხარე პოლემიკაში დაგმო ეს პოზიცია და მოითხოვა, რათა ბანკის წმინდა წლიური მოგების ნახევარზე მეტი — 46 ათასი მანეთი მოხმარებოდა სათავადაზნაურო სკოლას. „რაც შეეხება თავადაზნაურობის მიერ ფულის გაწერის საქმეს, — წერდა „კვალი“, — რაღა თქმა უნდა, დიდი საქმეა. მოვკიდოთ ხელი ამ ძმურ საქმის განხორციელებას და ესეც მალე ასრულდება, რადგან ჩვენი თავადაზნაურობა იმდენად არის ცნობიერებაში მოსული. რომ დარწმუნებული ვართ, არას დაზოგავს ამ დიდი საქმის განხორციელებისათვის“ („კვალი“, 1896 წ., № 21).

ეს იყო 1896 წელს. 1873 წელს, ე. ი. 23 წლის წინათ, გ. წერეთელი „კრებულის“ ფურცლებზე წერდა: „თავადაზნაურობამ მოჭამა თავისი დრო. დროთა ვითარებამ იგი მშრომელი ხალხის კისრიდან გადმოასკუპა, დასვა ცარიელზე და უთხრა: აწ შენი ოფლითა და მკლავით იცხოვრეო; გაფუჭებული და გონება გამოლეული ჩვენი თავადაზნაურობა დარჩა ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში: შრომა იმას აღარ შეუძლია. სწავლა მას არ აქვს: ამის გამო ის თანდათან ღარიბდება, საშუალება ხელიდან ეცლება და თანდათან ქრება მისი სახსენებელი...

ჩვენი თავადაზნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მუშა ხალხის წინ წამოწევა — აი დიდად სანუგეშო ნიშანთაგანი ამ დროისა“ („კრებული“, 1873 წ., № 3).

გასაგებია თუ როგორი ფერისცვალება განუცდია ჩვენს საზოგადო მოღვაწეს ოცი წლის მანძილზე. რა თქმა უნდა, XIX საუკუნის 90-იან წლებში ქართველი თავადაზნაურობა გაცილებით უფრო დაქვეითებული იყო, ვიდრე 70-იან წლებში, გ. წერეთელს კი ჰგონია, რომ თავადაზნაურობა დიდად არის „ცნობიერებაში მოსული“ და ძმურად უწვდის მას ხელს. ეს იყო უკანდახევა იმ დემოკრატიული პოზიციებიდან, საიდანაც გ. წერეთელი ბრძოლას უცხადებდა ფეოდალიზმს, ე. ი. თავადაზნაურობას.

„კვალი“ თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა პრესისა და საერთოდ მწერლობის საკითხებს და იმეორებდა ქართულ მწერლობაზე დიდი ხნით ადრე „ივერიის“ მიერ გამოთქმულ აზრს. სახელდობრ იმას, რომ სწავლა-განათლებისა და მეცნიერების სარბიელი ჩვენში პრესა უნდა ყოფილიყო („კვალი“, № 3, 1896 წ.). სწავლა-განათლების გავრცელებისა და მკვიდრ ნიადაგზე მისი დაყენებისათვის „კვალს“ საჭიროდ მიაჩნდა ქალების ჩაბმა სკოლაში. უნდა შეიქმნას ქალთა სკოლები, „რომ იქ გაზრდილმა ქალებმა დედის რძესთან ერთად გაღასცენ თავიანთ შვილებს სამშობლოსადმი სიყვარული“ („კვალი“ № 7. ეე. 103).

მაგრამ გაზეთი უბრალოდ არ სვამს ამ საკითხს, კიდევაც იბრძვის ქალთა სკოლის შესაქმნელად და ცდილობს ამისათვის საჭირო მატერიალური სახსრების გამონახვას. იგი უჩივის

თავადაზნაურობას, რომ მან ნახევარი მილიონი მანეთი ბანკის მოგებიდან მოახმარა ვაჟების აღზრდის საქმეს, ხოლო ქალების სკოლებისათვის არავის უზრუნია, თუმცა ჯერ კიდევ 1892 წელს ბანკის ერთ-ერთ კრებაზე, თვით ბანკის ხელმძღვანელს ილ. ჭავჭავაძეს უთქვამს: „ჩვენ არანაკლებ ვფიქრობთ ქალთა სკოლის დაარსების საჭიროებაზე, მაგრამ რა გაუხდებათ წელიწადში რომ გადავდოთ ოთხი ან ხუთი ათასი მანეთი. მაგას უნდა მუდმივი წყარო და ეს წყარო ამ ცოტა ხანში ექვს-შვიდ წელიწადში აღმოჩნდება... გაგვითავისუფლდება მამული... ერთბაშად ასი ათასი, ანუ ორასი ათასი მანეთი ვვექნება“ („კვალი“, № 10, გვ. 160).

„კვალი“ არ უცდის მუდმივ წყაროს და მიუთითებს თანხაზე (15 000 მანეთი), რომელიც ქალთა კომიტეტს მოუგროვებია. ამ თანხასთან ერთად „ის, რასაც სათავადაზნაურო ბანკი მოგებიდან გაიმეტებს“, გაზეთს საკმარისად მიაჩნია იმისათვის, რომ ქალთა სკოლა გახსნილიყო („კვალი“ № 7, გვ. 103).

1896 წლის „კვალის“ პუბლიცისტიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს წერილების სერიას „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“ (თ. რაფიელ ერისთავის იუბილეს გამო)*. წერილების ავტორი აღნიშნავს, რომ რ. ერისთავის იუბილემ საქართველოს სხვადასხვა კუთხეები ერთ მთელად შეაკავშირა. აქ წარმოდგა ერთიანი საქართველო, ქართველი ერი .გამსჭვალული ერთი აზრით. 10 — 15 წლის წინათ ამას თითქოს ადგილი არ ჰქონდა. შემდეგ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ რაფიელ ერისთავი ეკუთვნის 60-იანი წლების მოღვაწეთა ჯგუფს და რომ ეს არის არა პირადად პოეტის იუბილე, არამედ იმ გუნდისა. რომლის წარმომადგენელს ქართველობამ იუბილე გაუმართა. „აღფრთოვანებული დღესასწაული დაიმსახურა არა პირადად რაფიელმა, არამედ იმ აზრებმა, რასაც ის ისახავდა ცხოვრებაში. მაგრამ ეს აზრები მეტნაკლებად შეადგენენ კუთვნილებას მთელი გუნდისას“ („კვალი“, 1896 წ. № 9, გვ. 150).

---

* „კვალი“, 1896 წ. №№ 9, 10, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, ავტორი ნ. ჟორდანია.

მართლაც, 60-იანი წლების მოღვაწეებმა უდიდესი როლი შეასრულეს საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზრის ისტორიაში XIX საუკუნის საქართველოში. ამაში „კვალი“ მართალია. მაგრამ რ. ერისთავის იუბილესთან დაკავშირებით „კვალის“ ასეთი მსჯელობა მხოლოდ ამოსავალია ეროვნულ საკითხებზე მსჯელობისათვის და ის, რაც უკვე 60—70-იან წლებში მომხდარი ფაქტი იყო საქართველოს ეროვნულ ცხოვრებაში, „კვალს“ გადააქვს 90-იან წლებში.

„დროშა მესამოცე წლებში აფრიალებული, ისევ აფრიალებულია, მაგრამ მისი მატარებელი ის აღარ არის, ვინც მაშინ იყო, ის ერთიანად ხალხს გადაეცა“. ავტორს მხედველობაში აქვს ეროვნული დროშა, რომელსაც 90-იან წლებში. მისი აზრით, ხალხი ატარებს. ავტორს ავიწყდება, რომ 60-იან წლებში თერგდალეულთა მიერ აფრიალებული დროშა ხალხისათვის იყო გამოტანილი და ხალხის სამსახურისათვის მოწოდებული, ხოლო 90-იან წლებში ეს დროშა უკვე გარკვეულად ეროვნული ბურჟუაზიის ხელში გადავიდა. ამას უწოდებს ავტორი 60-იანი წლების მოღვაწეთა დროშის ხალხის ხელში გადასვლას.

საქართველოს ცხოვრების ეროვნული მხარის ასახსნელად ავტორი საჭიროდ მიიჩნევს დაასაბუთოს ქვეყნის ეკონომიკა. „ეკონომიურ ასპარეზზე დღეს მარტონი არა ვართ... ჩვენში მოქმედებენ სამი ხალხის წარმომადგენელნი: სომხები, ევროპიელები და რუსები“ („კვალი“, № 12, გვ. 203). სომხები ავტორს მიაჩნია შემოხიზნულ მოსახლეობად, რომელიც ფეოდალიზმის დროს საქართველოში პოულობს ადგილს. როგორც ებრაელები, ისე სომხები აწარმოებდნენ ვაჭრობა-მევახშეობას, რომელსაც ნამდვილ აღებმიცემობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ისინი მუდამ მოტყუებაზე და მლიქვნელობაზე აგებდნენ თავიანთ საქმიანობას. მაგრამ აი მოისპო ფეოდალიზმი და საქართველო დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. კაპიტალიზმი ეს იგივე გაევროპელებაა.

ევროპელობასთან, ე. ი. ნამდვილ ვაჭრობა-აღებმიცემობასთან და მრეწველობასთან მევახშეობას საერთო არაფერი აქვს. და აი, ახლა საქართველოში კვლავ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ქართველები და სომხები. ამიტომ ეკონომიური

ცხოვრების ასპარეზზე ქართველები მაგრდებიან. სომხები კი უკან იწევენ და თუ მათი ეკონომიური გავლენა ჯერ კიდევ ძლიერია, ეს აიხსნება აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის ჩანორჩენილობით დასავლეთ საქართველოს სოფელთან შედარებით.

ამ ნიადაგზე ქართველებსა და სომხებს შორის ნაციონალური წინააღმდეგობა ძლიერდება. რა მოსპობს მას? ისევ და ისევ კაპიტალისტური განვითარება ანუ გაევროპელება.

„თუ საქართველოს სრული გაევროპიელება სომხობის ინტერესი არ არის, თვითონ ევროპიელებისათვის კი ძალიან სასურველია" — წერს „კვალი". ამის შემდეგ ვრცლად არის მოთხრობილი საქართველოს ისტორიულ წარსულში დასავლეთ ევროპასთან კავშირის შესახებ, რომ საქართველოს მეფეთა კარზე, უგზოობისა და მრავალ სხვა დაბრკოლებათა მიუხედავად მუდამ ნახავდით თუნდაც პატრებს, რომლებიც საქართველოს ევროპის ქვეყნებთან აკავშირებდნენ. საქართველოც ყოველთვის დაინტერესებული იყო ევროპასთან მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის დასამყარებლად. მოჰყავს სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის მაგალითი.

ევროპელები ახლა განსაკუთრებით დაინტერესებული არიან საქართველოთი, მაგრამ არა იმისათვის, რომ რაიმე წაგლიჯონ, არამედ ჩვენს ასაღორძინებლად:

„ჩვენ ქართველებს, რომლებმაც ერთი ევროპული ხანა — ფეოდალური უკვე გავიარეთ, ევროპა ვერას დაგვაკლებს. ის ჩვენი მტერი არ არის. პირიქით, ის არის სისხლი სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი ხორცთაგანი ჩვენი. ჩვენ ჩვენითვე ვევროპიელდებით და მაშასადამე მის გვერდით, მასთან შეკავშირებით ჩვენითვე უნდა ვიცხოვროთ. ქართველობამ თვითონვე უნდა განავითაროს ძალა, აღძრას ენერგია... ევროპიელები... ცელიან ჩვენ ეკონომიურ წყობილებას, ავითარებენ ეროვნულ შრომას, გააქვთ ნაწარმოები მსოფლიო ბაზარზე და მით გვაკავშირებენ მსოფლიოსთან. მათი ინტერესია საქართველო ერთიანად დასერილი იყოს გზატკეცილებით, რკინიგზებით, ტელეგრაფის მავთულებით, იყოს ხალხი გაქალაქებული, გაზრდილი, განათლებული, მწერლობა

აყვავებული, ახალი იურიდიული ურთიერთობა განმტკიცებული და სხვ.“.

როგორია რუსების ზემოქმედება? საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, — წერს „კვალი“, — რუსული ელემენტი უნდა გაძლიერებულიყო. XIX საუკუნის პირველ ნახევარში კი რუსეთის მთავრობა ადგილობრივი ელემენტის გაძლიერებას უწყობს ხელს. საპატიო მოხელენი ქართველი თავადაზნაურებია. მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა. სამოციანი წლების შემდეგ მოხელეთათვის საჭირო გახდა სწავლა-განათლება. „თავადაზნაურობა შკოლებს მიაწყდა, მაგრამ კარები დახურული დახვდა, შენზე უფრო მომზადებულები სხედან შიგო... აქედან იწყება რუსის მოხელეთა გამრავლება და ქართველების შემცირება“. მაგრამ ეკონომიურ ასპარეზზე რუსები სუსტნი არიან და მეტოქეობას ვერ უწევენ ვერც სომხებს, ვერც ევროპელებსა და ქართველებს. რუსები უფრო ეტანებიან მიწა-ადგილის ყიდვას, რომ თავიანთი ელემენტი მკვიდრ ნიადაგზე დააყენონ. „მათში კერძო თაოსნობა, გამბედაობა, „რისკი“ მიმქრალი, მილეულია. ფულის პატრონს შიშით ხელი უძაგძაგებს, დღე და ღამე არ ძინავს — ფული არ დამეკარგოსო, ის უფრთხის წარმოებაში, აღებ-მიცემობაში მონაწილეობის მიღებას, ეს საქმე საეჭვოდ მიაჩნია“.

ავტორი დაასკვნის: „სამი უცხო ტომის ეკონომიური მოღვაწეობის გარჩევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სომხები წარმოადგენენ მოვაჭშეებს, რომელთაც თავი გააქვთ მოტყუებით, კანონიერი უკანონობით; ამისათვის მათი მოქმედება კონსერვატიულია. ევროპიელნი მრეწველობას მისდევენ, ვაჭრობაში პატიოსნობა შეაქვთ, ქვეყანა ევროპულ გზაზე გამოყავთ და მით პროგრესულ როლს თამაშობენ. რუსები კი ორივეს შუაშია. ის არც ჩარჩია, არც მრეწველი... საზოგადოდ მოხელე ჩინოვნიკია“ („კვალი“, № 14, გვ. 232).

ასეთია „კვალის“ პუბლიცისტის შეხედულებანი საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებაზე და ამ ნიადაგზე ცალკე ხალხთა ეკონომიური განვითარებისა და მდგომარეობის შესახებ. აქ, რა თქმა უნდა, გარკვეულ კონცეფციასთან გვაქვს საქმე. ავტორი მართალია იმაში, რომ ხალხთა პროლეტარი-

ზაცია, ქართველი, სომეხი და რუსი მუშების გამრავლება, მუშათა კლასის განვითარება და განმტკიცება ერთადერთი და უმთავრესი პირობაა კაპიტალიზმის ხანაში ნაციონალიზმის დაძლევისა, მაგრამ პუბლიცისტი ცდება, როცა სომეხ-ქართველთა შორის წინააღმდეგობას და ნაციონალურ მეტოქეობას მარტო სომხურ სავაჭრო კაპიტალში ხედავს.

იგი განზე ტოვებს სომეხ მრეწველ კაპიტალისტებს, რომლებსაც 90-იან წლებში ხელში ეჭირათ თბილისის რიგი საწარმოებისა და ქალაქის გამგეობასაც დაეპატრონნენ. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წყარო და აქედან წარმომდგარი სომეხ-ქართველთა მეტოქეობა სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. მსხვილი სომხური კაპიტალი ბადებდა საქართველოში ანტისომხურ ნაციონალიზმს და სომხებში კი ანტიქართულ ნაციონალიზმს.

რაც შეეხება საქართველოს კოლონიზაციის საკითხს, ამაზე „კვალის" პუბლიცისტის მთელი მსჯელობა მხოლოდ ბურჟუაზიულ კონცეფციას გამოხატავს და ამ კონცეფციის წარმოდგენის ნიმუშია. ევროპა ჩვენი „სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი" არის — გვარწმუნებს ავტორი. რატომ? ის ცვლის ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას, ხელიდან გვაცლის ჩვენს სიმდიდრეს და მსოფლიო ბაზარზე გააქვსო! იგი დაინტერესებულია ჩვენში გზების გაყვანით და საერთოდ ჩვენი კუთხეების კეთილმოწყობითო.

მაშასადამე, ევროპელი კაპიტალისტები, რომელთაც საზღვარგარეთ გაჰქონდათ ჩვენი მარგანეცი და სხვა სიმდიდრე, ჩვენი ერთგული ძმები ყოფილან, სრულიად უვნებელნი, ჩვენი მოჭირნახულენი! ვინ დაიჯერებს ამას? რა თქმა უნდა, გზების გაყვანა და წარმოების კეთილმოწყობა ისევ და ისევ კაპიტალისტების ინტერესებით იყო გამოწვეული, რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე ამოექაჩათ ჩვენი ქვეყნიდან.

ჯერ კიდევ 1890 წელს წერდა „ივერია", რომ ჭიათურის რკინიგზას მხოლოდ ის მიზანი აქვს, რომ უცხოელი რაც შეიძლება მოხერხებით მიუდგეს ჩვენს მადანს და თუ აქამდე საზარალოდ თვლიდა მის მოპოვებას, მხოლოდ გამზადებულ მადანს ყიდულობდა, ამიერიდან კიდევაც მოიპოვოს და კიდევაც გაყიდოს. ნუთუ „კვალმა" ვერ დაინახა, რომ უცხოე-

ლები, კერძოდ ევროპელები აქ ჩვენი ქვეყნის სიკეკლუცით კი არ იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ქართველებისათვის ძალურად გაეწოდებინათ ხელი, არამედ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის მითვისებით.

მართალია, კაპიტალისტური საწარმოების გამრავლებას და განვითარებას ობიექტურად მოყვებოდა ტექნიკური პროგრესი და ხაერთოდ სამოქალაქო ცხოვრების განვითარება, მაგრამ ევროპელი კაპიტალისტების მიერ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის დაუფლება მოასწავებდა ჩვენი ქვეყნის კოლონიად გადაქცევას. „კვალის“ პუბლიცისტი მხოლოდ ამართლებს იმპერიალიზმის გზას ჩვენს ქვეყანაში, თუმცა ის ქართველობას ურჩევს, გვერდში ამოუდგეს გაქნილ კომერსანტსა და მოიჯარე ევროპელს.

კარგი ნუგეშია! რაც შეიძლება ვამრავლოთ ჩვენში უცხოელი კაპიტალისტები, ისინი გვასწავლიან, არაფერს გვავნებენ და შემდეგ ჩვენც კაპიტალისტები გავხდებითო. რა თქმა უნდა, არც ერთ ქვეყანაში ეს არ მოხდებოდა და არც მომხდარა. განა ინგლისის ან საფრანგეთის კოლონიებში ადგილობრივი ელემენტები კაპიტალისტურ წარმოებაში ისე წამოიზარდა, რომ თავიდან აიცდინა გაბატონებული უცხოური კაპიტალი? ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ „კვალის“ პუბლიცისტის მთელი მტკიცება ევროპის კაპიტალიზმის აპოლოგიას წარმოადგენს და სრულიად უნიადაგოდ ეს კაპიტალიზმი საქართველოს მეცენატად არის წარმოდგენილი.

ავტორს არ უნდა დაინახოს, რომ, როგორც ადრეევე, ისე XIX საუკუნის 90-იან წლებში, ჩვენი ქვეყნის ევროპიზაცია ხდებოდა უმთავრესად რუსეთის გზით და რუსეთის მფლობელობა იყო საქართველოს სამრეწველო განვითარების უდიდესი ფაქტორი, მიუხედავად იმისა, რომ თვითმპყრობელობა და მისი პოლიტიკა რამდენადმე აფერხებდა ამ განვითარებას. მაგრამ ამას, უეჭველია, განგებ ივიწყებს ავტორი. ის სრულიად მცდარად რუსეთის მფლობელობაში მარტო სამოხელეო წრეებს ხედავს და მოუწოდებს ევროპელ მძარცველებს — თქვენშია პროგრესი, რუსეთმა მარტო ჩინოვნიკობა მოგვცაო. მოდით ცივილიზებულო ყაჩაღებო, „გაგვანათლეთ“ და ჩვენი სული და გული წაიღეთო.

სხვა დასკვნა არ შეიძლება გამოვიტანოთ „კვალის“ პუბლიცისტის მსჯელობიდან და აკი თვითონაც დაასკვნის: „ევროპიელნი მრეწველობას მისდევენ, ვაჭრობაში პატიოსნება შეაქვთ“ რუსი კი „არც ჩარჩია, არც მრეწველი... საზოგადოდ მოხელე ჩინოვნიკია“.

„კვალის“ წერილების მთავარი აზრი ნაციონალური საკითხის გარშემო ტრიალებს. თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება, ავტორის აზრით, ერთიანად აგებულია ბურჟუაზიულ ურთიერთობაზე. დანგრეულია ძველი ურთიერთობა, ძველებური ოჯახი, „დაძმური, უანგარო, იდილიური ურთიერთობა და ყველა ამის მაგივრად მიეიღეთ ხელში ჩოთქი, გულში ცივი ანგარიშიანობა, ერთის ჯიბეში ფული, ხოლო მეორისაში — უფულობა. ეს არის „ბურჟუაზიული ცივილიზაცია“.

ამრიგად, გაჩნდა ძალა, რომელმაც უნდა დაამარცხოს უცხო ერთა მეტოქეობა. ეს არის ნაციონალური ძალა. ბურჟუაზია, ავტორის სიტყვით, 90-იან წლებში ქვეყა საფეხურზე დგას და მიისწრაფვის ზევით, რომ „იქ მდგომი კეთილშობილნი ძირს ჩამორეკოს და თვითონ გამაგრდეს“. ამ მიზნით ბურჟუაზია ავითარებს ეროვნულ შრომას, მოქალაქეობას, სპობს ძველებური იარაღებით მუშაობას, ფეოდალურ მიწათმფლობელობას და სხვ. ამრიგად, ბურჟუაზიული მოქმედება პროგრესულია, რადგან იგი ეროვნულ და სოციალურ წარმატებას ემსახურება.

მაგრამ როგორ შეუძლია ბურჟუაზიას მაინც პირველი ადგილი დაიჭიროს ერის ცხოვრებაში? დაიმსხვრევა თავადაზნაურობა, როგორც ეს მოხდა საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციით, თუ იგი „ნელნელა გაბურჟუაზდება?“ — სვამს კითხვას ავტორი და პასუხობს: „ამის გადაჭრა შეუძლებელია. ჩვენ საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება არ გვაქვს... აუცილებელია ის, რომ ბურჟუაზია გამარჯვებული გამოვიდეს“ („კვალი“, № 18, გვ. 301).

რა შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ ითქვას „კვალის“ პუბლიცისტურ წერილებზე? იმ დროს, როდესაც რუსეთისა და მისი განაპირა ქვეყნების სამრეწველო ცენტრებში მუშათა კლასი უკვე გამოვიდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ დიდ სამ-

რეწველო ბრძოლაში, რომელიც ჩქარა უნდა გადაზრდილიყო პოლიტიკურ ბრძოლად, „კვალი“ ესარჩლება ბურჟუაზიას, რომ ის სუსტი და ფეხმოუმაგრებელია, თუმცა კი გამოაჩინა თავისი ძალა და მიისწრაფვის იქითკენ, რომ თავადაზნაურობა, ე. ი. ფეოდალიზმი გაანადგუროს და მის ნანგრევებზე თვითონ გამაგრდეს. „კვალის“ პუბლიცისტი საქართველოს უსახავს პერსპექტივებს — ან საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია უნდა გათამაშდეს აქ, რომ ბურჟუაზიამ გაიმარჯვოს, ან ინგლისის მაგალითისამებრ, მემამულეობა უნდა შეეზარდოს ბურჟუაზიას. „კვალი“ თითქოს ვერ ამჩნევს, რომ საფრანგეთის რევოლუციის საქმე რუსეთსა და საქართველოში უნდა შეესრულებინა რევოლუციურ მოძრაობას XIX საუკუნის 50 — 60-იან წლებში, მაგრამ მემამულეების მთავრობამ დაასწრო და სოციალური რეფორმით მოგუდა რევოლუცია. ამ გარემოებამ დაბრკოლებები შეუქმნა ბურჟუაზიას განვითარებისა და გაძლიერებისათვის და მაინც საჭირო გახდა რევოლუცია, რომელმაც ამავე ბურჟუაზიას სიმწიფის ხანაში მოუსწრო, როცა მას მოპოვებული პოლიტიკური უფლებები უნდა გამოეყენებინა სოციალური რევოლუციის აზვირთების წინააღმდეგ საკუთარი თავის დასაცავად.

XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება რუსეთსა და საქართველოში ისეთი იყო, რომ იგი ნათლად ააშკარავებდა სახალხო რევოლუციის პერსპექტივებს, რაც არა ბურჟუაზიის, არამედ მუშათა კლასისა და გლეხთა უფართოესი მასების გამარჯვებას მოწმობდა.

„კვალის“ პუბლიცისტის მიერ საზოგადოებრივი მოძრაობის საფუძვლების დასაბუთება სცილდება რევოლუციური მარქსიზმის თვალსაზრისს, თუმცა პუბლიცისტი წერილების მთელ სერიაში მარქსიზმის სამოსელში გვევლინება. იგი ცდილობს ისტორიული მატერიალიზმის მიხედვით ახსნას საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება XIX საუკუნის 90-იან წლებში. ამიტომ გასაგებია, რომ იგი კლასთა ბრძოლის თვალსაზრისს ატარებს და თვით ბურჟუაზიულ-ეროვნული განვითარება კლასთა ბრძოლის საფუძველზე აქვს განხილული. ის წერს: „ქართველი ბურჟუას ფულის

წყარო ქართველი მუშაა. რამდენად ეს თავისი ძალისაგან იცლება, იმდენად ის მდიდრდება, სქელდება. მართალია, ის ცვლის ცხოვრებას, მარა ეს ხდება მუშის შემწეობით, მუშის მონაგარით, მუშის ოფლითა და ძალღონით“ („კვალი“, № 18, გვ. 303).

ავტორის აზრით, მუშის მდგომარეობას კიდევ ის აუარესებს, რომ, როგორც ევროპაში, ისე ჩვენში უკანასკნელ ხანებში გახშირდა კრიზისები, რაც კაპიტალისტური წარმოების აუცილებელი ხვედრია და რომელიც ყველაზე მეტად მუშათა კლასს აზარალებს. ამ კრიზისების წინაშე კაპიტალისტი უღონოა. მხოლოდ მთელი კაპიტალისტური წყობილების შეცვლას შეუძლია მოუღოს ბოლო კრიზისებს და დაამყაროს წესრიგი.

კაპიტალიზმი თავის განვითარებაში, ავტორის აზრით, თავიდანვე წარმოაჩენს იმ გზას, რომელმაც უნდა შეცვალოს იგი. კაპიტალისტური საქართველოც ამ გზაზე დგება. ამ გზის გარეშე „არ არსებობს განვითარება, არ არის ეკონომიური წარმატება, არ არის ძველ ურთიერთობაზე ბურჟუაზიის გამარჯვება და მაშასადამე არ არის კულტურული ზრდაც“ (იქვე).

რით განსხვავდება „კვალის“ ეს თვალსაზრისი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებაზე იმ თვალსაზრისისაგან, რომელიც გამოთქმული იყო „მოამბეში“, 1894 წელს, ნიკო ნიკოლაძის წერილში „რა უშველის ჩვენ თავადაზნაურობას“? („მოამბე“ № 6). „მოამბეც“ ხომ იმას აღიარებს, რომ ერის წინსვლის, მისი ეკონომიური და კულტურული დაწინაურების ძალა ბურჟუაზია არის და იქნება. მხოლოდ „მოამბე“ აღარ ლაპარაკობს იმაზე, რომ ბურჟუაზიასაც აქვს თავისი ბოლო, როცა მისი ადგილი მუშათა კლასმა უნდა დაიჭიროს და ეს მოხდება, „კვალის“ აზრით, მაშინ, როცა კაპიტალი და შრომა შეერთდება, მათ შორის უფსკრული ამოივსება.

ეს არის მუშათა კლასის ისტორიული მოწოდება, რომელიც გამართლდება მაშინ, როცა იგი „ცხოვრებიდან გონებაში გადავა, შეგნებით გაშუქებული შეიქმნება კუთვნილებად თითოეული ქართველისა, მისწვდება უკანასკნელ სოფელს,

შევა უკანასკნელ ქოხში". მაშინ დადგება, პუბლიცისტის აზრით, სოციალიზმის ხანა და ამას გვამცნობს „ხეზე შემომჯდარი მერცხალი — „გაზაფხული, გაზაფხულიო" — გადმოვევაძახებს".

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ „კვალის" პუბლიცისტს სოციალიზმი საქართველოში შორეული მომავლის საქმედ მიაჩნია. ეროვნული ბურჟუაზია, მისი აზრით, ჯერ სრულ ასაკში არ შესულა და არ გაუვლია ჭაბუკობის, ვაჟკაცობისა და სიმწიფის ხანა. მის სიკვდილზე მსჯელობა მეტად ნაადრევია, ფუჭი ოცნებაა.

წერილების მთელ სერიაში დაუფარავად გამოსჭვივის ცდა ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე ახსნას ავტორმა საქართველოში ბურჟუაზიული წყობილების საუკუნოვანი არსებობის ობიექტური კანონზომიერება. ავტორი გამორიცხავს მოახლოებულ რუსეთის რევოლუციას, მის თავისებურებას და სავალდებულოდ უხდის რუსეთს საქართველოსთან ერთად გაიაროს ყველა ის საფეხური, რაც გაიარეს ინგლისმა და საფრანგეთმა XVIII—XIX საუკუნეებში.

ამით ავტორი ფარავს თავის სიმპათიებს კაპიტალისტური წყობილებისადმი, რომელიც მას ხალხის ცხოვრების პროგრესის ერთადერთ პირობად მიაჩნია, მაგრამ ვერ ფარავს, რომ ამ წყობილებას ხალხისათვის მოაქვს ტანჯვა და უბედურება. ამ ტანჯვა-უბედურებიდან გამოსვლა თვით ხალხზეა დამოკიდებული — აღნიშნავს „კვალის" პუბლიცისტი. „დეე მუშა ხალხმა შეიგნოს რაც არის და რაც უნდა იყოს" — ამბობს ის. ავტორს უნდა თქვას, რომ საჭიროა მუშათა კლასი განვითარდეს ისე, რომ შეგნებით დაეუფლოს სოციალიზმს. მუშათა მოძრაობა ამ განვითარების ძალით თავისთავად მიაღწევს სოციალიზმის შეგნებას და ეს მოხდება მაშინ, როცა მთაში მივარდნილი სოფელიც გაქალაქდება, ანუ სოფელსა და ქალაქს შორის წაიშლება განმასხვავებელი ნიშნები.

ამ სახით, შეიძლება ითქვას, რომ წერილების სერიაში — „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ჩვენი ცხოვრება" — უფრო მარქსიზმის რევიზია ჩანს, ვიდრე მისი დაცვა.

„კვალი" იცავდა კლასთა ბრძოლის თეორიას, მაგრამ

ზოგადდემოკრატიული გზა მას არ დაუგდია. 1897 წლის მანძილზედაც ის ამ გზას განაგრძობს და მის მიერ არჩეული თეორიის საწინააღმდეგო მეთაურებსაც ბეჭდავს.

1897 წლის „კვალის“ პირველი ნომრის მეთაურში — „ამ საუკუნის ვითარება“ — გაზეთი იძლევა XIX საუკუნის მნიშვნელობის შეფასებას (წერილი ეკუთვნის გ. წერეთელს). ძირითადი აზრი მეთაურისა იმაში მდგომარეობს, რომ ქართულ საზოგადოებას მიუთითოს მოვალეობაზე — შეიგნოს მან მთლიანად და ცალკე თითოეულმა მისმა წარმომადგენელმა, რომ საჭიროა ყველგან ეროვნული საერთო ნიადაგის პრინციპის დაცვა. ამ საუკუნეში, ავტორის აზრით, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ შეირყა ის ერთიანობა, რაც დამახასიათებელი იყო ქართველი საზოგადოებისათვის ისტორიულ წარსულში. განხეთქილება და ბრძოლა, ხშირად გააფთრებული. ქართველობაში, ქართველ საზოგადოებრიობაში ყოველთვის იყო, მაგრამ ერთმანეთისა და ქვეყნის დასაფარავად ქართველები იბრძოდნენ საერთო დროშის ქვეშ. ეს დროშა ახლა გადაგდებულია. ახლა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ საქმეში საზოგადოებრივი ერთიანობის, ეროვნული პრინციპი კი არ ჩანს, არამედ წინ წამოწეულია სრული განკერძოება — „მე“ და „ის“. გაზეთს უხვად მოაქვს ამ „განკერძოების“ მაგალითები თავისებური, ცოტა არ იყოს, პრიმიტიული ინტერპრეტაციით:

„ეთქვათ „მე“ ვემსახურები წერა-კითხვის საზოგადოებას. „იმას“ არ მოსწონს ჩემი მოქმედება. „ის“ მეკამათება. ჩემის აზრით, „ის“ არის ქვეყნის დამქცევი, „მე“ — ქვეყნის აღმდგენელი. მაშასადამე ჩვენს შორის ძაფია გაწყვეტილი. ან „ის“ უნდა იყოს, ან „მე“ და სხვ. ასეთია. ავტორის სიტყვით, „სურათი ერის ცხოვრებისა XIX საუკუნის ბოლოს“. ყოველ დასს თავისი საკუთარი საქმე აქვს გამოწყობილი და ქვეყნის სსნად მას ეს მათი საკუთარი საქმე მიაჩნია. სამწუხაროდ, ეს არის წვრილმანი საქმე, რომელიც ამა თუ იმ წრეს თავის სარჩო-საბადებლად გაუხდია და სხვა უფრო ვრცელი ასპარეზი, „რომელსაც შეეძლო მტრისა და მოყვრის ერთად შეერთება, ერთი მიზნისათვის მოქმედება, აღარ ჰქონია და ვეღარც წარმოუდგენია“.

ავტორი იწყებს მსჯელობას ერეკლე მეორის უკანასკნელი წლების მნიშვნელობის საერთო შეფასებით — თუ როგორ დატოვა მეფემ თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი საერთო აზრით გამსჭვალული. XIX საუკუნეში, ავტორის სიტყვით, ყველაფერი ეს დაირღვა და პირადულმა დასჯაბნა ეროვნულის შეგნებას. „დიდებული მოხუცი ირაკლი, 1795 წელს, ანანურის დარბაზში მხოლოდ იმას წუხდა, რომ მისი პირადი გმირობა ულმობელმა დროთა ბრუნვამ მტვრით აღგავა, მაგრამ იმას ერთი ნუგეში მაინც ამხნევებდა. ეს იყო ის ნუგეში, რომ იგი ტოვებდა ერს მაღალი პრინციპით აღჭურვილს“.

მეთაურ წერილში ერთმანეთშია არეული დასების, თუ წრეებისა და ცალკე ადამიანთა განკერძოება. განკერძოება დასებისა, ანუ მათი ურთიერთდაპირისპირება, ბრძოლა მათ შორის ხომ ბუნებრივი და საერთო დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამის წინააღმდეგ რა ეთქმის გაზეთს? მაგრამ უკანასკნელს უნდოდა ეთქვა, რომ ბრძოლას დასთა შორის უნდა ამოძრავებდეს არა წვრილმანი საქმე, კუჭის გაძღომის საკითხი, არამედ მაღალი იდეები ხალხის ანუ ერის საკეთილდღეოდ, რომ ამა თუ იმ დასის მოქმედება უნდა იდგეს პრინციპულ სიმაღლეზე. მხოლოდ ერის წინსვლის, მისი ამაღლებისა და გაძლიერების პრინციპი უნდა ედვას საფუძვლად ცალკე პიროვნებათა თუ დასთა მოღვაწეობას.

ასეთივე აზრს ატარებს ილია ნაკაშიძის სტატია — „საახალწლო ფიქრები“: „დღევანდელი ქართველი ინტელიგენტი თავისუფალი მაყურებელია თავისი მშობელი ქვეყნისა. იმასა და მის სამშობლო ნიადაგს შორის კავშირი სუსტი და მოდუნებულია. ჩვენ და ჩვენი სამშობლო არა ვართ ერთსული და ერთსხეული“ („კვალი“, 1897 წ., № 1).

სრულიად განსხვავებულ პოზიციას იცავს ფ. მახარაძე თავის სტატიაში „ეკონომიურ მიმოხილვის გამო“. ავტორი მკითხველი საზოგადოების ყურადღებას ამახვილებს მუშათა საკითხზე. იგი იმის თანახმა არის, რომ „მთელი თანამედროვე პროგრესული მოძრაობა დაწინაურებული კაცობრიობისა მრეწველობისა და აღებმიცემობის შედეგია“ („კვალი“, 1897 წ. № 1), მაგრამ აქტუალური საკითხი მარტო ამ

წარმატების გამოკვლევაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ შევისწავლოთ უმიწაწყლოდ დარჩენილთა მდგომარეობა, გამოვიკვლიოთ მუშის ხელფასი, მისი დრო და სხვ.

ავტორი მწარედ დასცინის მის თანამედროვე ეკონომიური დარგის მწერლობას, როცა მრეწველობის სახეებისა და მისი განვითარების შესახებ ისევე, როგორც მუშათა ვინაობის, მათი რაოდენობის, სამუშაოს დროისა და ხელფასის შესახებ მიმართავენ „Кавказский календарь"-ს, რომელიც წარმოადგენს მეფის მთავრობისათვის ოფიციალურ ცნობარს და როგორც ავტორიც აღნიშნავს, სულ სხვა მიზნით ქვეყნდება.

„არავისთვის საიდუმლოება არ არის, — წერს ფ. მახარაძე, — რომ ჩვენშიაც არსებობენ საზოგადოებრივი დაყოფანი: მაღალი და მდაბალი, მდიდარი და ღარიბი, ერთი მხრით ყულისა და მამულის მეპატრონენი და მეორე მხრით უმიწაწყლოთ დარჩენილი ნაწილი საზოგადოებისა... ჩვენშიაც საზოგადოების მდიდარი ნაწილი ანუ კლასი ცოტათ თუ ბევრად განსაზღვრულ საშუალებას ხმარობს სიმდიდრის შესაძენათ, — ეს ს ხ ვ ი ს ი შ რ ო მ ი ს ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს მ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ა ა. უმიწაწყლოთ დარჩენილნი არსებითად ერთი საშუალებით იკვებავენ თავს, — ეს თავისი სამუშაო ძალის გაყიდვაა, როგორც უბრალო საქონლისა. როგორც მოწინავე ერთა შორის, ისე ჩვენშიც საზოგადოების ამ მოწინააღმდეგე კლასთა შორის ერთნაირი განხეთქილებაა, ანტაგონიზმი არსებობს, როგორც იმათში, ისე ჩვენშიაც. თანამედროვე კაპიტალისტურმა წარმოებამ შექმნა თავისი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, დაბადა ახალი უფლება, ახალი ზნეობა, ახალი სქესობრივი განწყობილება და სხვ. ახლა ვიკითხოთ, როცა ყოველივე ეს სხვებს დაწვრილებით აქვს შესწავლილი და გამოკვლეული აქვთ, ჩვენ რაღა გაგვიკეთებია ან რას ვაკეთებთ? სრულიად არაფერს და ამ მხრით არც არაფრის გაკეთებას ვაპირებთ" („კვალი", 1897 წ., № 1).

მომდევნო 1898 წლის „კვალის" ფურცლებზე (№№ 1, 3, 4) ფ. მახარაძე ბეჭდავს დიდ სტატიას — „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მოძრაობა". სტატია შედგება სამი ნაწილისაგან: საგარეო აღებმიცემობა, საშინაო აღებმიცემობა და მრეწ-

ველობა. ავტორი მეცნიერულად იკვლევს კაპიტალისტურ მეურნეობას საქართველოში და ამით ერთგვარად პასუხობს მის მიერ მითითებულ მოთხოვნილებაზე — შესწავლილი და გამოკვლეული ყოფილიყო მუშათა ცხოვრების პირობები. საქართველოსა და ამიერკავკასიის ვაჭრობა-აღებმიცემობაზე და მრეწველობაზე აქ მკითხველი იპოვის მეცნიერულად დადგენილ ცნობებს.

სამრეწველო აღმავლობა, რომელიც დამახასიათებელია ამ დროის რუსეთისა და ამიერკავკასიისათვის, დასაბუთებულია მოცემულ სტატიაში. ცენტრალური ადგილი აქ ჭიათურა-ფოთსა და ბაქო-თბილის-ბათუმს უჭირავს. მსხვილი მრეწველობის ზრდას, როგორც სხვა ქვეყნებში, ისე ჩვენში ხელოსნობის უმაგალითო შეკვეცა, დაცემა უნდა გამოეწვია. ფ. მახარაძის მტკიცების თანახმად 1876 წელს თბილისში ითვლებოდა 11 ათასი ხელოსანი. ათი წლის შემდეგ, 1887 წელს, ხელოსნების რიცხვი $5^1/_2$ ათასზე ჩამოვიდა. „რაც შეეხება თფილისის აღებმიცემობის სიდიდეს, ამაზე 1890 წლის ანგარიში გვეუბნება, რომ ხსენებულ წელს თფილისის მთელი აღებმიცემობა (весь оборот) 37.586.795 მანეთს შეადგენდა და ამასთანავე მოქმედობდა 2.866 სავაჭრო დაწესებულება. სულ სხვა სურათს წარმოადგენს ბაქო-ბათუმი, რომლებიც იზრდებიან ჩვენ თვალწინ ნამდვილი ამერიკული სიჩქარით... ჩვენ არ ვიცით რომელ მათგანს დავუთმოთ უპირატესობა... 1893 წელს ბათუმის მთელმა აღებმიცემობამ მიაღწია 33.983.500 მანეთამდე, მაშინ, როცა ქუთაისის მხოლოდ 4.511.000 მანეთს შეადგენდა. ამავე დროს მთელი ქუთაისის გუბერნიის აღებმიცემობა შეადგენდა 50.154.114 მანეთს“ („კვალი“, 1898 წ., № 4).

ავტორი ქალაქებისა და გუბერნიების მიხედვით ადგენს ფაბრიკა-ქარხნების მუშათა რაოდენობას. მხოლოდ ქ. თბილისის შესახებ მისი გამოანგარიშება არ შეიძლება ჩაითვალოს ზუსტ მონაცემად და არც თვით ავტორს მიაჩნია ეს ზუსტად[1], სათანადო ცნობების უქონლობის გამო. მაგალითად, თბილი-

---

[1] ავტორს ფაბრიკად ან ქარხნად მიაჩნია ყველა საწარმო, რომელიც ოფიციალურ ანგარიშებში მართლაც ფაბრიკებად და ქარხნებად იწოდება.

სის გუბერნიაში 90-იან წლებში, როგორც ავტორის გამოანგარიშებიდან ჩანს, ირიცხებოდა 1543 ფაბრიკა-ქარხანა. მუშათა რაოდენობა იყო 6 107. აქედან თითო ქარხანაზე მოდიოდა 4 კაცი.

ამიერკავკასიის მრეწველობის საერთო მიმოხილვის შემდეგ ავტორი აკეთებს ასეთ დასკვნას: „ერთი მხრით კოლოსალური ზრდა აღებმიცემობისა, მეორე მხრით ყოველი ფეხის ნაბიჯზე მსხვილი წარმოების გამარჯვება წვრილ წარმოებაზე — ასეთია ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეკონომიური მიმართულება. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა საქმის ვითარებისა. ამის მეორე მხარეს, ბევრად უფრო საინტერესოს, ე. ი. იმას თუ კაპიტალისტური წარმოების პირობებმა როგორ დაჰყვეს ძველი პატრიარქალური — წოდებრივი საზოგადოება და უმეტესად თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენში მუშათა ხალხი, რომლის მარჯვენამ შექმნა ეს ვეებერთელა კაპიტალისტური სიმდიდრე, — ვიმეორებ ყოველსავე ამას ჩვენ ამ წერილში არ შევხებივართ. იმედი გვაქვს რომ მომაკალში დავუბრუნდეთ ამ საინტერესო საკითხს“ („კვალი“ № 4).

ეს განზრახვა ფ. მახარაძეს გაზეთ „კვალში“ შეუსრულებელი დარჩა, შესაძლებელია იმიტომ, რომ მალე მთელი არსებით ჩაება მუშათა რევოლუციური მოძრაობის არალეგალური ორგანიზაციების მშენებლობაში, როგორც თვალსაჩინო სელმძღვანელი რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატი, ან შესაძლებელია იმის გამოც, რომ ლეგალური გაზეთი მუშათა ცხოვრების შესახებ წერილების გამოსაქვეყნებლად პუბლიცისტმა დამაკმაყოფილებლად არ ჩათვალა.

მუშათა აზვირთებულმა მოძრაობამ ამიერკავკასიაში 1898—1903 წლებში „კვალის“ ყურადღების გარეშე ჩაიარა. ის მხოლოდ რამდენიმე ცნობას იძლევა მუშათა გაფიცვის შესახებ, ისე როგორც ამას ოფიციოზი „კავკაზი“ ასრულებდა.

1898 წლის 14 დეკემბერს გაიფიცნენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშები. გაფიცვამ ფეხზე დააყენა კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების ორგანოები, თბილისის ვაგზლის რაიონში სამხედრო წესები გამოცხადდა. გაფიცვამ გასტანა ერთ კვირას და მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

ამ გაფიცვის შესახებ „კვალმა“ თავის ფურცლებზე მოათავსა ქრონიკა, რომელიც ზომით დიდად არ განსხვავდებოდა მის მომდევნო ქრონიკისაგან. ეს უკანასკნელი შეეხება სასამართლოში აღძრულ ვექილ პლიუშევსკისა და თავად კ. მუხრან-ბატონის დავას.

მოვიტანთ ორივე ქრონიკას: „14 ამ თვეს, რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშებმა, რიცხვით 4000-მდე ხელი აიღეს სამუშაოზე და ერთი კვირა არ უმუშავნიათ. მიზეზი მუშაობის შეჩერებისა იყო რკინიგზის სამმართველოს ცირკულიარი (№ 46), რომლის ძალით მომავალში წლის პირველი იანვრიდან მოსამსახურეთა დაჯილდოების ძველი წესები უქმდება და მის ალაგას ახალი მყარდება. ამის ძალით ისპობა ავათმყოფ მოსამსახურეთა მუქთი წამლობა, უმცირდებათ ფულით შემწეობა, ეძლევათ ნაცვლათ ექვსი მუქთი ბილეთისა მხოლოდ ორი და სხვ. და სხვ. აი, ამ გარემოებამ უკმაყოფილება დაბადა საზოგადოდ რკინიგზის ყველა მომსახურეთა შორის, განსაკუთრებით კი მუშებში და ის იყო მუშაობა შეწყვიტეს. 21 ამ თვეს მუშაობა ხელახლა დაიწყეს. ამ საქმეს გამომძიებლათ პეტერბურგიდან გზათა სამინისტროს მოხელეა გამოგზავნილი.

მკითხველს ეხსომება, რომ ვექილმა პლიუშევსკიმ თავ. მუხრან-ბატონს სასამართლოში უჩივლა ასი ათასი მანეთი მართებს ჩემიო და თანაც მამის ხელმოწერილი თამასუქი წარუდგინა. თ. მუხრან-ბატონმა ეს თამასუქი და ხელწერილი ყალბად იცნო. ამის გამო პლიუშევსკიმ დაჭრა მუხრან-ბატონი და თვითონაც თავი მოიკლა. ხოლო ეს ყალბად აღიარებული ქაღალდი გაგზავნეს პეტერბურგში ექსპერტებთან გასასინჯად. ექსპერტებს ქაღალდი გაუსინჯავთ და დაუდგენიათ: ხელნაწერს არავითარი სიყალბე არ ეტყობაო“ („კვალი“, 1898 წ. № 52).

მაშასადამე, გაზეთი მოაგონებს თავის მკითხველს ვექილ პლიუშევსკისა და თავად მუხრან-ბატონის შესახებ იმას, რასაც ის ადრე წერდა და ახლა საჭიროდ დაუნახავს აცნობოს მკითხველს, თუ რით დაბოლოვდა ამ „პატიოსან გვამთა“ შორის დავა. ხოლო ისეთი დიდი კონფლიქტის შესახებ, როგორიც იყო რკინიგზის სახელოსნოების და დეპოს მუშათა

გაფიცვა ბეფის მთავრობის წინააღმდეგ. რამაც გასტანა მთელი 7 — 8 დღე 2000 მუშის მონაწილეობით, როცა კაზაკები ჯეგავდნენ მუშებს და კარ-ფანჯრებს უმსხვრევდნენ მათ, — „კვალი“ არაფერს ამბობს.

მუშათა დეკემბრის გაფიცვის შესახებ ქრონიკას ზომით ორჯერ აღემატება ქრონიკა თბილისის სამეურნეო საზოგადოების ცხოვრებიდან. იგი გაზეთში წინ უძღვის დეკემბრის გაფიცვის ამბებს.

კიდევ უფრო მშრალი ქრონიკით დაკმაყოფილდა „კვალი“ რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშების 1900 წლის აგვისტოს გრანდიოზული გაფიცვის შესახებ.

6 აგვისტოს, 1900 წელს, როცა თბილისის მუშათა გაფიცვა უმაღლეს წერტილს აღწევს, საყოველთაო ხასიათს იღებს და თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხანაში შეწყვეტილია მუშაობა, როცა მთელ ქალაქში სამხედრო წესებია გამოცხადებული და პოლიცია-ჟანდარმერია კაზაკთა ცხენოსანი ასეულებით უტევს ათასეულ უიარაღო მუშებს, აწიოკებენ მათ ოჯახებს, „კვალი“ ამ დღეს „სხვადასხვა ამბებში“ ათავსებს უსულგულო ქრონიკას: „3 მარიამობის თვეს დიდუბის და ნაძალადევის გამოსაჩენ ადგილებზე გაკრული იყო ყველგან რკინიგზის უფროსის ვედენეევის შემდეგი ბრძანება: რკინიგზის ქარხნის ხელოსნებს და მუშებს უცხადებთ საერთოდ, რომ 4 რიცხვს, დილის 5½ დაიწყება ჩვეულებრივი მუშაობა ქარხნებში და გუდოკზე ვინც არ გამოცხადდება, ის ჩაითვლება დათხოვნილად და თავიანთი პასპორტების და ანგარიშის წასაღებად 6 რიცხვს მოვიდნენ, სადაც ახალი ლაზარეთია 8 საათიდან 12 საათამდე. ვისაც აქ არ მისცემენ პასპორტს და ანგარიშს, მათი ქაღალდები გადაეცემა პოლიციას, რათა მან მიიღოს ზომები — ან თავიანთ სამშობლოს მიწაზე გაისტუმროს იგინი და ან სხვა ღონისძიება მიიღოს“ („კვალი“, 1900 წ., № 20, გვ. 505).

აქედან კაცი ვერ გაიგებს თუ რა მოხდა. რატომ შეიქნა საჭირო ასეთი ზომები, რომ ვინც 4 აგვისტოს არ გამოცხადდებოდა, პოლიციას ისინი უნდა გადაესახლებინა თავიანთ სამშობლოში, ანდა, რამ გამოიწვია მუშაობის შეწყვეტა, როდის შეწყდა ის, რომ 4 აგვისტოს განახლებულიყო, ნუთუ

საჭირო არ იყო „კვალის“ რედაქციას მიეცა საჭირო ახსნა-განმარტება მკითხველისათვის?!

შეიძლება „კვალმა“ არაფერი იცოდა აგვისტოს გაფიცვის შესახებ? ეს ძნელი დასაჯერებელია. მაშინ ის ამ სახით არც მოათავსებდა ქრონიკას. „კვალის“ ცნობა ისეთია, რომ მას კარგად სცოდნია ამ გაფიცვის შესახებ და გათვალისწინებული ჰქონდა ისიც. რომ გაფიცვა ყველასათვის ცნობილი ყოფილიყო. თავისი ქრონიკით მან მხოლოდ პოპულარული გახადა ინჟინერ ვედენეევის განცხადება, რკინიგზის ადმინისტრაციას გაუწია სამსახური: ხედავთ? გამოსაჩენ ადგილზეა ადმინისტრაციის განცხადება გაკრული, რომ ყველამ ნახოს და გაიგოს სახელოსნოებში გამოცხადების დრო. ვინც ამას არ ნახავს, შემდეგ თავის თავს დააბრალოს თუ მას სამუშაოდან მოხსნიან და გადაასახლებენ ეტაპითო!

აი, „კვალის“ მთელი ზრუნვა და მის მიერ მიღებული „გამაფრთხილებელი ზომები“ მკითხველი საზოგადოებისა და მეტადრე გაფიცული მუშების მიმართ, რომლებიც. იმედია, ამით გაიგებდნენ ვედენეევის განცხადებას „გამოსაჩენ ადგილებზე გაკრულს“ და „კვალმაც“ ხომ ამცნო მათ ამ განცხადების შესახებ?!

„კვალმა“ გაიმეორა მუშებისათვის საზიზღარი, მათ მიერ ქოფაკად წოდებული ვედენეევის განცხადება. არც მეტი, არც ნაკლები. ასე გაიგო და შეაფასა მან აგვისტოს გაფიცვა, რომელიც ახალი ეტაპი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ასე გაიგო მან ის მოვლენა, რომელსაც უდიდეს რევოლუციურ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინური „ისკრა“ და რომლითაც აღინიშნა თბილისის პროლეტარიატის გმირული ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1901 წლის მაისობის, თბილისის პროლეტარიატის ამ დიდი და სისხლიანი დემონსტრაციის შესახებ „კვალმა“ გადმობეჭდა მხოლოდ მთავრობის ცნობა ოფიციოზ „კავკაზიდან“ ყოველგვარი დამატებისა და ახსნა-განმარტების გარეშე („კვალი“, 1901 წ., № 18).

ასევე „კავკაზიდან“ გადმოიღო „კვალმა“ ცნობა ბათუმში 1902 წლის 9 მარტს მომხდარი დემონსტრაციის მონაწილე

მუშათა დახვრეტის შესახებ და იგი მოათავსა „სხვადასხვა ამბების“ განყოფილებაში, სადაც მოთავსებულია აგრეთვე „ჩერნომორსკი ვესტნიკიდან“ გადმობეჭდილი „საკალდებულო დადგენილება საზოგადოებრივი წესიერების დარღვევის თავიდან ასაცილებლად საგუბერნიო დებულების მე-421 მუხლის თანახმად“, რომელსაც ხელს აწერს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი სმაგინი.

აი, რას იტყობინება „კვალი“: „კავკაზს“ წერენ ბათუმიდან: 4 მარტს, როტშილდის ქარხნის მუშებმა მუშაობა შეწყვიტეს, რადგანაც უარი უთხრეს იმათ ზოგიერთი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ზ ე, რ ო მ ე ლ ს ა ც ა რ ა ვ ი თ ა რ ი კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი ა რ ჰ ქ ო ნ დ ა (ხაზი ჩვენია — ა. კ.). ამის გამო ქარხანა დაიხურა. შემდეგ 8 მარტს, ამ ქარხნის სამას მუშამდე შეგროვდა ბათუმის პოლიციის სამმართველოსთან და მოთხოვა პოლიციას გაეთავისუფლებიათ ის დაჭერილი მუშები, რომლებიც მეთაურობდნენ 4 მარტს ქარხანაში მუშაობის შეწყვეტას. როდესაც ადმინისტრაციამ უბრძანა მუშებს. წასულიყვნენ. ამ უკანასკნელთ უარი განაცხადეს, რის გამოც ყველა ისინი საპატიმროში გაგზავნეს.

მეორე დღეს, 9 მარტს. ქუჩაში თავმოყრილ ხალხს უნდოდა გაეთავისუფლებია დაჭერილები; არავითარ თხოვნა-დარიგებას ყური არ ათხოვეს, რომ იმ ალაგს გაშორებოდნენ და მიცვივდნენ ადგილობრივ გარნიზონის სალდათების როტას. რომელიც ამ შენობასთან იდგა უწესოების ასაცილებლად. საშინელი ქვის სროლა აუტეხა სალდათებს ხალხმა და ზოგიერთმა რევოლვერებიც დაცალეს. სალდათები იძულებული შეიქნენ სროლა დაეწყოთ ხალხისათვის. ჯარისკაცებიდან დაჭრილია ერთი, ხოლო ხალხითგან მოკლულია ცამეტი“ („კვალი“. 1902 წ., № 17, გვ. 192).

კითხულობ ყოველივე ამას და თვალს არ უჯერი. ნუთუ მესამე დასელების — ქართველი სოციალ-დემოკრატების ორგანოს შეეძლო მოეთავსებინა თავის ფურცლებზე მეფის მთავრობის აგენტურის პროვოკაციული განცხადება ბათუმში მომხდარი 9 მარტის ამბების შესახებ და ამით დაკმაყოფილებულიყო?

„კვალი“ ადასტურებს, რომ გაფიცულ მუშათა მოთხოვნანი უსაფუძვლო იყო — „არავითარი კანონიერი საფუძველი არ ჰქონდა“ ამ მოთხოვნებს.

რაღა უნდა ვთქვათ იმის შესახებ, რომ მუშათა დემონსტრაცია. რომელშიც 7000 კაცი მონაწილეობდა და რომელიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკურ გამოსვლას წარმოადგენდა, „კვალმა“ უწესოებად ჩათვალა, წესიერების დაცვა უწოდა ჯარების გამოყვანას და დემონსტრანტებისათვის ტყვიის დაშენას.

შესაძლებელია დავუშვათ, რომ „კვალი“ აქ არაფერ შუაშია, რადგან მან გადმობეჭდა „კავკაზის“ კორესპონდენცია. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამით მან ხელი შეუწყო მეფის მთავრობის ორგანოს მიერ შეთითხნილ კორესპონდენციას, გავრცელებულიყო იგი, როგორც ბრალდება მუშების მიმართ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „კვალის“ პუბლიცისტიკას. როგორც დავინახეთ, ფილიპე მახარაძემ „კვალში“ წამოაყენა ყველაზე აქტუალური საკითხი — შესწავლილი ყოფილიყო საქართველოს მუშათა კლასი, მისი საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები. მაგრამ „კვალს“ განუხორციელებელი დარჩა ეს მეტად დროული და სერიოზული განზრახვა. გარდა კორესპონდენციებისა მუშათა ცხოვრებიდან, მას თითქმის არაფერი მოუცია მუშათა საკითხზე. ფ. მახარაძის წერილების გვერდით, რომელიც შეეხებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ვაჭრობა-აღებმიცემობას და მრეწველობას, „კვალში“ უმთავრესი ყურადღება ექცევა ეროვნულ საკითხს, ეროვნული ცხოვრების მატერიალურ საფუძვლებს, რომელიც იმავე დროს საქართველოს კაპიტალისტური განვითარების დასაბუთებაა.

1898 წლიდან და შემდეგშიც, 1898—1903 წლებში, მეთაურ წერილებში (მათი უმეტესობა ეკუთვნის ნ. ჟორდანიას) „კვალი“ ახალს არაფერს იძლევა. ეს წერილები უტრიალებს ასეთ საკითხებს: ეკონომიური დაწინაურება, საქალაქო ცხოვრების გაძლიერება, დაბალი ხალხის გათვითცნობიერება, ეროვნული შეგნების განმტკიცება.

ამრიგად, „კვალისათვის“ უცხო არ იყო ბურჟუაზიულ-დე-

მოკრატიული მიმართულება. 1901 წლის „კვალის“ მესამე ნომერში დაბეჭდილია მეთაური — „ინგლისი ვიქტორიას მეფობაში“. ამ წერილში ის აზრია გატარებული, რომ თურმე შესანიშნავად შეიძლება მეფის უფლებისა და დემოკრატიულ სამოქალაქო უფლებათა შეთავსება. „63 წლის (მეფობის) განმავლობაში, — ამბობს ავტორი, — დედოფალს თავისი ძალა არ უხმარია და ხალხის სურვილის წინააღმდეგ არ წასულა“. მაშასადამე, მეფობას ინგლისში სრული საფუძველი ჰქონია. ამავე დროს, აღნიშნავს ავტორი, ინგლისში ბევრი მთავრობა გამოიცვალა: „იყო სამინისტრო კონსერვატიული, ლიბერალური, რადიკალური და სხვ.“ მაშასადამე, მთელი ძალა ხელისუფლებისა ერთიმეორეზე ამ მთავრობათა ხელში იყო, მით უმეტეს, რომ „არც ერთ შემთხვევაში დედოფალს თავისი ძალა არ უხმარია“.

რომელიც არ უნდა ავიღოთ ამ მთავრობათაგან, კონსერვატორი მინისტრების მთავრობა იქნება ის თუ ლიბერალებისა, არც ერთი მათგანი ხალხის სურვილების გამომხატველი არ ყოფილა. თვითეული ამ მთავრობის ხელისუფლების დროს შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მათ უფლებაზე და მეფის დამოკიდებულებაზე მათთან და არა ხალხის ნებასურვილებზე და მის უფლებაზე. სხვა არის ხალხის უფლება, მისი ნება-სურვილები და სხვა კონსერვატორი მინისტრებისა და მეფის უფლება, ნება-სურვილები.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სტატიაში წმინდაწყლის ბურჟუაზიულ კონცეფციასთან გვაქვს საქმე, რომლის ნათელსაყოფად მოვიყვანთ აღნიშნული წერილის დასკვნით ნაწილს: „ამნაირად ვიქტორიას მეფობაში ინგლისი გამძლავრდა ყოველმხრივ, ეკონომიურათ, ფინანსიურათ, პოლიტიკურათ, სოციალურათ და სხვ. ასეთ შინაგან გაძლიერებას თან მოჰყვა გარეგანი გაძლიერებაც. სივრცე ინგლისის სამფლობელოსი ერთი ორათ და ერთი სამათ გაფართოვდა; ამასთანავე ის გაბატონდა ზღვებზე და უძლიერესი საომარი ხომალდები შეიძინა. ერთი სიტყვით: უკანასკნელი 60 წელს ინგლისის შინაგანი და გარეგანი განვითარება უმაღლეს წერტილამდე მივიდა. და აი, ვის მფარველობის ქვეშაც ყოველივე ეს მოხდა, იგი დღეს აღარ არის! დ ე დ ო ფ ლ ი ს გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა ს

ღრმათ იგლოვს მთელი იხგლისი და ეს იქ-ნება ნამდვილი გლოვა ხალხისა“ (ხაზი ჩვენია, ა. კ.).

ნუთუ „კვალმა“, ამ დროს უკვე სოციალ-დემოკრატების გაზეთმა, არ იცოდა, რომ კაპიტალისტური ინგლისის ძლიერება, რომელიც გამოიხატება ტერიტორიების, ახალი ბაზრების დაპყრობაში და ზღვებსა და ოკეანეებზე გაბატონებაში, არ არის მუშათა კლასისა და გლეხობის ძლიერება და მისი კეთილდღეობა?

ერთი რამ კი ცხადია, სახელდობრ, ის, რომ „კვალს“ სწამს მეფე-კონსერვატორი მინისტრებისა და ხალხის ერთიანობა, იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის საერთო ინტერესი. მათი ერთობა.

ამ ერთობას, „კვალის“ კონცეფციით, განამტკიცებს ქრისტეს მოძღვრება. „აღდგომა იესოსი არის არა მარტო აღდგომა მისი მოძღვრებისა, არამედ დამარცხებაც მოღალატეობისა და ძალმომრეობისა. სინათლემ მაინც სძლია სიბნელეს. იესომ ბოლოს მაინც დათრგუნა იუდა და სწორედ ამას ვდღესასწაულობთ ჩვენ დღეს“. ამას წერს „კვალი“ თავის მეთაურ წერილში — „იუდა“ -- 1901 წელს, 1 აპრილს. წერილში გადმოცემულია ქრისტეს მოვლენა ცხრამეტი საუკუნის წინათ, როგორც ხმა სასოებისა და იმედის „მაშინდელ ხალხთა საერთო დაცემაში, ბატონების საერთო გათახსირებაში და ყმათა დაბეჩავებაში“ („კვალი“, 1901 წ., № 14). მეთაური აღწერს ქრისტეს წასვლას გეთსამენიის ბაღში, სადაც ის ფარისევლებსა და მღვდელმთავრებს შეაპყრობინა იუდა ისკარიოტელმა. „კვალის“ სიტყვებით, ქრისტე აწამეს ბნელეთის მოციქულებმა. მაგრამ „სინათლემ მაინც სძლია სიბნელეს“ და ქრისტე აღდგა, რომ მას განებრწყინებინა კაცობრიობა.

ამას ასწავლის ნ. ჟორდანიასი და მისი მსგავსი სოციალ-დემოკრატების ორგანო საქართველოს მუშათა კლასს, 1901 წლის აპრილში, როცა ქრისტეს მოძღვრებაზე დამყარებული ოლითმპყრობელობის დასამხობად აღდგა მუშათა კლასი და ქართველი რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით თბილისის პროლეტარიატმა კიდევაც შეუტია ოლითმპყრობელობის ბურჯებს. საპირველმაისო დემონსტრა-

ციაზე, 1901 წელს, შუაგულ ქალაქში მან აღმართა სოციალიზმისა და დემოკრატიის დროშა.

ლენინური „ისკრა“ 1901 წელს თბილისში მომხდარ მეგშ.-თა გამოსვლებზე წერდა: „ის ამბავი, რაც თბილისში მოხდა 1901 წელს, კვირას, 22 აპრილს, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის. ამ დროიდან კავკასიაში იწყება აშკარა პოლიტიკური მოძრაობა. უკვე სამი წელია, რაც თბილისის შეგნებული მუშები დაადგნენ ამ გზას“ („ისკრა“, 1901 წ., № 6).

ეს იყო გზა რევოლუციური. რომლისათვის უცხო იყო „კვალის“ მეთაური წერილები. გასაგებია, რომ „კვალის“ ღაღადი ქრისტეს აღდგომის სადღესასწაულო მნიშვნელობის შესახებ, მისი მოწოდება, რომ აღდგომა გამხდარიყო ხალხის დროშად, იყო ფრიად დროგადასული. უნიადაგო მოწოდება.

ხალხს, მუშათა კლასს, რომელსაც „კვალი“ თავის თავს აკუთვნებდა, უკვე ხელში ეჭირა სხვა დროშა — დროშა დემოკრატიისა და სოციალიზმისა.

„კვალი“ 1899 წელსაც განაგრძობს ზოგადდემოკრატიულ გზას. მაგრამ მის პუბლიცისტიკაში როგორც წინა წლებში, ისე ახლაც ვხვდებით საფუძვლიან წერილებს საზოგადოებრივ-ეკონომიურ საკითხებზე. სადაც მოცემულია ცდა მარქსისტული მოძღვრების საფუძველზე აიხსნას ეს საკითხები. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ალ. წულუკიძის წერილები — „ოცნება და სინამდვილე“. „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან“ („კვალი“, 1899 წ., №№ 42, 43, 46, 48). პირველ წერილში ავტორი ეხება ანტაგონისტური საზოგადოების განვითარების საკითხებს და „ეროვნ საკუთრებ-ს, ე. ი. კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის დროიდან სოციალური განვითარების, მთელი პროგრესის პირობად მას ანტაგონიზმი, გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლა მიაჩნია.

რაც წინ მიდის კაცობრიობა პროგრესის გზაზე, მით უფრო დიდი უფსკრული ჩნდება საზოგადოების შიგნით მქონებელთა და უქონელთა შორის. „ერთი მხრით სიმდიდრე და განებრომა, მეორე მხრით სიღატაკე და სიბეჩავე“. რა მოსპობს ამ უთანასწორობას? აი უმთავრესი კითხვა, ავტორის აზრით, რომე-

ლიც ისტორიამ დაუყენა კაცობრიობას. ყოველგვარი ცდა გინეკურნათ კაცობრიობა „ამ სენისაგან“ — გაღატაკების უმაგალითო ზრდისაგან, ფუჭი ოცნება გამოდგა.

ასე, რომ საზოგადოების კეთილდღეობისათვის ჭეშმარიტად მებრძოლთა სურვილები სხვა არის და ობიექტური სინამდვილე კიდევ სხვა. ეს სინამდვილე კიდევ უფრო „ანცვიფრებდა კაცობრიობის მეგობრებს — მოაზრეებს. კიდევ მეტს წერენ და ლაპარაკობენ; რეცეპტები ათასობით გამოდის, მხოლოდ სნეული უფრო ავადდება ამ წამლებით“. ერთ-ერთ „ჟურნალად“ ავტორს დასახელებული ჰყავს ცნობილი მალთუსი, რომელიც აღნიშნავდა, რომ ხალხი უფრო მეტად მრავლდება, ვიდრე მისი საკვები პროდუქტებიო. ამიტომ ის იძლეოდა გაფრთხილებას, ნება არ დაერთოთ ღარიბებისათვის ცოლის შერთვისა, ხოლო ვისაც შერთული ჰყავდა, სხვადასხვა საშუალებით მოესპოთ შთამომავლობის შექმნის შესაძლებლობა, „ეს წამალი, — ამბობს ალ. წულუკიძე, — გამოუდეგარი შეიქმნა, რადგან მიზეზი გამრავლება არ ყოფილა... მას მერმე ხალხი გამრავლდა, კიდევ მეტად საზრდო ტკბილეულობაც. მხოლოდ ეს უმცირესობის ხელში მოგროვდა და მით წინანდელი მდგომარეობა ვერ შეიცვალა. რობერტ მალტუსი მეცნიერი იყო, მხოლოდ მისი მოძღვრება — ოცნება, სინამდვილეს დაშორებული“ („კვალი“, 1899 წ., № 42, გვ. 718).

შემდეგ ავტორი გადადის მეორე რობერტზე. ეს არის რობერტ ოუენი, რომელსაც მიაჩნდა, რომ მთელი უბედურება თითქოს მრეწველებსა და მუშებს შორის შეუთანხმებლობიდან წარმოდგება. ოუენი ოცნებობდა, რომ ყოველი მუშა იმავე დროს ყოფილიყო მრეწველი. მან მთელი თავისი ქონება მოახმარა ისეთი წარმოების შექმნას, სადაც განსხვავებას მრეწველებსა და მუშებს შორის აღარ ექნებოდა ადგილი. მაგრამ მისმა ღონისძიებებმა ფეხზე დააყენა მხოლოდ რამდენიმე გაჭირვებული და სრულიად უმწეო გამოდგა არსებული ეკონომიური ურთიერთობის შესაცვლელად. ოუენისდაგვარად ოცნებად დარჩა პროექტები ისეთ დიდბუნებოვან ადამიანთა, როგორიც იყვნენ სენ-სიმონი, ფურიე და სხვ.

მხოლოდ ეკონომიური ურთიერთობის ძირითად შეცვლას შეუძლია, ავტორის აზრით, ბოლო მოუღოს საზოგადოებრივ

უსწორმასწორობას, ერთის მეორეზე ბატონობას და სხვ. ალ. წულუკიძე სვამს კითხვას — „როგორ დახვდნენ ჩვენებური პუბლიცისტები ამ შემოპარებულ სენს, როგორი ექიმები გამოდგნენ? რა წამალი მიაწოდეს? — არავითარი, — პასუხობს ის. — ფიქრობდნენ, რომ ჩვენში ეს სენი ვერ შემოვაო, მთავარია ეროვნული კულტურა ავწიოთ მაღლა, გავაჩაღოთ ფაბრიკა-ქარხნები, გავაორკეცოთ შრომის ნაყოფიერება და დაცული ვიქნებით ამ გადამდებ ავადმყოფობისაგანო. „ასე ღაღადებდნენ“ „ნაფიცი“ პუბლიცისტები; ამნაირად ესმით მათ საზოგადოებრივი განვითარების ისტორია და რა გასაკვირველია, რომ მათ ეუცხოვათ ყოველი ახალი აზრი“ („კვალი“, 1899, № 42, გვ. 718).

ავტორს მხედველობაში ჰყავს „ივერია“-„მოამბის“ პუბლიცისტები და მაოი შებრძოლება მარქსიზმთან.

როგორც მარქსისტი პუბლიცისტი ალ. წულუკიძე შენიშნავს: „მათ (ე. ი. „ივერია“-„მოამბის“ პუბლიცისტებმა, ა. კ.) არ იციან, რომ დღევანდელი წარმოების თანშობილია ყოველივე ის, რაც მათ აშინებს და ვერ ამჩნევენ მათ შორის განუშორებელ კავშირს“ (იქვე). ამგვარად, გონებრივ სიდიადესთან ერთად ცივილიზაციას სჩვევია გამოიჩინოს საზიზღარი ზნეობრივი თვისებები, რომლის მოშლა რჩევას და დარიგებას არ შეუძლია და, რომელიც შეიცვლება მთელი ეკონომიური და სოციალური წყობის შეცვლასთან ერთად. ასეთია ავტორის დასკვნა·

„ყოველი საზოგადოებრივი განწყობილება, — წერს ალ. წულუკიძე. — დამოკიდებულია განსაზღვრულ ეკონომიურ ცხოვრებაზე“ („ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან“. „კვალი“, 1899 წ., № 46. გვ. 781). ახალგაზრდა პუბლიცისტს საჭიროდ მიაჩნია შეეხოს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის საკითხებს. აჩვენოს ქართველ საზოგადოებას. რომ საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების საკითხები ვერ ახსნა სწორად თვით კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ. რაღა უნდა ითქვას „ივერია“-„მოამბის“ პუბლიცისტებზე, რომლებიც, ავტორის სიტყვით, რჩევა-დარიგებებს მიმართავენ და ვერ ითვალისწინებენ იმას, რომ ეკონომიური ცხოვრების განვითარების კანონები ამსხვრევენ მათ ნება-სურვილებს საზოგადოების, ხალხის კეთილდღეობისათვის.

პუბლიცისტის მიზანია დაუმტკიცოს ქართველ საზოგადოებას, რომ მხოლოდ მეცნიერული სოციალიზმის თეორია — მარქსიზმი ხსნის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების საკითხებს მთელი სინამდვილით და ეს თეორია უნდა გახდეს დასაყრდენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის ძალებისა და კანონების შესაგნებად.

წერილში — „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან" — ალ. წულუკიძე უპირველესად ეხება პოლიტიკური ეკონომიის ფიზიოკრატების სკოლას.

„ფიზიოკრატებმა, — ამბობდა ავტორი, — ყველაზე უწინ შეიგნეს ის ჭეშმარიტება, რომ ვაჭრობას არ შეუძლია ახალი ღირებულების შექმნა. საქონელი სანამ ბაზარში გატანილა, გასასყიდად დამზადებულა. მანამდი აქვს შეძენილი ახალი ღირებულება. სწორედ იმ დროს, როდესაც თვით წარმოების პროცესი ხდება. საქონელი კეთდება" („კვალი", 1899 წ. № 46, გვ. 798). ის, რასაც ალ. წულუკიძე ახალ ღირებულებას უწოდებს, არის ზედმეტი ღირებულება.

გამოდის, რომ ფიზიოკრატებს ზედმეტი ღირებულება აღმოუჩენიათ. დიახ, ფიზიოკრატები მართლაც იკვლევდნენ ღირებულების ზრდის, ანუ ზედმეტი ღირებულების საკითხებს. მაგრამ ისინი კაპიტალის წარმოებას ხედავდნენ მხოლოდ მიწათმოქმედებაში და ზედმეტი ღირებულების წყაროს ეძებდნენ არა საზოგადოებრივ ურთიერთობაში. არამედ ბუნებაში. ფიზიოკრატები კაპიტალის ანალიზს იძლეოდნენ მიწათმოქმედების, როგორც ძირითადი წარმოების მაგალითზე და მრეწველობა კი პროდუქტის უბრალოდ სახის შეცვლად მიაჩნდათ.

ვერც ფიზიოკრატები და ვერც სხვა რომელიმე ეკონომიური სკოლა მარქსამდე ვერ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ახსნილიყო, თუ რაში მდგომარეობს ღირებულების ზრდის პროცესი და, მაშასადამე, საიდან წარმოდგება ზედმეტი ღირებულება. რიკარდო და ადამ სმიტი ამტკიცებდნენ, რომ ღირებულების საზომია შრომა. რაც ღირს ის შრომა, რომელიც დახარჯულია საქონლის შესაქმნელად, იმდენივე უნდა ღირდეს საქონელი. წარმოებაში, ე. ი. შრომის პროცესში იქმნება არა საქონელი, არამედ პროდუქტი. ე. ი. შრომა ქმნის პროდუქტს,

რომელიც, როგორც კი ბაზარზე გადის, იქცევა საქონლად. საქონელი ამ შემთხვევაში პროდუქტისაგან არაფრით განსხვავდება, გარდა იმისა, რომ მისი გაცვლა, ანუ გაყიდვა შეიძლება.

ამრიგად, პროდუქტი შეიძლება უშუალოდ მოიხმაროს ადამიანმა და ამ შემთხვევაში მას აქვს სახმარი ღირებულება. შეიძლება იგივე პროდუქტი ბაზარზე იქნეს გატანილი, რათა გაიცვალოს, ამრიგად იქცეს საქონლად, რომ იგი სხვამ მოიხმაროს. მაშასადამე, საქონელი იგივე პროდუქტია, რომელსაც მოსახმარი დანიშნულება, ღირებულება აქვს, ხოლო საქონელს ამასთანავე აქვს გასაცვლელი დანიშნულება, საცვლელი ღირებულება. აი იქ, სადაც პროდუქტი საქონლად იქცევა, მარქსამდელი ეკონომისტები იტყოდნენ, ღირებულება იზრდებაო. ღირებულების ზრდა, მათი სიტყვით, პროდუქტის საქონლად ქცევასთან იყო დაკავშირებული. ღირებულების ზრდა შეადგენს საქონლის თვისებას. თუმცა საქონლის ღირებულების საზომად მათ შრომა მიაჩნდათ, რაც ღირდა შრომა, ის უნდა ღირებულიყო ამ შრომით შექმნილი საქონელიც, არც მეტი, არც ნაკლები.

მართალია, ინგლისურმა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ახსნა ღირებულების კანონი, რომ საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასზე დახარჯული შრომით. რომ ვაჭრობა არ ქმნის და არც ზრდის ღირებულებას. მაგრამ კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ვერ ახსნა ღირებულების ზრდის პროცესი და ეს ზრდა მან საქონლის თვისებას მიაწერა.

მხოლოდ მარქსმა აღმოაჩინა ღირებულების ზრდის, ანუ ზედმეტი ღირებულების კანონი. მან აღმოაჩინა, რომ შრომის პროცესი, რომელიც სამუშაო ძალის მოხმარების პროცესია, იმავე დროს არის საქონლის წარმოების პროცესი. ე. ი. ღირებულების ზრდის პროცესი. თუ ფიზიოკრატებმა შესძლეს უკვე, როგორც ალ. წულუკიძე ამბობს, შეეგნოთ ღირებულების ზრდის პროცესი საქონლის წარმოებაში, მაშასადამე, ადამ სმიტისა და რიკარდოს დროს პოლიტიკური ეკონომია უკან წასულა. მაგრამ ეს სწორი არ არის. მიუხედავად ამისა, ალ. წულუკიძე მაინც სწორი პოზიციებიდან აკრიტიკებს ადამ სმიტს.

საქონლის ღირებულება, აღნიშნავს ავტორი, პოლიტიკური ეკონომიის სისტემაში უმთავრეს კითხვას წარმოადგენს. ვნახოთ ახლა როგორ გაუსწორდა მას ადამ სმიტი: „ყოველი ნივთის ღირებულება, — მისი აზრით, — თუ პატრონს არ უნდა მოიხმაროს ეს ნივთი, არამედ სურს სხვა ნივთზე გასცვალოს, უთუოდ უდრის შრომის იმ რაოდენობას, რომელიც მას შეუძლია იყიდოს ამ ნივთით". მაგრამ სმიტმა ბოლომდე ვერ ვაატარა ეს ჭეშმარიტება, გადაცდა სწორ გზას და აღიარა, რომ ეს აზრი ჭეშმარიტი იყო მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოება დაყოფილი არ იყო კაპიტალისტებად, მუშებად, მიწათმფლობელებად, ფერმერებად, არამედ წარმოადგენდა თანასწორ მთელს და მისი წევრები, როგორც საქონლის უბრალო მწარმოებლები, მხოლოდ უცვლიდნენ ერთმანეთს საქონელს. დღეს კი საქონლის ღირებულება უდრის შრომის ხელფასს. წმინდა შემოსავალს და რენტას ერთად შეერთებულს... სმიტმა ვერ ახსნა, ვერ გამოარკვია ღირებულების ნამდვილი წყარო, შრომას სწორედ ის ნაწილები დაურთო, რომლებიც თვით შრომისაგან წარმოიშობიან და ზედმეტი ღირებულებით შექმნილი სიმდიდრის მხოლოდ სხვადასხვა ფორმას წარმოადგენენ" („ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან", „კვალი", 1899 წ., № 48, გვ. 814 — 815).

აქედან კარგად ჩანს ალ. წულუკიძის ღრმა ცოდნა ეკონომიური მეცნიერებისა. „კვალის" 1903 წლის ოცდამერვე ნომრიდან ალ. წულუკიძე უკვე მარქსის „კაპიტალის" გადმოცემას შესდგომია. პირველ წერილში („კვალი", 1903 წ., № 28, 29) ის უკვე „საქონელს" არჩევს. მარქსის „კაპიტალზე" წერილებს მაშინ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი მკითხველისათვის. მეტადრე მუშათა მოძრაობის იმ ეტაპზე, როცა მოახლოებული სახალხო რევოლუცია მუშათა კლასს წინ უყენებდა რევოლუციის მესაჭეობის პერსპექტივებს. ალ. წულუკიძის ეს წერილები იბეჭდებოდა პარტიის II ყრილობის შემდეგ, როცა მარქსისტული პარტია განსაკუთრებით საჭიროებდა მუშებში მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრების პოპულარიზაციას.

ალ. წულუკიძე სწორედ მუშებისათვის გასაგები ენით გადმოსცემდა „პოლიტიკური ეკონომიის ნაწყვეტების" სახელ-

წოდების ქვეშ — „საქონელს“, „კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების წყაროს“, „სამუშაო დღეს“, „კოოპერაციას“, „შრომის განაწილებას და მანუფაქტურას“, „მანქანას“.

პოპულარულად ასაბუთებს რა საქონლის რაობას, ალ. წულუკიძე წერს: „ყოველს ნივთს, რომელიც მოსახმარად გამოდგება, აქვს სახმარი ღირებულება; ასეთი მოსახმარი ნივთი, რომელიც გასაცვლელად მზადდება, არის საქონელი: ამიტომ, ყოველ საქონელს აქვს საცვლელი ღირებულება. საცვლელი ღირებულების წყარო არის ადამიანის შრომა, ღირებულება განიზომება ამ შრომის რაოდენობით“ („კვალი“, 1903 წ., № 28, გვ. 458).

ალ. წულუკიძის ნარკვევში საქონლის გაცვლისა და ფულის შესახებ იშვიათი სიმარტივით და სიზუსტით არის ახსნილი ღირებულების მარტივი ფორმა, ფულის ტრიალის ბრსი, კრედიტისა და ბანკების მნიშვნელობა, სახელმწიფო ვალუტის საფუძვლები, ოქროს ფულისა და ასიგნაციების შეფარდება, მიზეზი ფულის კურსის დაცემისა და სხვა („კვალი“, № 29).

განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის მიერ კაპიტალის ახსნა. ის ამბობს, რომ ფულის ფულზე გაცვლა თანამედროვე წარმოების დედაძარღვია და მხოლოდ ამ გაცვლით წარმოდგება კაპიტალი. მაგრამ უაზრობა იქნებოდა, ავტორის სიტყვით, რომ ამ გაცვლაში ერთი და იგივე ღირებულება მეორდებოდეს უცვლელად, ეს ხომ ბავშვების თამაშობა გამოვიდოდა? მაგრამ წარმოიდგინეთ მდგომარეობა — ფულის ფულზე გაცვლას აწარმოებს ერთმანეთში ევროპა. აზია. ამერიკა. ნუთუ ეს ქვეყნები, მხოლოდ თამაშობენ? „მაგრამ მაგარიც ეს არის, — ამბობს ავტორი — რომ აქ არც წინააღმდეგობაა და არც უაზრობა. არ არის იმიტომ, რომ ას მანეთად ნაყიდი მატყლი მექარხნემ ასოც მანეთად გაასაღა, როცა ახალ საქონლად შალი აქცია, ე. ი. დახარჯულ ფულს ბოლოს ფული მოემატა. ჩვენი ფორმულა რომ ვიხმაროთ და მომატებულ ფულს (ანი) დავარქვათ, მივიღებთ შემდეგს: ფ-ს-ფ+ა (ფული — საქონელი და ისევ წინანდელი ფული ახალი ფულის დამატებით). პირველის საცვლელ ღირებულებას ღირებულება მიემატა. ამას ქვია ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა. ამნაირად, პირვანდელი ღირებულება არა თუ მარტო შეინახება, გაიზრ-

დება, რაოდენობით გამოიცვლება, აი სწორედ ეს წარმოშობს კაპიტალს" („კვალი", 1903 წ., № 30, გვ. 488).

შემდეგ ავტორი ხსნის თუ საიდან წარმოდგება კაპიტალი და იშვიათი ოსტატობით ამტკიცებს, რომ კაპიტალს ვაჭრობა კი არ წარმოშობს, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, არამედ ზედმეტი ღირებულება, რომელიც წარმოებაში, შრომის პროცესში იქმნება სამუშაო ძალის, როგორც საქონლის წარმოებით, ანუ მოხმარებით.

ბატონყმობის დროს სამუშაო ძალა მიკრული იყო მემამულეზე და მას — ყმას სხვაგან წასვლა არ შეეძლო. ამიტომ ამ ძალის ბაზარიც არ მოიპოვებოდა. ადამიანის თავისუფლებამ გააჩინა, ავტორის აზრით, ეს ბაზარი, სადაც სამუშაო ძალა იყიდება. როგორც საქონელი. „რით განიზომება მისი ღირებულება? ისევე, როგორც სხვა საქონლის, მით, რითაც სხვა საქონლის ღირებულება განიზომება: იმ სამუშაოს დროით, რომელიც საჭიროა სამუშაო ძალის აღსადგენად, გასაკეთებლად. მუშისათვის საჭიროა სურსათი, სამუშაო ძალის შესანახათ, აღსადგენად. სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა ესაჭიროება, ამიტომ მისი ღირებულება უდ/ ის იმ „პურს არსობისას", რომელიც საჭიროა ამ ძალის პატრონის შესანახათ. საცხოვრებლად".

შემდეგ ავტორი განმარტავს, რომ ეს „პური არსობისა" იმდენი უნდა იქნეს, რამდენიც საჭიროა მუშის ოჯახის შესანახად, მაგრამ ოჯახისა და თვით მისი პატრონის ცხოვრების მოთხოვნილება სხვადასხვაგვარია. მუშა ევროპაში გარდა იმისა, რომ კარგად უნდა იკვებიბოდეს. იგი ჟურნალ-გაზეთებს უნდა იძენდეს, კარგად უნდა იცვამდეს, თეატრში დადიოდეს. ამიტომაა, რომ „ინგლისის მუშა არასოდეს არ დაკმაყოფილდება იმ ფასით, რა ფასსაც ჩვენში ჯერდებიან".

მუშა თავისუფალია, მაგრამ რა ქნას ამ თავისუფლებით? ეს თავისუფლება მას, ავტორის სიტყვით, უარეს ბორკილებს ადებს, ულუკმაპუროდ დარჩენილი თანხმდება მძიმე პირობაზე ახალ ბატონთან — მექარხნესთან გაეშუროს. ქარხანაში მუშას მზად ხვდება ყველაფერი: ნედლი მასალა და საწარმოო იარაღები, რომლითაც მან ნედლი მასალა უნდა გადაამუშაოს და შექმნას საქონელი, რომელიც ქარხნის პატრონს ბაზარზე

გააქვს. ის ნედლი მასალა და საწარმოო საშუალებანი. ანუ იარაღები, რომელიც ქარხანაში დახვდა ახლად დაქირავებულ მუშას, წინანდელი შრომის ნაყოფია. „დღეს ეს მასალა საშუალებაა ახალი საქონლის შესაქმნელად. დღეს მან (მექარხნემ, ა. კ.) კიდევ ახალი საქონელი შეიძინა, სხვანაირი თვისებებისა და სახის; ცოცხალი ადამიანი იყიდა".

ამ საქონლის ღირებულება თვით მისმა წარმოებამ, ანუ ქარხანაში სამუშაო ძალის გამოყენებამ უნდა აანაზღაუროს. თუ არა, ამ საქონლის მყიდველი კაპიტალისტი წაგებული დარჩება. „ის დრო, რაც საჭიროა მუშის ქირის აღსაღგენად, „აუცილებელი სამუშაო დროა". ვთქვათ, ეს დრო განისაზღვრება დღიურად 6 საათით, მაგრამ კაპიტალისტი მუშას ამუშავებს დღიურად არა მხოლოდ 6 საათს, არამედ 10 — 12 საათს, პირველ შემთხვევაში, ე. ი. აუცილებელ სამუშაო დროში, „მუშა მხოლოდ თავის გამოსაკვებს გამოიმუშავებს. ამაზე მეტს, რასაც მუშაობს, მის კუჭს არ არგია, ის საჭიროებაზე ზედმეტი დროა. და ამიტომ მისი შრომაც ზედმეტი შრომაა. ამ შრომაში მას ქირა არ მიუღია, მას მუქთათ ისაკუთრებს ქარხნის პატრონი. აი სწორედ ამაშია მისი განმასხვავებელი თვისება სხვა საქონლისაგან" („კვალი", № 34, გვ. 490).

ალ. წულუკიძის ასეთი მსჯელობა, რომელსაც ის „მკითხველთან საუბარს" უწოდებს, მართლაც რომ საუბარია. მეტად მიმზიდველი და გასაგები, პოლიტიკური ეკონომიის ისეთი რთული საკითხების შესახებ, როგორიცაა კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება. მეტად საინტერესოა ავტორის დასკვნა მისი საუბრის შემდეგ: „მაშასადამე კაპიტალია ყოველნაირი ქონება, რომლის შემწეობით სხვისი შრომისაგან მოგება დარჩება. მხოლოდ ამ ორ კაპიტალში პირველია მუდმივი, ამიტომ მუდმივი კაპიტალი (постоянный капитал) ეწოდება; მეორე იცვლება, მას ცვალებადი კაპიტალი (переменный капитал) ქვია. აი ეს უკანასკნელია ზედმეტი ღირებულების შემქმნელი წყაროც" („კვალი", 1903 წ.. № 30. გვ. 490).

ალ. წულუკიძე ცხოველი ფერებით ხატავს სამუშაო დღეს და მეცნიერულად ასაბუთებს კაპიტალისტური ექსპლოატა-

ციის საფუძვლებს: „რა რომ კაპიტალისტმა სამუშაოს ძალა დღიურად იქირავა, ეს ძალა მას ეკუთვნის მთელი დღის განმავლობაში. ამიტომ მას უფლებაც აქვს მუშას მთელი დღის მუშაობა მოსთხოვოს. კაპიტალისტი განხორციელებული კაპიტალია, ხოლო კაპიტალის დანიშნულებაა თავისი ღირებულება შეუსვენებლივ ზარდოს, ზედმეტი ღირებულება შექმნას. დღითი დღე იმატოს“ („კვალი“, 1903 წ., № 31, გვ. 516).

ავტორი განმარტავს სამუშაო დღის აუცილებელ და ზედმეტ დროს. იგი, მკითხველს უთვალისწინებს, რომ გარდა იმ დროისა, რომელიც აუცილებელია სმა-ჭამისა და მოსვენებაძილისათვის, რომ მუშამ აღიდგინოს ფიზიკური ძალა, მუშისათვის საჭიროა დრო ჟურნალ-გაზეთის და საზოგადოდ წიგნის წასაკითხად, საჭიროა ისმენდეს ლექციებს ამა თუ იმ საკითხზე, დადიოდეს თეატრში, ერთი სიტყვით, გააკეთოს ყველაფერი ის, რაც აუცილებელია, რომ მან ზოოლოგიურ მდგომარეობას თავი დააღწიოს და გახდეს საზოგადოების ცნობიერი მოქმედი წევრი.

„სამწუხაროდ ეს ზნეობრივი საზღვრები — წერს ავტორი — ჩვენებურ მუშას უფრო შორს უძევს, ვიდრე ევროპისას, მხოლოდ საბედნიეროდ, ევროპის თანამოძმეების მაგალითი და თვით ჩვენი ქვეყნის კულტურული წარმოება აახლოვებს ამ საზღვარს და მით ჩვენ მუშასაც უკეთეს მომავალს უქადის“.

ალ. წულუკიძე დარწმუნებულია, რომ ევროპის მუშას აუცილებელი სამუშაოს და დახარჯული ენერგიის აღსადგენად საჭირო დროის გარდა რჩება კიდევ იმდენი დრო, რომ მან ხელი მიჰყოს კულტურულ საზრდოს, იკითხოს, უსმინოს, გაერთოს. ამავე დროს მას მოტანილი აქვს მრავალი მაგალითი ევროპის მუშათა საწარმოო პირობებიდან, როცა მუშა ფიზიკური მოსპობის საშიშროების წინაშე დგას.

„ლონდონელი მებულკის მუშაობა ჩვეულებრივ ღამის ათ საათზე დაიწყება. ამ დროს იწყებს ცომის ზელვას, რაც მეტად დამღალავია... მერმე დაწვება ფიცარზე, რომელიც ამ დროს ცომიანი გობის სახურავიც არის, ფქვილის ტომარა თავქვეშ უდევს, სახურავიც ასეთი ტომარა აქვს და ამნაირად სულ ორი საათი სძინავს; ამის შემდეგ დაიწყება სწრაფი,

შეუწყვეტელი მუშაობა ოთხი საათის განმავლობაში, ცომის გათელვა, გაფენა და სხვა და სხვა ფორმების ბულკების კეთება, ფურნეში შეწყობა, გამოღება და სხვ. ფურნეში სიცხე ამ დროს 75-დან 90-გრადუსამდე ადის".

რა თქმა უნდა, ასეთი აუტანელი საწარმოო პირობები სრულიად გამორიცხავს მუშისათვის მისი ფიზიკური ძალის აღსადგენი დროის გარეშე დროს, რომელიც მან კულტურულ ცხოვრებას უნდა მოახმაროს. მაშასადამე, ალ. წულუკიძის მიერ მითითებული ევროპის მუშის კულტურული ცხოვრების მაგალითი, რომელსაც ქართველი მუშა უნდა დაახლოვებოდა, სინამდვილეს არ გამოხატავს და იგი მხოლოდ სასურველ მდგომარეობას გულისხმობს ევროპის დაწინაურებული ცხოვრების პირობებში.

საინტერესოა, რომ ავტორს მოპყავს ინგლისის სამრეწველო ცხოვრების მაგალითები, თუ როგორ ტანჯვას განიცდიან იქ მუშები და მათი ოჯახები და განზე სტოვებს საქართველოს მრეწველობას, აქაურ მუშათა სამუშაო დღეს. თუმცა თავის წერილებში ზოგადად მიუთითებს, რომ ჩვენებური მუშა გაცილებით უფრო ცუდ საწარმოო პირობებში მუშაობს, ვიდრე ევროპის მუშა.

„სამუშაო დღის" („კვალი", 1903 წ., № 33, გვ. 536) შემდეგ ალ. წულუკიძე ამუშავებს და გადმოსცემს პოლიტიკური ეკონომიის ისეთ საკითხებს, როგორიცაა „კოოპერაცია", „მანუფაქტურა", „მანქანური წარმოება" („კვალი", 1903 წ., № 34; 1904 წ., № 1, 2, 3).

მანქანური წარმოების ანალიზით ავტორი ამთავრებს თავის წერილებს პოლიტიკური ეკონომიიდან, რომელსაც ის უწოდებს საუბარს მკითხველთან და რომლის სათაურია „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან".

„კვალმა" ამ წერილებით დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, განსაკუთრებით მუშათა საკითხში. ყოველ შემთხვევაში, მუშათა კლასის მდგომარეობაზე გაზეთის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში მეცნიერული ხასიათის სხვა წერილები, გარდა კორესპონდენციებისა, არ დაბეჭდილა.

ალ. წულუკიძის წერილების — „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან" — ბეჭდვის დამთავრების შემდეგ „კვალმაც"

შეწყვიტა არსებობა, 1904 წლის მეხუთე ნომრის შემდეგ „კვალი“ აღარ გამოსულა. მაგრამ „კვალის“ დასასრულს ჩვენ ცალკე შევეხებით.

„კვალის“ პუბლიცისტიკის მიმართულება, მთავარი სახელმძღვანელო ხაზი — საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხები — ბოლომდე დარჩა გაზეთის განმსაზღვრელ მიმართულებად. 1904 წელსაც, ისე როგორც XIX საუკუნის 90-იან წლებში, „კვალი“ მიმომხილველ წერილებს ერთნაირი ტონით წერს. სტატიაში „გასული წელი“, „1904 წელს“, „კვალი“ წერდა: „1903 წელი ისტორიის სავანეში ჩაესვენა. მის ადგილს ახალი წელი იჭერს და ამ უკანასკნელს მან თავის სიკვდილის წინ ანგარიში უნდა ჩააბაროს. რა მოგვიტანა მან, რა გააკეთა და რა გასაკეთებელი დაგვიტოვა, რა იყო იმაში ცუდი და რა მადლით მოსილი, რას ჰქონდა სიცოცხლის ნიშანწყალი და რა სამუდამოთ უარსაყოფია, და მასავით ისტორიას ჩასაბარებელი?“.

გაზეთს 1903 წელი „ცხოვრების მიმდინარეობაში“ წინა წლის, 1902 წლის, უშუალო გაგრძელებად მიაჩნია. დამახასიათებელი ამ წლისათვის ის არის, რომ თითქოს, „ხალხი ნელ-ნელა ერკვევა საღათას ძილს, იგნებს თავის თავს, თავის ინტერესებს, ეჩვევა მტერ-მოყვარის გარჩევას“. ყველაფერი ეს, ავტორის აზრით, ეკონომიური ურთიერთობის გამწვავებაში პოულობს თავის საფუძველს. მწვავე კრიზისი მეურნეობის ყველა დარგში, სოფლის მეურნეობის დაცემა, ხალხის დამშევა, — ეს არის სურათი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობისა 1903 წელს.

მიწისმოქმედთა გაღატაკების გამო დიდ მიწათმფლობელთა და მიწისმოქმედთა შორის ურთიერთობა უფრო და უფრო მწვავდება. ხალხს შიმშილი სულს ხდის, დამშეულია საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობა, ამას თან ერთვის ადმინისტრაციის უხეში მოქმედება მოსახლეობისადმი. ამ პირობებში გლეხი თავის კარმიდამოსაც ტოვებს და ქალაქში მიდის სამუშაოს საძებრად და დასაბინავებლად. „ამ ნიადაგზე... იკიდებს ფეხს ხალხში ცარცვა-გლეჯა, მტაცებლობა, ყაჩაღობა, მრავლდებიან ყაჩაღები“.

სამართლიანად წერს „კვალი“, რომ 1903 წელი ხალხის

შემდგომი გაღარიბების, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების წელია, მეტადრე საქართველოში, მაგრამ მას მცდარად აქვს წარმოდგენილი სამრეწველო და სასურსათო კრიზისით გამოწვეული საზოგადოებრივი მოძრაობა. ის ამ მოძრაობაში მხოლოდ ყაჩაღობას ხედავს: „გაზეთები სავსეა ცნობებით, აქ ეკლესია გატეხეს, იქ მონასტერს დაეცნენ. აქ ბანკი გაძარცეს და სხვა. ყაჩაღებს იჭერენ, ასამართლებენ, ციხით, კატორღით სჯიან, მარამ ეს საქმეს არ შველის. ერთ პარტიას რომ ციმბირისაკენ მიერეკებიან, მეორე პარტია იმავე დროს ახალ ცარცვა-გლეჯას ჩადის და მალე წინანდელის გზას მიჰყვება. როგორ და როდის მიეცემა ყველა ამას დასასრული — ამ ახალმა წელმა უნდა მოგვცეს პასუხი“.

ის დიდი რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ქალაქებში და სოფლად 1903 წელს. „კვალის“ ზოგიერთი პუბლიცისტისათვის შეუმჩნეველი დარჩა. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელსაც ის მთელი არსებით ეტრფოდა, სწორედ მუშათა და რევოლუციურ გლეხთა მოძრაობა იყო. ამ მოძრაობის მძლავრი გამოხატულება იყო საყოველთაო გაფიცვა 1903 წელს. ხაშურის მუშათა დემონსტრაციის დახვრეტა და გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები გურიაში, სამეგრელოში, ქართლში, დიდი აგრარული ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით და ყაჩაღობასთან მას საერთო არაფერი ჰქონდა.

„კვალის“ მიმომხილველი ხალხის მოძრაობაში ყაჩაღობას ხედავს და ნატრობს „როგორ და როდის მიეცემა ყველა ამას დასასრული“. მართალია, ქართლში სწორედ 1903 წელს და ადრეც იყო შემთხვევები, როც გლეხები თავს ესხმოდნენ მონასტერს თუ ეკლესიას, მაგრამ ეს გამოწვეული იყო აგრარულ ნიადაგზე. ამ შემთხვევაში თავდამსხმელი უტევს ეკლესიას, როგორც მემამულეს და ეს იგივეა, რაც რომელიმე მემამულეზე, ვთქვათ ციციშვილზე გლეხთა თავდასხმა.

ეს სტიქიური მოძრაობა შეუმჩნევია ავტორს და ვერ შეუმჩნევია მწყობრი შეტევა მუშათა და გლეხთა ათასეულებისა თვითმპყრობელობის ბურჯების წინააღმდეგ. სწორედ ეს იყო ღირსშესანიშნავი მოვლენა 1903 წლის საქართველოს

ცხოვრებაში. მაგრამ ღირსშესანიშნავ მოვლენად იგი ამ წელს თვლის ჭიათურის მრეწველთა კრებას, რომელსაც მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარედ აურჩევია გ. ზდანოვიჩი. ღირსშესანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ბათუმის ოლქი გამოეყო ქუთაისის გუბერნიას და „ცალკე შეიქმნა ბათუმის გუბერნია“. ქალაქის მმართველობა, გაზეთის სიტყვით, ყოველ ქალაქში უნდა გახდეს ქალაქის მეურნეობის ბატონ-პატრონი. ეს აუცილებელია, რადგან მეურნეობა თითქოს ყველგან დეფიციტურია.

შემდეგ მიმომხილველი წერილის ავტორი უსაფუძვლოდ ეკამათება „ივერიას“, რომ ის ბავშვურად მსჯელობს საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებზე, რომ „ივერია“ მოხუცების დროს პატარა ბავშვს დაემსგავსაო. ხოლო გაზეთ „ცნობის ფურცელზე“ ავტორი წერს: „ამ გაზეთში თავი მოუყრია ყველა ბურჟუაზიულ მწერლებს, - სხვადასხვა ფრაქციებისას, ტიპიურ ბურჟუა ლიბერალებიდან დაწყებული და რადიკალებით გათავებული“.

ავტორი გმობს „ცნობის ფურცელს“, რომელიც სამშობლოს მრეწველობაზე მსჯელობს, ხოლო თვით თითქოს ვერ ამჩნევს, რომ ჭიათურის მრეწველთა საბჭო, რომლის საქმიანობა მას ქვეყნის ცხოვრების ქვაკუთხედად მიაჩნია, ბურჟუაზიული დაწესებულებაა. იგი „ცნობის ფურცელს“ უჩივის ბურჟუაზიულობას, მაშინ როცა მთელი მისი წერილი „კვალში“ ბურჟუაზიული სულისკვეთებით არის გაჟღენთილი.

კაცს, რომელიც ხალხის რევოლუციურ მოძრაობაში მხოლოდ ყაჩაღობას ხედავს, განა შეუძლია კლასობრივი ბრძოლის პოზიციებიდან გააკრიტიკოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გაზეთი?

კიდევ უფრო დამახასიათებელია „კვალისათვის“ სტატია — „რუსეთი 1903 წელს“. იგი წერს: „ხალხი იურიდიულად შეიწროებულია, ეს უმაღლეს სფეროშიც აღიარებულია. საზოგადოებას ინიციატივის უფლება ჩამორთმეული აქვს და ყველაფერი ადმინისტრაციულ ოპეკას დაემორჩილა. პიროვნება, როგორც თვით მოაზრე ქმნილება არ არსებობს და არარაა მისი უფლება... ხალხის იურიდიული მდგომარეობის ეს კითხვები გასულმა წელმაც ისე გადაუწყვეტელი დასტოვა,

როგორც შარშანწინდელმა. გასულ წელს ამ მხრივ ხალხისათვის არაფერი მოუტანია. რას იზამს ეს კითხვები 1904 წელს? გადაწყდება თუ გადაუწყვეტელი დარჩება, მის წინასწარმეტყველებას არ ვკისრულობთ". („კვალი", 1904 წ. № 4, გვ. 8 — 9).

ცუდი წინასწარმეტყველი გამოდგა „კვალი". სწორედ ორიოდე თვის შემდეგ მისი განცხადებიდან „იურიდიული თავისუფლების" კითხვების გადაჭრის დროს ვერ ვიწინასწარმეტყველებთო, მეფის მთავრობამ თვით შესთავაზა ხალხს პოლიტიკური თავისუფლება, რადგან იურიდიული თავისუფლება მას უკვე ბატონყმობის გაუქმებიდან ჰქონდა მინიჭებული და ეს „კვალს" ვერ გაეგო.

შუამდგომელი ამ შემთხვევაში იყო „კვალისაგან" დაწუნებული ლიბერალური ბურჟუაზია, რომელმაც გამართა ბანკეტები და ხალხი მოიწვია, რათა გამოეთქვა თავისი გულისწადილი, მოეთხოვა მისთვის სასურველი სახელმწიფო წყობილება.

აკი „კვალი" გასულ 1902, 1903 წლებს უთვლიდა ნაკლად, რომ ამ წლებში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა და თუ ერთიმეორის გამგრძელებელ წლებზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო წყობილების შეცვლა, ეს დროც 1904 წლის გაზაფხულზე დადგა. ამას ნატრობდა „კვალი", რომელიც წერდა: „ხალხი იურიდიულად (ე. ი. პოლიტიკურად) შევიწროებულია, ეს უმაღლეს სფერაშიც აღიარებულია". აი, ამ „უმაღლესმა სფერამ" — პეტერბურგის კარმა „კეთილინება" და მოუწოდა თანამშრომლობისათვის „ხალხს" — მიჭირს. თავი ვერ გავართვი იაპონიასთან ომით გამოწვეულ ეკონომიურ სიძნელეებს, თქვენ მოდით და დამეხმარეთ ფინანსური სახსრების გამონახვაში, ე. ი. იმ ზომების გატარებაში, რომ რაც შეიძლება მეტი სახსრები ამოვქაჩო მოსახლეობიდან თუნდაც არაპირდაპირი გადასახადების შემოღებითო. ნაცვლად ამისა, მთავრობა თვითმმართველობის ლოზუნგს აყენებდა და მთავრობის შუამავალი ლიბერალური ბურჟუაზიაც კონსტიტუციურ ილუზიებს აღვივებდა.

სხვა რა შეეძლო „კვალის" მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების მკურნალად აღიარებულ უმაღლეს სფეროს?

ამით ვამთავრებთ საზოგადოებრივ-ეკონომიურ საკითხებზე „კვალის“ პუბლიცისტიკის მიმოხილვას. ამ მიმოხილვიდან გასაგები უნდა იყოს, რომ „კვალი“ თანმიმდევრულად ვერ იცავდა იმ პროგრამულ სიახლეს, რომელიც მას 1894 წლიდან დაეტყო გარკვეულად. მაგრამ დროდადრო გაზეთში დაბეჭდილი მარქსისტული მიმართულების მატარებელი საფუძვლიანი სტატიები გაზეთს ანიჭებდა მოწინავე ადგილს საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზრის ასპარეზზე საქართველოში. ამ მხრივ „კვალმა“ ისტორიული როლი შეასრულა. კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მისი მნიშვნელობა მეცნიერების სხვადასხვა საკითხებზე, კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე დაბეჭდილი სტატიების მიხედვით.

მეცნიერების საკითხები „კვალში“

„კვალი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მეცნიერების მრავალ დარგს. გაზეთში იბეჭდებოდა წერილები გეოგრაფიულ აღმოჩენათა, გამოჩენილ მეცნიერთა და სახელმწიფო მოღვაწეთა შესახებ, წერილები მედიცინის, სოფლის მეურნეობის, არქეოლოგიისა და ისტორიის საკითხებზე. ეს, რა თქმა უნდა, სათანადო გამართლებას პოულობდა გაზეთის შინაარსისა და მისი პროგრამის მიხედვით. იგი ხომ სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთად იწოდებოდა.

გაზეთის 1893 წლის ნომრებში (8, 9, 10, 11) დაბეჭდილია სტატია „სწავლის საქმე ჩვენში“. ერთი შეხედვით სტატია პუბლიცისტური ხასიათისაა, მაგრამ მისი საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ სრული სიცხადით გამოჩნდება, რომ იგი მეცნიერული გამოკვლევაა სწავლა-განათლების შესახებ 90-იანი წლების საქართველოში. აქ მოცემულია სასწავლებლების ტიპები, მოსწავლეთა სოციალური და ეროვნული შემადგენლობა, სკოლადამთავრებულთა განაწილება პროფესიების მიხედვით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა ურთიერთშეფარდება.

სტატია დაბეჭდილია კამათის წესით გაზეთ „ივერიაში“

გამოქვეყნებული სტატიის — „ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ“ პასუხად. მაგრამ ეს კამათი ხელს არ უშლის „კვალის“ სტატიის მეცნიერულ მნიშვნელობას შექმნილი მდგომარეობის შესახებ სასკოლო განათლების დარგში. როგორც თავის ადგილზე მივუთითებდით, „ივერიამ“ განავითარა აზრი, რომ საქართველოში ყველაზე მეტად საჭირო იყო სასოფლო-სამეურნეო სკოლები, რომლებიც მისცემდნენ ქვეყანას მისი მეურნეობისათვის მეტად საჭირო სპეციალისტებს. გიმნაზიები, „ივერიის“ აზრით, მხოლოდ კანცელარისტებს ამზადებდა. „კვალმა“ უარყო „ივერიის“ პოზიცია და მიუთითა, რომ გიმნაზიის კურსდამთავრებულნი მარტო კანცელარიებში კი არ რჩებიან, არამედ მიდიან როგორც უნივერსიტეტებში, ისე ტექნოლოგიურ, სამეურნეო და სხვა სპეციალურ ინსტიტუტებში, საიდანაც გაცილებით უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები ევლინებიან ქვეყანას, ვიდრე საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდანო.

გაზეთის პროფილს მეცნიერების დარგში 1893 წელს და ნაწილობრივ 1894 წელსაც მაინც საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები განსაზღვრავს. „კვალის“ პირველსავე ნომერში დაბეჭდილია გ. წერეთლის წერილი — „ბაგრატ დიდი“ (1380 — 1395 წ. ქრ. აქედ)“. წერილში აღწერილია მეფის ბრძოლა თემურ-ლენგის ურდოების წინააღმდეგ. მას მოსდევს „საჩხერის ციხე მოდინახე“ (№ 3). წერილი ეკუთვნის გ. წერეთელს. იქვე დაბეჭდილია „ყვარყვარე ათაბაგი“ დ. კარიჭაშვილისა. გაზეთის მეოთხე ნომერში დაბეჭდილია „თამარის საყდარი“, შემდეგ „ბერიკობა“ (№ 5), „გეგუთის ციხე-დარბაზი“ (იქვე), „ყეენობა“ (8), „ვარძია“ (იქვე), „გიორგი მე-8 — მეფე საქართველოსი“, 1445 — 1469 წ. (№ 11), „დარიალა“ (№ 14), „მოქვის ტაძარი“ (№ 16), „ბედიის ტაძარი“ (№ 22), „მეფე გიორგი ლაშა“ (№ 27), „მეფე ერეკლე II“ (№ 29 — 30), „ბატონიშვილი ეკატერინე“ (იქვე), „ბაგრატ III იმერეთისა თუ ბაგრატ მე-5 დიდი?“ (31), „ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ (№ 38—40). წერილი შეიცავს პასუხს „ივერიის“ კრიტიკულ წერილზე ლაშა გიორგის შესახებ. ავტორი გ. წერეთელი იცავს თავის შეხედულებებს, რომელიც მას გამოთქმული აქვს წერილში

„მეფე გიორგი ლაშა“, „ბატონიშვილი ალექსანდრეს ცხოვრება სპარსეთში“ (№ 41), „წმინდა მოწამენი დავით და კონსტანტინე“ (№ 45 — 46), „წმინდა მოწამე გობრონ“ (№ 47 — 48), „წმინდა მოწამე აბო“ (50), „წმინდა მოწამე არჩილი“ („კვალი“, 1894 წ., №№ 9, 10, 11), „როგორ აშენდა გელათი“ ქრონიკები თ. ჟორდანიას მიერ გამოცემული (№ 12. 13), „პასუხი ქრონიკების პატრონს თ. ჟორდანიას“ (№№ 25. 26. 28), „საისტორიო ბაასი“ (№ 40, 41), „ორიენტალისტთა X საერთაშორისო კონგრესი ჟ. ჟენევაში“ (№№ 42, 43, 44. 45), „წმინდა ესტატე მცხეთელი“ (№ 44), „წმინდა შუშანიკი. დედოფალი რანისა“ (45).

დასახელებული წერილები, თითქმის ყველა, გ. წერეთელს ეკუთვნის. ჩვენ ამ წერილებს აქ არ გავარჩევთ, იმიტომ, რომ „კვალის“ დამახასიათებლად მეცნიერების დარგში მთელი ეს ლიტერატურა არ ჩაითვლება. ასეთი ნარკვევები შეიძლებოდა დაბეჭდილიყო ყველგან და გაზეთის პროგრამულ საფუძვლებზე ყველაფერი ეს არაფერს ლაპარაკობს, გარდა იმისა. რომ ცხადად მოწმობს ამ შემთხვევაში „კვალის“ დამსახურებას — გაეცნო მკითხველი საზოგადოებისათვის ეპიზოდები საქართველოს ისტორიული წარსულიდან.

1896 წლიდან „კვალს“ მეცნიერების განყოფილებიდან ცალკე აქვს გამოყოფილი ისტორია, არქეოლოგია და ამასთან ერთად „ბიოგრაფია და ნეკროლოგი“. მეტად საინტერესოა თვით „კვალის“ რედაქციის მიერ შესრულებული ბიბლიოგრაფია.

მ ე თ ა უ რ ი წერილები. გაზეთის მეთაურებად ჩათვლილია: „წარსული წლის ნაყოფი“ — გ. წერეთლისა, „ცხოვრება და მწერლობა“ ფხალი, „ორიოდე სიტყვა ქალთა მომავალი სკოლის შესახებ“, „შავი ქვის მრეწველთა კრება“. „განთიადი“ — აკაკისა, „გვირგვინის კურთხევა“, „უმაღლესი ბრძანება“, „ბაგრატიონთა ფონდის დაარსება“, „დედა ენა“ — ნინო ყიფიანისა, „მიეშველეთ ნოვოროსიელ ქართველებს“. „ჩვენებური ღვინოებით უწესოთ ვაჭრობა“ და სხვ.

ამის შემდეგ მოდის მეცნიერება: „ჰერცოგ ბრაუნშვეიგის საათი“, „სხვადასხვაგვარი სატანჯველი და სასჯელი იარა-

ღები“, „რენტგენის სხივები“, „მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა“? — ფ. მახარაძისა, „სალიტერატურო შენიშვნები“ — დუტუ მეგრელისა, „სვანეთის მჟავე წყალი“, „ბრამანების ლოცვა ვულკანის წინაშე“, „ორიოდე სიტყვა ყვავილის აცრის შესახებ“, „ენის წარმოშობაზე“, „ჭლექი“ — თარგმანი, „კრიმინალური ანთროპოლოგია“ და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერებიდან გამოყოფილია ისტორია, არქეოლოგია და ცალკე განყოფილებაა „ბიოგრაფია და ნეკროლოგი“. ამ განყოფილებაში შეტანილია: „ყოვლად უსამღვდელოესი იმერ. ეპის. გაბრიელი“, „გაბრიელ ეპისკოპოსის ანდერძი“, „პროფესორი ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი“, „კარაბადინში დაცული შელოცვანი“ — ალ. ხახანაშვილისა, „სპარსეთის მეფე ნასრედინი“ — გ. წერეთლისა, „ხალხური ზეპირსიტყვაობის გამო“ — ფშავლიშვილისა, „შობა საფრანგეთში“, „ქალების ინტერნაციონალური კონვრესი საფრანგეთში“, „უცხოეთიდან, სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში“ — „საზღვარგარეთლისა“, „რუსეთის შინაგანი ქრონიკა“ — ფ. მახარაძისა და სხვ.

გ ე ო გ რ ა ფ ი ა და ე ტ ნ ო გ რ ა ფ ი ა: „მგზავრის შენიშვნები“ — ხომლელისა, „XII საუკუნის გეოგრაფიული ცნობანი“ — ხახანაშვილისა, „გურიაში მოგზაურობა“ იობა მეთვალყურესი, „მგზავრის შენიშვნები“ — ვინმე ქალისა.

პოლიტიკა: „ხელმწიფე იმპერატორის და მისი მეუღლის მოგზაურობა ევროპაში“. „იტალიელი მემკვიდრე ვიქტორ ემანუელის დანიშვნა შავი მთის მთავრის ელენეზე“, „რუსეთის შინაგანი ქრონიკა“*, „უცხოეთის ამბები“, „უცხოეთის ქრონიკა“, „მართებლობის მიერ გამოცხადება“.

პ ო ე ზ ი ა: „შობა ღამე“ — (გერმანულიდან) ლექსი. „თანამეკალმეებს“ — სილოვანისა, „მთვარის ხალები“ — ცახელისა, „მყინვარი და მთიელი“ — ღუდუშაურისა, „ხრეითის დანგრევაზე“ — ბაქრაძისა, „იმერეთის ეპისკოპოსის გარდაცვალებაზე“ — საჯავახოელისა, „ელეგია“ — გოგოლაძესი, „ლომი“ — რუს-იმერლისა, „მოხუცი“ — ნინიკა ხოზელისა,

---

* თითქოს ფ. მახარაძის ასეთივე წერილი პოლიტიკას არ განეკუთვნება.

„მუხის ფოთოლი და ჭადარი“ (ლერმონტოვიდან) — კოწიასი, „ლექსი“ პავლიაშვილისა, „ჭაბუკს“ — მარტყოფელისა და სხვ.

შემდეგ მოდის ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ ი კ ა, ს ა ყ უ რ ა დ ღ ე- ბ ო ა მ ბ ე ბ ი, კ რ ი ტ ი კ ა, პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა, ს ხ ვ ა- დ ა ს ხ ვ ა ა მ ბ ე ბ ი, პ ე დ ა გ ო გ ი კ ა, ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა- ფ ი ა. თ ე ა ტ რ ი ს მ ა ტ ი ა ნ ე, მ ც ი რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი და ს ა პ ო ლ ე მ ი კ ო წ ე რ ი ლ ე ბ ი, ჟ უ რ ნ ა ლ-გ ა ზ ე- თ ე ბ ი დ ა ნ, ს ა ქ ვ ე ლ მ ო ქ მ ე დ ო ს ა ქ მ ე, ს ა ხ უ- მ ა რ ო გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

ასეთია „კვალის“ პროსპექტი. ეს უკანასკნელი მეტად მრავალფეროვანია და ვრცელი, მაგრამ საკმაოდ სუსტია რედაქციის მიერ შესრულებული ბიბლიოგრაფია. მეთაურ წერილებად აქ ჩათვლილია „ბაგრატიონთა ფონდის დაარსება“, „რუსეთის იმპერატორის გვირგვინის კურთხევა“, „უმაღლესი ბრძანება“. გაზეთი იწყება ლექსით — „შობა- ღამე“, რომელიც სინამდვილეში მეთაურს წარმოადგენს, ხოლო „პუბლიცისტიკა“ და „სხვადასხვა ამბები“ ერთმანეთშია არეული. თვით მეთაურის შესახებ „კვალის“ რედაქციას არ აქვს სწორი წარმოდგენა: მაგალითად, გაზეთის 1896 წლის 39-ე ნომერი იწყება სტატიით — „სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში“, რომელიც მეთაურად როდია ჩათვლილი. მეცნიერებისაგან გამოყოფილია ისტორია-არქეოლოგია, ვი- თომცდა ეს საგნები მეცნიერებას არ განეკუთვნებიან. თვით მეცნიერების შესახებ რედაქციას თავისებური წარმოდგენა აქვს, უფრო სწორად „კვალის“ ბიბლიოგრაფს. მეცნიერებად აქ მიღებულია ჰერცოგ ბრაუნშვეიგის საათი, „ბრამანების ლოცვა“, „გველების მომთვინიერებელი“ და სხვ., ხოლო ნან- სენის ექსპედიცია უბრალო ამბავად არის წარმოდგენილი.

ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ „კვალის“ ბიბლიოგრაფია თვით მის მეთაურ მოღვაწეებს მცდარად აქვთ წარმოდგენილი. იგი არც სრულია და აკლია ისეთი „წვრილმანი“, როგორიც არის აკაკის „ბაში-აჩუკი“. ეს მოთხრობა, როგორც აღვნიშ- ნეთ, იბეჭდებოდა 1895 — 1896 წლების „კვალში“, 1895 წელს დაიწყო გაზეთის 38-ე ნომრით და გრძელდებოდა მისი ბეჭდვა ნომრებში — 40, 45, 47, 48, 50, ხოლო 1896 წლის „კვალში“

გაგრძელდა შემდეგ ნომრებში — 15, 16, 18, 19, 20, 22. მოთხრობა სრულიად არ არის მოხსენებული არამცთუ ბელეტრისტიკის განყოფილებაში, საერთოდ გაზეთის ბიბლიოგრაფიაშიც.

პოეზიის განყოფილებაში დასახელებულია აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ირეოდიონ ევდოშვილი, მაგრამ მათ გაცილებით აჭარბებენ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული სრულიად უცნობი პოეტები: ღუღუშაური, ხრეითელი ბაქრაძე, საჯავახოელი, ხოზელი, კოწია, პავლიაშვილი, ტერზელი, მარტყოფელი და სხვ.

ეტყობა „კვალი“ მაინცდამაინც არ არჩევდა პოეზიის მაღალ მომთხოვნელობას და ამიტომ მისი კარი ღია იყო ყველა იმათთვის, ვინც კი სცადა ლექსის წერა. „კვალის“ ეს თანამშრომელი „პოეტები“ უკვალოდ დაიკარგნენ. მართალია, მათში ერევნენ ისეთნიც. როგორიც იყვნენ სილოვანი (სილოვან ხუნდაძე) და დ. თომაშვილი, მაგრამ ქართულ პოეზიას მათგან არაფერი შემატებია.

მეცნიერების განყოფილებიდან 1896 წლის „კვალში“ ყურადღებას იქცევს ნ. ჟორდანიას და ფ. მახარაძის სტატიები, რომლებიც არსებითად პუბლიცისტური ხასიათის ნაშრომებია. პირველს ეკუთვნის სტატია „სოფელი და სასოფლო შკოლა გერმანიაში“ („კვალი“ 1895 წ., №№ 52, 53, 1896 წ. №№ 3 — 5, 38 — 41, 43 — 53), მეორეს — „მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა?“ ჩვენ აქ მხოლოდ ფ. მახარაძის სტატიას გავარჩევთ, რადგან ნ. ჟორდანიას სტატია არსებითად მხოლოდ მის მიერ ადრე გამოთქმულ თვალსაზრისს იცავს. ეს თვალსაზრისი, როგორც ცნობილია, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ქვეყნის ევროპიზაცია, ე. ი. ბურჟუაზიული ევროპის გზით განვითარება, აღიარებულია მუშათა კლასის მზარდი საზოგადოებრივი მოძრაობის დროს თვითმპყრობელობის არტახებიდან ხალხის დახსნის პირობად. ბურჟუაზიულ ევროპას ნ. ჟორდანია ქართველობის დროშად აცხადებდა.

ფ. მახარაძის სტატია შეეხება ფრანგი კრიტიკოსის ბრიუნეტიერის მეტაფიზიკას. ავტორის გამოსვლა ამ საკითხზე „კვალში“ იმან გამოიწვია, რომ „ივერიაში“ კიტა აბაშიძე თავის ვრცელ სტატიაში „ცხოვრება და ხელოვნება“ შეეცადა

ბრიუნეტიერის „ევოლუციონური მეტაფიზიკის“ დაცვას. ბრიუნეტიერი გამოდიოდა დარვინის ევოლუციონური თეორიის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ მეცნიერება დარვინიზმის სახით თითქოს უძლური იყო აეხსნა საიდან მოდის ადამიანის განვითარება და რით თავდება ეს პროცესი. ბრიუნეტიერი დარვინიზმს მეცნიერების გაკოტრებად აცხადებდა.

ფ. მახარაძემ უეჭველი საბუთებით პოპულარულად ცხადყო ბრიუნეტიერის კონცეფციის მთელი უნიადაგობა. ფ. მახარაძემ მიუთითა, რომ მეცნიერება ია-ვარდებით მოფენილი გზით კი არ დაწყებულა, როგორც ეს ბრიუნეტიერმა წარმოიდგინა, რომ უკანასკნელს მისთვის ზურგი შეექცია და დაეგმო იგი. ბრიუნეტიერის სიტყვით, მეცნიერებას ადგილი უნდა დაეთმო სარწმუნოებისათვის, რადგანაც მეცნიერება თითქოს გამოუვალ წინააღმდეგობაში ჩავარდა.

ფ. მახარაძემ გააშიშვლა ბრიუნეტიერის წმინდა მეტაფიზიკური მსჯელობა. აქ პუბლიცისტმა მენდელეევის პერიოდული სისტემაც კი მოიშველია და მიუთითა, რომ მეცნიერება არის ერთადერთი სწორი გზა ჭეშმარიტების შესაცნობად, რომელიც მით უფრო ფართოვდება და იზრდება, რაც უფრო იზრდება მეცნიერება. ცხადი იყო, როგორც ფ. მახარაძე ამტკიცებდა, რომ ბრიუნეტიერის ევოლუციურ მეტაფიზიკას საერთო არაფერი ჰქონდა ევოლუციონურ მოძღვრებასთან.

ფ. მახარაძე ააშკარავებს, რომ მიუხედავად კრიტიკული დამოკიდებულებისა ბრიუნეტიერისადმი, კიტა აბაშიძემ არსებითად დაიცვა ბრიუნეტიერი. სპენსერი, რომელსაც კ. აბაშიძე მიმართავდა ბრიუნეტიერის კონცეფციის გასაკრიტიკებლად, მეცნიერებას ადარებდა რელიგიას და ამტკიცებდა, რომ ორთავეს სარბიელად ერთი და იგივე საგანი გააჩნიაო. ეს არის შესაცნობი, ე. ი. რა უნდა იქნეს გაგებული. პირველი, ე. ი. მეცნიერება ცდით, კვლევით აღწევს უცნობის გამოკვლევას, მის შეცნობას, მეორე — რელიგია კი რწმენას მიმართავს შეუცნობლის შესაცნობად. სპენსერი, რასაკვირველია, მეცნიერებას ანიჭებს უპირატესობას, ხოლო ბრიუნეტიერი გმობს მეცნიერებას, გაკოტრებულად აღიარებს მას.

სპენსერთან ბრიუნეტიერის შედარება არც შეიძლება და ამას უსაყვედურებდა ფ. მახარაძე კიტა აბაშიძეს, რომელიც წერდა: „სპენსერმა დიდი ხანია აღიარაო რომ სარწმუნოებას, სანამ მოუწვდომელი დარჩება (?), ყოველთვის ექნება მნიშვნელობაო, მაგრამ სპენსერისათვის მეცნიერების მტრობა არავის დაუწამებია და ბრიუნეტიერს კი დასწამესო". ფ. მახარაძე სამართლიანად უსაყვედურებს კ. აბაშიძეს. ნამდვილად ეს არის „კვალის" მიერ „ივერიის" საფუძვლიანი კრიტიკა:

„განა ამაზე მეტი კადნიერება იქნება? კაცმა მეცნიერება უკუაგდო და კლერიკალიზმის მანტიაში გახვია და მასზე ცუდს ლაპარაკს როგორ ბედავენო... სპენსერსა და ბრიუნეტიერს შორის უფსკრული ძევს. სანამ ერთ მწერალს მეორეს შევადარებთ, საჭიროა ცოტათი მაინც გავიცნოთ ისინი" („კვალი". 1896 წ., № 15, გვ. 263—264).

ფ. მახარაძის სტატიაში ჩართულია დიდი სურათი ქრისტეს აღდგომისა, ანგელოზის გამოსახულებით, რომელიც დასცქერის აკლდამას და ამბობს: „აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარო, გულით წმინდით ვეგებებით, დიდება შენდა". უეჭველია ეს საადგომო მიძღვნაა „კვალისაგან". მას ხომ არ შეეძლო აღდგომა დღეს არ გამოხმაურებოდა. მაგრამ უცნაურია, რომ „ქრისტეს აღდგომა" ჩართულია აღდგომის საწინააღმდეგო სტატიაში.

უკვე აღნიშნული იყო, რომ „კვალი" თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებს და რომ უმეტესობა წერილებისა ამ დარგში ეკუთვნის გ. წერეთელს. მას დიდი კამათი ჰქონდა ცნობილ ისტორიკოსთან თედო ჟორდანიასთან, რომელმაც 90-იან წლებში სახელი გაითქვა თავისი დიდი შრომით „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა". პირველი ტომი გამოქვეყნდა 1892 წელს, ხოლო მეორე — 1897 წელს. მანვე 1893 წელს დაბეჭდა „შიო მღვიმელის ისტორიული საბუთები და ძეგლი ვაჰანის ქვაბთა".

გ. წერეთელი, რა თქმა უნდა, ცდებოდა, როცა იგი თ. ჟორდანიას დამსახურებას არათუ ვერ აფასებდა, ხშირ შემთხვევაში უარყოფდა და ზომაზე გადაჭარბებული იყო მისი განცხადება: „საქართველოს ისტორიას ნამდვილი ისტორიკოსი არ

გამოჩენია და ჯერ არც შესაძლებელია რომ გამოჩნდებოდეს“. „კვალის“ ასეთი განწყობილებაა დამახასიათებელი საქართველოს ისტორიის მაშინდელი მკვლევარებისადმი. გ. წერეთლის ეს ნათქვამი ფ. მახარაძემ ეპიგრაფად წარუმძღვარა თავის წერილს — „კრიტიკული განხილვა“ („კვალი, 1896 წ. №№ 14, 15,), სადაც ის არჩევს მ. ჯანაშვილის ნაშრომს — „შოთა რუსთაველი“.

ფ. მახარაძე საფუძვლიანად უარყოფს მოსე ჯანაშვილის ზოგიერთ პრიმიტიულ შეხედულებას „ვეფხისტყაოსანზე“, მაგრამ იგი მეტად აჭარბებს, როცა თვით პოემას მხოლოდ აღმოსავლეთის ქვეყნების მწერლობის გავლენით შექმნილ ქმნილებად მიიჩნევს. უეჭველად სწორია ის შეხედულება, რაც მ. ჯანაშვილმა და დ. ჩუბინაშვილმა გამოთქვეს „ვეფხისტყაოსანზე“, სახელდობრ ის, რომ პოემის სიუჟეტი გამოხატავს იმდროინდელ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

„ქართლის ცხოვრებაში“ (თამარ მეფის ცხოვრების აღმწერ ნაწილში) მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ შესატყვისი ადგილები. შედარება ამ ადგილებისა პოემის სათანადო ადგილებთან ცხადყოფს მას, რომ შ. რუსთაველის ქმნილებას საფუძვლად დაედო XII საუკუნის საქართველოს ეკონომიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება[1].

1895 წლის „კვალში“ ალ. გარსევანიშვილმა დაბეჭდა წერილების სერია — „ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან“ („კვალი“, 1895 წ., №№ 5, 6, 8, 19, 49, 50, 51, 52). ორიოდე პირველწყაროს გარდა. ეს შრომა ემყარება ბროსეს და უმთავრესად ბუტკოვს. მაინც იმ დროისათვის გარსევანიშვილის საკმაოდ დიდი ნარკვევი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ისტორიულ ლიტერატურაში.

ამავე წლის „კვალში“ (№ 17) დაბეჭდილია წერილი — „კავკასიური ანბანის შესახებ“, სადაც გარჩეულია ორიენტალისტების როზენის, უსლარის და ცაგარელის შეხედულებანი კავკასიელ ხალხთა დამწერლობის შესახებ. ავტორი მიუ-

---

[1] ამის შესახებ იხ. ჩემი ნარკვევი — „ვეფხისტყაოსნის ისტორიული ქარგა“, ჟურნალი „დროშა“, 1966 წ., № 6, 7, 8.

თითებს, რომ კავკასიელ მთიელ ხალხთაგან არავის საკუთარი ანბანი არ ჰქონია და რომ ყველა ისინი ქართულ ანბანს, ე. ი. ქართულ წერა-კითხვას, თავისად თვლიდნენ. ავტორი იმოწმებს თავის დროისათვის გამოჩენილ მეცნიერ როზენს, რომელიც ამტკიცებს, რომ ბგერათა სისტემა კავკასიურ ენებს ერთი აქვთ ქართულთანო „და რომ უკანასკნელის ანბანი, ცოტაოდენის შევსებით სრულიად გამოსადეგია მათთვისო“.

ავტორის აზრით, მხოლოდ უსლარს გადაუხვევია როზენის პოზიციიდან კავკასიური ენების ნათესაობის საკითხში, თუმცა მან ვერ შესძლო უარეყო კავკასიურ ენებში ბგერათა ერთიანი სისტემაო. უსლარის აზრით, შესაძლებელი იყო კავკასიელი ხალხებისათვის დამწერლობის შექმნა რუსული დამწერლობის საფუძველზე. ყველა შემთხვევაში შეიძლებოდა რუსული ანბანის გამოყენება, მხოლოდ ბგერები უნდა გამოთქმულიყო არა რუსულად, არამედ ქართულად.

„თუ რუსული ასოები ქართულად უნდა გამოთქმულიყო, — წერდა „კვალი“, — მაშ რაღა დააშავა გარეგნულმა გამოხატულებამ ქართული ასოებისამ, ან რუსული ასო ქართულად როგორ გამოითქმის?! აი, სწორედ აქ, ვიმეორებთ. მოუვიდა უსლარს არა მეცნიერული საქციელი, რომელიც არ დარჩა უშედეგოთ“ („კვალი, 1895 წ. № 17). წერილის ავტორს საჭიროდ მიაჩნია წარიმართოს მუშაობა მთელი კავკასიელი ხალხების დამწერლობათა შესაქმნელად. ის წერს: „იქნება ახლაც არ იყოს გვიან, რომ ამ საგანს მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება. ჩვენც გვყავს რამოდენიმე სპეციალისტი ფილოლოგები. ამისთანა მცოდნე პირთაგან უნდა შემდგარიყო კომისია, რომელსაც უნდა ეკისრა შედგენა ისეთი ალფავიტისა, რომელიც გამომდგარიყო ყველა კავკასიურ ენებზე ტექსტების ჩასაწერად, ალფავიტისა, რომელსაც უნდა გამოეხატა კავკასიურ მთიელ ენების ყველა ბგერანი. ამ მიზნისათვის ჩვენ გამოგვადგებოდა „ძველისა და ახალი ქართულის ყველა ასოები“ (იქვე).

1897 წლის „კვალის“ მე-6—7 ნომრებში დაბეჭდილია ვინმე ბადრიძის (ალბათ ექიმი ბადრიძეა) წერილი — „მიკრობები ანუ ბაცილები“. წერილის დანიშნულებას შეადგენს ბრძოლა სხვადასხვა გადამდებ სნეულებებზე ხალხში გავრცელებული

ცრურწმენების წინააღმდეგ და მითითება იმაზე, რომ ეპიდემიებს იწვევს მიკრობები ანუ ბაცილები. ადამიანთა სხეულში მათი ჩაბუდების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა.

მეცნიერების დარგში ამის შემდეგ „კვალი“ შესდგომია ერთი ვრცელი სტატიის ბეჭდვას — „ცხოველთა შთანაჩენის განვითარება“ („კვალი“ №№ 10, 11, 12, 14, 17). სტატია ეკუთვნის ფხალ (იაკობ ფანცხავა) და მას წამძღვარებული აქვს ბიუხნერის სიტყვები: „სარწმუნოება და ცოდნა სრულებით სხვადასხვაობენ, ორივე სხვადასხვა გზას ადგას, ორივე სასწორს მოგვაგონებს, რომლის ერთი ბოლო დაიწევს ხოლმე მაშინ, როცა მეორე აიწევს“.

სტატიის ავტორი მიზნად ისახავს, წინააღმდეგ სარწმუნოებრივი შეხედულებისა, საზოგადოებას მისცეს მეცნიერული ახსნა ცხოველის ჩანასახის განვითარებისა და ამისათვის ის შეძლებისდაგვარად გადმოსცემს ევოლუციონური მოძღვრების შინაარსს. ავტორს საჭიროდ მიაჩნია მკითხველს აუხსნას, რომ ბუნებისმეტყველება, რომელიც მთელ ბუნებას სწავლობს. იყოფა „საფიზიკო მეცნიერებად და ბიოლოგიად“, ხოლო ბიოლოგიიდან გამოიყოფა ზოოლოგია და ბოტანიკა. ჩემს მიზანს შეადგენს ზოოლოგიის ერთ ნაწილს, სახელდობრ, ემბრიოლოგიას შევეხოო.

ავტორი სხარტად და გასაგებად, საუბრის სახით გადმოსცემს ცოცხალი ორგანიზმის განვითარებას უჯრედიდან ორგანიზმის სრულ ფორმაციამდე, მხოლოდ სტატიას ის ნაკლი აქვს, რომ ბოლო ნაწილში აჭრელებულია ლათინური ტერმინებით — blastula, gastrula, morula...

„კვალის“ ფურცლებზე თუმცა შემთხვევით, მაგრამ მაინც ჰპოვა ერთგვარი მოწონება ემპირიოკრიტიციზმმა. გაზეთის 47-ე ნომერში (1897 წ.) დაბეჭდილია ჭაღარას (თ. კიკვაძის) პატარა წერილი სათაურით — „პოზიტიური ფილოსოფიის მოძღვრება“. წერილში განხილულია ლესევიჩის ლექცია პოზიტიურ ფილოსოფიაზე, რომელიც მას წაუკითხავს 4 ნოემბერს, 1897 წელს „თბილისის „კრუჟოკში“. საინტერესოა თვით წერილის ავტორს როგორ აქვს წარმოდგენილი ემპი-

რიოკრიტიციზმი. იგი წერს: „თავისი ლექციის მეორე ნაწილში ლისევიჩმა განმარტა ემპირიოკრიტიკული მეთოდი და მისი მნიშვნელობა. ამ მეთოდით ადამიანი მხოლოდ იმას ჰკიდებს ხელს და იკვლევს, რაც მისთვის სათუო არ არის და აუცილებელია, რომ ადამიანი არსებობს, რომ ის გარშემო წრეში ტრიალებს. ეს წრე წინ უყენებს მას, თუ შესაძლებელია ასე თქმა, ცხოვრების დასაკლისებს (жизнеразность) ანუ, მარტივათ, სხვადასხვა ცხოვრების საშიშროებას, ხიფათს და დამაბრკოლებელ-შემაფერხებელ გარემოებას... მე, რასაკვირველია, ვცდილობ ამ საშიშროებისაგან თავის დაღწევას, მივისწრაფვი ცხოვრების უმაღლეს წერტილისაკენ, maximum-ისაკენ, მოვიშორე დაბრკოლება, საშიშროება და ისევ დავიბრუნე ცხოვრების უმწვერვალესი მ ა ქ ს ი მ უ მ ი. ამ მაქსიმუმზე მხოლოდ მაშინ დგას ადამიანი, როცა არავითარი საშიშროება, არავითარი ცხოვრების დაბრკოლება არ უდგას წინ. ცხოვრების გზაზე ასეთი საჭაპანწყვეტო გარემოებანი... გადაჯაჭვულ გადახლართული ეღობება წინ ადამიანის, როგორც ფიზიკურ ისე სულიერ მხარესაც და თხოულობს მისგან განმკლავებას. ამათი წინააღმდეგობის გაწევა უფრო ემარჯვება შეერთებულ ძალას... აქედან ცხადია, რომ ადამიანი უნდა ცდილობდეს შეერთებულ, კონგრეგაციულ ძალით გაუმკლავდეს შემაფერხებელ გარემოებას. აქედან ცხადია, რომ ადამიანი ადამიანს უნდა მიკედლებოდა, ჯგუფი ჯგუფს, საზოგადოება საზოგადოებას, მხარე მხარეს და საბოლოოთ ელის სულ გაერთიანება კაცობრიობისა“... („კვალი“, № 47).

ჩვენ განგებ მოვიტანეთ „კვალიდან“ ეს გრძელი ამონაწერი იმის წარმოსადგენად, რომ გაზეთი უკრიტიკოდ აძლევდა გასავალს სხვადასხვა მიმართულებას საზოგადოებრივი აზრის დარგში. რა თქმა უნდა, ამ გაზეთს გ. წერეთლის ხელმძღვანელობით არ შეეძლო ფილოსოფიური აზრის კრიტიკა, არ შეეძლო წარმოედგინა ემპირიოკრიტიციზმის რეაქციულობა — საფუძველშივე რომ ეწინააღმდეგება კაცობრიობის პროგრესს. ამიტომ მოხდა, რომ ფილოსოფიურ თემაზე წაკითხული ლექციის კომენტირება მან მიანდო ჭიათურის ბიბლიოთეკის გამგეს თ. კიკვაძეს, რომელსაც მკითხველი უკვე იცნობს აკაკის

პოეზიაზე „კრიტიკული წერილით“. აღარ ვიტყვით იმის შესახებ, რომ თ. კიკვაძე თავისი პრიმიტიული, უილაჯო მსჯელობით დათვურ სამსახურს უწევს ლექტორს და მის მიერ ახსნილ და დასაბუთებულ ფილოსოფიურ მოძღვრებას.

1897 წლის „კვალის“ მე-15 ნომერში დაბეჭდილია „სამეცნიერო საუბარი“. წერილის ავტორი მაზაკვალი (გ. წერეთელი) ამბობს, რომ იგი გადმოღებულია ერთი ფრანგული გაზეთიდან.

წერილის ქვესათაური წარმოდგენილია შემდეგი სახით: „მეცნიერების მოკლე მიმოხილვა 1895 წელს“. — ელექტრონობა. — ქირურგია. — ფოტოგრაფია. — ქიმია. — ოპტიკა.— სტამბა. — ვარსკვლავთმცოდნეობა. — გეოგრაფია.— ფიზიოლოგია. — ჰიპნოტიზმი (შთაგონება). — ჰიგიენა (ტანთმრთელობა). სამეცნიერო საგნების კლასიფიკაცია აქ, რა თქმა უნდა, სწორად არ არის წარმოდგენილი, რაც იმას მოწმობს, რომ ავტორს თვით დედანი აქვს გადაკეთებული. წერილის შინაარსი კი საყურადღებოა. იმდროინდელი საზოგადოებისათვის წერილში მოცემულ ცნობებს სათანადო მნიშვნელობა ჰქონდა. მოვიტანოთ ორიოდე ადგილი: „რენტგენის სხივებმა ხომ წარსულ წელს საოცარი ამბავი მოახდინა. ერთი ინგლისელი კორესპონდენტი საკვირველ ამბებს იწერება. ინდოეთის ბრძოლის ველიდან ებრძვიან ინდოეთის მოსაზღვრე მთის ხალხებს. თურმე რენტგენის სხივები დიდ შემწეობას აძლევს მკურნალებს მით, რომ დაჭრილებს ადვილად უპოვიან ხოლმე ტყვიას ტანში...

ქიმიის მეცნიერებაში მუასონმა და პროფესორმა დავარმა იმდენი მოახერხეს, რომ მეტალი ფლუორი (flor — რკინა) გაალხვეს, რაც აქამდე ვერ მოეხერხებინათ. დოქტორმა ენბენმა ვერცხლიდან ოქრო მიიღო. იმან აზოტის სიმჟავეში გაადნო ვერცხლი, რომელშიც ოქრო იყო; რადგან ეს სიმჟავე ვერცხლს ადნობს და ოქროს კი ვერა, ამის გამო ვერცხლი და სპილენძი ხომ გადნა, ოქრო ძირს დარჩა დალექილი („კვალი“, № 15).

ავტორი სცდება, როცა ის „ფლუორს“ (flor) წმინდა მეტალად მიიჩნევს. იგი მეტალოიდია და არა მეტალი. კიდევ უფრო აღრმავებს თავის შეცდომას ის იმით, რომ flor-ს რკი-

ნად თარგმნის. ნუთუ ferum და flor ერთი და იგივეა? მაგრამ უფრო არსებითი ის არის, რომ „კვალი“ პოპულარობის მიზნით კმაყოფილდება ფიზიკა-ქიმიაში მხოლოდ ახალი მიღწევები დაასახელოს. სამი წლის წინათ ჟურნალი „მოამბე“ თავის ფურცლებზე მთელ გამოკვლევას ათავსებდა ქიმიის დარგში. საკმარისია მივუთითოთ პროფ. ვ. პეტრიაშვილის გამოკვლევა, რომელიც ეხება ღვინის ქიმიურ ანალიზს. აქ უბრალოდ კი არ არის მოცემული ქიმიური რეაქტივების ურთიერთმოქმედება, როგორც ეს „კვალმა“ გააკეთა, არამედ ურთულესი ქიმიური ფორმულებია მოცემული. მაგრამ „კვალს“ ხომ სამეცნიერო კრებულის პრეტენზია არა ჰქონია, რომ იქ გამოკვლევები ებეჭდათ ქიმიიდან თუ ფიზიკიდან.

მეცნიერებას განეკუთვნება აგრეთვე მიმოხილვითი წერილი „ჩინეთი“, სადაც უმთავრესად მოცემულია ჩინეთის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი არსებობის ეკონომიური საფუძვლები (№ 16).

განსაკუთრებით უნდა შევეხოთ ფ. მახარაძის სიტყვას — „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემა ქართული ენის შემოღების შესახებ (ბ. მარის საპოლემიკო წერილის გამო)“. ეს სტატია დაიბეჭდა 1898 წლის „კვალში (№ 20, 22, 24).

მოკლედ იმის შესახებ, თუ საიდან დაიწყო საქმე, რამ გამოიწვია ფ. მახარაძის სტატია. 1898 წელს აკაკი წერეთელმა თავის კრებულის („აკაკის კრებული“) იანვრის ნომერში დაბეჭდა წერილი — „ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაიასტანის და სომხეთის“, სადაც ამტკიცებდა რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ცნობა ქართველების პირვანდელი ენის შესახებ — თითქოს ეს ენა სომხური იყო, სრული გაუგებრობაა. ხსენებულ წერილში აკაკი ეხებოდა აგრეთვე სომეხ მეცნიერთა და მათ შორის პატკანოვის უსაფუძვლო ლაშქრობას საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის წინააღმდეგ.

აკაკის ეს წერილი კრიტიკულად მიიჩნია ნ. მარმა, სადაც იგი შეეცადა პატკანოვის გამართლებასაც. ნ. მარს უპასუხა აკაკიმ სპეციალური სტატიით, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში“ სათაურით: „Ответ приват-доценту Н. Марру“ („Кавказ“, 1898, №№ 60 — 61). აკაკის ეს წერილი მრა-

ვალმხრივ არის საყურადღებო და პირველ რიგში იმ მხრივ, რომ ის იშვიათი გონებამახვილობით არღვევს ნ. მარის არგუმენტაციას.

ნ. მარმა კარგად იცოდა საქართველოს ისტორიული წარსული, რომელსაც მან პირველხარისხოვანი გამოკვლევები მიუძღვნა და მას არ შეეძლო არ დაენახა თავისი მასწავლებლის პატკანოვის მსჯელობის უსაბუთობა, მაგრამ პატკანოვის შავრაზმული ზრახვების დასაფარავად მან იგი რუს მეცნიერად გამოაცხადა. აკაკიმ აქაც მართებულად უპასუხა. აკაკიმ მიუთითა, რომ ისე, როგორც სომეხ პატკანოვს, დიმიტრი ბაქრაძესა და სხვებსაც ქართველებიდან რუსული განათლება ჰქონდათ მიღებული, იზრდებოდნენ რუსეთის უნივერსიტეტებში, მაგრამ რუსებად ისინი არ არიან ცნობილიო.

ერთ-ერთ და უმთავრეს სადავო საკითხს აკაკისა და მარს შორის შეადგენდა „ქართლის ცხოვრების“ ცნობა ქართველთა თავდაპირველი ენის შესახებ. ამ საკითხს შეეხო ფ. მახარაძე ზემოხსენებულ სტატიაში. მან ფრიად საფუძვლიანი მოსაზრებანი გამოთქვა საზოგადოდ ენის წარმოშობისა და მისი განვითარების შესახებ.

ფ. მახარაძემ სავსებით სამართლიანად სცნო აკაკის მსჯელობა „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტების მცდარობის შესახებ ქართული ენის წარმოშობის საკითხზე და დიმ. ბაქრაძის მოშველიებით მიუთითა „ქართლის ცხოვრების“ რუმიანცისეული მუზეუმისა და თეიმურაზ ბატონიშვილისეულ ვარიანტებზე, სადაც იკითხება: „აქამომდე ქართლოსიანთა ენა იყო მ ხ ო ლ ო დ ქ ა რ თ უ ლ ი, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაც გარყვნეს ენა თავისი და ამით ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა მორთული“.

ფ. მახარაძე ასკვნის, რომ ტექსტი ამ ვარიანტებისა გადამწერთაგან დამახინჯებული უნდა იყოს, რადგან გაუგებარია სიტყვა „მორთული“. თვით აკად. ბროსეს მიერ გამოყენებული უძველესი ვარიანტი, სადაც განსხვავებული რედაქციაა დაცული, მცდარია, „ყოველგვარ გონიერებას და სიმართლეს მოკლებულია“. ნ. მარი კი იცავდა ბროსეს მიერ გამოცემული

ვარიანტის სიმართლეს. მარმა დაფარა ბროსეს ეჭვი უკანასკ-ნელის მიერ გამოცემული ვარიანტის სიმართლეზე.

ახლა, რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო წინ ვართ წასული „ქა-რთლის ცხოვრების“ გამოცემაში, მაგრამ „ქართლის ცხოვრე-ბის“ ძირითადი ტექსტი, ყველა ვარიანტების მიხედვით რომ გამოიცა, მაინც იცავს ამ ადგილს: „აქამომდე ქართლოსიანთა ენა სომხური იყო“. მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს გავიხსენოთ ფ. მახარაძის მიერ 1898 წელს გამოთქმული მო-საზრება.

ძველ დოკუმენტში გადამწერთაგან ერთხელვე დაშვებული შეცდომის იქით უნდა იხედებოდეს მკვლევარი და ისეთ დიდ საკითხს, როგორიც არის ამა თუ იმ ხალხის ენის წარმოშობა, მარტო რომელიმე დოკუმენტში მოხსენებული ცნობის მი-სედვით არ წყვეტდეს.

ნ. მარის კატეგორიული მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს „ქართლის ცხოვრების“ ძველი ვარიანტი სინამდვი-ლეს იცავს ქართული ენის წარმოშობის შესახებ, არ შეიძლე-ბოდა გამოუხმაურებლად დაეტოვებინა ქართველ ინტელი-გენციას და „კვალმა“ ფ. მახარაძის სტატიით დროული და კარგი საქმე გააკეთა.

ნ. მარის მსჯელობის შესახებ ავტორი წერდა: „როგორც მათემატიკას აქვს ერთხელვე დადგენილი ფორმულები, ბ-ნ მარსაც უცდია ამ ფორმულების შემოღება ისტორიულ მეც-ნიერებაში. თქვენ გსურთ მაგალითად რაიმე ისტორიული მოსაზრების დამტკიცება; მაშინ ეს მოსაზრება თქვენ ქაღალდ-ზე უნდა დაწეროთ, შემდეგ გაუსვათ ორი ხაზი (=) და დაასა-ხელოთ რომელიმე ძველი დოკუმენტი (კარგი იქნება თუ ეს უკანასკნელი რომელიმე აკადემიკოსის გამოცემულია) და მორჩა და გათავდა; დამტკიცება ხელთა გაქვთ. „ქართლის ცხოვ-რებაში“ და ვახუშტის ისტორიაში ნათქვამია, რომ ქართვე-ლები წინეთ სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ და მხოლოდ შემდეგ შემოიღეს ქართული ენაო. ბ-ნი მარი მათემატიკოსე-ბის მსგავსად დიდი სისწორით უჩვენებს თუ რომელ გვერდზე სწერია ეს (ასე წარმოიდგინეთ, ფრანგული თარგმანიც არ და-ეიწყნია) და შემდეგ თამამად გაიძახის: „ქართული მატიანე ორჯერ გვაუწყებს, რასაც აკაკი ძალდაუტანებლად უარყოფ-

სო“... ამნაირად ჩვენი მატიანის ყოვლად მცდარი მოთხრობა ბ-ნმა მარრმა სრულ ჭეშმარიტებად აღიარა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვალდებული იყო განეცხადებია, რომ თანამედროვე მეცნიერება, განსაკუთრებით ერთი მისი შტო — ლინგვისტიკა, რომლის წარმომადგენლად ის თავის თავს რაცხს, ვერ შეურიგდება ასეთ გადმოცემასო, რომ ეს ეწინააღმდეგება ენის არსებას, მის ცნებასო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ბ-ნ მარს ამ შემთხვევაში მეცნიერული საკითხი კი არ აინტერესებდა, პოლემიკური ქავილი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ჟინი“ („კვალი“, 1898 წ., № 20).

ავტორის სიტყვით „ენა არის ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის გამომთქმელი, მისი განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის მატერიალურ განვითარებასთან; ხალხი, რომელიც ღარიბია ნივთიერათ, ე. ი. მატერიალური კულტურით, ღარიბია ენითაც, ე. ი. სულიერათაც“ („კვალი“, № 22). რადგან ენა ვითარდება იმისდაგვარად, თუ როგორ იცვლება და ვითარდება საზოგადოებრივი ურთიერთობა, ამიტომ მას აქვს თავისი განვითარების კანონები, რომელთა მიხედვით ენის განვითარება წარმოგვიდგება ბუნებრივ პროცესად. ამ თვალსაზრისით, შეუძლებელია ენათა შერევა, ერთი ენით მეორის შეცვლა. უეჭველია, რომ, ისე როგორც სხვა ენებზე, ქართულ ენაზეც გავლენა ჰქონდა მეზობელი ხალხების ენებს, მაგრამ ამ გავლენას არ შეეძლო, ავტორის აზრით, გამოეცვალა ენა.

ფ. მახარაძის დაკვირვება საყურადღებოა ეროვნული ენის გაჩენის შესახებ. ავტორი ატარებს იმ აზრს, რომ ვიდრე არ არის წარმოქმნილი სახელმწიფო, მანამ არ არის დაძლეული „თემური ენები“, რომლებიც დიალექტებს წარმოადგენენ, ხოლო როცა საზოგადოებრივი ცხოვრება წარმატებაში შედის, თემები ერთდებიან „რითაც საფუძველი ეყრება სახელმწიფოს დაარსებას“, დიალექტები თანდათან ჯგუფდებიან, ერთიმეორეს უთმობენ ადგილს და ასე ვითარდება ეროვნული ენა. რაც შეეხება ქართულ ენას, ამაზე ავტორი წერს: „დღეს ქართული ენა გავრცელებულია მთელ სიგრძეზე, რომელსაც საქართველო ეწოდება... მაგრამ ძველ დროში ასე არ ყოფილა; ამის დასამტკიცებლად გარდა საზოგადო მოსაზრებისა,

ჩვენ ხელთ გვაქვს რამდენიმე უტყუარი ფაქტი. ამას უწინარეს ყოვლისა დღემდის დარჩენილი კილოკავები ამტკიცებენ, როგორც მაგალითად, მეგრული, სვანური, ინგილოური, აგრეთვე ის პროვინციალური კილოკავებიც, როგორც მაგ., გურული, ჯავახური, რაჭული და სხვები, რომლებიც აშკარად მოწმობენ, რომ ისინი ერთ დროს სულ სხვადასხვა დიალექტებს შეადგენდნენ და დღევანდელი ჩვენი ეროვნული ენისაგან ისე იყვნენ დაშორებული, როგორც მეგრული ან ფშაური („კვალი", № 24).

მეგრულისა და სვანურის ქართული ენის კილოკავებად გამოცხადება, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ამას თანამედროვე ენათმეცნიერება უარყოფს, თუმცა ჯერ კიდევ პროფესორმა ალ. ცაგარელმა გასული საუკუნის 70-ან წლებში დაადგინა მეცნიერულად, რომ მეგრული და სვანური არსებობდნენ და არსებობენ როგორც ცალკე ენები — ქართველური ენები. მაგრამ ფ. მახარაძის კონცეფცია ეროვნული ენის განვითარების შესახებ მაინც ძირითადად სწორია; ხოლო იქ, სადაც ავტორი ეროვნულ ენაზე ლაპარაკობს, ჩვენ საქმე გვაქვს ხალხურ ენასთან. ხოლო ეროვნული ენა იქმნება კაპიტალიზმის პირობებში ეროვნული ბაზრის შექმნის ნიადაგზე.

ეს ენა, ე. ი. ქართული ეროვნული ენა, იგივე ქართველი ხალხის ენაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქართველი ერის შექმნამდე ფეოდალიზმის ხანაში ამ ენაზე ლაპარაკობდნენ მოსახლეობის მხოლოდ დაბალი ფენები; გაბატონებულ კლასებს ჰქონდათ თავიანთი მწიგნობრული საეკლესიო ენა, ხალხისათვის ნაკლებ გასაგები — ხელოვნური ენა.

ქართული მწერლობა, მოწინავე საზოგადოება, ყოველთვის არღვევდა ამ ძველი ქართული ენის ნორმებს, და ხალხური ლექსიკით გაპოხიერებული, უახლოვდებოდა ხალხს, რამდენადაც ის ყოველთვის ხალხური ძირებით საზრდოობდა.

ამ ქართული სამწერლობო ენის შეერთებამ ხალხურ ენასთან ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესში, ეროვნული ბაზრის შექმნის ნიადაგზე, მოგვცა ქართული ეროვნული ენა.

1899 წლის „კვალში" მეცნიერების განყოფილებისაგან

გამოყოფილად ყურადღებას იპყრობს ფ. პატრიშვილის (გოგიჩაიშვილის) წერილების სერია — „ევროპის ძველი და ახალი მეურნეობა“ (№№ 27, 28, 29, 30, 31, 33, 34). ავტორი პირველ წერილში განიხილავს საკითხს — „გლეხი და მრეწველობა“. იგი მსჯელობას იწყებს ეკონომისტ სისმონდის კრიტიკით. XIX საუკუნის 30-იანი წლების გლეხის ცხოვრება ევროპაში, შვეიცარიისა და ზემო იტალიის მაგალითზე, სისმონდის მიაჩნდა დიდ ბედნიერებად, რომელიც, მისი აზრით, იდეალი უნდა ყოფილიყო საზოგადოებისათვის. სისმონდი თავისი თვალსაზრისისათვის გამოდის გლეხის კარჩაკეტილი მეურნეობის მაგალითიდან, რომელიც იშვიათად არის დაკავშირებული ბაზართან. ყველაფერი ამ მეურნეობაშია მოცემული და ყველა საჭირო და მოსახმარი ნივთი აქ წარმოებს.

„გლეხი, რომელიც თავის პატარა მამულზე მუშაობს, არც იჯარის სარგებელს და არც ქირას არავის არ აძლევს, საკუთარ პურს ჭამს, საკუთარ ღვინოს სვამს, საკუთარი ხელით სელისა და მატყლისაგან დამზადებულ ტანსაცმელს იცვამს; ასეთ გლეხს აინუნშიაც არ მოსდის ბაზრის ფასები, რადგან იგი ძალიან ცოტა რამეს ყიდულობს და ძალიან ცოტა რამეს ჰყიდის“.

ეს იდილია სოფლისა, ფ. პატრიშვილის აზრით, ახლა უკვე დარღვეულია, რადგან გლეხური ხელოსნობა მოშალა ქალაქის მრეწველობამ. კაპიტალისტურმა მრეწველობამ გლეხის ოჯახური მრეწველობა სწრაფად გააძევა ასპარეზიდან. რკინიგზამ, ფოსტამ, გაზეთმა „გაიტანა ქალაქის აზრი სოფლად და სოფელი ქალაქს დაუმორჩილა. გლეხი ბაზრისაგან შეიქმნა დამოკიდებული და სრულიად უმწეო გახდა, რათა თავისუფლად ემოქმედნა თავის მეურნეობაში“.

ავტორი მეცნიერული სიზუსტით არკვევს სავახშო კაპიტალის გაჩენას და მისგან გლეხის მეურნეობის გათელვას. „რამდენად სამეურნეო წარმოება საქონლის წარმოებად იქცეოდა, იმდენად შეუძლებელი ხდებოდა მწარმოებელს, როგორც ძველებურად, ნაწარმოები პირდაპირ მომხმარებლისათვის მიეყიდა. რამდენადაც ფართოვდებოდა და შორს იწევდა ბაზრები, რომლებისთვისაც სოფლელს ნაწარმოებნი მოჰყავდა, მით უფრო საჭიროებდა ეს უკანასკნელი შუაკაცს. და აი, ვაჭარი დგება მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის... ვა-

ჭარს მალე თან ერთვის მევახშეც... ცუდი მოსავლის დროს გლეხს არ ჰყოფნის თავისი ფული, რომ მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. იგი იძულებული ხდება მევახშის კაპიტალს მიმართოს და თავისი მამული მევახშეს დაუგირავოს. გლეხი მევახშის კაპიტალის ბრჭყალებში ვარდება" („კვალი", 1899 წ., № 27, გვ. 438). მისი მამული საჯარო ვაჭრობით იყიდება. გლეხი პროლეტარად იქცევა. ზოგიერთი სოფლად მდიდრდება, უმეტესობა კი ღარიბდება.

სალეწი და სხვა მანქანების გავრცელებამ სოფელში მოითხოვა ერთდროულად ბევრი მუშახელი. ვის ხელშიც ხვდება ეს მანქანა, მას სჭირდება მუშახელი, რომელიც უნდა დაიქირაოს. შორს წასვლა არ არის საჭირო. იქვე გაპროლეტარებული გლეხები ჰყიდიან თავის საკუთარ სამუშაო ძალას. ამრიგად სოფლად, ერთი მხრით, გამოიყოფიან სხვისი შრომის მიმთვისებელნი, მეორე მხრით, თავიანთი სამუშაო ძალის გამყიდველნი. „კლასიკური განხეთქილება მყვლეფელთა და გაყვლეფილთა, ქონების პატრონთა და პროლეტართა შორის, სოფელშიც ვრცელდება და ჰშლის ძველებურ ჰარმონიას ინტერესებისას".

ავტორის დაკვირვება მეცნიერულად სწორია; მაგრამ ის სცდება მთავარ დასკვნებში, როცა წერს: „მთელი ეს პროცესი, როგორც ვთქვით, საშუალო საუკუნეებში დაიწყო, მაგრამ მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესმა მეტად დააჩქარა და საზოგადოდ გახადა იგი. ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული" („კვალი", № 27, გვ. 439).

რა თქმა უნდა, ერთი კლასისაგან მეორე კლასის ექსპლოატაცია, კლასთა ბრძოლა ახალი არ არის და არა თუ საშუალო საუკუნეებში დაიწყო ის, არამედ კერძო საკუთრების გაჩენისთანავე, მაგრამ გლეხური მოსახლეობის დიფერენციაცია, სოფლის მდიდართა და ღარიბ-პროლეტართა ერთმანეთისადმი დაპირისპირება, არა თუ ახალია მხოლოდ კაპიტალიზმის დროს, ეს პროცესი თვით კაპიტალიზმის გაჩენას, მის წარმოშობა-განვითარებას მოწმობს. გასაგებია, რომ ის საშუალო საუკუნეებში, ფეოდალიზმის დროს არ დაწყებულა.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ფ. პატრიშვილს კაპიტალისტური მეურნეობა ფეოდალური მეურნეობის გაგრძე-

ლებად. მის ახალ ხარისხად მიაჩნია, თუმცა ის ლაპარაკობს „ეკონომიურ რევოლუციაზე“ („კვალი“, № 27, გვ. 437). კიდევ უფრო იგრძნობა წინააღმდეგობა ავტორის მსჯელობაში წერილში — „ფეოდალური დროის მეურნეობა“, სადაც ის ერთმანეთს ადარებს ფეოდალური და კაპიტალისტური წარმოების წესებს. ეკონომიურმა განვითარებამ ქალაქში, ავტორის სიტყვით, ერთიანად გადაატრიალა სოფლის ეკონომიური პირობები და ქონებრივ ურთიერთობათა შეცვლაც აუცილებელი გახადა: ეს ხომ რევოლუციაა და ავტორს ამის საილუსტრაციოდ მოაქვს საფრანგეთის რევოლუცია. მაგრამ როგორ აქვს მას ეს რევოლუცია წარმოდგენილი?

„ეს ცვლილება, — წერს ფ. პატ-ლი, — საფრანგეთში ძალმომრეობით შესრულდა, ე. ი. უცებ და ისეთნაირად, რომ გლეხები არამც თუ განთავისუფლდნენ ფეოდალური ტვირთისაგან, არამედ მათ ეკლესიებზე და ემინგრანტებზე ართმეული მამულიდანაც ხვდათ მიწა წილად, რამდენადაც ეს მიწა ბურჟუაზიის დაპატრონებას გადურჩა... პრუსიაშიც ცვლილებების შემოღება აუცილებელი შეიქნა. ეს ცვლილებები აქ როგორც მთელ გერმანიაში, მშვიდობიანი და ლეგალური გზით შესრულდა, ე. ი. აუცილებელი პროცესი ბიუროკრატიამ განახორციელა“ („კვალი“, № 28, გვ. 445).

არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ სოციალური რევოლუცია ავტორს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ძალმომრეობად, რომელიც შეიძლება შეცვალოს მშვიდობიანმა ცვლილებებმა ბიუროკრატიის ხელით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელიც ბოლოს უღებს ფეოდალურ ურთიერთობას, ავტორს წარმოდგენილი აქვს გლეხებისაგან მიწების დასაკუთრების გარეშე, თითქოს მიწებს ქალაქის ბურჟუა უნდა დაპატრონებოდა რევოლუციის ძალით. ეს არ არის სწორი. სწორი არ არის აგრეთვე მიწის ფეოდალური მფლობელობის საერთო მფლობელობად წარმოდგენა („კვალი“, № 28, გვ. 454) და ამ მფლობელობის ძალით შუა საუკუნეების გლეხის მეურნეობის კომუნად აღიარება: „საშუალო საუკუნეების წარმოების წესი საუცხოოთ შესაბამებული იყო სოფლის კომმუნის მოთხოვნილებასთან,

იმ კომმუნის, რომლის წევრებს თანასწორი უფლებები და თანასწორი ცხოვრების სახსარი ჰქონდათ“ (გვ. 452).

მეცნიერი ეკონომისტის ასეთი კონცეფცია კომუნიზმის წინააღმდეგ ბევრ თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომისტს თუ ისტორიკოსს გამოადგებოდა, მაგრამ იმ დროს მოტანილი სტრიქონების ავტორს ამაზე არ შეეძლო ეფიქრა. ის დარწმუნებული იყო, რომ თავის კალმით ემსახურებოდა ეროვნულ საქმეს, გაეცნო თავისი ხალხისათვის ცხოვრება, რომელიც პირობადებული იყო წარსულისაგან. ამ დროს, „კვალში“, როგორც უკვე დავინახეთ, იბეჭდებოდა ალ. წულუკიძის წერილები მეცნიერული კომუნიზმის საკითხებზე. ეს იყო მარქსის პოლიტიკური ეკონომიის საკითხების ბრწყინვალე დაცვა, რომელიც ფ. გოგიჩაიშვილის მიერ დახატულ შუა საუკუნეების კომუნის სრულ ანტიპოდს და მის უარყოფას წარმოადგენს. ამიტომ აღარ გამოვუდგებით „შუასაუკუნეების კომუნის“ კრიტიკას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ფ. გოგიჩაიშვილიც კარგად იყო გაცნობილი მარქსის პოლიტიკურ ეკონომიას, მაგრამ ის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის, ე. ი. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ტყვეობაში აღმოჩნდა.

მესამე წერილში („კვალი“, № 29) ავტორი ეხება სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციის საკითხს და აღნიშნავს, რომ მცენარეულობის ცელის სისტემა კერძო მესაკუთრის ხელში გამოყოფილი საძოვრებით შეესაბამება წარმოების უმაღლეს წესს — კაპიტალისტური წარმოების წესს. ამ წესმა გამოიწვია აგრეთვე ერთმანეთისაგან განსხვავებული სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების განვითარება.

ფეოდალურ მეურნეობაში მსხვილ წარმოებას წვრილ წარმოებაზე დიდი უპირატესობა არ ჰქონია. აქ მსხვილ წარმოებაში ბატონს სამუშაო ძალა ყმა გლეხებისაგან შეუდგებოდა, რომლებიც მოდიოდნენ წარმოებაში საკუთარი საწარმოო საშუალებით და უგულოდ ეკიდებოდნენ საქმეს. მთელი მათი ცდა იმაში გამოიხატებოდა, რომ როგორმე ბეგარა მოეხადათ. ხოლო საკუთარ მიწაზე გლეხები უკეთ მუშაობდნენ.

კაპიტალიზმის დროს, როცა, როგორც მსხვილ, ისე წვრილ წარმოებაში საკუთარი იარაღით, საქონლით და მუშით წარმოებს მუშაობა, შესაძლებელი გახდა მსხვილ წარ-

მოებაში შრომის ისეთი განაწილება, რაც შეუძლებელი ხდება წვრილ წარმოებაში. გლეხი, როგორც მეურნე და მრეწველი (საოჯახო მრეწველი) თუ წინათ ყველაფერს, რაც მას ესაჭიროებოდა, თვითონ აწარმოებდა, ახლა აღარ აწარმოებს. საწარმოო იარაღებს, ტანსაცმელს და არაიშვიათად სარჩოსაც ის ბაზარზე ყიდულობს.

ეს ცვლილება იწვევს გლეხის მეურნეობაში ისეთი დარგის განვითარებას, რომელიც მისთვის უფრო მომგებიანია, რომელიც საშუალებას აძლევს თავისი საქონელი ბაზარზე გაიტანოს და სარგებელი ნახოს.

საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარება, მეტადრე მსხვილი წარმოების ფარგლებში, დამოკიდებული გახდა ბუნებათმეცნიერების, მექანიკის, ფიზიკისა და ქიმიის დარგებში უახლოეს აღმოჩენებზე („კვალი", № 29, გვ. 470).

შემდეგი წერილები („კვალი", №№ 30, 31, 33) შეეხება მანქანურ წარმოებას და მის უდიდეს როლს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, სასუქების მნიშვნელობას ნიადაგის უხვი მოსავლიანობისათვის, ხოლო ბოლო წერილში ავტორი განმარტავს მეცნიერებისა და მეურნეობის დამოკიდებულებას და აყენებს ასეთ დებულებას — მეურნეობა მეცნიერებაა.

ავტორი ემყარება ცნობილ გერმანელ მეცნიერს ლიბიხს, რომელიც ამბობდა: მეცნიერება არ არის საქმისათვის რაიმე უცხო, იგი თან სდევს ყოველგვარ საქმიანობას. კარგად მოწყობილ მეურნეობის საფუძველში და მეცნიერებაში ავტორი ხედავს სრულ იდენტობას. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერების სარბიელი სოფელი გამხდარიყო. დიახ, ასეა. ერთი შეხედვით. მაგრამ რამდენადაც იზრდება და მრავლდება რაციონალური მეურნეობანი, იმდენად იზრდება მოთხოვნილება მექანიკის, ქიმიისა და ფიზიოლოგიის გამოყენებისა სოფლის მეურნეობაში. ამიტომ ქალაქი აუცილებელი სარბიელი ხდება, ავტორის აზრით, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დაწესებულებებისათვის, რომელთაც სოფელი ვერ დაიტევს.

„აქაც ლიბიხი გზის გამკვლევი შეიქნა. ვითარცა ბავარიის სამეცნიერო აკადემიის თავმჯდომარემ, 1861 წელს, მიუნხენში სადღესასწაულო სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც

დაპხატა სოფლებში სამეურნეო აკადემიის არსებობის მოუხერხებლობა და მათი საუნივერსიტეტო ქალაქებში გადატანის საჭიროება დაასაბუთა“ („კვალი“, № 34, გვ. 603).

ფ. გოგიჩაიშვილის წერილების ეს სერია, რომელიც შეეხება გლეხისა და მეურნეობის საკითხებს, საერთოდ სოფლის მეურნეობის საკითხებს, საქმის დიდი ცოდნით და ბეჯითადაა შესრულებული. ავტორის მსჯელობიდან კარგად ჩანს, რომ ის დიდად განათლებული და მომზადებული ეკონომისტია, რომელიც, როგორც ბურჟუაზიული მოაზროვნე, პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო ეკონომიის საკითხებს, რადგან თვით ბურჟუაზიული სახელმწიფო, მისი აზრით, ყოველგვარ საქმიანობაზე აგებული სახელმწიფო, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის უკეთესი ფორმაა.

სახელმწიფო ეკონომიის საკითხებით გატაცებულმა, მაშინ ახალგაზრდა ქართველმა ეკონომისტმა, რომელმაც ევროპაში მიიღო განათლება, წინა პლანზე წამოსწია ფეხისალაგების გაწმენდის მნიშვნელობა და საბუთად ლიბიხის ნათქვამი მოიტანა: „ქალაქებში ფეხისალაგების საქმისაგანაა დამოკიდებული სახელმწიფო სიმდიდრისა და კეთილდღეობის დაცვა, წინსვლა კულტურისა და ცივილიზაციისა“.

გატაცებული ლიბიხის ასეთი დებულებებით, ფ. გოგიჩაიშვილი ამბობს: „ასე წერდა ლიბიხი ნახევარი საუკუნის წინეთ. ადამიანის განავლის მნიშვნელობა მიწის საპატივებლად და განავალის მეურნეობისათვის მოხმარების საჭიროება მას შემდეგ საყოველთაოდ აღიარებულია. მაგრამ ფეხის ალაგების გაწმენდის საქმე, რასაც ლიბიხი თხოულობდა, დღესაც არ არის განხორციელებული. ჯერ კიდევ ვერ გამოუგონიათ დიდი ქალაქებიდან ადამიანის განავლის გატანის ისეთი სისტემა, რომელიც იაფად დაჯდებოდეს ხოლმე და როგორც ჰიგიენის, ისე მეურნეობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს“ („კვალი“, № 33, გვ. 584).

ბევრი სხვა სიმდიდრე ჰქონდა გამოუყენებელი XIX საუკუნის 90-იან წლებში ქართველობას, რომ გერმანიის „სიმდიდრის“ — ადამიანის განავლის მოხმარების მაგალითი არ მიეღო. ამიტომ იყო, რომ ფ. გოგიჩაიშვილის წერილს, სიმდიდრის მოპოვებაში ფეხის ალაგების მნიშვნელობის შესახებ, არავინ გამოხმაურებია.

„კვალის“ დიდ დამსახურებად ჩაითვლება, რომ მან დროულად შეამჩნია ვ. ი. ლენინის კლასიკური შრომა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. გაზეთის 30-ე ნომერში, 1899 წელს ამ შრომაზე დაბეჭდილია კარგა მოზრდილი რეცენზია ასეთი სათაურით: „ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა. Владимир Ильин: «Развитие капитализма в России. Процесс образованія внутренняго рынка для крупной промышленности. СПБ, 1899. ц. 2 р. 30 к.» რეცენზენტი წერს: „ვლ. ილინის წიგნი საყურადღებოა თავისი მკაცრი მეცნიერული ობიექტური გამოკვლევებით... საგაზეთო რეცენზიის სიმოკლე, რასაკვირველია, ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით შევეხოთ ამ შესანიშნავ, ღრმა და საფუძვლიანი შრომის შინაარსს. ამისათვის ჩვენ შევეხებით ავტორის ძირითად დასკვნებს. პირველ თავში ის განმარტავს შინაურ ბაზრის თეორიას — თეორიას მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის რეალიზაციისას.

შემდეგ სამ თავში გარკვეულია ეკონომიური წესები გლეხთა და მემამულეთა მეურნეობისა და ზრდა სავაჭრო მიწათმოქმედებისა. საქონლის წარმოების საფუძველზე გლეხობა იყოფა ორ ნაწილად: ბურჟუაზია და პროლეტარიატი; საშუალო წოდება ირეცხება და ეს პროცესი თავის მხრივ გავლენას ახდენს მეურნეობაზე, აჩქარებს ძველებურ მიწათშემუშავების დარღვევას და ნაცვლად ანვითარებს კაპიტალისტურ სისტემას. საბატონო მიწის ტრადიციული დამუშავება გლეხთა იარაღით, ადგილს უთმობს დაქირავებული შრომით დამუშავებას. თანამედროვე სამეურნეო კრიზისი, რომელიც იწვევს ნაწარმოების აუცილებელ გაიაფებას და მაშასადამე, ტექნიკურ პროგრესს, კიდევ მეტ მუჯლუგუნს სცემს, ავტორის აზრით, ეკონომიურ ურთიერთობათა აღნიშნულ მეტამორფოზას (გარდაცვლა, გადასხვაფერება). მიწათმოქმედება გადადის მრეწველობაში, რომელიც საქონლის წარმოების საზოგადო კანონს ემორჩილება, ხდება მეურნეობის ამა თუ იმ ნაყოფთა სპეციალიზაცია, რასაც თან მოჰყვება მეურნეობის ყველა მხარეებიც. ეს იწვევს გაცვლა-გამოცვლის ურთიერთობას სხვადასხვაგვარ დარგსა და მეურნეობას შორის, მიწათმოქმედებასა და ინდუსტრიას შორის. ჩნდება და. იზრ-

დება, მაშასადამე, ბაზარი საწარმოო და პირველ მოსახმარ საგნებისა და სამუშაო ძალისა“.

შემდეგ რეცენზენტი განიხილავს ლენინის შრომის დანარჩენ თავებს და უჩვენებს წიგნში განვითარებული მსჯელობის მთავარ ხაზებს. რეცენზენტი ყურადღებას აქცევს კავკასიის შესახებ ლენინის დებულებას — „რუსეთის კაპიტალიზმი ითრევდა კავკასიას მსოფლიო საქონლის წარმოებაში“... და რეცენზიას ამთავრებს სიტყვებით: „ილინის წიგნის წაკითხვას ვურჩევთ ყველა მკითხველს“.

რეცენზია ხელმოუწერელია და მის ავტორს აღნიშნავს — ъ. ჩვენი აზრით, რეცენზიის ავტორია სილბისტრო ჯიბლაძე.

1900 წელს „კვალში“ (№№ 1, 2, 3, 8, 9, 12) დაბეჭდილია ფ. მახარაძის ორი წერილი: „საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში“ და „საქართველოს შინაური ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნეში“. როგორც ჩანს, ავტორს განზრახვა ჰქონდა ისტორიული ექსკურსი წარემძღვარებია თავისი მსჯელობის საგნისათვის, მაგრამ ეს პირველი წერილი მთლიანად წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მოკლე მიმოხილვას უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე; მეორე წერილი შეეხება ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ავტორი მეტად მოკლედ სულ რამდენიმე წინადადებით აღწერს საქართველოს მდგომარეობას კავკასიაში რუსეთის მიერ წარმოებულ ომებთან დაკავშირებით და ამთავრებს მსჯელობას ასეთი დებულებით: „მთელი ეს ხანა, 64 წელიწადი, შეადგენს რუსეთის მთავრობის მომაგრებისა და გავრცელების პროცესს კავკასიაში, რასაც მიქცეული ჰქონდა მთავრობის უმთავრესი ყურადღება და მოუნდა აურაცხელი ხარჯი თუ ფულით, თუ კაცით. ადვილი გასაგებია, რომ ამ ხნის განმავლობაში სხვა ყოველგვარი საქმე ან სულ დავიწყებული იყო, ან მეორე ხარისხზე იყო დაყენებული. მთავრობა შეუდგა გადასახადის მოწესრიგების საქმეს 1837 წელს და ხუთი წლის განმავლობაში შემუშავებული იქნა გადასახადის ახალი სისტემა, რომელმაც გააუქმა გადასახადის ნაწარმოებით მოკრეფა, ე. ი. ამიერიდან ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადი ფულათ

უნდა მოეკრიფათ. ამ ხნის საუკეთესო დროთ ითვლება ის წლები, როცა თ-დი ვორონცოვი კავკასიის ნამესტნიკათ იყო (1845 — 1854 წწ.). ამ ხანებში დაეტყო საზოგადოებრივ ცხოვრებას რაღაცნაირი გამოფხიზლება, მაშინ გაძლიერდა აღებ-მიცემობა და ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის საძირკველიც მაშინ ჩაიყარა. მაგრამ ყოველივე ამაო იყო, სანამ ბატონყმური ურთიერთობა არსებობდა" („კვალი", 1900 წ. № 2). თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ გადასახადების საქმეს მოსახლეობისათვის დიდ სიკეთედ თვლის ავტორი და აგრეთვე იმას, რომ კავკასიაში რუსეთის განმტკიცება გამართლებულია „აურაცხელი ხარჯით თუ ფულით, თუ კაცით", რაც გასწია რუსეთმა, მაშინ მთავარ ხაზებში ავტორის დასკვნა სწორი გამოდის ერთი პირობით, რომ ის ცვლილებები, რაც XIX საუკუნის შუა წლებში დაეწყო საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეკონომიური და კულტურული წარმატების გზაზე, იყო ობიექტური შედეგი რუსეთის მფლობელობისა. ავტორის მსჯელობით კი ისე გამოდის, რომ მეფის რუსეთის მთავრობა ზრუნავდა ქართველი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. შეიძლება ეს მსჯელობის სიმოკლის ბრალიც იყოს.

სწორია ავტორის აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთის მთავრობამ საქართველოში, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში პოლიტიკურად მოსპო ფეოდალიზმი, მაგრამ ამ ფეოდალიზმის ეკონომიურ და სოციალურ საფუძველს არ შეხებია („კვალი", 1900 წ. № 4, გვ. 5). ავტორი წერს: „საქართველოში გლეხთა განთავისუფლებით და რკინიგზით იმერ-ამერის შეერთებით იწყება სრულიად ახალი ხანა, ის, რასაც განახლებული ცხოვრება ეწოდება... ამ გზით იშვა და განვითარდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა წოდებული კაპიტალისტურათ... ამნაირათ საქართველოს შინაური ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გაიყოფა ორ ხანათ: პირველი გრძელდება ბატონყმობის იურიდიულად გაუქმებამდე და რკინიგზის გაყვანამდე და შეიცავს 65—70 წელიწადს; მეორე იწყება მესამოცდაათე წლებიდან" (იქვე).

ეს პერიოდიზაცია, რომელსაც ავტორი მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში იცავდა, მიღებული

იყო მესამე დასელების მიერ და ჯერ კიდევ 1895 წელს სილ. ჯიბლაძემ „კვალში“ დაბეჭდა ამ პერიოდიზაციის სქემა. ეს უკანასკნელი საჭიროებს საფუძვლიან დაზუსტებას, რათა საქმე ისე არ წარმოსდგეს, რომ კაპიტალიზმი ჩვენში მართლა 70-იანი წლებიდან იწყება. 70-იანი წლებიდან კაპიტალისტური ურთიერთობა გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობაა ჩვენში, ხოლო კაპიტალიზმი ჩაისახა ბატონყმობის წიაღში და მან იწყო განვითარება XIX საუკუნის 30—40-იანი წლებიდან. რაც შეეხება ავტორის მსჯელობას XIX საუკუნეში საქართველოში მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ, იგი მოითხოვს შესწორებას იმ მასალებით, რომლებიც ავტორმა თავის დროზე ვერ გამოიყენა.

1900 წლის 12 იანვარს გარდაიცვალა „კვალის“ დამაარსებელი და მისი მთავარი მოღვაწე გიორგი წერეთელი. გაზეთმა თავისი ორი ნომერი (№ 3—4) მიუძღვნა გ. წერეთლის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბებს.

მისი დაკრძალვა ერთგვარად გადაიქცა ქართული კულტურის ძალების შეკრების დღედ, სადაც უეჭველად იგრძნობოდა ქართველი ინტელიგენციის მოწინავეობა და მისი როლი ეროვნული გათვითცნობიერებისა და მისი ძალის ზრდის საქმეში.

ეს არის პერიოდი, როცა თერგდალეულების დასაყრდენი ბურჟუაზიული დემოკრატია უკვე უკან მოიტოვა მუშათა კლასმა და მისი იდეოლოგია ეუფლებოდა საზოგადოებრივი მოძრაობის მოწინავე პოზიციებს. თვით დამწყებნი ამ იდეოლოგიური მოძრაობისა, აქა-იქ, ვერ აღმოჩნდნენ ნამდვილი მისი დამცველნი, ე. ი. ჭეშმარიტი მარქსიზმის დამცველნი. ეს მაინც არ უშლიდა ხელს მესამე დასელებს მოწინავე პოზიციებიდან შეეტიათ დროგადასული მოძრაობისათვის.

როგორც ყოველთვის ახლისა და ძველის ურთიერთბრძოლაში ხშირია უკიდურესობა, ერთისაგან მეორის განქიქებაში დაეიწყება მოპირდაპირის დამსახურებისა, ისე ამ შემთხვევაშიც საზოგადოებრივი დასების ურთიერთდაპირისპირებაში დავიწყებული იქნა ღირსება მოპირდაპირისა.

1900 წელს „კვალში“ ნ. ჟორდანიამ დაბეჭდა წერილები ქართულ პრესაზე („კვალი“, 1900 წ. №№ 5, 7, 9, 11, 13, 16.

21, 23, 25, 26). ქართული პრესა, ავტორის აზრით, იწყება მხოლოდ გაზეთ „დროების“ გამოსვლიდან (1866 წ.). მანამდე ჟურნალი თუ გაზეთი მოწყვეტილი იყო თანამედროვეობას, თანამედროვეობის საკითხები მას არ ამოძრავებდა. მაგალითისათვის ის მიუთითებს „საქართველოს მოამბის“ შესახებ ილ. ჭავჭავაძის შეხედულებაზე, რომ მას — „საქართველოს მოამბეს“ დროების ინტერესი არ ჰქონია“. მეტი რაღა საბუთია საჭირო, რომ ეს ჟურნალი პრესის ისტორიისათვის ანგარიშში არ იქნეს მიღებული, როცა თვით მისი რედაქტორი აცხადებს, რომ ჟურნალი მოწყვეტილი იყო თანამედროვეობას! მორჩა და გათავდა! განაჩენი თვით ილ. ჭავჭავაძეს გამოუტანია „საქართველოს მოამბისათვის“, იმ ჟურნალისათვის, რომელმაც ახალი სიტყვა თქვა და გზა გაუკაფა როგორც მხატვრულ მწერლობას, რეალიზმის საფუძველზე, ისე ქართულ პუბლიცისტიკას.

ილ. ჭავჭავაძე თვით ახასიათებს და წუნს სდებს „საქართველოს მოამბეს“, რომელიც სამეცნიერო კრებულს დაემსგავსა, რომ ის უფრო კრებული იყო, ვიდრე ჟურნალი, რომელსაც უნდა ებეჭდა გაზეთისათვის დამახასიათებელი მასალები თანადროულ აქტუალურ საკითხებზე. ეს, რა თქმა უნდა, გამოწვეული იყო საცენზურო პირობებით, რომელმაც ბოლო მოუღო „საქართველოს მოამბეს“. მაგრამ ეს გარემოება არავის და არც „კვალის“ პუბლიცისტს აძლევდა საბუთს ასე უხეშად უარეყო თერგდალეულთა პირველი ლიტერატურული ორგანოს მნიშვნელობა.

სინამდვილეში „საქართველოს მოამბე“ სრულიად არ ყოფილა თანადროულობას მოწყვეტილი. ეს არ ითქმის არც „ცისკარზე“, რომელიც ნ. ჟორდანიას ასევე ანგარიშში არ ჩაუგდია. ავიღოთ თუნდაც მოლაყბის (მიხეილ თუმანიშვილის) წერილები „ცისკრიდან“. განა შეიძლება ითქვას, რომ ეს წერილები თანადროულობას მოწყვეტილია და მის საჭირბოროტო საკითხებს არ ეხება? რასაკვირველია არა. უფრო შორს რომ წავიდეთ — 1828 წლიდან გამომავალ „თბილისის უწყებებს“ და მის ლიტერატურულ დამატებას რომ შევეხოთ, ამ მაგალითზედაც არ შეიძლება შევიწყნაროთ ავტორის შეხედულება ქართულ პრესაზე.

მაშასადამე, არ არის სწორი და საფუძველშიც მცდარია ის შეხედულება, რომ ქართული პრესა თითქოს მხოლოდ გაზეთ „დროებიდან“ იდგამს ფეხს. „დროება“. რა თქმა უნდა, მის წინამორბედ ჟურნალ-გაზეთებისაგან განსხვავდებოდა და უფრო მეტი სარბიელიც ჰქონდა მას, ვიდრე ადრინდელ პრესას, მაგრამ სახელმძღვანელო ხაზი, პროგრამა „დროებისა“ იგივე იყო, რაც „საქართველოს მოამბის“, თუმცა უკანასკნელმა ვერ მოასწრო თავისი პროგრამის განხორციელება.

ისე როგორც „დროება“, „საქართველოს მოამბეც“ იღვწოდა განათლებისა და მეცნიერების ხალხში შესატანად, ხოლო ეს „პრესის“ კვალელმა ავტორმა ვერ დაინახა. „ძველი უვარგისი ცხოვრების უარისყოფა და ახალი ევროპული ცხოვრების შეთვისება — აი მიზანი და პროგრამა „დროების“ — წერს ნ. ჟორდანია. მას ალბათ სხვაგვარად გაუგია „საქართველოს მოამბის“ დევიზი — „ცხოვრება რაც გუშინ იყო, დღეს ის აღარ არის, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფრისა“.

უეჭველია, რომ გაზეთმა „დროებამ“ დიდი როლი ითამაშა ქართული პრესის ისტორიაში, მარტო იმ მხრივაც, რომ მან დიდი ადგილი დაუთმო კრიტიკულ წერილებს და არ დარჩენია საზოგადოებრივი მოძრაობის არც ერთი საყურადღებო მომენტი, რომ არ გამოხმაურებოდეს. იგი თვით გახდა თერგდალეულთა მოძრაობის წარმმართველი პრესა, მაგრამ სასტიკად ცდება ავტორი, როცა ის „დროების“ გადაჭარბებულ შეფასებასთან ერთად „ივერიის“ დაბადებას ხსნის როგორც რეაქციას „დროების“ წინააღმდეგ. იგი წერს: „დროების“ პროგრესულმა ჯგუფმა ბუნებრივად დაბადა მოწინააღმდეგე ჯგუფი, ჯგუფი კონსერვატორთა. და აი ამ ჯგუფმა დაარსა საკუთარი ორგანო, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1877 წ. ამ ორგანოს სახელია „ივერია“.

ვინ შეადგენდა „დროების“ ჯგუფს? ამის შესახებ ნ. ჟორდანია წერს: „გ. წერეთელმა 1869 წელს გაზეთი გადასცა ევროპიდან ახალ ჩამოსულ სერგეი მესხს. იმავე წელს ევროპიდან დაბრუნდა ნ. ნიკოლაძე და ამნაირად შედგა „დროების“ ახალი ჯგუფი: გ. წერეთელი, ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე. ამათ შემდეგ მიემხრო აკაკი წერეთელი“.

მაშ „ივერიის“ ჯგუფში ვინღა შედიოდა? მხოლოდ ილ. ჭავ-ჭავაძე, ავტორის სიტყვით.

ის ერთი კაცი შეადგენდა „ივერიის“ ჯგუფს, რომელიც შემ-დგარა „დროების“ საწინააღმდეგოდ. ავტორი გამოდის ნ. ნი-კოლაძისა და სერ. მესხის პოლემიკური წერილებიდან და სრულ ჭეშმარიტებად აღიარებს ამ წერილებში გამოთქმულ აზრს „ივერიის“ გაჩენის პირობებზე, ხოლო თავის მხრივ, ე. ი. თავისი სალაროდან იმას ამატებს, რაც ნ. ნიკოლაძესა და ს. მესხს ფიქრადაც არ მოსვლიათ, სახელდობრ „ივერიისა“ და მისი ჯგუფის რეაქციონერობას. ავტორის დასკვნა ასეთია: „ამგვარად ნ. ნიკოლაძისა და სერ. მესხის წერილებიდან დღე-სავით ცხადია, ის, თუ რამ აიძულა თ. ილ. ჭავჭავაძე „ივერია“ დაეფუძნებია და ჟურნალისტი შექმნილიყო. მას დასჭირდა გაზეთი არა იმიტომ, რომ მწერალი იყო, არამედ იმიტომ, რომ ის ბანკის მმართველი იყო. ახალ ორგანოს უნდა დაეცვა ბან-კი და ბანკირები მოწინააღმდეგეთაგან. „ივერია “ეს ბანკის და-მატებაა, მისი განყოფილებაა, ბანკი კი „ივერიის“ წყაროა. ეს მისი ქონებრივი და გონებრივი მასაზრდოებელია“ („კვალი“, 1900 წ., № 9). ჯერ ის უნდა დაემტკიცებინა ავტორს, რომ ბანკი მართლაც კონსერვატული დაწესებულება იყო და მერე მისი ინტერესების მომსახურე გაზეთი „ივერია“ კონსერვატული აზრის მატარებლად გამოეყვანა. მაგრამ ავტორმა ვერაფერი თქვა ბანკზე, გარდა იმისა, რომ ის, სრულიად უსაფუძვლოდ, საფინანსო დაწესებულებად აღიარა.

ამის შემდეგ ილ. ჭავჭავაძემ, რომელიც „ახალმოსულის“ ფსევდონიმით გაეკამათა „კვალს“, მასში მოთავსებული წერი-ლების — „პრესა“ — გამო, ქვა ქვაზე აღარ დატოვა ნ. ჟორ-დანიას მსჯელობიდან და დაამტკიცა, რომ „კვალის“ პუბ-ლიცისტს და იმავე დროს ხელმძღვანელს არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა ბანკის საქმიანობაზე.

ნ. ჟორდანიას შეხედულება „ივერიის“ შესახებ უსაფუ-ძვლოა. ის შორს არის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომი-საგან, თუმცა ვეებერთელა ამონაწერებით ნ. ნიკოლაძისა და ს. მესხის წერილებიდან ცდილობს მეცნიერულად დაამტკი-ცოს თავისი აზრი „ივერიის“ გაჩენაზე.

მიუხედავად ცხარე პოლემიკისა, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი

მესხი და ილია ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან გათიშულნი არ ყოფილან, რომ პირველი ორი ჩაგვეთვალა ცალკე, ილია ჭავჭავაძის სრულიად მოწინააღმდეგე ჯგუფად. ეს, სხვათა შორის, დაამტკიცა „დროებისა“ და „ივერიის“ გაერთიანებამ 1880 წელს, რომელსაც ნ. ნიკოლაძემ ქორწინება უწოდა. ს. მესხი ამ გარემოების შესახებ წერდა: „დღეის შემდეგ ჩვენ უფრო ადვილად შევძლებთ ორივე გამოცემის უკეთ წაყვანასა და წარმატებას, რადგან ამ შეერთებით მოგვემატება როგორც ლიტერატურული ძალღონე, ისე მატერიალური საშუალება... ხანგრძლივი მოლაპარაკება გვქონდა ჩვენ, სანამ ამ შეერთებაზე დავთანხმდებოდით. ჩვენს შორის არ არის მიმართულების ისეთი „შესამჩნევი“ განსხვავება, რომ ერთად სიარული არ შეგვეძლოს“ („დროება“, 1873 წ., № 237).

„კვალის“ პუბლიცისტი მართალია იმაში, რომ ამ გაერთიანებამ ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი ერთმანეთს უფრო დაახლოვა, მაგრამ მისი მტკიცება იმის შესახებ, რომ „დროებასა“ და „ივერიას“ შორის იყო კლასობრივ საფუძველზე აღმოცენებული იდეოლოგიური სხვაობა, სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. ორივე ლიტერატურული ორგანო მაშინ ახალგაზრდა ბურჟუაზიული დემოკრატიის მესიტყვეა.

ცნობილია, რომ ილ. ჭავჭავაძემ თავის წერილებში „ცხოვრება და კანონი“, რომელიც დროგამოშვებით იბეჭდებოდა „ივერიაში“ (1877, 1879, 1881 წწ.) გაატარა ეროვნული ერთობის აზრი. ის აქ უარყოფდა კლასთა ბრძოლას საქართველოს სინამდვილეში. კლასთა ბრძოლა ევროპის ცხოვრებისათვის არის დამახასიათებელიო. ილ. ჭავჭავაძის მიერ საქართველოს წარსული ისტორიული ცხოვრების ეს იდეალიზაცია იმით იყო გამოწვეული, რომ წარსულის მაგალითი მიეცა თანამედროვეობისათვის თვითმპყრობელობასთან პოლიტიკურ ბრძოლაში ეროვნული თავისუფლებისათვის. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში წარმატებისათვის ამ დიდ მოღვაწეს პირობად ეროვნული მთლიანობა მიაჩნდა.

ილ. ჭავჭავაძეს არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ეროვნული თავისუფლების მედროშე გახდებოდა მუშათა კლასი. ის ეძებდა ეროვნულ ძალთა ერთობას და უარყოფდა კლასობრივ დაპირისპირებას ისევ და ისევ ეროვნული ძლიერებისათვის. ან

სად იყო მუშათა კლასი? როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, მაშინ (1879 — 1881 წწ.) თვით რუსეთში მუშათა კლასი ძლიერ სუსტი იყო და მისი მოქმედება არც ჩანდა.

მუშათა კლასი თვით ჩერნიშევსკისათვის არ იყო გასაგები და ჩამორჩენილ თემურ ცხოვრებაზე აგებდა სოციალისტური საზოგადოების ფორმულებს, მაგრამ არავის ფიქრად არ მოსულა, რომ ჩერნიშევსკის მიერ მუშათა კლასის შეუცნობლობა რეგრესად ჩაეთვალა.

ლენინი ჩერნიშევსკის მიერ აღებულ საზოგადოებრივი პოზიციის მიზეზად რუსეთის ჩამორჩენილობას მიუთითებს, რომ მაშინ ჩერნიშევსკის გარემომცველი საზოგადოებრივი ცხოვრება არ იყო ისეთი, რომ დიდი რევოლუციონერი ამაღლებულიყო მუშათა კლასის როლის გაგებამდე.

მაშ რატომ უნდა თქმულიყო ნაციონალურ-რევოლუციური ბრძოლის მედროშე ილია ჭავჭავაძეზე, რომ ის თითქოს კონსერვატორი იყო! განა იმის გამო, რომ ამ ბრძოლაში ილია მთელი ერის გაერთიანებას მოითხოვდა? შემცდარი აზრი სხვა არის და მთელი კონცეფცია, რომელსაც ამ შეცდომის დამშვები მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ატარებს, კიდევ სხვა.

თვით „კვალის“ პუბლიცისტი ამტკიცებს, რომ ილ. ჭავჭავაძემ მთელი სიძლიერით დახატა კლასობრივი უფსკრული ბატონსა და ყმას შორის. მაშ როგორ მოხდა, რომ ამის შემდეგ იგი ბატონე-ფეოდალების დამცველად გამოვიდა, როგორც ეს ავტორს ჰგონია? ის წერს: „განსხვავება მათ (ფეოდალებს, ა. კ.) და გლეხებს შორის „მოკითხვის წიგნში“ იყო! — ამის პასუხს ი. ჭავჭავაძეს კაკო ყაჩაღი მოახსენებდა... და განა ყველა ეს თ. ი. ჭავჭავაძემ არ იცის? რასაკვირველია, იცის და თუ მაინც ასე წერს — ეს იმიტომ, რომ სხვანაირათ წერა არ შეეძლო, არ შეეძლო როგორც ბანკირს, თავადაზნაურობის არჩეულს და მასზე დამოკიდებულს. ეს არის ის საერთო სათავე, საიდანაც მომდინარეობს მთელი მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა და ეს მოღვაწეობაც აქ პოულობს თავის ახსნას და გამოკვლევას“ („კვალი“, 1900 წ. № 11, გვ. 169).

მაშასადამე, ილ. ჭავჭავაძეს, როგორც ბანკის ხელმძღვანელს, უნდოდა თავადაზნაურობის გული მოეგო. ამიტომ ის,

წინათ თავადაზნაურობის მგმობელი, ახლა მისი დამცველი და იდეოლოგი გამხდარა. ასეთია ავტორის დასკვნა, მაგრამ ეს დასკვნა მეცნიერულად არ მართლდება. ავტორს კი სწადდა მეცხიერული დასაბუთება მიეცა თავის დებულებისათვის.

ვინც ბანკის საქმიანობას იცნობს და აგრეთვე შესწავლილი აქვს მას „ივერია", ის უეჭველად უკუაგდებს ქართული პრესის ისტორიის ავტორისეულ შეფასებას. განა „ივერიას" ცოტა უწერია თავადაზნაურობის წინააღმდეგ? განა ბანკი და მისი ხელმძღვანელი პირუთვნელი არ აღმოჩნდნენ ქართველი თავადაზნაურობის წინაშე? დიახ, ბანკმა საჯარო ვაჭრობით გაუყიდა თავადაზნაურობას მამული და ამ ოპერაციებს იგი თავისი ხელმძღვანელის ილ. ჭავჭავაძის ინიციატივით ატარებდა. ცნობილია, რომ თავადაზნაურობას დიმიტრი ყიფიანი გამოესარჩლა და მწარედ დაგმო ილ. ჭავჭავაძის საბანკო პოლიტიკა. დიმიტრი ყიფიანს ოპოზიციაში ილ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა ნ. ნიკოლაძემ. მაგრამ ილ. ჭავჭავაძეს, მისი სიტყვით, მცონარე თავადაზნაურობისათვის ხელი არ გაღაუსვამს, ამ მცონარეთა წინააღმდეგ ბრძოლაში მას უკან არ დაუხევია. ბანკის მოვალე ქართველი მემამულეების მამულისა და ქონების გაყიდვა გრძელდებოდა.

ახლა ვნახოთ „ივერიის" დამოკიდებულება თავადაზნაურობისადმი. ვერსად ამ გაზეთში და ადრე ჟურნალში ვერ ვნახავთ ისეთ წერილებს, რომელიც თავადაზნაურობას ამართლებდეს. მაშ რა შუაშია აქ „ივერიისა" და მისი ხელმძღვანელის თავადაზნაურული იდეოლოგია? მარტო ერთ წერილში გამოთქმული აზრით, რომელიც როგორც ვწერდით, ეროვნული ერთობის დასაბუთების ცდით არის გამოწვეული, ხომ არ შეიძლება მწერლისა და მისი რედაქტორობით 25 წლის მანძილზე გამომავალი გაზეთის მიმართულების დადგენა?

ილ. ჭავჭავაძის „ბანკირობა" სრულიად არ ამცირებს მას. ბანკი რომ არ ყოფილიყო, ისეთი დიდი მნიშვნელობის დაწესებულებები, როგორიც იყო „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება," ქართული თეატრი და ქართული პრესა ვერ იარსებებდნენ. ისინი ცარიელზე დარჩებოდნენ. ილ. ჭავჭავაძის ინიციატივით და მისი თაოსნობით ბანკის მოგების 80%-მდე ხმარდებოდა დასახელებულ დაწესებუ-

ლებებს და ყბად ასაღები როდია თუ „დროებას“ და „ივერიას“ ბანკი უწევდა მატერიალურ დახმარებას. ეს აუცილებელი იყო, იმიტომ, რომ გაზეთი ყოფილიყო იაფი და მისაღწევი ხალხისათვის, ხელისმომწერლები ვერ უქმნიდნენ გაზეთს საჭსრების ფონდს. ბანკის ხარჯზე არსებობდა კიდევ ღარიბ მოწაფეთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც ფულად სახსრებს უხდიდა სისტემატურად აღრიცხულ ღარიბ მოწაფეებს.

გასაგებია, რომ „კვალის“ წერილებში — „პრესა“ — უფრო ფაქტების ვულგარიზაციას აქვს ადგილი, ვიდრე ამ ფაქტების მეცნიერულ ანალიზს, მეცნიერულ განზოგადებას. საინტერესოა, რომ „კვალი“ უფრო მეტ ადგილს უთმობდა თავის ფურცლებზე ბანკის კრების ანგარიშს, ვიდრე „ივერია“, რომელიც „კვალის“ „მტკიცებით“ სათავადაზნაურო ბანკის მომსახურე იყო. „ივერიაში“ ვერ ნახავთ ისეთ „ანგარიშებს“, რომელსაც ადგილი აქვს „კვალში“.

რაც შეეხება სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხს, აქაც მეტად ცალმხრივობას იჩენს ავტორი. ის უარყოფს „ივერიის“ სამართლიან აზრს, რომ თბილისში სომხების დაწინაურება მოხდა მოქალაქეობრივი განვითარების ნიადაგზე, რომ სომეხმა ვაჭრებმა უფრო აუღეს ალღო საქალაქო ცხოვრების მოთხოვნილებას, ვიდრე ქართველმა მემამულეებმა, მაგრამ რადგანაც შესაძლებელი გახდა ქალაქს მოეპოვებინა თვითმართველობა, ამას მოჰყვა დემოკრატიული ელემენტების თვალსაჩინო ადგილი თვითმართველობაში, რომ მარტო სოვდაგრების ხელში არ ყოფილიყო ქალაქის მმართველობა. „ივერია“ უფრთხოდა, რომ სომეხთა მოქალაქეობრივი მდგომარეობა თბილისში სომეხთა ეროვნულ-ტერიტორიულ საქმედ არავის გაეგო და ეს როდი იყო გამორიცხული.

ასე გაიგო თვით „კვალის“ ხელმძღვანელმა და დაგმო „ივერიის“ ხელმძღვანელის ფრთხილი და წინდახედული ნაბიჯი. ის წერდა: „ ეს იყო და ეს. თ. ი. ჭავჭავაძეს ამ საგანზე ხმა აღარ ამოუღია მეორე არჩევნებამდის. საზოგადოთ, მან სომეხ-ქართველობის ურთიერთობის შესახებ ლაპარაკი დაიწყო 1891 წლიდან და აქაც მხოლოდ არჩევნების დროს“ („კვალი“, № 23). ამას წერდა „კვალი“ 1900 წელს, 4 ივნისს. ეტყობა მას მხედველობიდან გამორჩა ან განგებ გამოტოვა ილ. ჭავჭავაძის —

„ქვათა ღაღადი“, გამოქვეყნებული „ივერიაში“ (1899 წლის №№ 64—76). ეს იყო პასუხი „კვალის“ ამ პუბლიცისტის რანგის მწერალთაგან წათამამებულ ცრუ მეცნიერთა გამოსვლებზე, რაც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ისტორიული წარსულის, მისი მიწა-წყლისა და ეროვნული ღირსების შელახვას.

„კვალის“ წერილების მიმოხილვას, „პრესის“ სახელწოდებით რომ იბეჭდებოდა, ჩვენ დავამთავრებთ იმით, რითაც დავიწყეთ — რომ ახლისა და ძველის ურთიერთბრძოლაში ხშირია უკიდურესობა, ერთისაგან მეორის განქიქება. ეს განქიქება „კვალის“ ხელმძღვანელისაგან ისე შორს წავიდა, რომ ილ. ჭავჭავაძის ბრძოლას ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დასაცავად მან რეაქცია უწოდა. თანაც ასე დაამთავრა თავისი მიმომხილველი წერილები: „ჩვენი მსაჯული ისტორიაა“ („კვალი“, 1900 წ. № 26, გვ. 410). და ისტორიამ უკვე განსაჯა: ილ. ჭავჭავაძე შეეიდა მისი ხალხის ისტორიაში, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე და ქართველმა ხალხმაც სამართლიანად მიიღო ამ დიდი მოღვაწის მემკვიდრეობა.

წერილები ქართული სამართლის საკითხებზე

„კვალის“ სამეცნიერო ინტერესი მეტად ფართო და მრავალმხრივი იყო. 1902 წელს ამ გაზეთში დაიბეჭდა წერილები — „მეფე ვახტანგის კანონები და ქართველი ქალი“ („კვალი“, 1902 წ., №№ 36 —39, 42—43). ძველი ქართულის უცოდინარობის გამო, მობოდიშებით წერილების ავტორი ემყარება ვახტანგის სამართლის ფრენკელისეულ თარგმანს და თავს იმართლებს იმით, რომ ეს თარგმანი რედაქტირებულია დიმიტრი ბაქრაძის მიერ.

ავტორი ივიწყებს, ან ვერ გაუგია ფეოდალური ქართული სამოქალაქო სამართლის საფუძველი, რომ კერძოდ ცოლქმრობა, უფლებრივი დამოკიდებულება ცოლისა ქმრისაგან მომდინარეობს სახარების ცნებიდან, ის კი ქალის უფლებებს ფეო-

დალურ საქართველოში მატრიარქატის ნაშთებით ხსნის. სისხლის საზღაური დაზარალებული ქალისათვის მას ისე გაუგია, რომ ქმრის დამოუკიდებლად შეუძლია ქალს მიიქცეს სასამართლოში, აღძრას საჩივარი და ეს ქართველი ქალის განსაკუთრებულ უფლებას მოწმობს. თურმე ეს მატრიარქატის ნაშთი ყოფილა.

ერთ ცოლქმრობაზე აგებულმა საოჯახო სამართალმა, იგივე საშოქალაქო სამართალმა, არც ერთი ქართული საკანონმდებლო ძეგლით არ იცის ქმრისაგან დამოუკიდებელი უფლება ცოლისა, მიიღოს სასამართლოსაგან თავის პრეტენზიის დაკმაყოფილება. ეს გარემოება, რომ ფეოდალური ქართული სამართლის თანასმად გაითხოვილ ქალს უფლება ეძლევა ბრალი დასდოს მის მიმართ ვინმე დამნაშავეს, სრულიად არ მოწმობს ქალის განსაკუთრებულ უფლებას.

დანაშაულის გამქღავნება, როგორც ეს სამართლის ძეგლებში გვხვდება, შეუძლებელი იქნებოდა დაზარალებული ქალის განცხადების, ანუ მის მიერ დამნაშავისადმი ბრალდების წაყენების გარეშე. მაგრამ სწორედ ამ შემთხვევაში ქმრის უფლებას ეხება საქმე და არა ქალის „განსაკუთრებულ უფლებას". ამას თუნდაც ბექას სამართლის 23-ე მუხლი დაგვიდასტურებს: „თუ კაცმან დედაწულმან დედაწულისა ცოლსა უაშიყოს და კიდეც მოუყივნოს, გინა ნებითა, გინა უნებურად და გამქღავნდეს და გინა მეყვისმან ერთსახლშან დაუურეოს ცოლისა ქმარსა სრული სიხლი"* (ხაზი ჩვენია, ა. კ.).

მუხლი 26 ამავე სამართლისა ამბობს: „თუ დიდებულისა, გინა აზნაურისა ცოლსა უაშიყოს დიდებულმან გინა აზნაურმან და გამოჩნდეს ცხადად, რათა თანა იყოს, დააგდოს მისმა ქმარმან, უზღოს მოაშიყემან თორმეტი ათასი თეთრი და თუ არ დააგდოს, ექვსი ათასი".

გასაგებია, რომ მეოჯახე ქალის მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში ყოველთვის პირობადებულია სწორედ ქმრის

---

* დ. ჩუბინაშვილი. ქართული ქრესტომათია, 1863.

უფლებისაგან და ამისგან დამოუკიდებელი ქალის უფლება არ ჩანს.

ფეოდალურმა ყოფიერებამ იცის ქალის კულტი. მის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ქალის მდგომარეობა ოჯახში, სადაც რიგ შემთხვევაში ქალს მამაკაცის თანასწორი უფლება აქვს, თუმცა საერთოდ მამაკაცთან შედარებით ქალს ოჯახში ნაკლები უფლება აქვს.

რაც შეეხება იმას, რომ ვახტანგის სამართალი აწესებს საერთოდ ფეოდალური ქართული სამართლისაგან განსხვავებულ სასჯელის ნორმებს, ეს აიხსნება ვახტანგის დროის სოციალური პირობებით. ბატონყმობამ საქართველოში, XVII—XVIII საუკუნეში, უაღრესად ბარბაროსული ფორმა მიიღო. იმის გამო, რომ ყმის შრომა არ იყო რენტაბელური, რომ მას დაეკმაყოფილებინა მებატონის მოთხოვნილება და ყმებს მებატონეები ეყურებდნენ, როგორც მოსახმარ ნივთს, ყიდდენ მას, როგორც მონას, სჯიდნენ ფიზიკურად შემზარავი საშუალებებით და, რა ოქმა უნდა, გამორიცხული არ იყო ყმის ცოლის თუ ქალის წაგვრა, გაუპატიურება.

ფეოდალური სამეფო ხელისუფლება კანონმდებლობით ებრძოდა მებატონეების თავგასულობას. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ვახტანგის სამართალი აწესებს მებატონის მოკვლას თუ კი ყმა თავის ცოლთან მრუშობის დროს წაესწრება მას. ყმას შეეძლო თავის ცოლიც მოეკლა თუ კი შეიცყობდა, რომ ქალი ნებას დაუვა კაცს მრუშობისათვის. მიი ეუფრო საგულისხმოა ვახტანგის სამართლის მიხედვით დაწესებული ამ სასჯელის სოციალური საფუძველი, რომ მრუშობის დროს მებატონესა და ყმა ქალისათვის წასწრების შემთხვევაში ქალის ქმარს შეეძლო ორივე მოეკლა. კანონმდებელი, რასაკვირველია, ითვალისწინებს იმას, რომ სქესობრივი კავშირი ამ შემთხვევაში ნებაყოფლობითია; მრუშობა გათხოვილ ქალსა და ცოლიან მამაკაცს შორის ნებაყოფლობით კავშირს აღნიშნავს.

მაშასადამე, რა ხელი აქვს მემრუშე დედაკაცის ქმარს, როცა ის თავისი დედაკაცის კუროს კლავს?

ასეთი სისასტიკე, ე. ი. კანონით დადასტურებული უმაღლესი სასჯელი, აიხსნება სწორედ ბატონყმური დამოკიდებულების უკიდურესი გამწვავებით და სახელმწიფო ღონისძიებაც

მხოლოდ ყმა გლეხის ამოგდების, მისი გადაშენების თავიდან ასაცდენად აწესებს აღნიშნულ მძიმე სასჯელს თავგასული მეპატრონეებისათვის.

ყველაფერი ეს ვერ დაუნახავს „კვალის“ მეცნიერ ავტორს და იგი ბექა-აღბუღას და ვახტანგის სამართალთა უბრალო შედარებით კმაყოფილდება. თანაც აღნიშნავს, რომ შედარებით მცირე სასჯელი ცოლის წამგვრელთა მიმართ ვახტანგის სამართალში, ვიდრე ამას ადგილი აქვს ბექა-აღბუღას სამართალში, იხსნება ცხოვრებისა და აქედან კანონმდებლობის განვითარებით.

მაშასადამე, ცხოვრება ისე განვითარებულა, რომ ისეთი დიდი სასჯელი, როგორც ბექა-აღბუღას სამართლითაა დაკანონებული, ვახტანგის დროისათვის აღარ არის საჭირო. მაგრამ ისეთი დასაბუთება არ მართლდება. საქმე იმაშია, რომ თვით ვახტანგის სამართალი აკანონებს ისეთსავე განსხვავებას ნებაყოფლობით ქალის მოტაცებასა და ძალად წაგვრას შორის, როგორც ამას ბექა-აღბუღას სამართალი ითვალისწინებს, მხოლოდ ერთმანეთისაგან განსხვავებული ნორმებია დაწესებული ამ სამართალთა მიხედვით. ვახტანგის სამართლის მიხედვით უფრო მცირე სისხლის საზღაურია, ვიდრე ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით.

თუ ეს კანონმდებლობის განვითარების შედეგია, მაშინ რაღომაა, რომ ცოლთან მრუშობის შემთხვევაში ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით დამნაშავეზე სისხლის საზღაურია მისჯილი, ხოლო ვახტანგის სამართლის მიხედვით დამნაშავის მოკვლაა დაწესებული.

ამ საკითხების გამოკვლევისათვის უნდა ვიცოდეთ, რომ ცოლის ნებაყოფლობით, თუ ძალით მოტაცება და მომტაცებლის ოჯახის წევრად მისი გახდომა ფეოდალური სახელმწიფოსათვის არ წარმოადგენდა ისეთ დარღვევას, რომ ასეთი დანაშაულის მიმართ დაწესებულიყო მკაცრი სასჯელი, რადგან მიტაცებული ცოლისაგან თუ მეტად არა ისევე მოსალოდნელი იყო ახალ ოჯახში გამრავლება, როგორც ის ამრავლებდა ადრინდელ ოჯახს და, რაც მთავარია, დაცული იყო ოჯახის ღირსება. მართალია, ქალი წანართმევია და ამით შეურაცხყოფილია სხვა ოჯახი, მაგრამ მიმტაცებლისაგან დაცულია საერთოდ ოჯახური

ცხოვრების პატივი, რადგან მისგან მოტაცებული სრული მეოჯახე ხდება.

ასე უნდა გავიგოთ, ვახტანგის დრომდე, კანონმდებლობის ისეთი განვითარება, რომ შესაძლებელი გახდა ცოლის ნებაყოფლობით ოჯახიდან წასვლისა, თუ მისი წაგვრის შემთხვევაში ქმრის შეურაცხყოფის საკომპენსაციოდ შედარებით მცირე სასჯელის დაწესება.

ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ „კვალის“ მეცნიერს არ გაეთვალისწინებინოს ვახტანგ VI დროის საზოგადოებრივი წყობილება. ამ წყობილებას — ბატონყმობას ზოგადად ის იცნობს და კიდევაც მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ დაქვეითდა ვახტანგის დროს ფეოდალიზმი, რაც მისი აღსასრულის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო („კვალი“, 1902 წ. № 39, გვ. 633—634).

საქმე იმაშია, რომ ავტორს გაუთვალისწინებია კანონმდებლობის საზოგადოებრივი საფუძველი. ამის გარეშე საკანონმდებლო ზომები, როგორც ეს „კვალის“ მეცნიერ მწერალს აქვს წარმოდგენილი, ყმა გლეხებზე საქველმოქმედო დახმარებად რჩება.

სწორად აქვს ავტორს ახსნილი მზითევი და მისი საფუძვლები, მხოლოდ თვით მზითევის გამცემის ქონებისა და საერთოდ საკუთრების უფლების განმარტებაში ცდება. იგი წერს: „ბატონს შეეძლო ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად გაეძევებინა გლეხი თავის მამულიდან“ და თუ ეს არ ხდებოდა, იმიტომ, „რომ ბატონი უმეტეს წილად თვითონ იყო დაინტერესებული მუშა ხელი არ მოკლებოდა მის მამულს და ამიტომ ასეთ სასტიკ საშუალებას, როგორც არის გლეხის გაძევება, ის მიმართავდა ხოლმე იშვიათ და არაჩვეულებრივ პირობებში“ („კვალი“, № 39, გვ. 634).

ჯერ ის მოითხოვს განმარტებას, რამდენად სწორია ბატონის მამულიდან გლეხის გაშვება. ყმა გლეხს თავისი მამული ჰქონდა. ეს იყო საკომლო, ადრე ფუძედ წოდებული. საკომლოს ამასთანავე ეწოდებოდა საგლეხო მამული. მაშასადამე, გლეხი მებატონის მამულში არ ყოფილა, რომ იქიდან მებატონეს ის გაეძევებინა. მებატონეებს რომ გლეხის გაძევება ეწარმოებინათ, მაშინ ადვილად დაკარგავდნენ ისინი ყმებს და ეს მდგო-

მარეობა გამოიწვევდა ყმა გლეხთა მასობრივად განთავისუფლებას. მაგრამ ასე როდი ხდებოდა.

საქვე აქ ეხება არა გაძევებას, არამედ გლეხის საკომლოს შემცირებას, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ის გაცემული იყო თვით იმ მებატონისაგან, რომელიც საკომლოს ამცირებდა. საერთოდ კი საკომლო წარმოადგენდა ყმა გლეხის სარგებლობაში არსებულ სახნავ და სავენახე მიწებს, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადიოდა და არსებითად გლეხი მისი მესაკუთრე იყო. ამიტომ მოხდა, რომ საკომლოს ეწოდა საგლეხო მამული. ასეთ საუკუნოვან უფლებას საკომლოზე „ბატონყმობის რიგის" და წესის მიხედვით მემამულე ანუ ბატონი ყმა გლეხს ვერ მოუშლიდა. მას შეეძლო მხოლოდ მის მიერ გაცემული საკომლოს განსაზღვრა და სრულიად კი მისგან ერთხელვე გაცემულ საკომლოს ვერ წაართმევდა, რადგან საკომლო წარმოადგენდა მემამულე მებატონისა და ყმის ურთიერთობის, ყმის ვალდებულებათა საფუძველს.

საკომლოს გარეშე ყმა გლეხი შეიძლება იყოს მოჯალაბე. რომელიც, მეტად მცირე რაოდენობით, დასავლეთ საქართველომ იცის. მოჯალაბე მებატონის კარმიდამოზე ზის, გამოყოფილი მეურნეობა მას არ აქვს და ყველაფრით ბატონს ემსახურება. მოჯალაბის გაძევებაც კი არ მოხდებოდა. ბატონს შეეძლო გაეყიდა ან გაეჩუქებინა, მზითვად გაეცა არა მარტო მოჯალაბე, რომელიც ამ შემთხვევაში ახალი ბატონის კარმიდამოზე გადავიდოდა, არამედ ცალკე კომლი ყმა მთელი ოჯახით, მაგრამ კომლი თავის საკომლოთი და კარმიდამოთი ადგილზე რჩებოდა, მხოლოდ ის უკვე სხვა მემამულის მებეგრე ხდებოდა.

მებატონენი ასეთ წესრიგს არ იცავდნენ და ცალკე ოჯახის წევრება გაუყიდდნენ ხოლმე ყმა გლეხებს. ქართული ფეოდალური კანონმდებლობა ამას სასტიკად გმობდა და სამმაგ სისხლის საზღაურს აწესებდა ამ შემთხვევაში. „თუ კაცმან კაცს შვილი გაუყიდოს, გინა ქალი და გამოჩნდეს მართლა გაეყიდოს, სისხლი ხომ ზემოთ დაგვიწერია და ასე იქნას" („სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა", მუხლი 97). რა დაუწერია კანონმდებელს „ზემოთ"? ეს არის 96-ე მუხლი, სადაც

ვკითხულობთ: „თუ ცოლი გაუყიდონ ვისმე, სამი სისხლი არის, ერთი ქალის პატრონს მისცენ, ორი ქმარს“.

საერთოდ ყმა გლეხის საკუთრების უფლება, „კვალის“ მეცნიერის აზრით, ბატონყმურ საქართველოში წაშლილია. ყმას არავითარი საკუთრება არა აქვს, რადგან „ყმისა ყველა ბატონის არის“. ვახტანგის სამართლის ეს მუხლი ნათლად გვეუბნება ამას („კვალი“, № 39, გვ. 634). მართლა ასეთია და ამას გვეუბნება ვახტანგის სამართლის 258-ე მუხლი?

ვიდრე ამას პასუხს გავცემდეთ, მანამდე უნდა განეაცხადოთ, რომ „კვალი“ ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ არის. ვახტანგის სამართალი ყველას ასე ესმოდა მანამდე და შემდეგაც. ჩვენ დროშიც არ არის ჯერ კიდევ დაძლეული ვახტანგის სამართლის 258-ე მუხლის დამახინჯებულად გაგებისაგან წარმოშობილი შეცდომები.

აი ეს მუხლიც: „ვისაც შერისხდეს ღმერთი და თავისი პატრონი მოკლას ან დაჭრას, ამისი სისხლი არ გაჩნდების ამისათვის რომე ყმისა ყველა ბატონის არის. არას მისცემს. ასე უნდა: ხელმწიფემ და მოსამართლემ ასეთი წიგნი მისცეს ბატონს ყმისა, რომ ნასყიდობისაგან უფრო ვერსად დაიკარგოს: ამისათვის, რომ ეს სამართალი ვეღარას ყმას ავს ვერ გააბედვინებს. ვის ბატონსაც წიგნი დაადებინოს, რომ უხელმწიფოდ ვერც მოკლას და ვერც გაახეიბროს, საქონელსა და მამულს ნუ ჰკითხავთ; ასეთი ბატონყმობაც იქნება, რომ ყმას, იმ ბატონის სისხლის გამოღება შეეძლოს, მაგრამ სისხლის მიცემა არ უნდა დაერქვას რაც ჯელემწიფებოდეს. ამ სამართალს უკან თუ ბატონმან ყმა არ დაინდოს, ან მოკლას. ან გაახეიბროს, მოსამართლემ მისი სახლი გაათავისუფლოს“.

აქედან აშკარაა, რომ „ყმისა ყველა ბატონის არის“ შეეხება იმ ყმას, რომელსაც ბატონი მოუკლავს. კანონმდებელი ითვალისწინებს მემამულე ბატონის სისხლის საფასურს, რომ ყმა გლეხს თავისი საკუთრებით მისი დაფარვა არ შეუძლია და ამიტომ „არას მისცემს“, მთელი თავისი საკუთრებით დაზარალებული ოჯახის განკარგულებაში გადადის, როგორც ნასყიდი ყმა. კანონმდებელი განმარტავს: იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე ყმას შეუძლია გაიღოს მის მიერ მოკლული ბატონის სისხლის საზღაური, ამას სისხლის გადახდა არ დაერქმევა, თუმ-

ცა მოსამართლე ჩამოართმევს გლეხს სისხლის საზღაურს და გადასცემს ბატონს (იგულისხმება მოკლული ბატონის მემკვიდრე, ახალი ბატონი).

თუ კი „ყმისა ყველა ბატონის არის“ შეეხება არა მხოლოდ მკვლელი ყმის საკუთრებას, არამედ საერთოდ ყველა კატეგორიის ყმას, კანონმდებელი აღარ შეიტანდა მუხლში ასეთ განმარტებას: იქნება ისეთი ყმობაც, როცა ყმას შეეძლება გადაიხადოს მოკლული ბატონის სისხლის ფასი. მაშასადამე, ყმა თავის ქონებიდან იხდის სისხლის საფასურს და თუ იგი მთელი თავისი საქონებელით, რაც კი გააჩნია, ბატონისაა, მაშინ ქონების ერთი ნაწილის გადახდა რაღა საჭიროა? ცხადია, რომ „ყმისა ყველა ბატონის არის“ შეეხება არა საერთოდ ყმებს, არამედ მხოლოდ იმ ყმა გლეხს, რომელსაც ბატონი მოუკლავს და თავისი შეძლებით ვერ დაფარავს ბატონის სისხლის საზღაურს. კანონმდებელი აფრთხილებს დაზარალებულ მხარეს რომ მას შემდეგ, რაც დამნაშავე ყმა გლეხისაგან უკვე გადახდილია სისხლი, დავა საბოლოოდ გადაწყვეტილია და თუ ამის შემდეგ ბატონი თავის ყმას მოკლავს ან დაასახიჩრებს, ყმის მთელი სახლი თავისუფლდება.

ყმის მიერ მებატონის მოკვლის შემთხვევაში, მებატონე ეუფლება რა ყმას და მთელ მის ქონებას, ყველაფერი ეს დასტურდება სათანადო საბუთით. მეფე საამისო სიგელს აძლევს ბატონს, რომლის თანახმად კიდევ უფრო მტკიცედ, ვიდრე ნასყიდი ყმა, მკვლელი დამორჩილებული ხდება ბატონისაგან.

ასეთი სისასტიკე, კანონმდებლის დასაბუთებით, აუცილებელია იმისათვის, რომ აღიკვეთოს ყმათა მიერ მებატონეების მოკვლა. მებატონე სრული განმკარგულებელია სიგელით მასზე მითვლილი ყმის ქონებისა და საკუთრების, მაგრამ მას არ შეუძლია მეფის ნებართვის გარეშე დამნაშავე ყმა დასაჯოს.

გასაგებია, რომ დიდი ხნიდან ფორმულად ქცეული „ყმისა ყველა ბატონის არის“ შეეხება იმ შემთხვევას, როცა სახელმწიფო აქტით (სიგელით) დამტკიცებულია, რომ ყმა მთელი თავისი ქონებით, საკუთრებით მებატონეს ეკუთვნის. მაგრამ ეს აქტი, მეფის მიერ გაცემული სიგელი, წარმოსდგება ყმის მიერ მებატონის მოკვლის შემთხვევისაგან და, ცხადია, იგი ქართული ბატონყმური ურთიერთობის საფუძველი არ არის.

გასაგებია, რომ ვახტანგის სამართლის მოხსენებული და გაწმარტებული მუხლი (258) არა თუ საერთოდ, თვით ყმის უმძიმესი დანაშაულის შემთხვევაში უფლებას არ აძლევს მებატონეს თვითნებურად მოეპყრას ყმას.

მაშასადამე, „კვალის“ წერილები ქართული სამართლის საკითხებზე იმთავითვე მოძველებული იყო. როცა ეს საპატიო, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვითი ორგანო ახალ სიტყვას ამბობდა, მისი წარმოდგენით, ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის ფეოდალური ქართული საზოგადოებრივი წყობილების საკითხები.

„კვალის“ მეცნიერი მწერალი იჩენს სრულ ცალმხრიობას, როცა ქალის უფლებას განსაზღვრავს საერთოდ ფეოდალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების მიხედვით და არ ითვალისწინებს საქართველოში ფეოდალიზმის განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს. უკეთ რომ ვთქვათ, არ სწავლობს ქართულ ფეოდალიზმს. ის წერს: „ხშირად გვესმის ხოლმე, რომ „ქალთა ემანსიპაცია“ აღიარებულ იქნა საქართველოში XII საუკუნეშიო. როგორც ვიცით, ამ მოსაზრებას აფუძნებენ დიდებული პოეტის შოთა რუსთაველის შემდეგ სიტყვებზე: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს. თუნდა ხვადია“... XII საუკუნეში საქართველოში უკვე გაბატონებული იყო ფეოდალური წყობილება, ხოლო ასეთ ხანაში დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორობაზე ქადაგება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ფეოდალიზმი და საზოგადოდ სქესთა ურთიერთშორის თანასწორობა ორი ერთიმეორის დიამეტრალურად მოწინააღმდეგე შემეცნებანი არიან“ („კვალი“, № 42, გვ. 684).

არ შევუდგებით აქ წამოყენებულ დებულებათა კრიტიკას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში, არც მანამდე, ვიდრე „კვალის“ ეს წერილები გამოქვეყნდებოდა და არც შემდეგ, არავის გამოუთქვამს ასეთი აზრი, რომ ქალთა ემანსიპაცია XII საუკუნეში ქართულ სახელმწიფო და სამოქალაქო კანონმდებლობას დაედგინოს.

რაც შეეხება თამარის გამეფებას, რომელსაც ავტორი გამონაკლის შემთხვევად აღიარებს და მას „მეფე თამარის გენიოსურ ჭკუაგამჭრიახობას“ მიაწერს, ეს იყო ქართული ფეოდალური საზოგადოების ისეთი განვითარების ნაყოფი, რომელიც

ცხადად აჩენდა. რომ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მოვლენები არაიშვიათად სცილდებოდნენ ფეოდალური საზოგადოებრივი ყოფიერების ფარგლებს. თვით რუსთაველიც ამ ფონზეა გასაგები, როცა მან თავისი იდეებით გაასწრო საუკუნეებს; მაგრამ ამ იდეებს უეჭველად ჰქონდა საფუძველი XII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თამარის მეფედ დასმა მისი მაღალნიჭიერებით როდი აიხსნება. ისე როგორც დიდებული თამარი გამეფდა, გამეფდა მისი ქალი რუსუდანიც და მერე რა პირობებში? რუსუდანმა დაიჭირა ტახტი მისი ძმის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ამ ძმას, ლაშა გიორგის, მემკვიდრე ჰყავდა.

ამ კანონზე და მის საფუძველმდებელ თავისებურებაზე ახლა არ ვილაპარაკებთ და აღვნიშნავთ შემდეგს: XII—XIII საუკუნის საქართველოში ქალის უფლება და მისი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში უჩვეულო არა ყოფილა. ქალებს მაშინ ანდობდნენ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საქმეებს თვით უაღრესად დიდი პოლიტიკური კრიზისის დროს. ასე მაგალითად, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის დროს, როცა თვით მოძრაობის მეთაური ხელისუფლებამ შეიპყრო, ხოლო მისი დასი განემზადა სასახლეზე სალაშქროდ, მოლაპარაკება ამ დასთან სამეფო ხელისუფლებამ მიანდო ორ მანდილოსანს კარავაი ჯაყელს და ხუაშაგ ცოქალს.

თვით „ვეფხისტყაოსანი“ ქალთა აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოქმედების არა ერთ დამახასიათებელ მაგალითს იძლევა. მაგრამ ეს ტრადიცია საქართველოში მხოლოდ XII საუკუნეში კი არ შექმნილა. საკმარისია გავიხსენოთ ბაგრატ III-ს დედის გურანდუხტის პოლიტიკური როლი საქართველოს გაერთიანების საქმეში X საუკუნის 70-იან წლებში, ბაგრატ IV-ს დედის არაერთგზის მოლაპარაკება ბიზანტიის კეისართან XI საუკუნის 40—50-იან წლებში, რომ ცხადი გახდეს, თუ რაოდენ მაღალი და ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ქალის უფლებას ფეოდალურ საქართველოში.

ეს ტრადიცია არ მოსპობილა და XII—XIII საუკუნის შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ ბატონყმურ საქართველოში ქალის უფლება ხშირად პოლიტიკური ცენტრალიზმის საწინააღმდე-

გოდ იყო მიმართული, თუმცა ქვეყნის პოლიტიკური დაცემისა და უცხო ძალის მიერ გამაჩანაგებელი დაწოლის პირობებშიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე ისეთი უფლებამოსილი ქალები, რომლებიც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის კულტურულ ღონისძიებებს ატარებდნენ. ასე მაგალითად, XV საუკუნის 90-იან წლებში, როცა საქართველოს სამეფო უკვე იშლებოდა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, ანა დედოფალმა „ქართლის ცხოვრება“ გადააწერინა სპეციალურად შერჩეულ სწავლულებს და გაავრცელა იგი საქართველოს ერთიანობის დასაცავად.

ეს მაშინ დიდი პოლიტიკური ნაბიჯი იყო. ამ დროიდან თითქმის საუკუნენახევრის შემდეგ, უკვე მაჰმადიანი ქართლის მეფის სასახლეში, რომელიც შეადგენდა შაჰის ირანის დასაყრდენს მთელ ამიერკავკასიაში, დედოფალმა მარიამმა აღადგინა „ქართლის ცხოვრება“, ხელახლა განამშვენა ეს ძეგლი და გაავრცელა ის, რათა თანამედროვეთათვის ჩაეგონებინა სამშობლოს ერთიანობის აღდგენის იდეა, გაეღვიძებინა მათში საქართველოს მიწა-წყლისა და ქართველი ხალხის სიყვარული.

მაგრამ არა თუ ასეთი მაგალითები, თვით XII—XIII საუკუნის პოლიტიკური მოვლენები, სადაც აშკარად ჩანს ქალის უმაღლესი უფლება დაკანონებული საზოგადოებრივი და საჭელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარების დონით, არ მოწმობენ ქალთა ემანსიპაციას. ქალის აქტივობა და მამაკაცის თანასწორად მისი უფლებრივი მდგომარეობა მხოლოდ სამეფო კარის შემადგენლობას ეხება. მაგალითად, ე. წ. დიდი ალექსანდრე მეფის (1412—1444 წწ.) ხელისუფლებაში იმდენად წარმოჩენილი იყო დედოფლის უფლება, რომ მხოლოდ უკანასკნელის ხელის მოწერის შემდეგ შეიძლებოდა ძალა ჰქონოდა იმ სიგელს, რომელიც დიდი ალექსანდრე მეფის ბრძანებით იწერებოდა და მისგან გაიცემოდა. მაშასადამე, სხვა არის ფეოდალური მეფის სასახლეში წამოწეული ქალის უფლება და სრულიად სხვა — მეცნიერული სოციალიზმის თეორიით აღიარებული მამაკაცთა და დედაკაცთა უფლებრივი გათანასწორება.

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ ისე უნდა

გავიგოთ, რომ რუსთაველს ქალი ბატონიშვილის მეფედ დასმა ისევე შესაძლებლად მიაჩნია, როგორც ვაჟი ბატონიშვილისა და სრულიად შეუწყნარებელია „კვალის“ მეცნიერის დასაბუთება — თითქოს რუსთაველის აქ მოტანილი სტროფიდან თვლიდნენ, რომ ქალთა ემანსიპაცია XII საუკუნის საქართველოში აღიარებული ყოფილიყო. უეჭველია, ამას თვით ავტორი ფიქრობდა და საკუთარ თავს დაუწყო კამათი. სამეცნიერო ლიტერატურაში კამათის ასეთი წესი, რომლისთვის „კვალის“ მეცნიერ მწერალს მიუმართავს, დღესაც მეორდება და იგი გამოყენებულია ისეთი დიდი სპეციალისტის მიერ, როგორიც აკად. კორნელი კეკელიძე იყო. არჩევს რა ვეფხისტყაოსნის“ იდეურ მემკვიდრეობას, კ. კეკელიძე წერს: „საინტერესოა „ვეფხისტყაოსანში“ „ქალთა საკითხი“, პოემაში ყურადღებას იპყრობს შემდეგი კლასიკური სტროფი:

თუმცა ქალია ხელმწიფედ, მართ ღმრთისა დანაბადია
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია,
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია:
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.

ჩვენში ბევრი ფიქრობდა და ახლაც ფიქრობს, რომ ამ სიტყვებში დასმულია და გადაწყვეტილია ქალთა ემანსიპაციის საკითხი ისე, როგორც ეს ესმის თანამედროვე მეცნიერულ სოციალიზმს“[1].

კ. კეკელიძე ეკამათება მის მიერ ფორმულირებულ ამ დებულებას და ამტკიცებს, რომ არა თუ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე მიუთითებს „ვეფხისტყაოსანი“, პირიქით, იქ მხოლოდ მამაკაცის უფლებამოსილებაა დადასტურებული. ამისათვის, მეცნიერის სიტყვით, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, „რომ მეფე როსტევანი, ეს შეუდარებლად სრულქმნილის, უმნიშვნელოვანესი ქალიშვილის, თინათინის მამა წუხს და გოდებს იმის გამო, რომ ღმერთმა მას ვაჟიშვილი არ მისცა. მაშასადამე, მისთვის, მეფის ოჯახისათვის, სულ ერთი არ ყოფილა ვაჟისა და ქალის ყოლა“[2].

---

[1] კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტომი II, 1952, გვ. 129.

[2] იქვე.

ამრიგად, აქ რუსთაველის მიერ წამოყენებული მაღალი სოციალური იდეაც უარყოფილია.

„კვალი“ ეხება საქართველოში მიწათმფლობელობის საკითხსაც. 1902 წელს თავის პირველ ნომერში გაზეთი ბეჭდავს ალ. ხახანაშვილის სტატიას — „მიწათმფლობელობის წესი საქართველოს სამეფოში“. ეს სტატია შემდეგ საფუძვლად დაედო ავტორის ვრცელ ნარკვევს — „ბატონყმობა საქართველოში“. ორსავე შემთხვევაში ავტორი არამართებულად ევროპის ფეოდალიზმის მიხედვით უდგება და ხსნის საქართველოში ფეოდალიზმის საფუძვლებს. ნაცვლად იმისა, რომ ავტორი მონოგრაფიულად სწავლობდეს ქართულ ფეოდალიზმს, რომელიც მას შეეძლო თავის დროის მიხედვით, პირდაპირ ადგენს მიწათმფლობელობის ევროპულ წესებს საქართველოში. იგი წერს: „საქართველოში სამგვარი მიწათმფლობელობა იყო გავრცელებული: ალოდი, ბენეფიცია და ფეოდი. ვხმარობთ ევროპულ ტერმინებს და ამწამსვე აუხსნით მკითხველს მათ მნიშვნელობას“ („კვალი“, 1902 წ., № 1, გვ. 16).

თითქოს მხოლოდ ტერმინებს ეხება საკითხი და არა მიწათმფლობელობის ნამდვილ ვითარებას საქართველოში, თითქოს ჩვენში ყოფილა სამივე ევროპული წესი მიწათმფლობელობისა. მხოლოდ გასაჭირი იმაში მდგომარეობს, რომ ამ წესთა გამომხატველი ტერმინები არ გაგვაჩნდა.

ავტორი წერს: „ალოდი ერქვა (საქართველოში! ა. კ.) ისეთ მამულს, რომელიც შეადგენდა სრულ საკუთრებას პატრონისას; ბენეფიცია ის ქონებაა, რომელიც ეძლევა მხოლოდ დროებით სახმარებლათ... ფეოდი ის მამულია, რომლის ვასალი ანუ მემკვიდრეობით მფლობელი ვალდებული იყო მამულის უმაღლესი სენიორის — ბატონის სასარგებლოთ ეწია საპატიო სამსახური“ (იქვე).

არც ერთი ეს წესი და მისი გამომხატველი ტერმინი არ შეიძლება ჩაითვალოს ქართული ფეოდალიზმის გამომხატველად. ისე, რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპის ფეოდალური მიწათმფლობელობის წესები მიემსგავსება ფეოდალურ მიწათმფლობელობის წესებს საქართველოში.

დავიწყოთ იქიდან, რომ „ქონება“ ფეოდალური ქართული

სამოქალაქო სამართლის თანახმად მხოლოდ განსაზღვრული ცნებაა და სხვადასხვაობა აქ არ შეიძლება. ასე, რომ ავტორისეული განსაზღვრა — ბენეფიცია ისეთი ქონებაა, არ უდგება ქართულ სინამდვილეს. ქონება ეძლეოდა ფეოდალურ საქართველოში სახელმწიფო თანამდებობის პირებს და იგი სათანადო სიგელით მტკიცდებოდა. ქონებით შეეძლო ესარგებლა თანამდებობის პირს, სანამ იგი თანამდებობას ასრულებდა. ასე, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას შეეძლო ქონება ერთი პირისაგან მეორისათვის გადაეცა. მაგალითად, როცა თამარ მეფემ პოლიტიკური მოსაზრებით მისი მამის ამირსპასალარად დანიშნული ყუბასარი გადააყენა, ლორეს ციხე, რომელიც მას საქონებლად ჰქონდა მიცემული, ჩამოართვა.

სულ სხვა იყო მამული. მამული ნიშნავდა სრულ საკუთრებას, ხელისუფლებისაგან იყო ბოძებული ის თუ მამისეული, ან საკუთარი შრომით მოპოვებული, ნასყიდი. ესეც, რა თქმა უნდა, სათანადო სიგელით მტკიცდებოდა. მხოლოდ ის მამული, რომელიც მამისგან შვილს სამემკვიდრეოდ ჰქონდა მიღებული, არ შეეძლო მას გაეყიდა, ერთი სიტყვით გაებოძებია. მამული ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენდა, თუმცა საჭირო იყო მისი მფლობელობის სიგელის ახალ-ახალი დამტკიცება იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა ფეოდალური ხელისუფლება, ე. ი. გარდაცვლილი მეფის ადგილს ახალი მეფე იკავებდა.

როგორც ქონების, ისე მამულის ბოძება ფეოდალური სამეფო ხელისუფლების მიერ ხდება შეწყალების ნიადაგზე, რომელიც ბენეფიციუმს მიემსგავსება, მაგრამ ქონებისა და მამულის ერთმანეთისაგან განმასხვავებელი შეწყალება სრულ თავისებურებას წარმოადგენს.

ამრიგად, ალ. ხახანაშვილის ნაშრომი ქართული ბატონყმობის შესახებ ვერ არკვევს ბატონყმობას და ავტორის მიერ მოცემული ანალოგიები ქართული ბატონყმობის სურათს არ იძლევა. გაცილებით უფრო დასაბუთებულად გამოიყურება „კვალში“ დაბეჭდილი დიდი სტატია სახელწოდებით — „ზოგიერთი კითხვები მიწათმფლობელობის შესახებ ჩვენში“ („კვალი“, 1902 წ., №№ 21, 23, 24, 25, 32). სტატიას ხელს აწერს „მოსაუბრე“. იგი დამთავრებული არ არის, მაგრამ ეს ხელს არ

უშლის წარმოდგენა ვიქონიოთ მასზე, როგორც დასაბუთებულ და პირველწყაროების შესწავლის საფუძველზე აგებულ ნარკვევზე. ავტორს შეუსწავლია საკმაოდ დიდი ნაწილი ისტორიული საბუთებისა სიგელ-გუჯრების სახით.

„კვალის“ სამეცნიერო ინტერესები მოიცავს მრავალი დარგის საკითხთა ფართო წრეს, მაგრამ უმთავრესი კაპიტალისტური მეურნეობის საკითხებია. 1902—1903 წწ. „კვალში“ ნ. ჟორდანიამ, გ. მარმალაძის ფსეევდონიმით, დაბეჭდა წერილების დიდი სერია — „მეურნე და მეურნეობა“, სადაც მოცემულია კაპიტალისტური მეურნეობის ანალიზი.

მუშათა მძლავრი მოძრაობის გავლენით 1903 წელს „კვალმა“ დაბეჭდა ყვირილელის სტატია — „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური“ („კვალი, 1903 წ., №№ 14, 15, 22). სტატიის დედააზრი ასეთია: ახლა დადგა დრო მშრომელი ხალხის სამსახურისა, მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვისა, მამულიშვილობისა და ეროვნების ინტერესებიც მშრომელი ხალხის ინტერესებს უნდა დავუმორჩილოთ.

„ჩვენ შევადარეთ ერთმანეთს სამი მიმართულება — „მამულიშვილობა“, „ეროვნება“ და „ხალხის სამსახური“... სამივე არის კლასობრივი მოძღვრება იმ მხრით, რომ სამივე გამოხატავს სხვადასხვა ეკონომიურ ჯგუფთა, კლასების ინტერესებს... პირველი ორი მოძღვრება აფერხებს პროგრესს, ეწინააღმდეგება საზოგადო ინტერესებს, ვერ პოვებს თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობაში მკვიდრ საფუძველს, მაშინ როდესაც მესამე ერთიანად აგებულია ერის დიდი უმრავლესობის ინტერესებზე, მოასწავებს ცხოვრების შეუჩერებელ წინსვლას და განახლებას“ („კვალი“, 1903 წ., № 22). ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ, ახლა, როცა მშრომელი ხალხი, ე. ი. მუშათა კლასი, ეუფლება მთელ საზოგადოებრივ მოძრაობას ბურჟუაზიული ეროვნული მოთხრობები და მისი ხორცშესხმული გამოხატულება — მამულიშვილობის დაცვა უკვე მოძველდა და დაბრკოლებას უქმნის საზოგადოებრივ წარმოებას და წინსვლას.

„კვალი“ მიესალმებოდა მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული სიტყვიერებისა და საქართველოს ისტორიის კათედრის დაარსებას, რომლის პირველი ხელმძღვანელი ალ. ხახანაშვილი იყო. გაზეთი ამის შესახებ წერდა: „ალ. ხახანაშვილმა დაუღა-

ლავი შრომით და ბეჯითობით მოსკოვის უნივერსიტეტში დააარსა საქართველოს სიტყვიერებისა და საქართველოს ისტორიის კათედრა. მადლობის ნიშნათ პეტერბურგელმა ქართველობამ გააკეთებინა ძვირფას ტყავში „ვეფხისტყაოსანი“ ზედ წარწერით და მოამზადა ადრესი“ („კვალი“, 1903 წ., № 23).

ეს იყო 1901 წელს. ასეთივე და უფრო დიდი კათედრა იყო ნახევარი საუკუნით ადრე შექმნილი პეტერბურგის უნივერსიტეტში. „კვალის“ გამოხმაურებას ძველი რუსეთის უნივერსიტეტში ქართული სიტყვიერებისა და საქართველოს ისტორიის კათედრების დაარსებაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეტადრე მას დღეს ენიჭება მნიშვნელობა, როცა არც ერთ უნივერსიტეტში მთელ საბჭოთა კავშირში ქართული სიტყვიერებისა და საქართველოს ისტორიის და საერთოდ ქართველოლოგიის კათედრა, გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, არ არსებობს და ქართველოლოგიიდან არც ერთი სამეცნიერო დისციპლინა არ ისწავლება. ეს მაშინ, როცა ინტერესი ქართული კულტურისადმი უცხოეთში კიდევ უფრო გაიზარდა და ძველად არსებული სამეცნიერო ბაზები ქართული სიტყვიერებისა და საქართველოს ისტორიის შესასწავლად ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში კიდევ უფრო გამრავლდნენ.

ამით შეიძლება დავამთავროთ გაზეთ „კვალის“ სამეცნიერო ხასიათის წერილების მიმოხილვა. ჩვენ, რასაკვირველია, მივუკვეთეთ თვით გაზეთის მიერ წერილების განაწილებას და გავარჩიეთ ის წერილები, რომლებიც „კვალს“ მეცნიერების დარგისათვის ჰქონდა განკუთვნილი. ეს მიმოხილვა სრული არ არის, „კვალის“ დამსახურება უფრო დიდია ამ მხრივ, მაგრამ საერთოდ „კვალის“ შესწავლის მიმართულებით ჯერჯერობით ვიკმარეთ, რაც უკვე წარმოდგენილია.

არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ სახელოვანი ქართველი მოღვაწის საბა ორბელიანის ნათქვამი — „სრული გვიან საპოვნელია“. მრავალმხრივი იყო „კვალის“ ძიება და, ბუნებრივია, რომ მას მეცნიერული საკითხებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია. კარგი იქნებოდა, რომ „კვალის“ მაგალითს შემდგომ გაზეთში გამგრძელებელი გამოსჩენოდა. ეს გაზეთი შერჩევით ბეჭდავდა თავის ფურცლებზე პოპულარულ სტატიებს მეცნიერების სხვადასხვა საკითხზე და მუდამ სახე'ში

ჰყავდა ფართო მკითხველი საზოგადოება, ხალხი, რომლისთვისაც მისაღწევი და გასაგები უნდა ყოფილიყო გაზეთის ფურცლებზე წამოყენებული ყოველი დებულება.

ეს მიზანი და საქმით განხორციელებული ამოცანა რომ „კვალის“ ფურცლებზე წარმოდგენილიყო როგორც მეცნიერება, ისე პუბლიცისტიკა, ბელეტრისტიკა, პოეზია, ცხოვრების სხვადასხვა დარგი, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია და სხვ. მას არა გაზეთის, არამედ ჟურნალის სახეს აძლევდა. ჟურნალი იყო ის, მეტადრე იმიტომაც, რომ გამოდიოდა კვირაში ერთხელ დიდი ფორმატის სახით, 18—20 გვერდის რაოდენობით, რომელიც ჩვეულებრივი კრებულის 60 გვერდზე მეტს უდრიდა. მაგრამ კვირეული შეიძლება გაზეთიც ყოფილიყო და „კვალსაც“ აქვს ასეთი სახელწოდება — „ყოველკვირეული გაზეთი“.

ეს ხომ დოკუმენტია „კვალის“ სახელწოდებისა, იმის მაჩვენებელი თუ მას რა უნდა ვუწოდოთ — ჟურნალი თუ გაზეთი? რა თქმა უნდა, რაკი თავის თავს ის გაზეთს უწოდებს, უნდა დარჩეს გაზეთის სახელწოდებით.

მხატვრული ლიტერატურა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხები „კვალში“

როგორც აღნიშნული იყო, „კვალში“ დაიბეჭდა აკაკის მესანიშნავი მოთხრობები „ბაში-აჩუკი“, „ჩემი თავგადასავალი“, „მეფე იმერეთისა სოლომონ I დიდ სოლომონად წოდებული“ და სხვ. აკაკი აგრეთვე ბეჭდავდა პატარა ლექსებს და ნოველებს: „ჭრელი ფიქრები“ (1894 წ., №14), „უძღები შვილი“, „სიკვდილი“, „მცირე რამ“ (1895 წ., №№ 2, 22). 1895 წლის „კვალის“ მე-6 ნომერში დაბეჭდილია აკაკის ლექსი „სნეული“.

„კვალში“ იბეჭდებოდა ვაჟა-ფშაველას ლექსები. 1894 წლის „კვალში“ დაიბეჭდა ეგნ. ნინოშვილის მოთხრობები „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და „პარტახი“. „კვალში“ იბეჭდებოდა ეკატერინე გაბაშვილის, დუტუ მეგრელის, ბაჩანას და სხვა მწერალთა ნაწარმოებები. 1895 წელს ამ გაზეთში ვ. ბარნოვმა დაბეჭდა მოთხრობა „სვიმონ ხელი“ (№№ 11—21, 23, 24). „კვალი“ 1896 წ., 16 აპრილი, № 17. + კნ. ბარბარე ჯორჯა-

ძისა“ ორიოდე სიტყვით დახასიათებულია ბ. ჯორჯაძის სამწერლო მოღვაწეობის მნიშვნელობა და სრულიად არაფერია ნათქვამი იმ ბრძოლაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ჯორჯაძის ჯგუფსა და თერგდალეულებს შორის XIX საუკუნის 60-იან წლებში. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე ხომ გიორგი წერეთელი იყო, რომელმაც ეს ნეკროლოგი მოათავსა თავის გაზეთში.

1895 წელს „კვალში“ დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას მოთხრობა (ზღაპარი) „მუცელა“ (№№ 42—46, 48—52). იმავე წლის ოქტომბერში ქართველმა საზოგადოებამ გადაიხადა რაფიელ ერისთავის იუბილე. „კვალმა“ თითქმის მთელი ნომერი მიუძღვნა იუბილეს. 1895 წლის 22 ოქტომბერს „კვალის“ (№ 45) მეთაურად დაიბეჭდა „წესრიგი საიუბილეო დღესასწაულისა“, რომელიც ასე გადმოსცემს საიუბილეო ცერემონიალს: „1. ოქტომბრის 22-ს 11 საათზე ყველა დეპუტატები და პატივისცემელნი მოგროვდებიან ქაშვეთის ეკლესიის გალავანში.

2. 11½ საათზე იუბილარს მოიყვანენ ეტლით ქაშვეთის ეკლესიის გალავანში თ. აკაკი წერეთელი და თ. ილია ჭავჭავაძე.

3. პარაკლისს გადაიხდის ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე და შემდეგ იუბილარს წამოიყვანენ იმავე წესით ქართული თეატრის დარბაზში.

4. პარაკლისის გათავებისთანავე დეპუტატები გაემგზავრებიან ქართული თეატრის დარბაზში იუბილარის დასახვედრათ.

5. დარბაზის დერეფანში იუბილარს მიეგებებიან სამხედრო ხორო მუზიკისა, ხოლო თვით თეატრის დარბაზში გურულთა და რატილის მომღერალთა დასები.

6. ამის შემდეგ დაიწყება დეპუტაციების მილოცვა დადგენილი წესისამებრ.

7. საღამოს 8 საათზე დანიშნულია იუბილარის პატივსაცემათ ქართული წარმოდგენა. ანტრაქტებში წაიკითხავენ თ. რ. ერისთავის ლექსებს.

8. წარმოდგენა რომ გათავდება, შემდეგ ქართული დრამატიული დასი გამართავს სადღესასწაულო მილოცვას.

9. შემდეგ გაიმართება თავადაზნაურთა საზამთრო ბაღში ნადიმი“.

ამას მოსდევს ლექსი საჯაოხოელისა — „თ. რ. ერისთავს“ (50 წლის იუბილეს გამო). მაზაკვალის (გ. წერეთლის) წერილი — „თ. რ. ერისთავი, როგორც პოეტი“ და გუდე თოფურიას ბიოგრაფიული ნარკვევი — „თავადი რაფიელ დავითის ძე ერისთავი“ (მისი ბიოგრაფია და სალიტერატურო მოღვაწეობა). აქვეა დაბეჭდილი თედო რაზიკაშვილისა და სილოვან ხუნდაძის ლექსები, მისალმება ქუთაისელ „მოსწავლეთაგან“ — წიგნი რაფიელ ერისთავთან მიწერილი ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მოსწავლეთაგან“.

რ. ერისთავის იუბილე დიდი ზეიმით ჩატარდა. მან თავი მოუყარა საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლებს. იუბილეს მომზადება და ჩატარება მთავარ ხაზებში აღწერა „კვალმა“. იგი რ. ერისთავის იუბილეს ინიციატორად აცხადებს აკაკის, რომელსაც ამ გაზეთში 1895 წლის 21 მაისს მოუთავსებია პატარა წერილი სათაურით — „საყურადღებოთ“. აკაკი წერდა: „ყოველ ქვეყანაში, ყოველ ხალხში გარდა ველურისა მიღებულია, რომ თავიანთ გამოჩენილ შვილების ოცდახუთი წლის მოღვაწეობა იდღესასწაულონ ხოლმე... მაგრამ დღეს, გამოდის, რომ ორმოცდაათიც არ კმარა და ასი უნდა იყოს?! ცხადია, რომ ეს, დროს გაჭიანურება, ნამეტანი სურვილია და უზომო სიყვარულით მოგვდის: ისე გვიყვარს ჩვენ ჩვენი მოღვაწეები, რომ სასიკვდილოთ არ გვემეტებიან, სულგრძელობით მოველით და უცდით საუკუნის შესრულებას და ის ანდაზა კი გვავიწყდება, რომ „თქვენს სულგრძელობას ჩემი დღეგრძელობაც ეჭირვებაო“. სწორედ ორმოცდაათი წელიწადია, რაც გამოსულა სალიტერატურო ასპარეზზე ჩვენი საყვარელი მოხუცი, პატიოსანი მოღვაწე თ. რაფიელ ერისთავი და დიდი უმადურობა იქნება ჩვენგან მის შესახებ გულმავიწყობა და ჩვეულებრივი დაუდევრობა“. („კვალი“, 1895 წ., № 22).

ამით აკაკიმ წინწილა დაუკრაო, წერდა „კვალი“, რომელსაც მოჰყვა საიუბილეო მზადება და იუბილეს ზეიმით ჩატარება. საიუბილეო ზეიმზე სიტყვები წარმოსთქვეს აკაკი წერეთელმა, ილ. ჭავჭავაძემ, ივ. მაჩაბელმა, კ. ჩხეიძემ, გ. წერეთელმა, ნატო გაბუნიამ, სომეხმა მწერალმა გ. სუნდუკიანცმა და გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორმა ველიჩკომ.

ყველა ორატორი და განსაკუთრებით ივ. მაჩაბელი ატარებდა იმ აზრს, რომ რ. ერისთავის იუბილე იყო ეროვნული დღესასწაული. ამასთან ამ იუბილეზე მოხდა ეროვნულ ძალთა დათვალიერება და შემოწმება. ილ. ჭავჭავაძემ თავისი სიტყვა დაიწყო რ. ერისთავის ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხით და თქვა: „მისი ლექსები აღბეჭდილია ხალხური გრძნობით, ის შეეხო ჩვენი მუშა ხალხის ცხოვრებას და არის მომღერალი მის გულნადებისა. იმან შექმნა საკუთარი შკოლა ხალხური პოეზიისა. მისი მიმდევარნი არიან ძმები რაზიკაშვილები“.

ილიამ ამის საბუთად მოიტანა ვაჟა-ფშაველას ლექსი რაფ. ერისთავისადმი და რაფიელის პასუხი ვაჟასადმი. მთლიანად წაიკითხა როგორც ვაჟას, ისე რაფიელის ლექსი.

შესანიშნავი იყო აკაკისა და ივ. მაჩაბლის სიტყვები, მხოლოდ, როცა ველიჩკო ნადიმზე თავის სიტყვაში უადგილოდ ილიასა და აკაკის დამოკიდებულებას შეეხო, ამან აკაკი გააცხარა. ველიჩკოს უთქვამს: „ვისურვებ, რომ აკაკის ილია ყვარებოდეს და ილიას აკაკიო“. ამის პასუხად აკაკის განუცხადებია: „ამ ბატონმა რუსის მწერალმა უადგილოთ და უსაფუძვლოთ ინატრა, რომ ქართველ მოღვაწეთა შორის თანხმობა და სიყვარული იყოსო. ცხადია, რომ ეს ამბობს განაგონებით და მაშასადამე ჩვენშიც ყოფილან ზოგიერთები ამავე აზრის. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს დიდი შემცდარი აზრია!.. რაღა საჭიროა მისი ნატვრა, რაც არსებობს და ხელში გვიჭირავს. „მცირე რამე სანდურავი მოყვარეთა წესიაო“ უთქვამთ ძველებს“ („კვალი“, 1895 წ., № 46).

1896 წლის „კვალის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია „საახალწლო მილოცვა“, აქ ლექსის სახით არის გადმოცემული საყურადღებო ამბები, უპირველესად აქ გატარებულია ერთიანი საქართველოს იდეა; ამიტომ არის, რომ ცალკეულად მათი დამახასიათებელი ნიშნების აღნიშვნით მიმართავს „კვალი“ საქართველოს და მის შემადგენელ ნაწილებს.

მიმართავს რა ქართველ ერს, გაზეთი წერს:

„გარს შემოიკრიბე შვილები
შეჰქმენი ძალა ერთობის

ახალი ხანა დაგიდგა
შეკარ კამარა ერთობის".

შემდეგ გაზეთი ახალ წელს მიულოცავს ქართლს, კახეთს, იმერეთს, გურიას, სამეგრელოს, სოხუმს, ფოთს, ბათუმს, ქუთაისს და თბილისს. სამეგრელოზე გაზეთი წერს:

„ოქროს ვერძების პატრონო
განდევნე აშორდიები,
ბიკ-ბუკებს როგორ ანებე
რომ გარყვნან შენი შვილები?"

ამ მილოცვის აზრი გასაგებია. გაზეთი მოუწოდებს მეგრელებს კვლავაც იბრძოლონ ერთიანი საქართველოს დროშის ქვეშ. აფხაზეთისათვის ერთიანობის ბურჯად „კვალს" მიაჩნია სოხუმი, რომელიც კვლავ ცხუმად უნდა ბრწყინავდეს. ანაკოფია ზღვამ შთანთქა და „შენღა დარჩი მის ბურჯადო".

გაზეთი გმობს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წვრილმან საქმიანობას. ეს საზოგადოება თითქოს წიგნის დუქნად გადაიქცა და დროა, რომ კვლავ ამაღლდეს, კვლავ ერის ბურჯი გახდესო.

„ივერიის" შესახებ „კვალი" აღნიშნავს, რომ ამ გაზეთს არ აქვს მტკიცე მიმართულება, ვერაფერი უშველეს ახალმა თანამშრომლებმა, ხოლო ჟურნალ „მოამბეს" ადარებს ბალახ-ბულახით გატენილ გუდას, რომელიც მოითხოვდა გაწმენდას.

გაზ. „Тифлисский листок"-ის ცხარე პოლემიკას „კვალი" უწოდებს მასხრობას და მოუწოდებს გაზეთს ამას თავი დაანებოს, სერიოზული სახე მიიღოს.

„კვალი" არ იწონებს სომხური გაზეთის „მშაკის" მოქმედებას და ურჩევს საქმით დაამტკიცოს მან ძმობა, რომელსაც გარეგნულად, სიტყვით გაიძახის.

„სჯობია საქმით გვიჩვენო
ზურგი მისცე მეზობელსა
მას სიყვარული აჩვენო"
(„კვალი", 1896 წ., № 1).

1896—1897 წლების „კვალის" პოეზიისა და ბელეტრისტიკის განყოფილება უფრო ვრცელია, ვიდრე წინა და მომდევნო წლებში. გარდა აკაკისა და ვაჟასი, აქ იბეჭდება ირ. ევდო-

შვილის, ბ. დავითაშვილის, დუტუ მეგრელის, ილ. ნაკაშიძის, განდეგილის, ნ. ორბელიანის, ცახელის, თ. რაზიკაშვილის, ს. ხუნდაძის და სხვათა ლექსები.

ბელეტრისტიკაში ამ წლის ნომრებით შესულია კორესპონდენციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. აქა-იქ თარგმანებია დაბეჭდილი. მაგალითად, „საზარელი შიში“ — (ინგლისურიდან), „ოსმალური ზღაპარი“, „სიკვდილით დასჯილი“ — გი დე მოპასანისა, „ხმა მთისა“ ჰაინესი, „ერთი კონა წერილები“ (ინგლისურიდან), „მარტოობა“ გი დე მოპასანისა.

პოეზიის განყოფილება 1897 წლის „კვალში“ იხსნება ვაჟაფშაველას პოემით „სისხლის ძიება“, ხოლო ბელეტრისტიკა შიო არაგვისპირელის ეტიუდით — „მძულხართ“. მას მოსდევს ამავე ავტორის „წერილის ნაგლეჯი“. მე-8 ნომერში დაბეჭდილია ვაჟას ეტიუდი „მოჩვენება““, მე-19 — 20 ნომრებში — „მე თუ ის“ — განდეგილისა, 25, 26, 27 ნომრებში — დ. თომაშვილის მოთხრობა „ქაჯი“. შემდეგ „კვალი“ ბეჭდავს შირვანზადეს მოთხრობას — „ძვირფასი ბორკილი“ (№№ 37—40). გ. წერეთელს დაუბეჭდავს „„ათი ცნება“ — პატარა ამბავის სახით (№№ 48—50) და „საშობაო მოთხრობა“ (№ 63). ეს უკანასკნელი დაბეჭდილია გაზეთის მეწინავედ.

1898 წლის „კვალში“ თითქმის არ გვხვდება არც პოეზიისა და არც ბელეტრისტიკის განყოფილებები. აი ყველაფერი, რაც მთელი წლის მანძილზე დაუბეჭდავთ პოეზია-ბელეტრისტიკიდან:

„მეცხვარის ნაამბობი“ — მოთხრობა გ. წერეთლისა („კვალი“, № 3), „რა მოყვა სოსიკას“ — მოთხრობა ბებრიძისა (№№ 5—10), „ფატმა“ — მოთხრობა განდეგილისა (№ 13), „პირველი სიყვარული“ — ლექსი დ. თომაშვილისა (იქვე), „სიჭაბუკე“ — ლექსი დუტუ მეგრელისა (№ 16), „თინას ლეკური“ — მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა, უსათაურო ლექსი (ეპიგრაფად აქვს ხალხური ლექსი) (№ 17) ირ. ევდოშვილისა, „ტახი“ (№№ 8,29,30) — მოთხრობა დ. თომაშვილისა, „განწირული“ — საშობაო მოთხრობა გ. წერეთლისა (№ 52), „ეს ძველი ფულია“ — ხელს აწერს „სოფლის კაცი“ (№№ 34, 35, 36), „რა ზიზღით მიცქერის“ (№ 51) — ეტიუდი შ. არაგვისპირელი-

სა. შემდეგ, 1899 წლიდან, „კვალში“ კვლავ სათანადო ადგილს იჭერს პოეზია — ბელეტრისტიკა თუმცა არა იმ ზომით, როგორც ეს დაცული იყო 1896—1897 წლებში. „კვალში“ ამ წელს თვალსაჩინო მწერლები არ მონაწილეობენ, ხოლო 1900 წელს ისევ 1898 წლის მდგომარეობა იქმნება. თითქმის არაფერი გვხვდება მხატვრული ლიტერატურიდან. შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ როგორც 1898 წლის, ისე 1900 წლის „კვალს“ აშკარად ატყვია განახლებული რედაქციის გავლენა. ახლა რედაქცია პირველხარისხოვან ყურადღებას მხოლოდ პუბლიცისტიკას ანიჭებს. გაზეთს 1901 წელსაც არავინ მოუწვევია ცნობილი მწერლებიდან, ხოლო 1902 წელს აქა-იქ ჩნდება ლექსები. იროდიონ ევდოშვილს ამ წლის „კვალში“ დაუბეჭდია ორი ლექსი („განთიადი“ № 23, „ჩემს მერცხალს“ № 34), აქვეა დაბეჭდილი ასიკო ცაგარლის ლექსები: „ჩამოკვეთილი ფოთოლი“ (№ 34) და „ჩონგურს“ (№ 43).

„კვალს“ გადმოუბეჭდავს „ივერიიდან“ (1902 წ., № 216) აკაკის ლექსი „გარეწრობა“ („კვალი“, 1902 წ., № 43), 1902 წლის „კვალში“ გვხვდება კიდევ ნ. ნაკაშიძის პატარა ლექსი „იმედი“ და ერთიც უსახელო ლექსი თომაშვილისა. ორი მოთხრობა ეკუთვნის ია ეკალაძეს, გარდა ამისა გვხვდება ორი თარგმნილი მოთხრობა.

თავისი არსებობის უკანასკნელი წელიც — 1903 წელი მხატვრული ლიტერატურის დარგში „კვალმა“ უფერულად დაამთავრა. როცა „კვალის“ მთელი არსებობის მანძილზე ითვალისწინებთ სიტყვაკაზმული მწერლობის დარგში გაზეთის სიტყვას, უეჭველია დაგებადებათ ასეთი აზრი: „კვალს“ ამ დარგში არ ჰქონია გარკვეული და ზუსტად შემუშავებული პროგრამა, თუმცა ის იწოდებოდა სალიტერატურო გაზეთად. გაზეთი თანამშრომლად იწვევდა ჩვენს საუკეთესო მწერლებს, მაგრამ მათგან ძალიან ცოტა შერჩა მას და უმეტეს შემთხვევაში მის ფურცლებზე იბეჭდებოდა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ვერ შეეიდნენ ქართული მხატვრული მწერლობის ფონდში.

„კვალის“ ხელმძღვანელობა არ წარმოადგენდა კომპაქტურ ჯგუფს, რომლის წევრებს მხოლოდ ერთი მიმართულება ჰქონოდეს აღებული გაზეთის პროსპექტის საქმეში. 1903 წლის

„კვალის“ პირველი ნომრის მეთაური ამ მხრივ ყურადღებას აქცევს: აი, რას ვკითხულობთ იქ: „დღეს სრულდება ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც „კვალის“ პირველი ნომერი გამოვიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი საგულისხმო მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, ბევრნაირი ცვლილება განვიცადეთ, ძველ დროგადასულ შეხედულებებს ხელი ვკარით და ახლის შეთვისება დავიწყეთ. იყო დრო, როცა ჩვენს გაზეთს საგრამატიკო კითხვები მიაჩნდა მთავარ კითხვებად და მათ გარკვევას აქცევდა მთავარ ყურადღებას. საბანკო კითხვები გვაღელვებდა და ჩვენი თანამშრომლებიც მისი ტალღით იყვნენ გატაცებულნი. იყო დრო, როცა ამხანაგობების საშუალებით ვფიქრობდით ქვეყნის აღდგენას, თითო ოროლა პირს ვაცხადებდით ხალხის ბურჯათ... ახლა თვალხილული და გამოცდილნი ვიყურებით უკან და გაკვირვებით ვკითხულობთ: რა უნდა გვექნა და რას ვშვრებოდით? რა გვესაჭიროებოდა და რას ვეძებდით“? („კვალი“, 1903 წ., № 1).

ცოტა არ იყოს, აქ იგრძნობა ილ. ჭავჭავაძის პოემის — „რა ვაკეთოთ, რას ვშვრებოდით“ — გავლენა. მაგრამ ეს სხვათა შორის. არც ერთი პუნქტი აქ მოტანილი გაზეთის მეთაურისა სწორი არ არის. „კვალს“ არც გრამატიკისა და არც ამხანაგობისათვის არასდროს მთავარი ადგილი არ დაუთმია. მით უმეტეს, მას არც ცალკე პიროვნების მნიშვნელობის შესახებ უწერია, ისე, რომ საქართველოში ეს პიროვნება ყოფილიყოს ერის ბურჯად მიჩნეული. ეჭვი არ არის, რომ „გრამატიკის“ ქვეშ აქ მთელი სიტყვაკაზმული მწერლობა იგულისხმება და ეს უკანასკნელია აღიარებული. ახლა, გაზეთის რედაქციის აზრით, ეს არ არის მთავარი. მთავარია საზოგადოებრივი ურთიერთობის მიმართულება, გაგება იმისა, თუ საითკენ მიდის ქართველი საზოგადოება, რა მოელის მას.

ასეთი იყო „კვალის“ მიმართულება წინათაც და თითქმის ბოლომდე, ვიდრე გ. წერეთელი არ გარდაიცვალა (1900 წ.), მაგრამ გ. წერეთელი ახერხებდა შეეთავსებინა საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხები მეცნიერებისა და ლიტერატურის საკითხებთან. უნდა ითქვას, რომ გაზეთი მართლაც აღწევდა იმას, რომ უმთავრეს ხაზებში გაემართლებინა თავისი სახელწოდება, რომ ის იყო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი.

1898 წლის დასაწყისიდან გ. წერეთელმა გაზეთის ხელმძღვანელობა მესამე დასელებს გადასცა, მაგრამ ის შორს არ მდგარა და ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა „კვალში“. ეს ცვლილებები ხელმძღვანელობაში გაზეთს იმით დაეტყო, რომ 1898 წელს სრულიად შეიცვალა სალიტერატურო დარგი, ხოლო 1899 წელს, უეჭველია გ. წერეთლის მოთხოვნით, იგი ისევ აღდგა.

გ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ, 1900 წლიდან, კვლავ პუბლიცისტიკა სჭარბობს და დროდადრო ლიტერატურის საკითხები სრულიად უგულებელყოფილია. სამაგიეროდ გაიზარდა ლიტერატურული კრიტიკის დარგი. კრიტიკული წერილების ბეჭდვას ძველებურად განაგრძობდა ხომლელი. მას მიემატნენ ალ. წულუკიძე, ივ. გომართელი და ყვირილელი (ირაკლი წერეთელი). დროდადრო ნ. ჟორდანია და ფ. მახარაძე წერდნენ ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებზე .1898 წელს ნ. ჟორდანიას ხელოვნების საკითხებზე „კვალში“ დაუბეჭდავს საყურადღებო წერილები სათაურით: „თეატრი“ (იხ. „კვალი“, 1898 წ., №№ 42,93).

1898 წლის „კვალში“ (№№ 31—37) დაბეჭდილია ივ. გომართელის ვრცელი კრიტიკული წერილი „თხზულებანი მამია გურიელისა“. აქ მოთხრობილია მ. გურიელის აღზრდაზე გარემოს მოქმედების შესახებ და გარჩეულია მწერლის ნაწარმოებთა ადგილები ისე, რომ კრიტიკოსი ამ ადგილების შინაარსს გადმოსცემს. მაგალითისათვის აიღოთ მისი მსჯელობა, რომელიც შეეხება ერთ-ერთ ავტობიოგრაფიულ ლექსს: „როცა დარბაზის ერი შაირებით გაჯერდებოდა, ჩონგურითა და ქალების სიმღერით სმენას ატკბობდა, როდესაც ამითაც დაიქანცებოდა, ვახშმად დასხდებოდა, კიდევ იქეიფებდა, იმხიარულებდა და ბოლოს დაიძინებდა; მაგრამ გათენდებოდა თუ არა, მსახური ისევ ეახლებოდა:

„სჭამეთ საუზმე დარჩაო“.

თუ როგორი იყო ეს საუზმე, იქიდან ჩანს, რომ ქათმები, შემწვარი ხბო, ხაჭაპურები — თავზე საყრელად მოდიოდა. დასხდებოდნენ და გაიმართებოდა ღვინოში გაჯიბრება. როცა ასეთი საუზმით გამოძღებოდნენ და გამოთვრებოდნენ გაეშურებოდნენ მუხას ქვეშ და იქ თავს იყოლიებდნენ ჭადრაკის თა-

მაშობით, სანამ კიდევ არ მოშივდიბოდათ“ („კვალი“, 1898 წ., № 31).

ამით უნდა აჩვენოს კრიტიკოსს გარემო, რომელშიაც იზრდებოდა მამია გურიელი. ხოლო როგორ აქვს მას წარმოდგენილი ის ფართო საზოგადოებრივი წრე, რომელშიც დავაჟკაცებული მწერალი ტრიალებდა, ამის შესახებ საკმარისია მივუთითოთ ორიოდე ადგილი კრიტიკოსის მსჯელობიდან. საკითხი ეხება XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

შედარებისათვის ავტორს მოტანილი აქვს რუსეთის მაგალითი და ამბობს: „როდესაც პეტრე დიდმა რუსეთს დასავლეთ ევროპა გააცნო, მთელი რუსეთი მართლა მარტო გარეგნობით იკვებებოდა. მეოცდაათე წლებში, რუსეთის ცენტრში — მოსკოვში, უმეტესობას სულ გარეგნობით გატაცებული პირები წარმოადგენდნენ, ჩაცკები კი ის იყო, აქა-იქ ჩნდებოდნენ“.

ამ უსაფუძვლო მსჯელობას ამკობს ავტორის შეხედულება ქართველებზე. თუ ასეთი მდგომარეობა იყო რუსეთში, „ქართველობა მართლა ასეთი მაღალი გონების პატრონი იყო, რომ სრულიად უჩვეულო ცხოვრებას შეხვდა პირდაპირ და ორმოცდაათი წლის განმავლობაში ამ ახალი ცხოვრების არსებითი თვისება, ძალა და მნიშვნელობა საესებით შეიგნო?“

მაშ რა მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ? ავტორის აზრით, მთელი საუკუნე დასჭირდა იმას, რომ ქართველობა გამოსულიყო სამოქალაქო ასპარეზზე, შეეგნო ვაჭრობის და აღებ-მიცემობის, ქალაქის მნიშვნელობა და მით დაწინაურებულიყო. „მეცხრამეტე საუკუნემდე ქართველობა სოფლის ხალხი იყოვო“ — ამბობს ავტორი. იგი ცდილობს ფიგურალურად გამოხატოს თავისი აზრი და ამით „საბუთიანობის“ კვალი დააჩნიოს თავის მსჯელობას.

მამია გურიელი თავისი პოეტური შემოქმედებით გვევლინება, როგორც ლირიკოსი. კრიტიკოსი კი მეცნიერულ სიზუსტეს მოითხოვს მისგან მსჯელობაში და დონკიხოტობად მიიჩნევს პოეტის სწრაფვას. თანაც აღნიშნავს, რომ მ. გურიელს თითქოს არ ეხერხება მოქმედი პირების დახასიათება, „ის არ არის ფსიხოლოგი და ყველა თავის გმირებში ხედავს იმ თვისებას, რომლებსაც ისინი თითქოს მოკლებულნი არიან“.

1900 წლის „კვალში“ (№ 2) ივ. გომართელი ბეჭდავს წერილს ქართული თეატრის ისტორიის საკითხზე — „ორმოცდაათი წელი ქართული თეატრისა“. ავტორი მოკლედ, მაგრამ სიმართლით აღწერს XIX საუკუნის ორმოციან-ორმოცდაათიან წლებში ჩატარებულ ბრძოლას ქართული თეატრისათვის. მხოლოდ იგი ცდება, როცა გ. ერისთავის თეატრს მიიჩნევს პირველ ქართულ თეატრად. ავტორმა ალბათ არ იცოდა, რომ ქართული თეატრი შეიქმნა ჯერ კიდევ ერეკლე II-ის დროს, მის კარზე, მისივე ინიციატივით. ამიტომ გიორგი ერისთავის დრამატული დასის შექმნა ქართული თეატრის პირველი დაარსება კი არ არის, არამედ ქართული თეატრის აღდგენა.

როგორც ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, თეატრს ბევრი ძტერი ჰყავდა ქართულ არისტოკრატიულ წრეებში, პლატონ იოსელიანი ამბობდა, რომ თეატრი მეძავებსა და კუროებს გაგვიჩენსო.

გიორგი ერისთავის თეატრი ხუთიოდე წლის შემდეგ წყვეტს თავის არსებობას, ხოლო 1879 წლიდან კვლავ განახლდება და შემდეგ შეუწყვეტლად განაგრძობს სიცოცხლეს.

ავტორი იჩენს ცალმხრიობას XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კომედიისა და დრამის შეფასებაში. მას ყველა კომედია დაწერილი გ. ერისთავის შემდეგ, უკანასკნელი კომედიების განმეორებად მიაჩნია, ასევე, ყველა დრამა დავით ერისთავის „სამშობლოს“ წაბაძვად და მის განმეორებად წარმოუდგენია („კვალი“, 1900 წ., № 2).

მაშ რა შეადგენდა ქართული თეატრის რეპერტუარს მისი არაჩვეულებრივი აღმავლობის პერიოდში? ეს რეპერტუარი, ავტორის აზრით, შედგებოდა მხოლოდ ნათარგმნი პიესებით.

თუნდაც ავქსენტი ცაგარელის კომედიები რომ ავიღოთ, მათი ადგილის და მნიშვნელობის წარმოდგენა სრულიად აქარწყლებს კრიტიკოსის კონცეფციას ქართულ თეატრზე.

საერთოდ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე ივ. გომართელი აქტივობს 90-იანი წლების ბოლოს და 900-იანი წლების დასაწყისში. მისი მოღვაწეობა ამ შემთხვევაში მწერლის ფეხის ადგმას ჰგავს. ეს ცხადად ატყვია სტატიას — „ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა 1899 წელს“ („კვალი“, 1900 წ., №№ 5,7,9). „კვალში“ თავისი მოღვაწეობის საფუძვლად ივ. გო-

მართელს ადრევე მესამე დასელების მიერ გატკეპნილი გზა აურჩევია: ამ გაზეთში მოკალათებისათვის ის „ივერიის“ წინააღმდეგ იმეორებს ვულგარულ ამბებს: „პუბლიცისტიკური ნაწილი მასში („ივერიაში“) მუდამ სუსტი იყო და ამ უკანასკნელ დროს ის მიილია, რომ მკითხველს რომ ჰკითხოთ, რა მიმართულების არის „ივერიაო“, პასუხის მოცემა გაუჭირდება. რაც შეეხება ბელეტრისტულ განყოფილებას, 98 წელს არც ჩვენ ჟურნალსა და გაზეთს არ მოუცია იმდენი მასალა ზემოხსენებული პირველი აზრის დასამტკიცებლად, ე. ი. „ივერიის“ გასამტყუნებლათ, რამდენიც თვით „ივერიამ“. „ივერია“ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: ბელეტრისტულ ნაწილში ის არღვევდა მას, რასაც პუბლიცისტიკაში ქადაგებდა“ („კვალი“, № 5). კრიტიკოსი ცდილობს ერთიანად დამარხოს 1898—1899 წლების „ივერიის“ ბელეტრისტიკა და აამაღლოს „კვალის“ ბელეტრისტიკა.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს თუ რას წარმოადგენდა „კვალის“ ბელეტრისტიკა 1898—99 წლებში. ამიტომ სიტყვას აღარ ვავაგრძელებთ და მხოლოდ ერთი მაგალითის მიხედვით შევეხებით კრიტიკოსის მსჯელობის საბუთიანობას. ივ. გომართელი წერს: „მეტად საგულისხმო იყო „კვალში“ ია ეკალაძის „ტყეშიც“. ამ პატარა სურათში პოეტმა გამოხატა ცხოვრების მთელი ფილოსოფია, ყველას ფიქრი, გრძნობანი, რომლებიც პატიოსან ადამიანს მოსვენებას არ აძლევენ, სულსა და გულს უხუთავენ. პოეტს უნდა, რომ ქვეყნად მეფობდეს სიმშვიდე, ძმობა, ერთობა, მაგრამ ადამიანთა შორის ის ვერც ერთს ამას ვერ ხედავს: ყოველი ადამიანი თავისთვის ზრუნავს, მარტო საკუთარი ბედნიერებისაკენ მიისწრაფვის და გზაზე ვინც არ უნდა შეხვდეს, არ დაზოგავს“ („კვალი“, № 9).

ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი ფილოსოფია! აქ არაფერს ვიტყვით კრიტიკოსის მიერ ია ეკალაძის მოთხრობის აზრის დასაბუთება-განზოგადებაზე. როგორი ფილოსოფიური დასაბუთებით გამოდიოდა საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებზე ივ. გომართელი, ამის შესახებ „ივერია“ ვალაპარაკოთ, რომლის განქიქებას „კვალის“ ფურცლებიდან ივ. გომართელი შეეცადა. მხოლოდ ჯერ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ია ეკალაძის ხსენებული მოთხრობა „კვალში“

შემთხვევით დაიბეჭდა. ია ეკალაძე იყო გაზეთ „ივერიის“ რედაქციის მუდმივი შტატის თანამშრომელი და მას შეეძლო იგივე მოთხრობა „ივერიაში“ დაებეჭდა. მაშინ რაღას იტყოდა ივ. გომართელი, რომელმაც არც აცივა, არც აცხელა და ილ. ჭავჭავაძის მიერ კარგ მწერლად და სტილისტად აღიარებული, მისი თანამშრომლის ია ეკალაძის მოთხრობა თვით ჭავჭავაძისა და მისი გაზეთის წინააღმდეგ გამოიყენა. ია ეკალაძე ხომ „ივერიისა“ და ილია ჭავჭავაძის თაყვანისმცემელი იყო ბოლომდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

1902 წელს „კვალის“ მეორე ნომერში დაიწყო ბეჭდვა ივ. გომართელის სტატიისა — „სიტყვაკაზმული მწერლობა 1901 წელს“. სტატია გაგრძელდა მომდევნო, მესამე, მეოთხე და მეხუთე ნომრებში. სტატიის პირველ ნაწილში კრიტიკოსი შეეხო ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას და გაარჩია მისი „გველის მჭამელი“. პოემის მთავარი პერსონაჟის მინდიას მარცხის შესახებ იგი წერს: „მინდია დაეცა სამუდამოდ, დამდაბლდა, რომ არასოდეს არ აღდგეს, აღარ ამაღლდეს. რამ გამოიწვია ასეთი ძირითადი და მოულოდნელი ცვლილება მინდიას არსებაში? ცოლშვილმა და ოჯახზე ზრუნვამ. მხოლოდ ამ ერთ მიზეზს ასახელებს ავტორი, მაგრამ მიზეზი ამგვარი მოვლენისა უფრო რთულია... რაც უნდა იყოს, ავტორს თანამედროვე ოჯახი მიაჩნია ადამიანის მისწრაფებათა ბორკილად. ეს აზრი სრულ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს... დღევანდელი ოჯახი იმ კლდეს წარმოადგენს, რომელზედაც მიჯაჭვულია ადამიანის ძალღონე... ყოველგვარი დაწესებულება, რომელიც ადამიანში ანვითარებს ეგოისტურ გრძნობებს, მარტო თავისთვის ზრუნვის აუცილებლობას, ყოველი დაწესებულება, რომელიც წინ ეღობება ადამიანის ძალღონეს და არ უშვებს მას საზოგადოებრივი იდეალებისაკენ, დღეს დროს გადასულ და მავნე დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს. ასეთ დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნის დღევანდელი ოჯახიც“ („კვალი“, 1902 წ., № 2, გვ. 34).

მაშასადამე, ივ. გომართელი გარკვეულად ილაშქრებს ოჯახის წინააღმდეგ, ერთ ცოლქმრობაზე აგებულ ამ საზოგადოებრივი ძირითადი უჯრედის წინააღმდეგ და მოითხოვს მის გაუქმებას. რადგან, სხვა არა იყოს რა, ოჯახი, მისი აზრით, ბუდეა

ეგოიზმისა, რომელიც ძირითადად ეწინააღმდეგება „საზოგადოებრივ იდეალებს“.

მაშასადამე — ძირს ოჯახი, ის უნდა დაიშალოს. ასე გაიგო „კვალის“ მეცნიერის წერილის აზრი „ივერიამ“. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ვისმე გაეგო იგი.

„ივერიის“ რედაქტორმა ილ. ჭავჭავაძემ თვითონ ითავა ამ უცნაური აზრის გაბათილება და „კვალთან“ ერთად გააკრიტიკა გაზეთი „ცნობის ფურცელი“, სადაც ეგოიზმის შესახებ არჩილ ჯორჯაძეს მოუნახა ასეთი „დასაბუთება“: „კაცი მაშინ არ ინდომებს სხვისას, როცა თვისით (?) სჯერდება, თავისი საკმარისი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სხვისას შეჰყურებს და სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით“ შეივსოს თავისი დანაკლისი“ („ცნობის ფურცელი“, 1902 წ., 10 იანვარი).

ილ. ჭავჭავაძემ „ივერიაში“ (1902 წ., № 21) დაბეჭდა წერილი „გომართლის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიქოლოგია“, სადაც პოლემიკური სიმძაფრით გააბათილა როგორც ივ. გომართელის, ისე არჩ. ჯორჯაძის დასაბუთება ოჯახის დრომოჭმულობისა და ეგოიზმის წარმოშობის მიზეზებზე. აი ზოგიერთი ადგილი „ივერიაში“ დაბეჭდილი პოლემიკური წერილიდან:

„ჩემო მაინც კარგო თეკლე!

შენი წიგნი მივიღე. მწერ და მემდურები, რომ ამოდენა ხანი მე ჩემი ამბავი არ მომიწვდია შენთვის, და მემუნათები, რომ თუ მე, შენი ჯვარდაწერილი ცოლი არ გაგონდები, ეს შენი ოჯახი მაინც რატომ არ მოიკითხე...

ოჯახიო! ეს რომ ძველებსავით ბრიყვმა და გაუნათლებელმა სთქვას, კიდევ ჰო, შენ ხომ განათლებული ხარ, შენ ხომ მუდამ „კვალს“ კითხულობ, რომ სხვა არა იყოს რა, და როგორ არა გრცხვენიან, — მაგისთანა ძველ-ძულებს მისდევ და თავს არ ანებებ. რა ოჯახი!.. რის ოჯახი!.. შენ იქნება ეხლანდელი დრო ისევ ძველი დრო გგონია, როცა ოჯახების შენება, მოვლა და პატრონობა დიდი სახელი იყო ადამიანისათვის! ვაი სირცხვილო!..

მას აქეთ, რაც ჩვენმა სასიქადულო გომართელმა — ამ დიდი ჭკუის პატარა კოლოფმა — თავისი წერილი დაბეჭდა „კვალ-

ში“, ოჯახის მოკითხვა და გახსენება რა პატიოსანი კაცის საკადრისია. რა სახსენებელია ეგ შენი ობმოკიდებული „მცნება“, ეგ შენი ოჯახი ეხლანდელ დროში, როცა „კვალისა“ და „ცნობის ფურცლის“ წყალობით ახალი მეცნიერება, ახალი მიმართულება, ახალ-ახალი აზრები დუღან და გადადუღან...

ხომ ჰხედავ, — სიყვარული თურმე უშინაარსო მცნება ყოფილა და ხსენება მისი პოეზიაში მწარედ აცინებს ხოლმე გომართელსა. არ გებრალება, რომ სიცილიც კი მწარე ჰქონია! სიბრალული კი იქით იყოს, მე ეს მიკვირს და მაოცებს, რომ სიმწარესთან ერთად ასეთი ტკბილი ქართული როგორ მოუხერხებია, როგორ სცოდნია. აბა ვის არ მოჰგვრის სიამოვნების და სიტკბოების ჟრუანტელს ეს „სიყვარულზე აღფრთოვანებული პოეზია“, თუნდაც ძმობაზე და ერთობაზე! ძველი ქართველი იტყოდა: აღფრთოვანებული პოეზია ძმობისა, ერთობისა, სიყვარულისა, მაგრამ სად ეს გაცვეთილი ლუღლუღი ძველისა და სად ის მშვენიერი ჭიკჭიკი გომართელისა. წაწყდეს ძველი, გაუმარჯოს ახალს“![1] პოლემიკაში ხომ ილიას არც მანამდე, არც მაშინ ტოლი არა ჰყოლია საქართველოში. ილ. ჭავჭავაძე მამამთავარია ძარღვიანი, მეტად წარმტაცი ქართულით ნაწარმოები ღრმაზროვანი პოლემიკისა ჯერ კიდევ „ცისკრის“ პერიოდიდან. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მესამე დასელმა პუბლიცისტებმა ილ. ჭავჭავაძისაგან ისწავლეს პოლემიკური ხერხები; თუმცა პირველ რიგში პოლემიკა მათ ილ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ წარმართეს.

ილ. ჭავჭავაძის წერილს არ შეიძლებოდა „კვალი“ არ გამოხმაურებოდა და გომართელმა კი არ უპასუხა საფუძვლიანად მის განმქიქებელს, არამედ ვიღაც უკბილო დედაბერმა. გვიან, 1902 წლის „კვალის“ მეთხუთმეტე ნომერში, დაიბეჭდა პატარა წერილი „შენიშვნა ქალთა კითხვის შესახებ“. ხელს აწერს „ერთი ქალთაგანი“. ავტორი „ივერიის“ წერილს გომართელზე და ჯორჯაძეზე უკბილო ოხუნჯობას უწოდებს, ნამდვილად მისი მსჯელობაა უკბილო და ულაზათო. ჩვენაო, ამბობს ავტორი, ბურჟუაზიულ ხანაში ვცხოვრობთ და ამიტომ გომართელი მარ-

---

[1] ილ. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, 1927, IX., გვ. 247—250.

თალია, რომ ოჯახს უარყოფს (!), ამერიკაში ყველაზე ნაკლებად აქვს ადგილი ქორწინებას, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამერიკაში სხვა ქვეყნებზე უფრო გავრცელებულია პროსტიტუციაო. „ივერიას“ ხმაც არ ამოუღია პროსტიტუციის შესახებ, ის მხოლოდ უარყოფდა და აბათილებდა გომართელის მოწოდებას ოჯახის გაუქმების შესახებ.

თავის სიტყვას ასე „ლაზათიანად“ ამთავრებს ავტორი: „თვით დედაკაცთ პრუდონი მარტო ოჯახს ულოცავთ, მაგრამ მას შემდეგ საქმიანობაშიც ნაყოფიერათ გამოიყენა იგი საზოგადოების განვითარებამ. მასწავლებლობა, ბებიაობა, ექიმობა და მრავალი სხვა იკისრა აწინდელმა დედაკაცმა: ხოლო აქაც პროპაგანდა ყალბ ცივილიზაციის წინააღმდეგ და სქესთა შორის ნორმალობის დამყარება უნდა იყოს მათი მოვალეობა“ („კვალი“, 1902 წ., № 15).

ამ აბდაუბდის გარჩევა მაინც შეიძლება. პრუდონი, რასაკვირველია, დამცველია ოჯახისა, მაგრამ ავტორს ჰგონია, რომ პრუდონი სოციალიზმის პოზიციებიდან იცავს ოჯახს, რომელსაც საზოგადოებრივი სამსახური, ავტორის აზრით, აცილებს დედაკაცს. ასე, რომ ოჯახი ბუნებრივად იშლება, მაგრამ პროპაგანდა მამაკაცსა და დედაკაცს შორის სქესობრივი ნორმალური ურთიერთობისა მაინც საჭიროა.

ახლა გავსინჯოთ ივ. გომართელის მიერ „გველის მჭამელის“ დედააზრის განზოგადება. კრიტიკოსს სწორად ვერ გაუგია პოემის დედააზრი. ვაჟა-ფშაველა მთელი პოემის სიგრძეზე ატარებს იმ აზრს, რომ ადამიანის ძალა, მისი ძლიერება განპირობებულია ბუნებასთან სიახლოვით. ბუნებასთან სიახლოვე არის წყარო ადამიანის შემოქმედებითი ძალისა. რაც შეეხება იმას, რომ მინდია ოჯახს სდებს ბრალს თავის დაქვეითებაში, როცა მას აღარ ესმის ბუნების ენა, ეს ხომ ლეგენდაა, რომელიც „გველის მჭამელის“ ავტორმა გამოიყენა იმისათვის, რომ ეჩვენებინა ადამიანთა და ბუნების სიახლოვის მნიშვნელობა. განა მინდიას შეეძლო ოჯახის გარეშე არსებობა? განა ტყვეობაში ის სულ ოჯახზე და თავის კუთხეზე არ ფიქრობდა, არ ოცნებობდა?

ოჯახის გარეშე მინდია ხომ იგივე ქაჯია და განა ქაჯობას

ურჩევს პოემის ავტორი საზოგადოებას? დაბოლოს, ვინ შეჰხარის მტერზე მიმავალ ლაშქარს თუ არა ოჯახი.

„საერთო ხმა ქალებისა
მოდიან, მოდის ლაშქარი,
ღმერთო, დასწერე ჯვარია!..
მზიავ, წამოდექ. გაჰხედე;
აგერა შენი ქმარია,
დროშიანთ მოსდევს მხარდამხარ
ამომავალი მთვარია".

ამას მისდევს ლაშქრის სადიდებელი სიტყვები „ერთი დედაკაცისა", „მეორე დედაკაცისა", „გასათხოვარი ქალისა", „მეორე ქალისა", „პირველი ქალისა" და საერთო ხმა ყველა მეოჯახე დედაკაცისა. ერთი სიტყვით პოემაში არათუ ოჯახია დაგმობილი, როგორც ეს ივ. გომართელს წარმოუდგენია, პირიქით, „გველის მჭამელი" შეიძლება ოჯახების აპოლოგიად წარმოვიდგინოთ. თუნდა ასედაც არ იყოს, ძველი ლეგენდა მამაკაცისა და მეოჯახე დედაკაცის დამოკიდებულების შესახებ, როგორ შეიძლება იმის მაგალითად წარმოვიდგინოთ, რომ XX საუკუნეში თითქოს „საზოგადოებრივ იდეალებს" ოჯახი ახშობს და ეს უკანასკნელი უნდა მოისპოს და, რაც მთავარია, თითქოს ვაჟას „თანამედროვე ოჯახი მიაჩნია ადამიანის ბორკილად".

ცხადია, რომ ივ. გომართელმა ვერც ვაჟა-ფშაველა გაიგო და ვერც „კვალს" უშველა, რათა სიტყვაკაზმული მწერლობის კრიტიკის დარგში გაზეთს ეთქვა ახალი, ორიგინალური სიტყვა. კრიტიკოსი ვაჟა-ფშაველაზე ამბობდა, რომ თითქოს იგი მხოლოდ ერთ მიზეზს — ოჯახს ასახელებდა მინდიას დაცემის მიზეზად, „მაგრამ მიზეზი ამგვარი მოვლენისა უფრო რთულიაო". რაში მდგომარეობს ეს სირთულე, ეს გომართელს აუხსნელი დარჩა.

1902 წლის „კვალის" მეოთხე ნომერში თავისი სტატიის გაგრძელებას ივ. გომართელი იწყებს „ივერიის" კრიტიკით. ის წერს: „გასული წლის განმავლობაში „ივერიას" არ მოუცია არც ერთი სახელოვანი ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც რაიმე მხრით ყურადღების ღირსი იყოს. იგივე ძველი თემები, უხე-

ირო გადაღეჭა, აი ერთადერთი, შინაარსი ყველა იმ პატარა მოთხრობებისა, რომელნიც „ივერიაში“ დაიბეჭდნენ“. საინტერესოა, რომ ამ სტატიის გაგრძელებას, რომელიც იმავე დროს სტატიის დასასრულს წარმოადგენს („კვალი“, № 5), ხელს აწერს არა ივ. გომართელი, არამედ გ. გოგოლაძე. ეს უკანასკნელი „კვალში“ დროდადრო ბეჭდავდა მდარე ლექსებს. უფრო გვიან „კვალში“ ივ. გომართელი იწყებს ილ. ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ კრიტიკული წერილების ბეჭდვას ასეთი სათაურით — „თ. ილ .ჭავჭავაძე და მისი პოეზია“ („კვალი“, №№ 35,36).

როგორ შეაფასა ილ. ჭავჭავაძის შემოქმედება „კვალის“ კრიტიკოსმა? ყური დავუგდოთ გომართელს: „სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ილ. ჭავჭავაძე დაადგა ნაციონალიზმის გზას... მესამოცე წლებში ილ. ჭავჭავაძის ნაციონალიზმი უფრო ზომიერი იყო“. მაშასადამე, ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ეროვნული საკითხი ნიშნავს ნაციონალიზმს, ილია ნაციონალისტი ყოფილა და მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც იგი სათავეში ედგა — პირწავარდნილი შოვინიზმია, განსაკუთრებით 70-იან წლებში. ვინ დაუჯერებს ამას?

ახლა სოციალური მოტივების შესახებ ვნახოთ, თუ რა მარგალიტები გამოჰფინა კრიტიკოსმა: „მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ილიამ ბატონყმობა სასტიკად გაკიცხა და დაგმო, უარყო ბატონყმური წყობილება და ბრძოლა გამოუცხადა, ილ. ჭავჭავაძე იმდენად ებრძოდა ბატონყმობას, რამდენათაც მისი ლუარსაბი და დარეჯანი“ („კვალი“, 1902 წ., № 35, გვ. 571). კრიტიკოსი განაგრძობს: „ილ. ჭავჭავაძე გლეხსა და მის ბუნებას არ ცნობდა, ავტორს გლეხის არა თუ ტიპი, მისი უბრალო კონკრეტული სახეც კი არ დაუხატავს თავის ნაწერებში... ილია ჭავჭავაძე არა თუ იცნობდა გლეხს, მას არც უყვარდა ეს გლეხი“ („კვალი“, № 36, გვ. 586). ასეთი მსჯელობის უსაფუძვლობა თავისთავად ცხადია, ჩვენ რომ სიტყვა აღარ გავაგრძელოთ; როგორც მხატვარი, ივ. გომართელის აზრით, ილ. ჭავჭავაძე სუსტი იყო: „მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებში (დედა და შვილი) ბევრი კარგი და ღრმა აზრია, როგორც სახელოვანი ნაწარმოები სუსტია“ („კვალი“, № 36, გვ. 586).

ავტორმა კარგად იცის, რომ არ შეიძლება გვერდი აუაროს ვინმემ ილიას ნაწარმოებთა გმირებს კაკოს, ზაქროს, გაბროს და სხვ. ესენი ყველანი ფანტაზიის ნაყოფიაო, ამბობს „ბრძენი“ კრიტიკოსი. ილიამ თავისებურად გაიგო და დახატა ბატონყმური საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. იქადაგა ჰუმანიზმი, წამოაყენა პიროვნების თავისუფლების იდეები. მაგრამ ყველაფერი ეს ილიასათვის დამახასიათებელი ყოფილა, როცა ის ახალგაზრდა იყო, ანუ ავტორის სიტყვით, დაუდუღარი. ხოლო როცა დადუღდა, ძირიანად შეიცვალა პოზიცია იმ საკითხებში, რასაც ადრე აყენებდა და იცავდა.

კრიტიკოსი მკითხველს პირდება, რომ ამ ახალ, მეორე ილ. ჭავჭავაძის შესახებ ის საგანგებოდ შეჩერდება და სპეციალურ წერილებს დაბეჭდავს „კვალში“. მაგრამ კრიტიკოსი სწრაფად გადავიდა შილერის პოეზიის გარჩევაზე, რათა გაემდიდრებინა „კვალის“ პროსპექტი, ხოლო დაპირება — რომ დახატავდა მეორე ილიას, მისი სიტყვით, „გადაჭარბებულად განდიდებულს“, „ხანში შესულ უცოდველ პაპას“, — განუხორციელებელი დარჩა.

„კვალის“ თანამშრომელი კრიტიკოსები გომართელი და სხვ. ვერ იჩენდნენ ობიექტურობას და ეს არ არის გასაკვირველი, ისინი ხომ მესამე დასს ეკედლებოდნენ. ამ დასის შემქმნელთა, მთავარ წარმომადგენელთა პოზიცია „ივერიისა“ და საერთოდ 60-იანი წლების ქართველ მოღვაწეთა მიმართ ხომ გასაგებია, რომ ამაზე კიდევ აღარ ვილაპარაკოთ. ამ კრიტიკოსებს (გომართელი) ცოდნაც აკლდათ იმისათვის, რომ შესძლებოდათ შეეფასებინათ მხატვრული ნაწარმოები, მოეცათ მისი იდეური საფუძვლები.

მაგრამ ისევ მესამე დასიდან „კვალის“ ფურცლებზე გამოჩნდა ჭეშმარიტი და დროის შესაფერი კრიტიკოსი. ეს იყო ალ. წულუკიძე, რომელმაც მანამდე თავი გამოიჩინა თავისი შესანიშნავი წერილებით პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე. ალ. წულუკიძემ „კვალში“ მოათავსა კრიტიკული წერილი — „ახალი ტიპი ჩვენს მწერლობაში“, სადაც გარჩეულია ბელეტრისტ ლალიონის მოთხრობა „ფირალი დავლაძე“. კრიტიკოსმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ეს მოთხრობა ასახავს ქართვე-

ლი საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარ ღრმა ცვლილებებს.

კაპიტალისტურმა ურთიერთობამ დაბადა ახალი კლასები, ახალი ადამიანები. ბელეტრისტი ლალიონი იძლეოდა ამ ახალ ადამიანთა ტიპებს, რომლებიც სწორად გაარჩია ალ. წულუკიძემ. მან შეამჩნია, რომ მოთხრობაში მოცემული კონფლიქტები არის კლასთა ბრძოლის უტყუარი გამოხატულება.

„კვალი" გარდა ქართული ლიტერატურისა, ეხებოდა და არჩევდა აგრეთვე რუსულ და უცხოურ ლიტერატურასაც.

1899 წლის „კვალის" 23 მაისის ნომერში მოთავსებულია მოწინავე — „ორი პოეტი", რომელიც მიძღვნილია პუშკინისა და ბალზაკის დაბადების ასი წლისთავისადმი. „ამ თვეში, — ვკითხულობთ მეთაურში, — ორი შესანიშნავი პირის ასი წლის დაბადების დღეა — ჰონორე ბალზაკისა -- 8 მაისს და ალექსანდრე პუშკინის — 26 მაისს. პირველი საფრანგეთის გამოჩენილი ბელეტრისტია, მეორე რუსეთის გამოჩენილი პოეტია. პირველმა სახელი გაითქვა თავისი პროზით, ხოლო მეორემ — თავისი ლექსით. მათ შორის ის უმთავრესი მსგავსებაა, რომ ორივემ ნათლად დაახასიათა თავისი დროის საზოგადოება". პუშკინის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ „კვალის" ამ ნომერში დაბეჭდილია სპეციალური სტატია „ა. ს. პუშკინი (ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა)".

„კვალის" მოღვაწეობას მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე ჩვენ უმთავრეს ხაზებში შევეხეთ. ხელოვნების საკითხებზე „კვალს" არ გამოუჩენია გარკვეული თვალსაზრისი და საერთოდ მისი ესთეტიკური მიდგომა საკითხისადმი სუსტია. თეატრის საკითხებზე „კვალის" წერილები უბრალო რეცენზიების ფარგლებს არ გასცილებია, თუმცა თავის დაბადების დღეებიდან გაზეთმა წამოაყენა თეატრის საკითხები. 1893 წელს „კვალის" მესამე ნომერში დაბეჭდილია მეთაური — „თეატრის გამო". აქ წამოყენებულია მოთხოვნა მაღალი ხარისხის პიესების შექმნისა. ეს პიესები, გაზეთის თვალსაზრისით, ეროვნული ცხოვრების გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

შემდეგ „კვალმა" ვეღარ გასდია მის მიერ წამოყენებულ მოთხოვნას. არც ერთი მაღალხარისხოვანი დრამა თუ კომედია მას არ დაუბეჭდავს გარდა უბრალო სცენებისა.

„კვალის“ დასასრული

1903 წელს „კვალი“ თავის დასასრულს უახლოვდებოდა. ამ წლის 3 აგვისტოდან 9 ნოემბრამდე გაზეთი აღარ გამოდიოდა. უეჭველია ის მძაფრად განიცდიდა კრიზისს, რასაც თუნდაც განახლებული გაზეთის სათაური მოწმობს. 1909 წლის 9 ნოემბერს აღდგენილი გაზეთის მეთაურში, რომელიც ყვირილელის ხელისმოწერით დაიბეჭდა, ვკითხულობთ: „ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ჩვენმა გაზეთმა კვლავ ამოიღო ხმა... პრინციპულად „კვალი“ დღესაც იმავე საფეხურზე დგას, როგორც წინათ... მაგრამ იგი ჩამორჩა... „კვალი“ წინათ უკეთ აკმაყოფილებდა მაშინდელი ცხოვრების მოთხოვნილებას, ვიდრე დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს და ეს იმიტომ, რომ ცხოვრებამ გაუსწრო ლიტერატურას და ისეთი ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ, რომ არასოდეს წინათ არ უვლია. გაუმარჯოს იმ ცხოვრებას, რომელმაც „კვალს“ გაასწრო. თუ თავის დანიშნულება მან რიგიანად შეასრულა, მაშინ „კვალსაც“ ვუსურვოთ გამარჯვება ჩემო მკითხველო“.

მაინც რა იყო საჭირო იმისათვის, რომ გაზეთს თავისი დანიშნულება რიგიანად შეესრულებინა? ამაზე ასეთ პასუხს გვაძლევს ავტორი: „მას შეუძლია მიაწოდოს ხალხს ცოდნა, ურომლისოდაც თვით ცნობიერება მასში ვერ განვითარდება. ისტორიულ-ეკონომიურ კითხვათა გარკვევა, ხალხისათვის მის მდგომარეობის შესაგნებათ მასალის მიწოდება — აი რა საგანს მიაქცევს „კვალი“ თავის მთავარ ყურადღებას“ („კვალი“, 1903, № 28).

ეს იყო გედის სიმღერა. „კვალი“, რომელიც ადრინდელ პრინციპულ პოზიციებზე იდგა, თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მას არ შეეძლო თავი გაერთმია დროის მოთხოვნილებისათვის. ამ დროს უკვე გამოდიოდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მებრძოლი გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1903 წლის მარტში თბილისში მოწვეულ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე. რა თქმა უნდა, „პროლეტარიატის ბრძოლის“ პოზიციები უკან იტოვებდა „კვალის“ პოზიციებს. მაგრამ „კვალს“ მოწინავეობაში უკვე დიდი ნაპრალი გაუჩინა

გაზეთმა „ბრძოლამ“, 1901 წლის სექტემბრიდან, ისე რომ „კვალი“ უკვე წელგათრეული აღმოჩნდა. ქართველი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მებრძოლი ორგანოს „ბრძოლის“ დაბადებამ აშკარა გახადა, თუ რამდენად შეუფერებელი იყო „კვალი“ იმ ამოცანებისთვის, რასაც დღის წესრიგში გაზრდილი მუშათა მოძრაობა, გლეხთა რევოლუციური გამოსვლები აყენებდა.

ის საკითხები, რომელსაც „კვალი“ აყენებდა და რომლის გადასაწყვეტად მას ჰქონდა პრეტენზია, მხოლოდ „ბრძოლამ“ გადაწყვიტა და გადაწყვიტა იგი ბრწყინვალედ. ამ საკითხთა შორის მთავარია კლასთა ბრძოლისა და ნაციონალური საკითხები. „კვალი“ ბოლომდე დარჩა საერთო დემოკრატიული მიმართულების მეხოტბედ.

დროგადასულმა საზოგადოებრივ-ეკონომიურმა პოზიციებმა მას დაუკარგეს სიცოცხლე. 1904 წლის მეხუთე ნომრით შეწყდა „კვალის“ გამოცემა.

საერთო დასკვნები

1893 წლის იანვარში, როცა „კვალმა“ იწყო გამოსვლა, ერთადერთი გაზეთი იყო „ივერია“. ეს გაზეთი 1886 წლის იანვრიდან გამოდიოდა ყოველდღიურად. მან შეცვალა მეფის მთავრობისაგან 1885 წელს დახურული გაზეთი „დროება“. ამრიგად, „ივერია“ გახდა მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის მეუფე. მას, თავისი რედაქტორის წყალობით, ჰქონდა მტკიცედ ჩამოყალიბებული პროგრამა, რომლის სულსა და გულს ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნები შეადგენდა.

ქვეყნის ცხოვრების ყველა უბანზე „ივერია“ ეროვნულ მიმართულებას იცავდა და ყველაფერს მას უმორჩილებდა.

„ივერიის“ მიერ გატკეპნილ გზას გაჰყვა თავიდანვე „კვალი“, მაგრამ მალე მასში თავი იჩინა სოციალური საკითხის აქტუალობამ. მას მოჰყვა მთელი ჯგუფი გაზეთის თანამშრომლებისა, რომლებმაც შეადგინეს ახალი საზოგადოებრივი დასი — „მესამე დასი“. „მესამე დასის“ ლიტერატუ-

რული სარბიელი გახდა გაზეთი „კვალი“. ამიერიდან „კვალი“ „ივერიის“ ტრადიციების სრული მოწინააღმდეგე გახდა. იგი მოწინააღმდეგედ გაუხდა აგრეთვე „დროება“-„ივერიის“ მემკვიდრე ჟურნალ „მოამბესაც“, რომელმაც 1894 წლიდან იწყო გამოსვლა. „კვალმა“ საქართველოს მაგალითზე იქადაგა ისტორიული მატერიალიზმი, კლასთა ბრძოლის თეორია და შეეცადა მარქსიზმის მოძღვრების დაცვას, წინააღმდეგ „ივერია“-„მოამბის“ ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმართულებისა.

ეს იყო დროის მოთხოვნა, ისტორიული მოწოდება, რაც ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს თვით „კვალის“ გაჩენას და მის მოღვაწეობას.

მართალია, „კვალმა“ თანმიმდევრულად ვერ დაიცვა კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორია, დროდადრო გაზეთს სჯაბნიდა ეროვნული საკითხი, ისე, რომ ამ საკითხზე არაერთხელ, „კვალის“ პრაქტიკაში, ადგილი ჰქონდა ბურჟუაზიულ რეციდივებს, მაგრამ ამ გაზეთის, როგორც ახალი მოძრაობის მესიტყვის დიდი მნიშვნელობა, ამით მაინც არ მცირდება.

„კვალმა“ მძლავრად შეარყია „ივერიის“ მონოპოლიური მდგომარეობა. შემდეგ მან ნათელყო, რომ „ივერიის“ პროგრამას ეროვნულ და სოციალურ საკითხებზე უკვე დრო გადასულოდა. ახლა წამყვანი საზოგადოებრივი კლასი ხდებოდა მუშათა კლასი, რომელიც არ შეიძლებოდა დამორჩილებოდა „ივერიის პროგრამას. ცხადი იყო, რომ ეროვნული თავისუფლების საკითხი ვერ დაიმორჩილებდა სოციალური ანუ კლასობრივი თავისუფლების საკითხს. თუმცა „კვალმა“ ვერ შესძლო ეროვნულ საკითხზე მარქსიზმის მოძღვრების დაცვა, სამაგიეროდ ამისათვის მან მაინც მოამზადა ნიადაგი.

მესამე დასის წიაღიდან წარმოშობილმა ქართველმა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ მალე, თვით „კვალის“ არსებობის დროს, დიდებულად ნათელყო და დაამტკიცა, რომ ეროვნული თავისუფლება, რომელსაც თავგამოდებით იცავდა „ივერია“, არის ნაწილი საერთო-დემოკრატიული თავისუფლებისა, რომლის მოპოვებით მიღწეული იქნებოდა ეროვნული თავისუფლებაც.

მაგრამ დემოკრატიული თავისუფლება შეიძლებოდა მიღწეული ყოფილიყო სახალხო რევოლუციის გამარჯვებით.

„კვალში“ ხანგრძლივად იბეჭდებოდა ქართველი მარქსისტების სტატიები, რომლებსაც მაშინ საზოგადოებრივი აზრის დაწინაურების საქმეში განუზომელი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ჩვენ წარმოვადგინეთ „კვალი“ მთელი მისი ღირსება-ნაკლოვანებით. მისი ისტორიული მნიშვნელობისა და ადგილისათვის ისიც საკმარისია წარმოვიდგინოთ, რომ იგი გახდა დასაბამი და სათავე მარქსიზმის მოძღვრების გავრცელებისა საქართველოში უკვე 1893 წლიდან. გაზეთის ღირსებისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ მისი თანამშრომელი მარქსისტული მიმართულების მატარებელი პუბლიცისტები თავიანთ სტატიებში ციტატებს კი არ მიმართავდნენ მარქს-ენგელსის შრომებიდან, არამედ კარგად იყვნენ დაუფლებულნი პოლიტიკურ ეკონომიას, საერთოდ ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლებს და თავისი სიტყვით მკითხველი საზოგადოებისათვის გასაგებად მსჯელობდნენ იმ საკითხზე, რაც მოცემული სტატიის თემას შეეხებოდა. „კვალის“ მნიშვნელობა კიდევ იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მან ფართოდ გაუღო კარი დამწყებ, მანამდე უცნობ მწერლებს. მართალია, ამას თავისი ნაკლი დაჰყვა, იმ ხრივ, რომ არა ერთგან იგრძნობოდა სისუსტე მსჯელობაში და ქართული ენაც მოიკოჭლებდა დამწყები მწერლების წერილებში, მაგრამ „კვალი“ ამას თავიდანვე ითვალისწინებდა და თავის საპროგრამო სტატიაში ამბობდა, რომ შეუმცდარი არავინ არისო. ამით „კვალი“ ბრძოლას უცხადებდა ქურუმობას პრესაში. ამ მხრივ „კვალის“ დამსახურება თვალსაჩინოა, თუ წარმოვიდგენთ „ივერიის“ დამოკიდებულებას დამწყები მწერლებისადმი. „ივერია“ ვაჟა-ფშაველას და მის მსგავს მწერლებს ეპატიჟებოდა, მხოლოდ მაღალნიჭიერ მწერლებს უღებდა კარს. მას დამწყები მწერლებისათვის ჰქონდა ცალკე განყოფილება — „დაბა-სოფელი“, სადაც ყველას შეეძლო მიეწვდინა კორესპონდენცია და მხოლოდ კორესპონდენცია. ეს მასალაც იბეჭდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაივლიდა იშვიათი სტილისტების ცხრილს და თუ რაიმე დარჩებოდა ამ ცხრილიდან, მაშინ დაიბეჭდებოდა. თვით ილ. ჭავჭავაძე, ეს

კანონმდებელი ქართული ენისა, ედგა დარაჯად რედაქციაში შემოსულ ნაწარმოებთ.

ცხადია, ამ მხრივ „კვალსა“ და „ივერიას“ შორის განსხვავება დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან ამ გაზეთების რედაქტორებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. „კვალმა“ უეჭველად ღრმა კვალი დასტოვა ქართული საზოგადოებრივი აზრისა და საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიაში.

შინაარსი

შესავალი . 3
გაზ. „კვალი“ 1893 წელს . 5
„კვალის“ პუბლიცისტიკა 1893—1895 წლებში 21
„კვალის“ პუბლიცისტიკა 47
მეცნიერების საკითხები „კვალში“ . 86
წერილები ქართული სამართლის საკითხებზე . 121
მხატვრული ლიტერატურა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხები „კვალში“ 138
„კვალის“ დასასრული 157
საერთო დასკვნები 158

რედაქტორი დ. იუკურიძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფაჩი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქაუთარაძე
კორექტორი პ. ღელეყვა

გადაეცა წარმოებას 19/XII-68 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 16/X-69 წ. ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 8,61. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 7,64.
უე 01765. ტირაჟი 1000. შეკვ. № 267.

ფასი 55 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 1, თბილისი,
ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Госкомитета Совета
Министров Груз. ССР по печати. Тбилиси, Орджоникидзе № 50.